ეროვნული ბიბლიოთეკა
K 25.293/3

სიმონ ხუნდაძე

სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში

ტომი პირველი

სახელგამი
ქუთაისი. 1927 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სიმონ ხუნდაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში

სახელმწიფო გამომცემლობა

ტფილისი — 1927

სიმონ ხუნდაძე

335.9
ეროვნული ბიბლიოთეკა
ბ-97

სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში

ტომი პირველი

ბურჟუაზიულ-უტოპიური სოციალიზმი საქართველოში.

К 25.293/3
Б.К. Компартии Грузии
Библиотека
ბიბლიოთეკა

სახელმწიფო გამომცემლობა
ტფილისი — 1927

ავტორისაგან

ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ევოლუციის შესწავლა ერთობ ძნელი და რთული საქმე არის. ვისაც ამ დარგში უმუშავნია, ის მიხვდება, თუ რაში გამოიხატება ეს სიძნელე და სირთულე. ამ წიგნის წინასიტყვაობაში ამ საკითხის შესახებ ვრცლად ლაპარაკი, რასაკვირველია, ზედმეტია. მაგრამ ერთი მომენტი მაინც უნდა იქნეს აღნიშნული, სწორედ ის მომენტი, რომელიც ააშკარავებს ჩვენი საზოგადოებრივი აზროვნების შესწავლის საქმის მდგომარეობას:

ჩვენი საზოგადოებრივი აზროვნების ისტორია სრულიად არ არის შესწავლილი და გამოკვლეული: ჩვენ არა გვაქვს მეცნიერულად შესწავლილი და ისტორიულ-ობიექტური საზომით განხილული ჩვენი საზოგადოებრივი აზროვნების ევოლუცია; უფრო მეტიც: ჩვენ მასალებიც კი არა გვაქვს დალაგებული და გამოკვლეული ამ ისტორიისათვის; უამრავ ძვირფას მასალას ჩვენი საზოგადოების სოციალური და ინტელექტუალური ცხოვრების წარსულიდან არქივის მტვერი აყრია და ჯერ კიდევ არ ვიცით, ეს მტვერი უფრო გაიზრდება ამ მასალებზე, თუ მათ ელირსებათ მზის სინათლეზე გამოტანა.

ასეთ მძიმე პირობებში, როდესაც არ არის მთლიანი საზოგადოებრივი აზროვნების ისტორია შესწავლილი, ერთობ ძნელი არის ამ აზროვნების სფეროდან ერთი რომელიმე ნაწილის გამოყოფა და მისი, ასე ვთქვათ, სეპარატიული გზით განხილვა. მით უფრო ძნელია განხილვა სოციალისტური აზროვნების განვითარებისა ქართულს ნიადაგზე. სხვა მრავალ დაბრკოლებას შორის ამ მუშაობას წინ ეღობება ერთი საკმაოდ დიდი დაბრკოლება: მტკიცე შეგნება არა მარტო ფართო საზოგადოებისა, არამედ თვით ქართველ მკვლევართა, რომ 60-იან და 70-იან წლებში არა ჰქონია ჩვენში ადგილი სოციალისტურ „გატაცებას“ და თუ რამ იყო ასეთი, იგი ანგარიშში ჩასაგდები არ არის: სოციალიზმის ისტორია ჩვენში იწყება 90-იანი წლებიდან. ასე მსჯელობს ჩვენი საზოგადოებრივი აზროვნების ზოგიერთი მკვლევარი.

ჩვენი აზრი ძირიანად ეწინააღმდეგება ასეთ შეხედულებას: ჩვენ ვფიქრობთ, რომ 60—70—80-იან წლებში საქართველოში საგრძნობ გატაცებას ჰქონდა ადგილი სოციალისტური მიმართულებით — ამის დამამტკიცებელ საბუთებს, იმედი გვაქვს, ბლომად იპოვის მკითხველი მის წინ მდებარე ნაშრომში — და, რაკი გატაცებას ჰქონდა ადგილი, იგი ანგარიშში ჩასაგდებიც არის და შესასწავლ-გამოსარკვევიც-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზოგადოებრივი აზროვნების ევოლუცია ობიექტურ-ისტორიული საზომით უნდა იქნეს განხილული და ამ ობიექტურ-მეცნიერული კვლევის დროს აუცილებლად ისტორიულ ანგარიშზე უნდა იქნეს აყვანილი ყველა ის მნიშვნელოვანი მოვლენა ინტელექტუალური ძიებისა და სოციალ-პოლიტიკური მისწრაფების სფეროდან, რომელსაც კი ჰქონია ადგილი ჭალარით მოსილ ისტორიულ წარსულში. მეორე მნიშვნელოვანი საკითხია ის, თუ როგორ ისტორიულ-სოციოლოგიურ ფონზე აღმოცენდენ ეს მოვლენები და რა იყო მათი არსებითი ისტორიული დანიშნულება. რაკი ისტორიულ წარსულში ადგილი ჰქონდა ამა თუ იმ მოძღვრებით გატაცებას — ამ შემთხვევაში სოციალისტური იდეებით გატაცებაზეა ლაპარაკი — იგი აუცილებლად უნდა შევისწავლოთ მთელი თავისი ისტორიული ვითარებითა და ფორმებით.

მეორეს მხრით, თანამედროვე ისტორიულმა ეპოქამ კარდინალურად დააყენა სოციალიზმის პრობლემა პრაქტიკულ ნიადაგზე და სოციალური თეორიების რეალურად განაღდებას შეუდგა. ამ მხრივ სოციალიზმის პრობლემებისადმი ინტერესი წმინდა პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ-პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი ხასიათისაა: პრაქტიკულმა ინტერესმა დაამარცხა და დაიმორჩილა განყენებული თეორიული კვლევა-ძიება. ეს სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ სოციალიზმის პრობლემებს თეორიული ინტერესი დაეკარგოს და რევოლუციონურ პრაქტიციზმს მეცნიერება განედევნოს თავისი სამოღვაწეო ასპარეხიდან. წინააღმდეგ, არასოდეს თეორიული ინტერესი სოციალიზმის პრობლემებისადმი ისე გაცხოველებული არ ყოფილა, როგორც თანამედროვე ეპოქაში: მძაფრმა რევოლუციონურმა ეპოქამ თავისი დაღი დაასვა სოციალისტურ თეორიულ კვლევა-ძიებას და დაუმორჩილა იგი თავის რევოლუციონურ ინტერესებს, ასე ვთქვათ, აბსტრაქციის განყენებული სამეფოებიდან რეალური ცხოვრების ნიადაგზე დააყენა. აქედან წარმოსდგა ის, რომ თანამედროვე სოციალისტური მეცნიერება გაასკეცებული ენერგიით იკვლევს იმას, თუ როგორი მეთოდით, როგორი საშუალებითა და გზებით არის შესაძლებელი სოციალიზმის განხორციელება. ათი წლის საბჭოთა სახელმწიფოს არსებობამ და მოღვაწეობამ უდიდესი მასალა მისცა რევოლუციონურ მეცნიერებას სოციალური პრობლემების ახალ პირობებთან და ეპოქასთან შეფარდებით დამუშავებისათვის. აქ სჩანს თეორიული ინტერესი სოციალიზმისა და მისი პრობლემებისადმი.

მაგრამ თანამედროვე ეპოქის ინტერესი სოციალიზმის პრობლემებისადმი მარტო ამ პრაქტიკული და თეორიული მომენტებით არ ამოიწურება. მას აქვს თავისი მესამე მხარეც: თანამედროვე სოციალისტურ მეცნიერებას აინტერესებს სოციალისტური აზროვნებისა და იდეების ისტორიული განვითარებაც, მისი წარსული და უახლოესი მდგომარეობაც; როგორი ფორმებითა და სახით მიმდინარეობდა სოციალისტური აზროვნება წარსულში, რას ფიქრობდენ ძველი რეფორმატორები მომავალ სოციალისტურ წყობილებაზე და როგორი ფორმით წარმოედგინათ ეს წყობილება, როგორ უყურებდენ ისინი არსებულ ეკონომიურ ურთიერთობას და როგორ მეთოდსა და საშვალებებს იმუშავებდენ ისინი მომავალი სოციალისტური წესწყობილების განსახორციელებლად,— აი მთელი რიგი კითხვათა რგოლებისა, რომელთა განხილვა და შესწავლა საინტერესო ხდება ისტორიულ-ობიექტური საზომით. ამიტომ არის, რომ სოციალისტური რესპუბლიკების უმაღლეს სასწავლებლებში სოციალიზმის ისტორია ცალკე, დამოუკიდებელი კურსის სახით შეიტანეს აკადემიურ სამეცადინო საგანთა შორის და გამოჰყვეს იგი ეკონომიურ მოძღვრებათა და აზროვნების ისტორიის საერთო ოჯახიდან, რომლის ერთ-ერთ ნაწილსაც იგი შეადგენდა და შეადგენს.

საქართველოში ინტერესი სოციალური საკითხებისადმი ამ ბოლო ხანებში ძლიერ გაცხოველდა: საქართველოს პროლეტარიატი და მთელი საზოგადოება ჩაბმული არის სოციალუისტრი მშენებლობის პროცესში და ამიტომ გასაკვირი არ არის, თუ ჩვენშიაც ცხოველდება ინტერესი სხვა სოციალურ საკითხებთან ერთად სოციალისტური პრობლემებისადმი: ჩვენ საზოგადოებასაც აინტერესებს ის, თუ როგორი სახით ვითარდებოდა ჩვენში სოციალისტური აზროვნება და როგორი არის მისი ისტორიული განვითარების მთავარი საფეხურები. ვფიქრობთ, ეს გარემოება საკმაოდ ამართლებს ამ წიგნის ავტორის პატარა განზრახვას: მიაწოდოს დაინტერესებულ ქართველ მკითხველს მასალები ქართული სოციალისტური აზროვნების ევოლუციიდან. ამ ამოცანების იქით ავტორის პრეტენზიები არ მიდის და ამიტომაც წიგნი ატარებს სათაურს: „სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში“ და არა „სოციალიზმის ისტორია“.

ახლა ორიოდე სიტყვა თვით წიგნის შესახებაც, რომელსაც თავისი ისტორია აქვს. თავდაპირველად ჩვენი მიზანი იყო ტფილისის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელმწიფო უნივერსიტეტში სოციალიზმის ისტორიის საერთო კურსთან ერთად წაგვეკითხა 3—4 ლექცია ქართული სოციალისტური აზროვნების განვითარებიდანაც, რომ მსმენელს ჰქონოდა დაახლოებითი წარმოდგენა მაინც იმის შესახებ, თუ როგორ გავლენას ახდენდა ევროპისა და რუსეთის სოციალისტური მოძრაობა ჩვენს ინტელიგენციაზე და როგორ მზადდებოდა ჩვენშიაც ნიადაგი დამთავრებული რევოლუციონური თეორიის ჩამოსაყალიბებლად. 1926 წ. ნოებრის თვიდან ძველი ჟურნალ-გაზეთებისა და სხვა საჭირო მასალების ხელახლა გადათვალიერებამ და შესწავლამ ჩვენს პირველ მიზანს ფერი უცვალა და მუშაობის დასასრულს ჩვენ მივიღეთ უფრო ვრცელი შრომა, რომლის პირველი ტომის ორი წიგნი ამჟამად მკითხველი საზოგადოების განკარგულებაშია.

პირველი ორი ტომი მთლიანად ეხება მე-XIX-ე საუკუნეს, ხოლო მესამე ტომში, რომელიც, ასე ვთქვათ, მხოლოდ პროექტშია, განხილული იქნება მე-XX-ე საუკუნის საერთო ფონთან ერთად ბოლშევიზმის, მენშევიზმის, სოციალ-ფედერალიზმის, ანარქო-სინდიკალიზმისა და სხვა წვრილ მიმდინარეობათა განვითარების უმთავრესი მომენტები.

მკითხველს ჩვენ წინდაწინვე ვეთანხმებით, რომ ჩვენს პირობებში მის წინ მდებარე წიგნი შეუძლებელია შეცდომებისა და დეფექტების გარეშე დაწერილიყო: ამ ნაშრომს, უეჭველია, აქვს თავისი შეცდომები. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ თვით მკითხველი საზოგადოება დაგვეხმარება ამ შეცდომების გამორკვევაში და გასწორებაში.

შეიძლება ზოგიერთმა — მხოლოდ ზ ო გ ი ე რ თ მ ა — მკითხველმა მისაყვედუროს ვრცელი ციტატების მოყვანა. ეს ჩვენ სრულიად შეგნებულად ჩავიდინეთ: საქართველოში, სადაც ძვირფასი ისტორიული მასალები ჯერ კიდევ დამტვერილი ინახება და სრულიად მიუწდომელი არის მკითხველისათვის, პირდაპირ დანაშაული იქნებოდა ჩვენ მხოლოდ მიგვეთითებია მასალებისათვის და არ მოგვეყვანა ვრცლად ციტატები. ამ მეთოდით ჩვენ მკითხველს საშუალებას ვაძლევთ თვითვე გაეცნოს ვრცლად მასალას და თავისი შეხედულებაც შეიმუშავოს.

ყველგან, სხვადასხვა ავტორების მოყვანილ ციტატებში, დაცული არის მათი მართლწერა და გამოთქმები.

თებერვალი, 1927 წ.
ქ. ტფილისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შესავალი:

I. სოციალისტური აზროვნების უმთავრესი მომენტები რუსეთსა და საქართველოში.

II. ჩვენი ეკონომიკა მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

I. სოციალისტური აზროვნების უმთავრესი მომენტები რუსეთსა და საქართველოში.

1859 წელს მარქსი სწერდა, რომ საზოგადოების სოციალური შენობა ეწყობა ეკონომიური სტრუქტურის შეფარდებით. მაგრამ, მარქსის აზრით, არა მარტო საზოგადოებრივი შენობა, არამედ საზოგადოებრივი აზროვნებაც, ფსიხოლოგიაც და მისწრაფებაც მუშავდება ეკონომიური წყობილების ზეგავლენით. ამრიგად, ეკონომიკა საზღვრავს საზოგადოებრივ შენობასაც და საზოგადოებრივ აზროვნებასაც. მარქსი სწერდა: „მატერიალური ცხოვრების წარმოების წესი აყალიბებს თავის მიხედვით სოციალური, პოლიტიკური და სულიერი ცხოვრების პროცესებს საერთოდ. როგორც შეუძლებელია ცალკე პიროვნების შესახებ მსჯელობა იმის მიხედვით, თუ რას ფიქრობს იგი თავის თავზე, ისე შეუძლებელია მსჯელობა ასეთი რევოლუციონური ეპოქის შესახებ მხოლოდ მისი შეგნების მიხედვით... უწინარეს ყოვლისა ეს შეგნება განმარტებულ უნდა იქნეს მატერიალური ცხოვრების წინააღმდეგობებით, საწარმოო ძალებსა და საწარმოო ურთიერთობათა შორის არსებული კონფლიქტით“.

მაგრამ საზოგადოებრივი ცხოვრება არ არის ერთხელ მოვლენილი და უძრავი რამ: იგი ცვალებადობის პროცესში იმყოფება და მისი წინმსვლელობა ხდება სოციალური კანონების სასტიკი ზეგავლენით. თავისი განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე, მარქსის ენით რომ ეთქვათ, საზოგადოების მატერიალური საწარმოო ძალები ეჯახებიან არსებულ საწარმოო ურთიერთობას, რასაც თავის მხრით შედეგად მოსდევენ სოციალური კონფლიქტები და აზროვნების გაცხოველება: საზოგადოებრივი ცხოვრების ასეთი პერიოდი იწვევს აზროვნებისა და, საერთოდ, იდეოლოგიური ფორმების გადახალისებას, ამოძრავებას, — ფორმების, რომლებშიაც ცალკე ინდივიდები შეგნების სახით ითვისებენ აღნიშნულ კონფლიქტს.

მარქსისტული სოციოლოგიისათვის აზროვნება, მით უმეტეს საზოგადოებრივი აზროვნება, არის არა რაღაც დამოუკიდებელი

ეროვნული

თვითმოქმედი მოვლენა, არამედ გარკვეული სოციალურ-ეკონომიური პირობების ანარეკლი. განსაკუთრებული აზრი, იდეა, სოციალ-პოლიტიკური მისწრაფებანი შეიძლება აღმოცენდენ მხოლოდ და მხოლოდ გარკვეულ ისტორიულ პერიოდში, როდესაც ამისათვის ეკონომიურად მომზადებულია ნიადაგი, ხოლო სოციალურად არსებობენ საზოგადოებრივი კლასები და სათანადო კულტურული დონე. ამიტომ საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიის შესწავლა შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ ეკონომიური ცხოვრების შესწავლით, სოციალური კლასების და მათი ურთიერთობის გამოკვლევით, ერთი სიტყვით, საზოგადოებრივი წყობილებისა და მისი კულტურული ვითარების გაგებით. საზოგადოებრივი აზროვნების ვითარება დამოკიდებულია საზოგადოებრივი ცხოვრების ვითარებაზე, მის სოციალ-პოლიტიკურ მდგომარეობაზე. ამ უკანასკნელის შესწავლა ნათელს ფენს და გასაღებს გვაძლევს პირველის შესასწავლად.

60-იანი წლები ქართული საზოგადოებრივი აზროვნების რენესანსად უნდა ჩაითვალოს. 50—60-იან წლებში დაიწყო ქართული ცხოვრების საგრძნობი გამოცოცხლება და ინტელიგენციის საქმიანი მოღვაწეობა. თეატრისა და ჟურნალის დაარსება, წიგნის გამოცემის საქმის დაწყება 50-იან წლებში არ იყო შემთხვევითი მოვლენა; იგი არსებითად გამოხატავდა ქართული კულტურული ძალების მობილიზაციას; 60-იანმა წლებმა მოგვცეს ამ კულტურული მუშაობის პირველი მნიშვნელოვანი შედეგი — საზოგადოებრივი აზროვნების დიფერენციაცია, ინტელიგენტური ოჯახის ორ მოწინააღმდეგე ბანაკად დაყოფა: გაბატონებული ძველი თავად-აზნაურული სქოლასტიური აზროვნების წინააღმდეგ ამხედრდა ლიბერალურ-დემოკრატიული წრეების რაციონალისტური და პოზიტიური აზროვნება. 60-იან წლებში თავად-აზნაურულ სქოლასტიურ და რეაქციონურ იდეოლოგიას დაუპირისპირდა ლიბერალურ-დემოკრატიული იდეოლოგია,—ეს იყო პირველი უდიდესი ისტორიული ფაქტი მე-XIX საუკუნის ჩვენი კულტურული ცხოვრების ვითარებაში.

მაგრამ 60-იანი წლები მარტო ლიბერალურ-დემოკრატიული აზროვნებისა და მიმართულებათა აკვნად არ შეიძლება ჩაითვალოს; ამავე პერიოდში პირველი საფუძვლები ჩაეყარა და ჩვენი ცხოვრების გარდამავალ (ძველი მეურნეობიდან კაპიტალისტურ ეკონომიკაზე) ფონზე გაიელვა სოციალისტურმა აზროვნებამაც. ლიბერალურ-დემოკრატიულ აზროვნებასთან ერთად ჩვენს ცხოვრებაში შემოანათეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოციალისტური იდეალების ცხოველმა სხივებმა. ქართული ინტელიგენციის ისტორიის მკვლევარი ა ო. ჯ ო ო ჯ ა ძ ე ამ ფაქტს არ უარყოფს, მხოლოდ მას იგი ანგარიშში მისაღებ მოვლენად არ მიაჩნია. თავის **„ინტელიგენციის ისტორიის მასალებში"** 1912 წ. იგი სწერდა: „მესამოციანობა არის ახალი ერა ჩვენს კულტურაში. მან შემოიტანა ჩვენში მეცხრამეტე საუკუნეში ევროპაში მოარული სოციალ-პოლიტიკური თეორიები და ფორმულები". ცოტა ზევით იგივე ავტორი სწერს: „მაგრამ მკითხველი შესცდება, თუ იფიქრებს, რომ სოციალიზმი მესამოცე წლებიდან იკეთებს ფესვს ჩვენს მწერლობაში და რომ მასში უნდა ვეძებოთ მიზეზი ლიბერალ და დემოკრატ მესამოციანთა დამარცხებისა. **ნამდვილად კი სოციალისტური აზროვნება და მიმართულება ჩვენს მწერლობაში ოთხმოცდაათიან წლებამდე ანგარიშში ჩასათვალავ მოვლენად არ ჩაითვლება.** არც ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ე, არც ვინმე სხვა ამ მიმართულების ბელადად არ გამხდარა" [1]).

ამრიგად, ჯ ო ო ჯ ა ძ ე არ უარყოფს სოციალისტური აზროვნების შემოჭრას ჩვენში 60-იან წლებში, მხოლოდ იგი მას არ მიაჩნია ანგარიშგასაწევ მოვლენად. მისი აზრით, „მესამოციანობას" ახასიათებს უმთავრესად ლიბერალურ-დემოკრატიული აზროვნება. მეორე მკვლევარს, ნ. ე ო ო დ ა ნ ი ა ს, სრულიად გამოეპარა ამ ფაქტის არსებობა. თავის **„ქართულ პრესაში"** (1900 წ.) საერთოდ ამ მწერალმა შესაფერისად ვერ გამოიყენა მარქსისტული მეთოდი ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიის შესწავლის დროს და მისი **„ქართული პრესა"** უფრო პოლემიკური ექსკურსიაა, ვიდრე დამჯდარი სერიოზული ისტორიული ნარკვევი.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ 60-იანი და 70-იანი წლების სოციალისტური აზროვნების შესახებ მართალი არ არის არც ნ. ე ო ო დ ა ნ ი ა თავისი „გულმავიწყობით" და არც ა ო. ჯ ო ო ჯ ა ძ ე თავისი „ანგარიშიანობით". ჯ ო ო ჯ ა ძ ი ს კონცეპციით, სოციალისტური აზროვნების ისტორიიდან უნდა ამოიშალოს 25—35 წლების მნიშვნელოვანი მანძილი, როდესაც ჩვენში მოღვაწეობდა, მაგ., ნაროდნიკული მიმდინარეობა, როდესაც ჩამოყალიბდა წვრილ-ბურჟუაზიული უტოპიური სოციალიზმი საქართველოში, როდესაც ნაროდნიკული მიმდინარეობის ერთმა ნაწილმა (მაიაშვილი, ჯაბადარი, ჩიკოიძე, გამყრელიძე,

[1]) ა ო ჩ ი ლ ჯ ო ო ჯ ა ძ ე: თხზულებანი; ტ. V. გვ. 180—181, გამოც. 1914 წ.

ციციშვილი) მხურვალე მონაწილეობა მიიღო რუსეთის 70-იანი წლების რევოლუციონურ-სოციალისტურ მოძრაობაში, სადაც ისინი ბაკუნინის ანარქისტული სოფლმხედველობის ნიადაგზე იდგენ, ხოლო მეორე ნაწილმა 70-80-იან წლებში საქართველოში დააარსა რევოლუციონური პარტია და შექმნა თავისი ორგანოც („იმედი"). როგორც ლიტერატურაში, ისე პრაქტიკულად რევოლუციონური პარტიის დაარსებით, რომელიც მხურვალე მუშაობას აწარმოებდა მოსწავლე ახალგაზრდობასა და ხელოსნებში, სოციალისტურმა აზროვნებამ საგრძნობლად გაიდგა ფესვები აღნიშნულ პერიოდში, და მისი დაუნახაობა ისტორიული უსამართლობა იქნებოდა.

ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიის შესწავლა 60-იანი წლებიდან არ იქნება სრული, თუ ამ ისტორიიდან ამოვშლით იმ ნაკადს, რომელიც ნაროდნიკული და სოციალისტური მიმდინარეობის სახით შემომდინარეობდა ჩვენს საზოგადოებრივ აზროვნებაში. ამ სოციალისტურ-ნაროდნიკულმა ნაკადმა ლიბერალურ-დემოკრატიულ მიმდინარეობასთან ერთად გააპოხიერა ჩვენი აზროვნება და აავსო ჩვენი სოციალურ-პოლიტიკური იდეალები ევროპის და რუსეთის ახალი თეორიებით. ჩვენში მარქსიზმი 90-იან წლებში ქართველი ნაროდნიკების ბეჭებზე აღმოცენდა: 90-იანი წლების ქართული მარქსიზმი ისტორიულად და ლოლიკურად მოჰყვა 70-80-იანი წლების ქართველი ნაროდნიკების ნაყოფიერ რევოლუციონურ მუშაობას მუშა ხელოსნებსა და მოსწავლე ახალგაზრდობაში. ისე, როგორც რუსეთში 80-იან წლებში, ჩვენშიაც მარქსიზმი 90-იან წლებში ნაროდნიკ-სოციალისტების მიერ გაპოხიერებულ ნიადაგზე აღმოცენდა. ეს ისტორიული ფაქტია.

მაგრამ სანამ ქართული სოციალისტური აზროვნების განვითარების მთავარ მომენტებს გავითვალისწინებდეთ, აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს გავეცნოთ რუსეთის ასეთივე აზროვნების ევოლუციას. საქართველო არა მარტო პოლიტიკურად და ეკონომიურად გადაეჯაჭვა რუსეთის ცხოვრებას მე-XIX საუკუნის დასაწყისიდან, არამედ კულტურულადაც, და ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებაზე უდიდეს გავლენას ახდენდენ ის სოციალ-პოლიტიკური და საზოგადოებრივი იდეალები, რომელნიც მუშავდებოდენ რუსეთის ინტელიგენციის წრეებში. ამიტომ ძნელია ქართული საზოგადოებრივი აზროვნების გაცნობა, თუ არსებით ყურადღებას არ მივაქცევთ რუსეთის ინტელიგენციის აზროვნების ევოლუციას. მაგრამ ეს გავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლენა რუსეთის საზოგადოებრივი აზროვნებისა ქართველ ინტელიგენციაზე განსაკუთრებით გამოიხატა ქართული სოციალისტური აზროვნების ვითარებაში: ქართველმა ინტელიგენციამ თავისი სოციალისტური იდეალები უმთავრესად რუსეთის სოციალისტური ოჯახიდან ისესხა, თუმცა მასზე, როგორც ქვევით დავინახავთ, დიდ გავლენას ახდენდენ ევროპის სოციალისტური და უტოპიური სისტემებიც.

მე-XIX საუკუნეში რუსეთის სოციალისტური აზროვნების ევოლუცია შემდეგ ქრონოლოგიურ ფარგლებში შეგვიძლია მოვაქციოთ:

1. **პირველი პერიოდი** შეიცავს დაახლოვებით 1830 — 1850 წლებს. ამ პერიოდში შეიქრა პირველად რუსეთში სოციალისტური იდეოლოგია; ამ იდეოლოგიის მასაზრდოებელი ნაკადი მომდინარეობდა **ევროპის უტოპიური** სოციალიზმიდან (სენ-სიმონი, ფურიე და სხვ.). ამ ეპოქაში რუსეთის ინტელიგენცია უკრიტიკოდ ითვისებდა ევროპის სოციალისტურ სისტემებს. **ეს არის ეპოქა ევროპის უტოპიური სოციალიზმის ბატონობისა რუსეთის ნიადაგზე.** 1830 წლის შემდეგ მოსკოვის უნივერსიტეტთან დაარსდა ორი წრე: ერთი განიცდიდა გერმანიის ფილოსოფიური აზროვნების გავლენას, ხოლო მეორე — საფრანგეთის სოციალისტური იდეებისას. ამ უკანასკნელის მეთაურები იყვნენ **ჰერცენი და ოგარევი.** „... 1830 წლის შემდეგ სოციალიზმმა დიდი გავლენა მოახდინა მოსკოვის მოაზროვნეებზე. რუსეთში ამ დოქტრინაში ხედავდენ იმ გრძნობების გამოხატვას, რომელნიც უფრო შეესაბამებოდენ ჩვენი სულის ძირითად მისწრაფებებს, ვიდრე წმინდა პოლიტიკური მიმდინარეობანი". „სენ-სიმონიზმი დაედვა ჩვენს რწმენას საფუძვლად და უცვლელი დარჩა ძირითად მომენტებში"[1].

40-იანმა წლებმა რუსეთში უფრო ფართოდ გაუღო კარები ევროპის სოციალისტურ უტოპიურ აზროვნებას. როგორც ეპოქის დამახასიათებელი მომენტი, აღსანიშნავია **ბელინსკის** გადასვლა მემარჯვენე ჰეგელიანიზმიდან უკიდურეს მემარცხენე ფრთაზე. 1841 წელს იგი სწერდა ბოტკინს: „ამჟამად მე ახალს უკიდურესობაში ვიმყოფები — ეს არის სოციალიზმის იდეა, რომელიც გადაიქცა ჩემთვის ყოფნაზე უფრო მაღალ მოვლენად, იდეათა იდეად, რწმენისა და ცოდნის ალფად და ომეგად"[2]. **პ. ანენკოვის** გადმოცემით, 1843 წლებისა-

[1]) К. Пожитков: „Развитие социалистических идей в России" ტ. I, გვ. 39.

[2]) იქვე, გვ. 44.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვის „პრუდონისა და ფურიეს თეორიები, რომელთაც შემდგომ მოვ-მატა ლუი ბლანის ცნობილი ტრაქტატი „შრომის ორგანიზაცია", წარმოადგენდენ ჩვენში (რუსეთში) განსაკუთრებულ სკოლას, სადაც ყველა ეს მოძღვრება შერეული იყო ერთმანეთში და განურჩეველად, არეულად სწამდათ მათ მიმდეერებს" [1]). 40-იანი წლების მეორე ნახევარში რუსეთში ჩამოყალიბდა პეტრაშევსკის ჯგუფი, რომლის უმრავლესობა ფურიეს სოციალისტურ სისტემას იზიარებდა. ეს ჯგუფი ნიკოლოზ პირველის ჟანდარმერიამ აღმოაჩინა 1849 წელს და მისი მეთაურები სასტიკად დასაჯა.

ამ წლიდან თითქოს შეწყდა რუსეთში პერიოდი ევროპის უტოპიური სოციალიზმის მიმბაძველობისა და რუსეთის ინტეგილენცია ჰერცენის მეთაურობით შეუდგა **ნაროდნიკული სოციალიზმის სახით** თავისი საკუთარი, რუსული უტოპიური სოციალიზმის შემუშავებას. მაგრამ ჯერ ვიკითხოთ: როგორი იყო **სოციალური შინაარსი** 1830 — 1850 წლების „სოციალისტური მიმდინარეობისა", როგორი სოციალური მოტივები ამოძრავებდა ამ პერიოდში ინტელიგენციას? უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთი ამ ეპოქაში აღარ წარმოადგენდა ეკონომიურად ჩამორჩენილ და განუვითარებელ ქვეყანას. ბატონყმური ურთიერთობის გვერდით საგრძნობლად განვითარდენ საეკონომო და სამეწველო კაპიტალისტური ურთიერთობანი. 1825 წლისათვის იქ 5.261 ფაბრიკა-ქარხანაზე მეტი მოიპოვებოდა; ამ ფაბრიკა-ქარხნებში მუშაობდა 210.568 თავისუფალი და ყმა მუშა. აქედან სჩანს, რომ რუსეთში ძველი ნატურალური მეურნეობა რღვევის პროცესში იმყოფებოდა და ახალ სოციალ-ეკონომიურ პირობებში ყალიბდებოდენ ახალი აზროვნება და ახალი სულიერი განწყობილებანი. დეკაბრისტების 1825 წლის რევოლუციონური გამოსვლა, როგორც 1858 წელს შესანიშნავად აღნიშნა ჰ ერ ც ე ნ მ ა, **ლიბერალურად** განწყობილი ინტელიგენციის ცდები იყო, მაგრამ ეს რუსული ლიბერალიზმი აღმოცენდა არა ნატურალური მეურნეობის საფუძვლებზე, არამედ რუსეთში ახლად შეჭრილი კაპიტალისტური ურთიერთობის ნიადაგზე. არ არის გასაკვირი, თუ შემდგომ ამ ბურჟუაზიულად განწყობილმა ინტელიგენციამ თავისდა უნებურად შეითვისა ევროპის უტოპიური სოციალიზმის სისტემები, მაგრამ არსებითად

---

[1]) იქვე, გვ. 43. აგრეთვე П. Анненков: „Замечательное десятилетие". ჟურნ. „Вестник Европы", № 1—5 1880 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ შეთვისების ფორმებში იმალებოდა რუსეთის პროგრესიული ინტელიგენციის ბურჟუაზიული და ლიბერალურ-დემოკრატიული მისწრაფებანი.

ეს ბურჟუაზიული მიდრეკილება რუსეთის ინტელიგენციისა საუცხოოდ გამოამჟღავნა ბელინსკიმ, რომელიც 1840 წლიდან უკვე სოციალიზმის უკიდურესობაში იყო გადავარდნილი. 1847 წელს იგი სწერდა ბოტკინს: „მე ვიცი, რომ მრეწველობა დიდ უბედურებათა წყაროა, მაგრამ ვიცი აგრეთვე, რომ ის საზოგადოებისათვის დიდი ბედნიერების წყაროც არის. არსებითად ის (მრეწველობა) მხოლოდ უკანასკნელია, უბედურება კი გამოიხატება კაპიტალის ბატონობაში, შრომაზე მის ტირანიაში"[1]). ამიტომ სრულიად სამართლიანად სწერს ამბ. **პოკროვსკი** ჰერცენის შესახებ: „როგორც პოლიტიკური მოღვაწე, ჰერცენი წარმოადგენდა დეკაბრისტების ნახევრად თავად-აზნაურული ლიბერალიზმის რუსეთის რეფორმის შემდგომი პერიოდის ბურჟუაზიულ ლიბერალიზმთან შემდეგელს"[2]). ასეთსავე სწორ ისტორიულ სოციოლოგიურ დაფასებას იძლევა პეტრაშევლების შესახებ ამბ. **მ. ბალაბანოვი**, როდესაც სწერს: „პეტრაშევსკის არ ჰქონია ჩამოყალიბებული სოციალისტური შეხედულებანი და სოციალისტური სიმაღლიდან იგი ხშირად ეშვებოდა, თუ ლიბერალიზმის მიმართულებამდე არა, რადიკალიზმის მიმართულებამდე მაინც. უფრო მეტი დასაბუთებით შეიძლება ეს ითქვას პეტრაშევსკის ჯგუფის დანარჩენ წევრებზე. მათთვის სოციალიზმი იყო უბრალო განწყობილება, ძლიერ ხშირად წარმავალიც, რომელიც გამოსავალს იძლეოდა ბატონყმური თვითმპყრობელური წყობილების წინააღმდეგ პროტესტებისთვის"[3]). **ბ. გორევი** საერთოდ ამ პერიოდის რუსეთის სოციალისტებს შემდეგნაირად ახასიათებს: „ევროპული უტოპიური სოციალიზმი იყო მხოლოდ ის იდეოლოგიური ნაჭუჭი, რომელშიც, მაშინდელი რუსი ინტელიგენციის შეუგნებლად, იმალებოდენ მისი (ინტელიგენციის) ნამდვილი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ამოცანები და მისწრაფებანი"[4]). ამრიგად, 1830—1850 წლებში რუსეთში

[1]) იქვე, გვ. 47.

[2]) М. Покровский: „Русская история", ტ. IV, გვ. 140.

[3]) М. Балабанов: „История революционного движения в России". 78. 1925 წ.

[4]) Б. Горев: „Белинский и социализм". ჟურნ. „Печать и революция", № 4. გვ. 2. 1923 წ. მისივე: „Развитие социалистической мысли в России" გრანატის ენციკლოპედიური ლექსიკონი, ტ. 40, გვ. 541.

შეჭრილი ევროპის უტოპიური სოციალიზმის ქვეშ იმალებოდა რუსეთის ინტელიგენციის ლიბერალურ-რადიკალური განწყობილება და ბურჟუაზიული სულისკვეთება.

როგორც მკითხველი ქვევით დაინახავს, ევროპის უტოპიური და სხვა სოციალისტური სისტემები 1860 — 1876 წლებში ჩვენშიაც შემოიჭრენ. არსებითად ამ სოციალისტურ სისტემებს ჩვენშიაც თავი შეაფარა ქართველმა რადიკალურ-ბურჟუაზიულმა ინტელიგენციამ.

მკითხველს აქ უნდა მოვაგონოთ შემდეგი: ევროპაში დიდი უტოპისტებიდან **სენ-სიმონი** (1760—1825 წ.) და **შ. ფურიე** (1772—1837 წ.) არ იყვნენ წმინდა წყლის სოციალისტები და მათ სისტემებში თავმოყრილი იყო არასოციალისტური ელემენტებიც. განსაკუთრებით ეს ითქმის სენ-სიმონიზმზე. მთელი რიგი სოციალიზმის ისტორიკოსებისა სენ-სიმონს არ სთვლის სოციალისტად. მართლაც, თვითონ სენ-სიმონის სოციალური სისტემა არ იყო მიმართული ბურჟუაზიულ-კაპიტალისტური წყობილების წინააღმდეგ; მას სურდა მხოლოდ ბურჟუაზიული წყობილების გაუმჯობესება, მისი განთავისუფლება ანარქიის ზეგავლენისაგან. აღსანიშნავია ის, რომ **ინდუსტრიალურ კლასში** იგი თავისუფლად ათავსებდა მრეწველსა და მშრომელს, კაპიტალისტსა და პროლეტარს და თავის თავს ამ ერთიანი კლასის დამცველად სთვლიდა. ამიტომ ის მომავალი წყობილება ინდუსტრიალიებისა და მეცნიერების, რომელსაც გვიხატავდა სენ-სიმონი, არსებითად გამოხატავდა იდეალიზაციაქმნილ კაპიტალისტურ საზოგადოებას: სენ-სიმონი წარმოადგენს სამრეწველო ბურჟუაზიის თავისებურ იდეოლოგს. ისტორიულად სოციალისტური შინაარსი სენ-სიმონის მოძღვრებაში შეიტანეს მისმა მოწაფეებმა (ბაზარი და ანფანტენი). ფურიერიზმშიაც ბლომად მოიპოვება არასოციალისტური ელემენტები: მაგ. ფურიე არ სპობს საკუთრებით კერძო საკუთრებას საწარმოო ძალებზე[1]), მის ფალანგაში ადგილი აქვს კაპიტალისტებსა და ბანკირებს, რომელნიც ღებულობენ გასამრჯელოს ფალანგის წლიური შემოსავლიდან: **კაპიტალი** (აქციონერი) ღებულობს ფალანგის წლიური შემოსავლის $^1/_{12}$, **შრომა** — $^5/_{12}$, **ნიჭი** (ტალანტი) — $^3/_{12}$. აქედან ჩვენ ვტყობილობთ, რომ ფურიეს მთელი სისტემა გამოხატავს თავისებურ კომპრომისს სოციალისტურსა და კერძო საკუთრების იდეალებს შორის. ასეთი თავისებური შეუღლება უტოპიური სოციალიზმისა კაპიტალის-

[1]) შეადარეთ. Ш. Жид: „История экономических учений"

ტურ ეკონომიკასთან საწარმოო ძალების განუვითარებლობით ახსნება. **ფ. ენგელსი** მათ შესახებ სწერდა: „Незрелому состоянию капиталистического производства и незрелости классовых противоречий соответствовали и незрелые теории". ჩვენშიაც სოციალისტური აზროვნების პიონერები ამ საწარმოო ძალების განუვითარებლობის მსხვერპლი შეიქნენ, ხოლო არსებითად მათი სოციალისტური თეორიები ავსებული აღმოჩნდა თავისებურად შელამაზებული ბურჟუაზული შინაარსით.

2. **მეორე პერიოდი** რუსეთის სოციალისტური აზროვნების ისტორიაში იწყება პეტრაშევსკის წრის განადგურებით. რუსეთის ნიადაგზე ევროპის უტოპიური სოციალიზმი შეიცვალა განსაკუთრებული, თავისებური ფორმის სოციალიზმით და რუსეთის სინამდვილეში წარმოშობილი ახალი ამოცანების გადაჭრა ინტელიგენციამ მოინდომა თავისებური „რუსული სოციალიზმის" საშუალებით: ასე აღმოცენდა **ნაროდნიკული სოციალიზმი.** ფაქტიურად ამ სოციალიზმის წარმოშობას ხელი შეუწყო რუსეთის თემის აღმოჩენამ ჰაკსტჰაუზენის მიერ, რომელმაც პარალელი გაატარა თემსა და სენ-სიმონის ასოციაციებს შორის. მეორე მხრით, 1848 წლის რევოლუციის დამარცხებამ ევროპაში რუსეთის ინტელიგენციას არ გაუმართლდა ევროპის მოძრაობის იმედები: ევროპის კაპიტალიზმში მან დაინახა ყოველგვარი უბედურების მიზეზები და ამიტომ თავისი გულისყური ისევ რუსეთის ცხოვრებას მიაპყრო. მოვუსმინოთ ისევ ჰერცენს **„კოლოკოლის"** (დაარსდა 1857 წ.) ფურცლებზე იგი თავისი სოციალისტური აზროვნების გარდატეხის ისტორიის შესახებ სწერდა: „ვხედავდი რა, თუ საფრანგეთი როგორ გაბედულად აყენებდა სოციალურ საკითხს, მე ვფიქრობდი, რომ იგი ნაწილობრივ მაინც გადასჭრის ამ საკითხს და ამიტომ ვიყავი მე, როგორც მაშინ ამბობდენ, ზაპადნიკი. პარიზმა ერთ წელიწადში დამამარცხა; სამაგიეროდ, ეს წელიწადი იყო 1848 წ. უარვყოფ რა რევოლუციას, მე სრულიად არ ვარ მოვალე გადავიდე მის (რევოლუციის) მოწინააღმდეგეთა მხარეზე; თებერვლის რესპუბლიკის დამარცხებამ სრულიად ვერ გადამისროლა მე ვერც კათოლიკებში, ვერ კონსერვატორებში: მან ხელმეორედ მომიყვანა საკუთარ სახლში (გულისხმობს რუსეთს). ვიდექი რა დამარცხებულთა ბანაკში, მე მივუთითე მათ იმ ხალხზე (რუსებზე), რომელიც თავის ყოფაში უფრო მეტ პირობებს ატარებდა ეკონომიური გარდაქმნისთვის, ვიდრე საბოლოოდ ჩამოყალიბებული დასავლეთის ერები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზე მივუთითე იმ ხალხზე, რომელსაც არა აქვს ყველა ის ბუნებრივი შეფერხება, რომელზედაც ევროპაში იმსხვრევა ყოველგვარი ახალი სახოგადოებრივი აზრი, სამაგიეროდ, აქვს **ფეხქვეშ მიწა და რწმენა**, რომ იგი (მიწა) მას ეკუთვნის" [1]).

ამრიგად, რუსეთის მოწინავე ინტელიგენციამ დასტოვა ევროპის ცივილიზაცია და კაცობრიობის ხსნა რუსეთის თემში დაინახა. „სოფლის თემი და მუშათა არტელი,— სწერდა 1855 წელს ჰერცენი პრუდონს, — მაძლევენ უფლებას დავასკვნა, რომ თვით სლავური ტოშის ბუნებაშია ჩამარხული სოციალიზმის ელემენტები, მაგრამ ვფიქრობ, რომ დასავლეთ ევროპის სოციალისტური იდეების დაუხმარებლად სლავურ ერებს არასოდეს არ ეყოფათ სითამამე, რომ პატრიარქალური კომუნიზმიდან გადაეიდენ შეგნებულ სოციალიზმზე. მათ სჭირდება ევროპის ხალხების თანაგრძნობა და დახმარება [2]).

სწორედ ამ დებულებიდან წარმოსდგება ის თეორია, რომელიც ნაროდნიკული აზროვნების დამახასიათებელ ძირითად მომენტს წარმოადგენს. რუსეთი თავისი პატრიარქალური თემური წყობილებით და მუშათა არტელებით შესძლებს, კაპიტალისტური წყობილების გვერდის ავლით, კომუნისტური ურთიერთობის განმტკიცებას: კაპიტალიზმი ვერც განვითარდება რუსეთში და არც უნდა განვითარდეს: რუსეთს აქვს საკუთარი გზა, რომელიც არსებითად განსხვავდება ევროპის განვითარების გზისაგან. უარყოფა კაპიტალიზმისა და დაყრდნობა თემსა და არტელებზე ნაროდნიკული სოციალისტური სისტემის მთავარ საფუძვლებს წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ ჰერცენმა უარყო მრეწველობის განვითარების საჭიროება რუსეთში. „განვითარება მრეწველობისა, ფაბრიკებისა და თვით გავრცელება პოლიტიკური ეკონომიისა, გადმონერგილის რუსეთის ჩვეულებაზე, იძლევა ათასნაირ საშუალებას გამოიყენონ (კაპიტალისტებმა) გლეხები თავიანთ სასარგებლოდ. მემამულე, „თემის პატრიარქალური მეთაური". თანდათან გადაიქცა ფაბრიკანტად, თეთრი მონების პლანტატორად. მოვაპრედ. ამიტომ საჭიროა უარყოფა მრეწველობისა, რომელიც არღვევს თემისა და არტელის საფუძვლებს" [3]). ესეც ნაროდნიკების მოძღვრების დამახასიათებელი მომენტია.

---

[1]) პოეტნოვის დასახელებული შრომა, გვ. 78—79.
[2]) იქვე, გვ. 82.
[3]) იქვე, გვ. 85

რუსული ნაროდნიკული სისტემა აღმოცენდა განსაკუთრებულ ისტორიულ პერიოდში, როდესაც ჯერ კიდევ არ იყო საკმაოდ განვითარებული კაპიტალისტური ეკონომიკა. ამ გარემოებამ თავისებური დაღი დაასვა ნაროდნიკულ აზროვნებას — რუსეთის ნიადაგზე წარმოშობილი უტოპიური სოციალიზმის ამ თავისებურ ფორმას. ეს ნაროდნიკული სოციალიზმი რუსეთში შეურყევლად ბატონობდა დაახლოვებით 1850 — 1882 წლების განმავლობაში. 1883 წლიდან კი მას ახლად შეპრილი მარქსიზმის სახით კონკურენტი გამოუჩნდა, და ამ ხნიდან იწყება ნაროდნიკული მიმდინარეობის დაშლისა და გადაბალისების პროცესი.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის, რომ ნაროდნიკული სოციალიზმი თავისი სოციალური შინაარსით არის რუსეთის წვრილი ბურჟუაზიის — ქალაქისა და სოფლის წვრილი მესაკუთრის — რეაქცია კაპიტალისტური ეკონომიკისა და კაპიტალისტური ურთიერთობის წინააღმდეგ, ხოლო თავისი მთავარი პოლიტიკური მრწამსით იგი გამოხატავს რადიკალურ-დემოკრატიული ინტელიგენციის მოძრაობას.

ნაროდნიკული მოძრაობა განსაკუთრებით გაძლიერდა 70 იან წლებში, როდესაც მან აშკარა რევოლუციონური სახე ძიიღო და მთავრობის მიმართ შეურიგებელი პოზიცია დაიჭირა. ამ ეპოქამდე რუსეთის ნაროდნიკული აზროვნება ვითარდებოდა ჰერცენისა და ჩერნიშევსკის გავლენის ქვეშ. ჰერცენი და ნაწილობრივ ჩერნიშევსკიც[1]) რუსეთის უტოპიურ სოციალიზმში წარმოადგენენ „მშვიდობიან" მიმდინარეობას; მაგრამ ასეთი „მშვიდობიანი" განწყობილება სრულიად არ შეესაბამებოდა რუსეთის ძაშინდელ პოლიტიკურ სინამდვილეს. რუსეთის სოციალ-პოლიტიკური ცხოვრება სრულიად არ იძლეოდა „მშვიდობიანი" განვითარების ილუზიას. ამიტომ ჰერ-

[1]) მ. პოკროვსკი შემდეგნაირად ახასიათებს ჩერნიშევსკის: „Чернышевский был не только родоначальником нашей аграрной программы, но он, несомненно, был родоначальником и меншевистской тактики, которая в этом и состояла: „зачем булгу поднимать, и что из этого выйдет, нужно спокойствие сохранять" и потихоньку, да полегоньку, опираясь на буржуазию („образованные классы" у Чернышевского), постепенно, путем мирного давления этих „образованных классов", в которых царское правительство не может стрелять, постепенно добиваться от царя всяких уступок... Чернышевский не был в области тактики революционером, а был революционером только теоретически". (М. Покровский: „Очерки по истории революционного движения в России в XIX и XX в. в.". გვ. 59, 62, 1924 წ.)

ცენი და ნაწილობრივ ჩერნიშევსკიც შესცვალა 70-იანი წლების რევოლუციონურმა ნაროდნიკულმა იდეოლოგიამ, რომელიც თეორიულად იმავე უტოპიურ ნიადაგზე იდგა, როგორც ზემოთ დასახელებული პირები, ხოლო თავისი სამოქმედო ტაქტიკა მან გადაიტანა ფართო გლეხურ მასაში და ნაწილობრივ მუშებში და აშკარა **რევოლუციონური ბრძოლის** გზას დაადგა. ასეთი იყო ლავროვის, ბაკუნინისა და ტკაჩოვის ნაროდნიკული თეორიები. მაგრამ ჰერცენი და ნაწილობრივ ჩერნიშევსკიც ნაროდნიკული მოძრაობის პირველ პერიოდში მარტო თავისებურ „მშვიდობიან" მიმდინარეობას როდი გამოხატავდენ — მათი აზროვნება გამოხატავდა აგრეთვე გარდამავალ საფეხურს ბურჟუაზიულ-ლიბერალური რადიკალებიდან წერილ-ბურჟუაზიულ რევოლუციონურ-დემოკრატიული აზროვნებისკენ.

70-იანი წლების რევოლუციონური ნაროდნიკული მოძრაობა განსაკუთრებულ მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს რუსეთის სოციალისტური აზროვნების ევოლუციაში. ამ მოძრაობამ უდიდესი სამსახური გაუწია რუსეთის საზოგადოებრივი აზროვნების განვითარებასა და მუშათა კლასის გამოფხიზლებას. ამ პერიოდში განვითარდა და უფრო გარკვეულ რევოლუციონურს ფორმებში ჩამოყალიბდა „რუსეთის სოციალიზმი". ჰერცენმა ნიადაგი ჩაუყარა რუსეთის უტოპიურ სოციალიზმს, ხოლო ბაკუნინმა, ლავროვმა და ტკაჩოვმა 70-იან წლებში განავითარეს იგი; ისინი შეეცადენ შეეფარდებიათ რუსეთის ნიადაგზე აღმოცენებული უტოპიური სოციალიზმი რუსეთის სინამდვილისათვის.

ბაკუნინიზმი, ლავრიზმი და იაკობინიზმი წარმოადგენენ 70-იანი წლების რუსეთის ნაროდნიკული მოძრაობის სამ ნაკადს. თუ ჰერცენს წილად ხვდა ევროპის „მშვიდობიანი" უტოპისტების მოძღვრებათა გადამუშავება რუსეთის სინამდვილესთან შეფარდებით, ბაკუნინმა, ლავროვმა და ტკაჩოვმა, რომლებმაც განაგრძეს ჰერცენის მიერ დაწყებული საქმე, 70-იან წლებში უტოპიური სოციალიზმი გარკვეული რევოლუციონური იდეოლოგიით შემოსეს და ამრიგად ახალი მიმართულება მისცეს ნაროდნიკულ მოძრაობას: ბაკუნინმა განავითარა ანარქისტული უტოპიზმი, ტკაჩოვმა — ბლანკისტური, ლავროვმა — ეკლექტიური.

ბაკუნინისა და ლავროვის მოძღვრებას უკვე 70-იან წლებში ჰქონდა საგრძნობი გავლენა ჩვენი ინტელიგენციის წრეებში აღმოცენებულ ნაროდნიკულ მიმდინარეობაზე, ხოლო **იაკობინურ სოციალიზმს,**

რამდენადაც ვიცით, ჩვენში მიმდევარი 80-იან წლებში გამოუჩნდა. ბაკუნინის დიდ გავლენას განიცდიდენ რუსეთში მოქმედი ქართველი ნაროდნიკები (გ. ხდანოვიჩი—მაიაშვილი, ჯაბადარი), ხოლო ლავროვის გავლენას — ადგილობრივად მოქმედი ნაროდნიკული ჯგუფები. რომ ნათელი შეიქნეს 70-80-იან წლებში მოქმედი ქართველი ნაროდნიკების მოძრაობის შინაარსი, საჭიროა მოკლედ თვალი გადავავლოთ რუსეთის 70-იანი წლების რევოლუციონურ-ნაროდნიკულ იდეოლოგიას.

მიუხედავად ბაკუნიზმის, ლავრიზმის და იაკობინიზმის მოძღვრებათა სხვადასხვაობისა, მათ რამდენიმე ძირითადი საფუძველი მაინც აერთებდა. ეს გარკვევით აღნიშნა ტკაჩოვმა თავისი **„ნაბატის"** პირველსავე ნომერში. იგი სწერდა: „ყველა ჩვენი რევოლუციონერები ერთნაირად ფიქრობენ იმ საბოლოო მიზანზე, რომელიც რევოლუციამ უნდა განახორციელოს. ყველა ისინი ამ მიზანს ხედავენ სოციალურ გადატრიალებაში. ყველა ჩვენი უთანხმოება ეხება ერთობ მეორეხარისხოვან საკითხს, საკითხს საშუალებათა შესახებ. ჩვენს იაკობინელებსა და სოციალ-დემოკრატებს ან, როგორც ხშირად ისინი თავიანთ თავს უწოდებენ, ანარქისტებს შორის, გარდა უთანხმოებისა საშუალებათა შესახებ, არის კიდევ მეორე სერიოზული ხასიათის უთანხმოება: ანარქისტებს რევოლუცია სურთ ხალხის საშუალებით, იაკობინელებს კი—სახელმწიფოს საშუალებით". ის მთავარი საფუძვლები, რომელნიც აერთებდენ რუსეთის რევოლუციონურ-ნაროდნიკული მოძრაობის ამ სამ მიმდინარეობას, მოკლედ შემდეგში გამოიხატებოდა: ა) მათ სწამდათ რუსეთის განვითარების **თავისებური გზა**, ევროპის კაპიტალისტური სტადიისა და ცივილიზაციის გვერდის ავლით; ბ) რუსეთში სოციალიზმის განხორციელების უპირველეს ეკონომიურ საშუალებას ხედავდენ სოფლის თემურ წყობილებასა და არტელში, ხოლო სოციალიზმის განმახორციელებელ ძალად მიაჩნდათ ინტელიგენცია და გლეხობა, და არა პროლეტარიატი; გ) უახლოესი რევოლუცია რუსეთში, როგორც ბაკუნინსა და ლავროვს, ისე ტკაჩოვს, წარმოდგენილი ჰქონდათ, როგორც სოციალისტური რევოლუცია; პოლიტიკური თავისუფლების დამყარება და კონსტიტუციონალურ-ბურჟუაზიული წყობილების შემოღება სავსებით ამოშლილი იყო მათი პროგრამიდან.

ბაკუნინმა თავისი **ანარქისტული პრინციპები** სავსებით შეუწონა ზემოთ მოყვანილ თეორიული და პრაქტიკული ხასიათის დებუ-

ლებებს. ბაკუნინი უარჰყოფდა სახელმწიფოს, მოითხოვდა მის დამ-სხვრევას და ქადაგებდა თავისუფალი, ფედერატიულად დაკავშირებული თემების შემოღებას.

ბაკუნინი საესებით დარწმუნებული იყო იმაში, რომ რუსეთის გლეხი თავისი ინსტინქტით კომუნისტი და რევოლუციონერია. ინტელიგენციის მოვალეობაა „არა იდეალების" შემუშავება, რაც უკვე აქვს ხალხს, არამედ რევოლუციონური დახმარება აჯანყების მოსაწყობად. აქედან შემუშავდა **ბაკუნინის ბუნტარული ტაქტიკა**: „რევოლუციის" მოწყობა და გამოწვევა შესაძლებელია ყველგან და ყოველ პირობაში. ბაკუნინი უმთავრეს ყურადღებას აქცევდა ეკონომიურ ცხოვრებას, ეკონომიურ ფაქტორებს. აღსანიშნავია ის ისტორიული ფაქტი, რომ ბაკუნინი აღიარებდა ისტორიის მატერიალისტურ ახსნას და ეკონომიური მატერიალიზმი მარქსის ერთ-ერთ მეცნიერულ დამსახურებად მიაჩნდა. მაგრამ, იღებდა რა მარქსის ამ მოძღვრებას, ბაკუნინს აქედან თავისი ანარქისტული დასკვნები გამოჰყავდა. ბაკუნინის ზეგავლენით მარქსის ეკონომიური მატერიალიზმი რუსეთის ნაროდნიკებშიაც შეიჭრა. პლეხანოვი (მაშინ ნაროდნიკი), აპტეკმანი და სხვები იზიარებდენ ეკონომიურ მატერიალიზმს. **„ჩორნი პერედელის"** პარტია, რომელიც 1879 წელს, ვორონეჟის ყრილობის შემდეგ, „მიწა და თავისუფლება"-ს პარტიას გამოეყო, უმთავრესად ბაკუნინის მიმდევრებისაგან შესდგებოდა, ამიტომ იზიარებდა იგი ეკონომიურ მატერიალიზმს. როგორც ქვემოთ დავინახავთ (იხ. თავი „ნაროდნიკები ჩვენში"), **გ. მაიაშვილმა — ზდანოვიჩმა** ბაკუნინისაგან შეითვისა მარქსის ეკონომიური მატერიალიზმი და ეს დებულება სარჩულად დაუდვა თავის პირველ ქართულ წერილს **„ივერია"**-ში 1882 წელს [1]).

მაგრამ ეკონომიური მატერიალიზმის შეთვისება რუსეთის ინტელიგენციის მიერ სრულიად არ ნიშნავდა მარქსიზმის მოძღვრების მიღებას: აქ მარქსიზმის ზოგიერთი მეცნიერული ელემენტი ინტელიგენციას შეთვისებული ჰქონდა ეკლექტიურად, მარქსიზმის ელემენტებთან ერთად მის აზროვნებაში თავისუფლად თავსდებოდენ მარქსიზმის საწინააღმდეგო დებულებები. მაგ., **აპტეკმანი** ჟურ. „ჩორნი პერედელის" პირველ ნომერში სწერდა: „თანამედროვე საზოგადოე-

[1]) გ. მაიაშვილი—ზდანოვიჩი: „წერილი ჩვენს საზოგადოებრივ მოღვაწეთა მიმართ", „ივერია", №№ 7, 8 და 9, 1882 წ.

ბის კრიტიკამ დაარწმუნა მეცნიერები, რომ საზოგადოებას საფუძ-
ვლად უდევს, უმთავრესად, ეკონომიური ურთიერთობანი, რომლები-
თაც პირველ ყოვლისა ისაზღვრება დანარჩენი ურთიერთობანი—სა-
ხელმწიფოებრივი, იურიდიული, ზნეობრივი და სხვა". უდავოა, რომ
აქ მარქსისტული სოციოლოგიის ძირითადი დებულებაა წამოყენე-
ბული, მაგრამ ამ დებულებიდან გამოყვანილია სრულიად მისი საწინააღ-
მდეგო დასკვნები. ეს ეკონომიზმი ავტორს დასჭირდა იმისთვის, რომ
დაემტკიცებინა რუსეთის თავისებური ეკონომიური განვითარებისა
და ეკონომიური გადატრიალების უპირატესობა. ასეთივე დასკვნები
ვაუკეთა ჩვენში გ. მაიაშვილმა მარქსის „ეკონომიზმს" 70-იან
ლებში [1]).

ლავროვიც, რომელიც 70-იან წლებში ერთ-ერთი უდიდესი რე-
ოლუციონერი იყო, ეკლექტიური მოაზროვნე იყო: მარქსის მოძღვ-
ებამ მასზედაც გავლენა მოახდინა, მაგრამ მარქსიზმის ელემენტებთან
ერთად ლავროვის მოძღვრებაში თავმოყრილია მარქსიზმის საწინააღ-
მდეგო დებულებებიც. ლავროვის გავლენა და მნიშვნელობა რუსეთის
სოციალისტური აზროვნების ისტორიაში დიდია და იგი 70-იანი
ლებით არ ამოიწურება. იზიარებდა რა დებულებას რუსეთის განვი-
თარების თავისებურობის შესახებ, ლავროვიც ცდილობდა მთელი თა-
ვი ყურადღება სოციალისტური რევოლუციისაკენ მიექცია და პირ-
ველ რიგში ეკონომიურ-აგრარული პროგრამა წამოეყენებია. ლავ-
როვიც უარყოფდა პრინციპიალურად სახელმწიფოს და თავისუფალი
თემების კავშირის მომხრე იყო. მაგრამ მას ხალხი არ მიაჩნდა ჯერ
მზად სოციალიზმისათვის და ამიტომ იგი „ხანგრძლივი" პროპაგან-
დისა და მომზადების ტაქტიკას აყენებდა, ხოლო შემდეგ შესაძლე-
ბელად მიაჩნდა სოციალური რევოლუციის დაწყება: კრიტიკულად
მოაზროვნე ინტელიგენციამ უნდა შეიტანოს მასაში სოციალისტური
განათლება და მოამზადოს ხალხი სოციალისტური რევოლუციისა-
თვის და მასთანვე განამტკიცოს რევოლუციონური ხალხური პარ-
ტია. როდესაც ყოველივე ეს შესრულებული იქნება, სოციალისტური
რევოლუციის დაწყებაც შესაძლებელი გახდებაო. ლავროვის ჟურ.
„ვპერიოდი" თავის ამოცანას შემდეგნაირად გვიხატავდა: „პროპაგანდა
იყოფა ორად: ერთის მხრით, საჭიროა თეორია, მეორეს მხრით —
ჯგუფების შექმნა, გზების მოწყობა, შინაურ და საზღვარგარეულ ჯგუ-

[1]) იქვე, აგრეთვე მისი სიტყვა 1877 წ. „50-ის პროცესზე".

ფებს შორის დამოკიდებულებათა გაუმჯობესება. პირველს (თეორიას) ჩვენ მოვანდომებთ ჩვენს მოღვაწეობას, მთელს ჩვენს თავდავიწყებას. მეორე (ჯგუფების დაარსება) შეუძლებელია გაკეთდეს საზღვარგარეთ. ეს ის საქმეა, რომლის განხორციელებასაც ჩვენ მოველით უახლოეს დროში" [1]).

ლავროვმა მართლაც საუცხოოდ გაანაწილა რევოლუციონერთა შრომა: 70-იან წლებში იგი საზღვარგარეთ ამუშავებდა რევოლუციონურ თეორიებს, ხოლო რევოლუციონური ინტელიგენცია ამ თეორიების მიხედვით იმუშავებდა პროგრამასა და აწყობდა ჯგუფებს. 1872—1875 წლებში რუსეთის რევოლუციონერთა წრეებში უმთავრესად გაბატონებული იყო ლავრიზმი, ხოლო მის კონკურენტად გამოდიოდა ბაკუნიზმი. ხალხში გასვლა (Хождение в народ), ხალხში სოციალისტური პროპაგანდის გაწევა და ჯგუფების მოწყობა, — აი როგორ ამოცანას აყენებდენ ლავროვის მიმდევრები. ამ ამოცანის მთავარ მომენტს წარმოადგენდა **მშვიდობიანი მზადება რევოლუციისათვის**. მაგრამ ეს სამოღვაწეო პროგრამა აღარ აკმაყოფილებდა აქტიურად განწყობილ ინტელიგენციას, და **მშვიდობიან** ლავრიზმს ბუნტარულად განწყობილი ბაკუნიზმი დაუპირისპირდა. მართლაც, 1875—1876 წლებში ბაკუნიზმმა საგრძნობ გამარჯვებებს მიაღწია, და 1877 წლიდან ლავროვის გავლენა შემცირდა რუსეთის რევოლუციონურ წრეებში და მისი ადგილი დაიჭირეს უმთავრესად ბაკუნისტებმა. ამ წლიდან წამოყენებულ იქნა: პროპაგანდის ნაცვლად — აგიტაცია მოქმედებით, ბუნტით, ხალხში გასვლის ნაცვლად — ხალხში მტკიცედ ჩასახლების (поселение) პროგრამა. ხალხის სიტყვიერი აღტყინების მაგიერ შეუდგენ მებრძოლი რაზმების მოწყობას [2]).

ასე შესცვალა რუსეთში 70-იანი წლების მეორე ნახევრიდან ლავრიზმი ბაკუნიზმა. უნდა ვთქვათ, რომ საქართველოში აღმოცენებული ნაროდნიკული ჯგუფები და მიმდინარეობანი 70—80-იანი წლებში აუცილებლად განიცდიდენ ლავრიზმის გავლენას: საფიქრებელია, რომ ლავრიზმის ეს იდეოლოგიური გავლენა ჩვენში ინტელიგენციის წრეებზე ხდებოდა უმთავრესად როგორც უშუალოდ — ლავროვის წერილებისა და მიმდევრების გაცნობით, ისე იმ ორგანიზაციების საშუალებით, რომელნიც რუსეთის ტერიტორიაზე მოღვაწეობდენ და

[1]) პეტრიტნოვის შრომა, გვ. 226.
[2]) პეტრიტნოვი, გვ. 224.

ლავროვის იდეოლოგიურ გავლენას განიცდიდენ. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ლავროვის ნაწერები ბლომად ვრცელდებოდა ჩვენში: 1876 წ. მლვდელს საბადაშვილს (ნაროდნიკს) უნახეს 51 ცალი ლავროვის „ეპერიოდ"-ისა (ჟურნალი და გაზეთი), აგრეთვე სხვა მრავალი წიგნი იმავე ავტორისა. ჩვენში ნაკლებად ჰქონდა ადგილი ბუნტარულ მოვლენებს, **აგიტაციას საქმით**, იყო მხოლოდ ერთი ორი მაგალითი: ამისათვის ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება არ იყო განვითარებული. სამაგიეროდ, **პროპაგანდისა და მომზადების ტაქტიკა** ჩვენმა ინტელიგენციამ 70-იანი წლებიდან საგრძნობლად გამოიყენა: ამ ინტელიგენციამ თავიდანვე სცადა ხელოსნებში და მოსწავლე ახალგაზრდობაში სოციალისტური და რევოლუციონური აზრების შეტანა, საპროპაგანდო ჯგუფებისა და პარტიის დაარსება. აქ ნათლად სჩანს უმთავრესად ლავრიზმის უშუალო თუ არაუშუალო გავლენა.

ბაკუნიზმის ბიტონობა რუსეთის ნაროდნიკულ პარტიაში („მიწა და თავისუფლება" — დაარსდა 1876 წ.) დიდხანს არ გაგრძელდა. 1879 წელს ეს პარტია გაიყო ორ მიმდინარეობად: **„ჩორნი პერედელი"** (პლეხანოვი, ზასულიჩი, დეიჩი, აქსელროდი და სხვ.) უმთავრესად ბაკუნიზმის გავლენის ქვეშ დარჩა, ხოლო **„ნაროდნაია ვოლია"** (ჟელიაბოვი და სხ.) უმთავრესად ტკაჩოვის იდეოლოგიურ გავლენას დაემორჩილა. რუსეთის უტოპიური სოციალიზმი თავის ახალ ფაზაში შევიდა: წინათ იგი უარყოფდა პოლიტიკურ ბრძოლას, მას მთელი გულისყური მიქცეული ჰქონდა ეკონომიური მომენტებისა და ხალხის — გლეხობის — მასიური მოძრაობისაკენ. ახლა ყოველივე ეს შეიცვალა და პირველ რიგში დადგა პოლიტიკური ძალა-უფლების დაპყრობის საკითხი; ამ დაპყრობამდე კი სოციალისტური პროპაგანდა და აგიტაცია მასაში უნაყოფო საქმედ იქნა გამოცხადებული: ახალი ნაროდნიკული მიმდინარეობის შეხედულებით, მასის ორგანიზაციულმა გამოსვლამ ადგილი უნდა დაუთმოს ცენტრალისტურად მოწყობილი პარტიისა და ტერორისტების ბრძოლას, რომელნიც შეიარაღებულნი უნდა იყონ დინამიტებით, რევოლვერებით და ბომბებით. ასე მოხდა მეტად მნიშვნელოვანი გარდატეხა რუსეთის რადიკალური ინტელიგენციის შეხედულებებსა და განწყობილებებში: ტკაჩოვმა გაიმარჯვა ბაკუნინსა და ლავროვზე [1]). ტკაჩოვი იყო ახალი ფაზა რუსეთის რევოლუციონურ მიმდინარეობაში. ეს იყო ევროპის იაკობინიზ-

[1]) იქვე. გვ. 239 — 240.

ეროვნული

მისა და ბლანკიზმის შეუღლება ნაროდნიკულ იდეოლოგიასთან, უკეთ, ნაროდნიკული იდეოლოგიის ბლანკიზმის ფორმებში გამოხვევა[1]).

ტკაჩოვმა მოქმედების ცენტრად დასახა პოლიტიკური ძალა-უფლების დაპყრობა რევოლუციონური პარტიის მიერ ხალხში წინასწარი პროპაგანდის გაუწეველად. „რევოლუციონური ძალების საბჭედრო ორგანიზაცია, არსებული ხელისუფლების დეზორგანიცია და ტერორიზაცია" — აი ამ ტაქტიკის გზაზე იდგა ტკაჩოვი. პოლიტიკური ძალა-უფლების დაპყრობისათანავე რევოლუციონური პარტია შეუდგება ახალი ცხოვრების მშენებლობას, — ასეთი იყო მისი სამოღვაწეო სოციალისტური პროგრამა.

3. **„ნაროდნაია ვოლიას"** დამარცხებით (80-იანი წლები) თავდება მეორე პერიოდი რუსეთის სოციალისტური აზროვნების ევოლუციაში და იწყება **მესამე პერიოდი**. რუსეთის ნიადაგზე აღმოცენებულ უტოპიურ სოციალიზმს მძლავრი კონკურენტი გამოუჩნდა მარქსიზმისა და მარქსისტული (მეცნიერული) სოციალიზმის შეგრით რუსეთში. 80-იანი წლებიდან რუსეთის სოციალიზმის უმთავრესი ისტორია განისაზღვრება ორგვარი სოციალისტური სისტემის — მარქსისტულის და ნაროდნიკულის — ბრძოლითა და ეითარებით. ამ მესამე პერიოდში (დაახლოებით 1883 — 1905 წლები) რუსეთის უტოპიური სოციალიზმი განმანადგურებელ თავდასხმას განიცდიდა მეცნიერული სოციალიზმის მიმდეგართა მხრით. მეცნიერული სოციალიზმის წარმომადგენლებმა (პლეხანოვი, ლენინი და სხვ.) განსაკუთრებით 90-იანი წლებიდან ჩასცეს გამანადგურებელი მახვილი ნაროდნიკულ მიმდინარეობას და გამოააშკარავეს მთელი მისი არამეცნიერული და რეაქციონური ბუნება. გარდა ფილოსოფიური და სოციოლოგიური პრობლემებისა, მარქსისტებსა და ნაროდნიკებს შორის წარმოებული კამათი სამ უმთავრეს სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური ხასიათის საკითხს შეეხებოდა: ა) როგორია შინაარსი რუსეთის ეკონომიური განვითარებისა: განვითარდა თუ არა რუსეთში კაპიტალიზმი; ბ) რა როლს თამაშობს რუსეთის ეკონომიური და საზოგადოებრივი მოძრაობის საქმეში პატრიარქალული თემი და რუსეთის გლეხობა; გ) როგორი როლი შეუძლია ითამაშოს რუსეთის რევოლუციონურ მოძრაობაში რუსეთის პროლეტარიატს. აი ის

[1]) 80-იან წლებში ჩვენ ნაროდნიკთა შორის გაჩნდა მიმდინარეობა, რომელიც მხარს უჭერდა ტერორისტულ ტაქტიკას. ამ მიმდინარეობის საუკეთესო გამომხატველი იყო გ. ჩიტაძე, რომელსაც ქვემოდ გავიცნობთ.

ძირითადი საკითხები და მათგან გამომდინარე სხვა ამოცანები, რომელნიც იწვევდენ კამათს ნაროდნიკებსა და მარქსისტებს შორის აღნიშნულ პერიოდში.

მარქსიზმის შემოჭრას რუსეთში, ისევე, როგორც ჩვენში 90-იან წლებში, ხელი შეუწყო სამმა გარემოებამ: ა) ნატურალური მეურნეობის დაშლამ, კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარებამ და პროლეტარული კლასის ჩამოყალიბებამ. ბატონყმობის მოსპობის შემდეგ რუსეთში ჩქარის ტემპით განვითარდა კაპიტალიზმი, ხოლო პროლეტარიატის ეკონომიური ბრძოლა და მოძრაობა საგრძნობ მოვლენად გადაიქცა: 70-იან წლებში რუსეთში მუშათა 36 გაფიცვას ჰქონდა ადგილი, ხოლო 1880 — 1885 წლების განმავლობაში გაფიცვათა რიცხვი 56-მდე ავიდა. ეს გარემოება მოწმობს, რომ კლასთა ბრძოლა ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის 70 — 80-იან წლებში უკვე ფაქტად იქცა: რუსეთის პროლეტარიატი, რომელიც 800.000 მუშაზე მეტს შეიცავდა, 80-იან წლებში ველარ ურიგდება რუსეთში შექმნილ სოციალ-ეკონომიურ პირობებს, და **სწორედ პროლეტარიატის ამ კლასთა ბრძოლის ნიადაგზე უნდა აღმოცენებულიყო პროლეტარული პარტია გარკვეული მუშური იდეოლოგიითა და პროგრამით.** ბ) 80-იან წლებში უკვე დამარცხებულად უნდა ჩაითვალოს რუსეთის ნაროდნიკული მოძრაობა. სახელოვანი **„ნაროდნაია ვოლიას“** ენერგიული ბრძოლა მთავრობის წინააღმდეგ უშედეგოდ დამთავრდა, უკეთ, ამ ბრძოლას ალექსანდრე მესამის საშინელი რეაქცია მოჰყვა. ამ გარემოებამ ძალაუნებურად გამოიწვია ინტელიგენციაში ძველი რევოლუციონური ტაქტიკის გადასინჯვისა და ახალის შემუშავების ცდა, მაგრამ ამ „ტაქტიკის ძიების“ დროს ინტელიგენციამ გადასინჯა მთელი ნაროდნიკული მსოფლმხედველობა და დაინახა მისი სრული შეუსაბამობა რუსეთში შექმნილ პირობებთან. ძველ ნაროდნიკულ იდეოლოგიას ინტელიგენციამ დაუპირისპირა მარქსისტული იდეოლოგია. გ) ეს იდეოლოგია ინტელიგენციამ (პლეხანოვი, აქსელროდი, დეიჩი და სხ.) უშუალოდ შეითვისა მარქსისა და ენგელსის მეცნიერული სალაროდან.

მაგრამ მარქსიზმი, როგორც მეცნიერული და სოციალ-პოლიტიკური მოძღვრება, ერთის ხელის დაკვრით არ აღმოცენებულა რუსეთში. მარქსიზმის განვითარებას აქვს რამდენიმე მნიშვნელოვანი ეტაპი.

პირველი ეტაპი: ძველი თეორიული მარქსიზმი, რომელიც უმთავრესად ეხება პოლიტიკურ ეკონომიას და ისტორიის მატერიალი-

სტურ გაგებას; პირველი აინტერესებდა ბურჟუაზიულ-პროგრესიულ ინტელიგენციას, მეორე — ტკაჩოვის, ლავროვის და ბაკუნინის მიმდევრებს (60 — 70-იანი წლები)[1]).

მეორე ეტაპი: მარქსისტული ორგანიზაციები 80-იან წლებში („შრომის განთავისუფლების ჯგუფი" და სხვ.)

მესამე ეტაპი: 90-იანი წლების მარქსიზმი. ამ პერიოდში აღსანიშნავია სამი უმთავრესი მიმდინარეობა; **ლეგალური მარქსიზმი,** არსებითად ბურჟუაზიული შინაარსის მატარებელი (სტრუვე, ბულგაკოვი, ტუგან-ბარანოვსკი), **რევოლუციონური მარქსიზმი** (ლენინ-პლეხანოვი) და **ეკონომიზმი** — წვრილ-ბურჟუაზიული რევიზიონისტური მიმდინარეობა, მომავალი რუსული მენშევიზმის წინამორბედი.

მეოთხე ეტაპი: 1900 — 1905 წლებში ბრძოლა ორტოდოქსიისათვის ეკონომიზმის წინააღმდეგ. ჩამოყალიბება მენშევიკური და ბოლშევიკური სისტემებისა.

რასაკვირველია, აქ ჩვენ ვერ განვიხილავთ ღრმა ვრცლად მარქსიზმის განვითარების ეტაპებს რუსეთში: მოცემული სქემა იძლევა, ცოტად თუ ბევრად, დაახლოებით სურათს იმ მიმდინარეობათა შესახებ, რომელნიც მარქსიზმის სახელით რუსეთში ჩამოყალიბდენ: **ლეგალური მარქსიზმი,** როგორც გარკვეული სოციალ-პოლიტიკური

---

[1]) ტკაჩოვმა თითქმის პირველმა ახსენა პრესაში მარქსის სახელი 1865 წელს და თავისი თავი ეკონომიური მატერიალიზმის მიმდევრად გამოაცხადა (იხ. Б. Козьмин: Ткачев. 1922 წ.)

ფ. მერინგი ერთ თავის შრომაში ამტკიცებდა, რომ ინტერნაციონალის ჰაგის კონგრესის (1872 წ.) შემდეგ კ. მარქსმა საკმაოდ დაჰკარგა თავისი პოპულარობა რუსეთშიო. მაგრამ ისტორიულად ეს არ შეესაბამება სინამდვილეს. 70-იან წლებში მარქსის პოპულარობა და გავლენა საკმაოდ იზრდება რუსეთში. მარქსის გარშემო და მისი ეკონომიური მოძღვრებისა და მატერიალისტური სოციოლოგიის შესახებ ბევრს სწერენ 70-იან წლებში (იხ. Н. Ангарский: „Легальный марксизм", ნაწილი I, გვ. 7—31.) მარქსის პირდაპირ თუ არაპირდაპირ გავლენას განიცდიდენ რუსების ეკონომისტები: ზიბერი, იანჟული, კაბლუკოვი, კაუფმანი, ნაწილობრივ ისტორიკოსებიც — კოვალევსკი, ლუბიოკი და სხვ. მაგრამ მარქსს მიმდევრები და თანამგრძნობები ჰყავდა 70-იან წლებში რევოლუციონერების ბანაკიდანაც. ამბ. დ. რიაზანოვმა ჯერ კიდევ 1901 წ. აღნიშნა მარქსიზმის გავლენა ტკაჩოვზე. ეს მოხდა 1865 წ. მაშინ ტკაჩოვი 21 წლისა იყო. 70-იან წლებში რუსეთის რევოლუციონერებში მარქსი დიდი პოპულარობით სარგებლობდა. მეორე თავის შრომაში იგივე რიაზანოვი სწერს: „უკვე 70-იან წლებში მარქსი და ენგელსი უშუალო გავლენას ახდენდენ ლავროვზე, რომელიც ლონდონში სცემდა პერიოდულ ტურნალს „Вперед" (1874 — 77). ლავროვის მიმდევრები რუსეთში, ლავ-

განწყობილება, ფორმით იყო მარქსისტული, არსებითად კი ბურჟუაზიული შინაარსისა იყო; ეს ჯერ კიდევ 1895 წელს ცხადყო ლენინმა. ლეგალური მარქსიზმის სახითრ ევოლუციონურმა ინტელიგენციამ სცადა ამოძრავებული პროლეტარიატის გამოყენება ბურჟუაზიის ინტერესებისათვის. შემდეგში ლეგალურ მარქსიზმი გადაშენდა რუსეთში, ხოლო მისი მეთაურები ბურჟუაზიულ ბანაკში გადაბარგდენ. **ეკონომიზმი** ერთ-ერთი რუსული ვარიაციაა საერთაშორისო რეფორმიზმის და რევიზიონიზმისა, რომელიც ევროპის კონტინენტზე (ბერნშტეინი და სხვ.) 90-იან წლებში ჩამოყალიბდა. სოციალურად **ეკონომიზმის** ქვეშ თავს აფარებდა წვრილ-ბურჟუაზიული მიმდინარეობა, რომელიც გამოხატავდა სოფლიდან ახლად გამოსულის გაუთლელის, ნახევრად პროლეტარის სულისკვეთებას. ისტორიულად და იდეოლოგიურად ეკონომიზმა ნიადაგი მოუმზადა რუსეთში მენშევიზმს, ხოლო 1903-1905 წლებში აღმოცენებულმა ბოლშევიზმა თავისი გენეალოგია დაამკვიდრა იმ **რევოლუციონურ - პროლეტარულ მემკვიდრეობასთან,** რომელიც 90-იან წლებში შეთანხმებული მუშაობით პლეხანოვ-ლენინმა განამტკიცეს.

რა სახით განვითარდა 80-იან და 90-იან წლებში ნაროდნიკული სოციალიზმი? ნაროდნიკების საზოგადოებრივი განწყობილების

რისტები გერმანიის 70-იანი წლების სოციალ-დემოკრატებზე თუ მეტით არა, არა ნაკლები პატივისცემით ეპყრობოდენ მარქსს, თუმცა ცდილობდენ შეეერთებიათ მარქსიზმი ყოველგვარ იდეალისტურ მოძღვრებასთან. არა ნაკლების ავტორიტეტით სარგებლობდა ის (მარქსი) რუსეთის ბაკუნისტების მასაში, რომლებმაც უარყვეს „ნეჩაევშინა" და შეუფარდეს ბაკუნინის მოძღვრება რუსეთის პირობებს, გადააქცეს რა ის (ბაკუნიზმი) თავისებურ რევოლუციონურ ნაროდნიკულ მოძღვრებად თვით მარქსი და მასთანვე ენგელსიც 70-იანი წლების მიწურულებში ყველაზე უფრო მაღლა აყენებდენ „ნაროდნაია ვოლიას" მოძრაობას... „ნაროდნაია ვოლია" მარქსს სთვლიდა სოციალიზმის ერთ-ერთ უდიდეს მასწავლებლად. ეს საჯაროდ აღიარა მარქსისადმი ერთის თავის სპეციალურ მიმართვაში, რომელსაც უდიდესი ინტერესი აქვს". ცოტა ქვევით იგივე ავტორი სწერს: „სწორედ რუსეთის ბაკუნისტების რიგებიდან—პლეხანოვი, ზასულიჩი, აქსელროდი, დეიჩი,—გამოვიდენ პირველი რუსი მარქსისტები, რომელთათვისაც მარქსიზმი იყო არა მხოლოდ ეკონომიური მოძღვრება, არამედ რევოლუციის ალგებრაც" (იხ. Д. Рязанов: „Маркс и Энгельс", გვ. 245—47.) ასე სწერს მარქსიზმის ერთი საუკეთესო ისტორიკოსი მარქსიზმის გავრცელების შესახებ რუსეთში 70-იან წლებში. ჩვენი ინტელიგენციის ნაწილი, რომელიც იზრდებოდა რუსეთის რევოლუციონურ ლიტერატურაზე, ამ გზით აუცილებლად ეცნობოდა მარქსის მოძღვრებას და ამის საბუთებს საკმაოდ ვპოულობთ ჩვენს ლიტერატურაში.

ეროვნული

გასაცნობად 90-იანი წლების ეპოქაში აქ სიტყვას დაეუთმობდა ძველ ნაროდნიკს **აპტეკმანს.** იგი სწერს: „90-იანი წლების ნაროდნიკებს ძველებურად სწამდათ „ხალხი", მაგრამ ისინი მაინც თავს იკავებდენ შეემუშავებიათ რაიმე ნაროდნიკულ-რევოლუციონური პროგრამა, არ ცდილობდენ აგრეთვე მოეწყოთ რევოლუციონური სახალხო ორგანიზაციები. 80-იანი წლების ტრადიციული მაგალითი, როგორც „მემენტო მორი", ცოცხლად იდგა მათ თვალწინ. 90-იანი წლების ნაროდნიკები უმთავრესად მიისწრაფოდენ მშვიდობიანი კულტურული მუშაობისაკენ სოფლად. მართალია, ეს მოღვაწეობა შეზღუდული იყო სხვადასხვა დაბრკოლებებით — „როგვებით და ზასტავებით", მაგრამ რას იზამდით? ყოველგვარი რევოლუციონური ცდა, სანამ მასას ჯერ კიდევ ან გამოუღვიძია, მიგვიყვანდა მხოლოდ მთავრობის აშკარა რეაქციამდე, უფრო დიდ დაშინებამდე. ახლა დრო არ არის დიდი სასწაულების. ახლა შემოქმედების, ორგანიული მშენებლობის, ენერგიის დაგროვებისა და შენახვის ეპოქაა. დადგება დრო, და ხალხი იტყვის თავის სიტყვას; მაშინ წლობით დაგროვებული ენერგია ნახავს გამოსავალს ყველაზე უფრო ნაკლები ძალის დახარჯვის გზით: მაშინ ჩვენი მშვიდობიანი მუშაობაც დაფასებული იქნება ხალხის მიერ და ჩვენ გამოვალთ მჭიდროდ შეკრული რიგებით. მაგრამ ჯერ კი საჭიროა მოცდა" [1]).

ამ ციტატაში 90-იანი წლების ნაროდნიკების მეტად დამახასიათებელი სურათია მოცემული. ნაროდნიკობა 80 — 90-იან წლებისათვის მეტად საგრძნობ კრიზისს განიცდიდა: ძველი რევოლუციონური და ტერორისტული მეთოდები და ტრადიციები გადასინჯულ იქნენ და ინტელიგენციის უმეტესმა ნაწილმა მშვიდობიანი კულტურული მუშაობისა და მზადების პროგრამა წამოაყენა. 90-იან წლებში გარკვეული სახით ჩამოყალიბდა ოუსეთში **ლეგალური ნაროდნიკობა,** რომელიც ორი მიმდინარეობისაგან შესდგებოდა: ერთი იყო **მემარჯვენე ფრთა** ნაროდნიკებისა (ვ. ეორონცოვი, კრივენკო და სხვ.), რომელიც ლიბერალურ პროგრამას აყენებდა, მეორე — **ცენტრი, ნ. მიხაილოვსკის მეთაურობით,** რომელიც მორიგ ამოცანად პოლიტიკური თავისუფლებისა და კონსტიტუციონალური რეჟიმისათვის ბრძოლის საჭიროებას აცხადებდა. გარდა ლეგალური ნაროდნიკების ამ

---

[1]) М. Балабанов: „История революционного движения в России", გვ. 322.

ორი მიმდინარეობისა, 90-იან წლებში ჩამოყალიბდა **რევოლუციონური** ფრთაც, რომელიც ცდილობდა წვრილი დემოკრატიული ელემენტების დარაზმვას და **„ნაროდნაია ვოლიას“** რევოლუციონური ტაქტიკის აღდგენას სხვა ფორმით ამ ფრთიდან შემდეგ წარმოიშვა სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია.

ასეთია რუსეთის სოციალისტური აზროვნების განვითარების უმთავრესი მომენტები: რუსეთის ინტელიგენციამ უამრავი ინტელექტუალური და ფიზიკური ენერგია შესწირა სოციალისტურ მოძრაობას; ამ ინტელიგენციამ განიცადა ევროპის სოციალისტური სისტემების გავლენა, მაგრამ მან თავისი ორიგინალური რუსული უტოპიური სოციალიზმის სისტემაც შეიმუშავა — **ნაროდნიკული სოციალიზმი**.

ქართულ სოციალისტურ აზროვნებას არავითარი მნიშვნელოვანი ორიგინალური სოციალისტური მოძღვრება არ მოუცია: ამ მხრით ჩვენი სოციალისტური აზროვნება მკვლე და ღარიბია. მაგრამ ქართველი ინტელიგენციის პატარა ოჯახი უცხოეთში შემუშავებული მოძღვრების დიდ გავლენას განიცდიდა. პირველ ყოვლისა, იგი იმყოფებოდა რუსეთის სოციალისტური მოძრაობის გავლენის ქვეშ. მაგრამ იგი ევროპის სოციალისტური აზროვნების გავლენასაც განიცდიდა. ამიტომ ქართული სოციალიზმის ისტორიის შესწავლას შემდეგი ამოცანა აქვს გადასაჭრელი: მან უნდა გამოარკვიოს ის სოციალური მიზეზი, რომელიც ხელს უწყობდა ინტელიგენციის გადახრას სოციალიზმისაკენ და, რაც მთავარია, გამოარკვიოს, რა სახით ითვისებდა ქართველი ინტელიგენცია უცხოეთში შემუშავებულ სოციალისტურ სისტემას, უკეთ, რა სახეს ღებულობდა უცხოეთში შეთვისებული სოციალისტური სისტემა ქართულ ნიადაგზე. მაგრამ მოკლედ განვსაზღვროთ ქართული სოციალისტური აზროვნების განვითარების მთავარი ეტაპები. ჩვენი კონცეპციით, ქართულმა სოციალისტურმა აზროვნებამ მე-XIX საუკუნეში შემდეგი მთავარი ეტაპები განვლო:

1. სოციალისტური აზროვნების ფორმები ჩვენში 60-იანი წლების პირველ ნახევარში შემოიტანა რადიკალურად განწყობილმა ინტელიგენციამ. ჩვენში ეს ლიბერალურ-რადიკალური მიმდინარეობა 60-იან წლებში აღმოცენდა იმ ღრმა სოციალურ და ეკონომიურ დიფერენციაციაზე, რომელიც საქართველოს თავად-აზნაურობამ და საზოგადოებრივმა ცხოვრებამ განიცადა რუსეთის კაპიტალის ზეგავლენით მე-XIX საუკუნის პირველი 60 წლის განმავლობაში. თუ სო-

ციალური საშო ქართული ლიბერალიზმისა საქართველოს მშობლიურ ნიადაგზე არსებობდა, მისი იდეოლოგიური პრინციპები ნასესხები იყო რუსეთის განმანათლებელ და 60-იანი წლების რადიკალ-დემოკრატიული იდეალების სალაროდან. ისტორიულად ქართული ლიბერალიზმი პირისპირ შეეჯახა საქართველოს ნიადაგზე საუკუნეების განმავლობაში განმტკიცებულ რეაქციონურ-სქოლასტიურ იდეოლოგიას. არსებითად ეს იყო ბრძოლა თავად-აზნაურულ სოციალ-პოლიტიკურ იდეალებსა და ამომავალ ბურჟუაზიულ მისწრაფებებს შორის, თავადაზნაურობასა, ე. ი. დრომოჭმულ კლასსა, და ბურჟუაზიას, ე. ი. მომავალ კლასს, შორის. როგორც რუსეთში, ისე საქართველოშიაც ბურჟუაზიული იდეოლოგია წარმოიშვა გაბურჟუების გზაზე შემდგარი თავად-აზნაურული ფენებიდან; როგორც რუსეთში, ისე ჩვენშიაც ამ გაბურჟუებული ინტელიგენციის ნაწილი სოციალისტურ უტოპიზმამდე მივიდა, უკეთ, ინტელიგენცია ითვისებდა ევროპის უტოპიური სოციალიზმის გარეგან სამოსს, ხოლო საქმიანობდა ბურჟუაზიულად, ე. ი. შეუჩერებლივ ქანაობდა ბურჟუაზიულ პრაქტიციზმსა და თეორიულ უტოპიზმს შორის. როგორც დავინახეთ, ჰერცენი არსებითად ლიბერალურ-ბურჟუაზიული მოაზროვნე იყო, თუმცა თავის იდეოლოგიას უტოპიურ სოციალისტურ სამოსელში ხვევდა. პეტრაშეველები (40-იანი წლები) ლიბერალურ-პროგრესიული მოაზროვნენი იყვნენ, თუმცა ფურიეს ფალანსტერებზე ოცნებობდენ. ასეთი ლიბერალ-ბურჟუაზიული მიმდინარეობის სოციალისტური ნიღაბით გამოსვლა ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების სცენაზედაც მოხდა 60-იან წლებში. რადიკალურად განწყობილი ინტელიგენცია, ღრმა სოციალური კრიზისისა და გარდამავალი პერიოდის პირობებში, ძალაუნებურად ითვისებდა რუსეთის 60-იანი წლების სოციალ-პოლიტიკურ თეორიებს და აზროვნების ფორმებს, ე. ი. რადიკალ-ლიბერალურ აზროვნებასთან ერთად სოციალისტურ სამოსელსაც.

მე-XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ჩვენი ცხოვრების ისტორიულმა მიმდინარეობამ უდიდესი სამეურნეო ამოცანა წამოაყენა. ამ სამეურნეო ამოცანის ძირითადი შინაარსი გამოიხატა ძველი, ძირმომპალი საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციის ახალი კაპიტალისტური წყობილებით შეცვლაში, უკეთ, საქართველოს წინაშე ობიექტიური ცხოვრების ვითარებამ საქართველოს გაევროპელებისა და მისი ბურჟუაზიულ-კაპიტალისტურ ქვეყნად გარდაქმნის კარდინალური პრობლემა წამოაყენა. ხოლო საქართველოს ამ ძირითად-ეკონომიურ გარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაქმნას თან უნდა მიჰყოლოდა არა ნაკლები მნიშვნელობის ცვლილებები მის სოციალურ წყობილებაში და იდეოლოგიურ მისწრაფებაში. ფაქტიურად მე-XIX საუკუნის მეორე ნახევარში, როგორც ჩვენ დავინახავთ, საქართველო განიცდიდა, მთელი თავისი სოციალური შედეგებით, კაპიტალისტური წყობილების მშობიარობის ტკივილებს. **ჩვენი ცხოვრების ეკონომიური დენა ამ ფორმებით მიიმართებოდა და, ცხადია, ეკონომიური ცხოვრების იმპულსები ძალაუნებურად აღიზიანებდენ ჩვენი ინტელიგენციის ცნობიერებასა და აზროვნებას. ინტელიგენცია არსებითად გრძნობდა ჩვენში კაპიტალისტური წყობილების მშობიარობის პროცესებს და ამიტომ იძულებული იყო ამათუიმ სახით პასუხი გაეცა ამ მომენტისათვის.** მაგრამ, ამ ობიექტიური გარემოების აღნიშვნასთან ერთად, უნდა აღინიშნოს თვით ჩვენი ინტელიგენციის **სოციალური** შემადგენლობა და მისი ხასიათი. ისტორიული ფაქტია, რომ ჩვენში ბურჟუაზიული კლასი არ ჩამოყალიბებულა და არც არსებულა მე-XIX საუკუნის 70-იან წლებამდე. აქედან ცხადია, რომ ჩვენში წმინდა წყლის ბურჟუაზიული ინტელიგენცია ვერ ჩამოყალიბდებოდა: 60-იანი წლების ჩვენი ინტელიგენციის დიდი უმეტესობა და თითქმის in corpore თავისი ჩამომავლობით არისტოკრატიული იყო, ამიტომ მას ხელაღებით, პირდაპირ, მიკიბ-მოუკიბავად არ შეეძლო მიეღო ბურჟუაზიული წყობილება და ბურჟუაზიული იდეალები, მით უფრო, რომ ამ ბურჟუაზიულმა წყობილებამ ევროპაში მეტად გამწვავებული კლასობრივი ბრძოლა და უკუღმართობა შექმნა. სწორედ აქ უნდა ვეძიოთ იმისი ერთ-ერთი მიზეზი, რომ 60-იანი წლების ჩვენი ინტელიგენციის სოციალ-პოლიტიკური პროგრამა საერთოდ **აჭრელებულ მასას** წარმოადგენდა, რომელშიც თავს იყრიდა სრულიად სხვადასხვა საწინააღმდეგო დებულებები; სწორედ აქვე იმარხებოდა იმისი ერთ-ერთი მიზეზიც, რომ ამ ინტელიგენციის ნაწილმა ძალაუნებურად შეითვისა სოციალისტური აზროვნების ელემენტები.

მიუხედავად თავისი მრავალსახიანობისა, გაურკვევლობისა და დაუდეგლობისა, ჩვენ მაინც შეგვიძლია 60-იანი წლების ჩვენი ინტელიგენციის წრეებში მოვხაზოთ სამგვარი ასე თუ ისე დამთავრებული ახალი გადახრა: ა) **თავადაზნაურულ-ლიბერალური** (ალ. ორბელიანი, ქ. მამაცაშვილი და სხვ.), ბ) **რადიკალ-დემოკრატიული**, ბურჟუაზიული შინაარსით (ს. მესხი, გ. წერეთელი; ამათშიაც წილი აქვს ი. ჭავჭავაძეს), გ) **სოციალისტური** (ნ. ნიკოლაძე, გრ. თარხან-მოურავი, ან.

ფურცელაძე, მ. ქიქოძე, ნ. ინაშვილი). მაგრამ ეს „სისტემები" ხშირად არეული გვხდება ერთიმეორეში და არ არის მკვეთრად დამთავრებული, მეცნიერული სისწორით ჩამოყალიბებული, მტკიცე და სწორლარიანი მიმდინარეობა. ეს აიხსნება ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების განუვითარებლობით, ჩვენი სოციალური კლასების დაუდეგლებლობით.

სწორედ ამით აიხსნება **ი. ჭავჭავაძის** შრომის სუფევაზე მაღალი ტონით მღერა („აჩრდილი"), **ნიკო ნიკოლაძის** მიერ „კრებულის" ფურცლებზე სოციალისტური პრინციპების დაცვა, **მოსე ქიქოძის** მიერ „მნათობში" სოციალიზმზე და მეშათა საკითხზე წერა, **ანტონ ფურცელაძის** მიერ მიწის სოციალიზაციის დაცვა და სოციალისტური თეორიებისა და ისტორიის განხილვა, **გრ. თარხან-მოურავის** მსჯელობა შრომის საკითხებზე, **ნ. ინაშვილის** მიერ ქალთა საკითხის დაკავშირება სოციალიზმთან, გაზეთი **„დროების"** ფურცლებზე (1866 წ. და შემ.) პირველ პერიოდში სოციალისტური ელემენტების შეჭრა.

მაგრამ ამ გარეგან სამოსელთან ერთად ეს მწერლები და საზოგადო მოღვაწენი შეგნებით თუ შეუგნებლად აყენებდენ ბურჟუაზიულ-ლიბერალურ პროგრამას და მათი პრაქტიკული საქმიანობაც ამ გზით იყო მიმართული. ეს იყო, ასე ეთქვათ, უტოპიურ-ლიბერალური სოციალიზმის ეპოქა ჩვენში, როდესაც ბურჟუაზიულად განწყობილმა ინტელიგენციამ შეითვისა სოციალისტური აზროვნების ელემენტები, რუსეთის და ევროპის იდეოლოგიის სალაროდან გამოიტანა სოციალისტური სამოსელი. არსებითად კი ამ სამოსელის ქვეშ იმალებოდა ახლად ფეხადგმული პროგრესიული ინტელიგენციის ბურჟუაზიული სულისკვეთება. ასეთ გაბრუებულ მდგომარეობაში ინტელიგენციის ნაწილი დარჩა 70-იანი წლების პირველ ნახევარშიაც. 90-იან წლებში ლიბერალური ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენელმა გ. წერეთელმა ერთხელ კიდევ სცადა სოციალიზმის გარეგანი სახის შეთვისება მარქსიზმის ფორმებში, მაგრამ მისი ცდა მარცხით დამთავრდა. ლიბერალურმა სოციალიზმმა დაგვიტოვა მხოლოდ ლიტერატურული ნაშთები, პრაქტიკულად კი მისი მნიშვნელობა ბურჟუაზიული ურთიერთობისათვის ხელის შეწყობასა და ბურჟუაზიული პრინციპების გავრცელებაში გამოიხატა.

2. **მეორე პერიოდს** ქართული სოციალიზმის ისტორიაში წარმოადგენს წვრილ-ბურჟუაზიული სოციალიზმი, რომელიც გარკვევით ჩამოყალიბდა 70-იან წლებში. ნ. ნიკოლაძე, ანტონ ფურცელაძესთან

ერთად, არის ერთგვარი გარდამავალი საფეხური ლიბერალური სოციალიზმიდან ნაროდნიკული სოციალიზმისაკენ. ამიტომ არის, რომ ანტონ ფურცელაძე მიწის განსაზოგადოების პროექტთან ერთად კაპიტალიზმის განვითარების პროგრამასაც აყენებს. სოციალურად წვრილ-ბურჟუაზიული სოციალიზმი არის ანარეკლი ქალაქად და სოფლად წვრილ-ბურჟუაზიული ინტელიგენციის გამრავლებისა. ერთის მხრით კაპიტალიზმის განვითარებამ, მეორეს მხრით კი გლეხის ეკონომიურმა დაბეჩავებამ წვრილი ინტელიგენცია რადიკალურად დაუპირდაპირა არსებულ წესწყობილებას. **იდეოლოგიურად** ამ ინტელიგენციამ თავისი მონათესავე რუსეთის ნაროდნიკებში ჰპოვა და თავისი რადიკალიზმიც ნაროდნიკური სოციალიზმის ელფერით შემოსა. თავისი სოციალ-პოლიტიკური იდეალებით ნაროდნიკული წვრილ-ბურჟუაზიული სოციალიზმი მიმართული იყო კაპიტალისტური ურთიერთობის წინააღმდეგ; იგი ცდილობდა წვრილი ხელოსნური მეურნეობისა და სასოფლო — კოლექტიური ეკონომიკის შექმნას წვრილი წარმოების ნიადაგზე.

მე-XIX საუკუნეში ჩვენი ნაროდნიკული მოძრაობა შეიძლება ორ უმთავრეს ხანად გაიყოს. პირველ ხანას წარმოადგენენ 70-80-იანი წლები, როდესაც ნაროდნიკული სოციალიზმი დიდ რევოლუციონურ როლს ასრულებდა ჩვენში მასის გამოღვიძებისა და სოციალიზმის პროპაგანდის საქმეში. მეორე ხანას წარმოადგენს 90-იანი წლები, როდესაც დაიწყო ნაროდნიკული მოძრაობის კრიზისი. პრინციპიალურად ნაროდნიკები ებრძოდენ კაპიტალიზმის განვითარებას, პრაქტიკულად კი ხელს უწყობდენ კაპიტალისტური ურთიერთობის შექმნას; ინტელიგენცია პირველ რიგში სვამდა **პოლიტიკური ბრძოლის საკითხს** და კულტურულ საქმიანობას. ნაროდნიკული აზროვნების ამ პერიოდის დეკადანსის გამომხატველი იყო გ. მაიაშვილი, რომელიც თავისი ბურჟუაზიული მოღვაწეობით გზას უმზადებდა არ. ჯორჯაძეს და სოციალ-ფედერალიზმს. არ. ჯორჯაძემ (მე-XX საუკუნე) განავითარა გ. მაიაშვილის პრაქტიკული საქმიანობა, პრინციპიალური და პოლიტიკური არგუმენტაციით დაამტკიცა კაპიტალიზმის განვითარების საჭიროება ჩვენში. ჯორჯაძემ ფაქტიურად მიიღო ლალის პოლიტიკური ზედნაშენის მომენტი (ბრძოლა პოლიტიკური თავისუფლებისათვის) და გ. მაიაშვილის ეკონომიურ-კაპიტალისტური საქმიანობა.

სოციალიზმ-ფედერალიზმით დაიწყო მესამე ხანა ნაროდნიკულ მოძრაობაში, როდესაც წვრილ-ბურჟუაზიული სოციალიზმი კაპიტალიზმის განვითარების პროგრამას აყენებდა ჩვენში (1900-იანი წლები).

3. **მარქსისტული სოციალიზმის** შემოჭრით 90-იან წლებში დაიწყო სოციალიზმის ისტორიაში მესამე მეტად მნიშვნელოვანი და მრავალფეროვანი პერიოდი.

მარქსიზმი პირველად ჩვენში შემოვიდა 80-იან წლებში. მისი შემოტანი იყო ნაროდნიკული ინტელიგენცია. **გ. მაიაშვილმა** (1882 წ.) ეკონომიური მატერიალიზმის მიმდევრად გამოაცხადა თავისი თავი, აოც **ბოსლეველი** (1882-3 წ. წ.) ჩამორჩა მაიაშვილს. ამ პერიოდის მარქსიზმი აშკარა ეკლექტიური შინაარსისა იყო. აქ მარქსიზმის ელემენტები შედუღებულია სოციალიზმის სხვა სისტემებთან. ფაქტიურად 80-იანი წლები იყო **მოსამზადებელი ხანა** ქართული მარქსიზმის ისტორიაში. ნამდვილი და დამთავრებული მარქსიზმი ჩვენში 90-იან წლებში აღმოცენდა.

მარქსიზმი აღმოცენდა ახლად ჩამოყალიბებული კაპიტალისტური ეკონომიკის ნიადაგზე: მის სოციალურ ბაზას წარმოადგენდენ ჩვენი ქვეყნის პროლეტარული ელემენტები. ისტორიულად 90-იან წლებში მარქსიზმი დაუპირისპირდა ჩვენი საზოგადოებრივი აზროვნების ფონზე გამეფებულ თავად-აზნაურულ ლიბერალურ და უკვე დრომოჭმულ ნაროდნიკულ მიმდინარეობასა და იდეოლოგიას. მაგრამ 90-იანი წლების ჩვენებურ-მარქსისტული მიმდინარეობა სრულიად არ წარმოადგენდა ერთსახოვან აზროვნებას: 90-იან წლებში „მარქსიზმის ფორმებს" თავს აფარებდა სამი სხვადასხვა სახის სოციალური მიმდინარეობა:

ა) **წვრილი ბურჟუაზია**—წვრილ-ბურჟუაზიული ინტელიგენციის მეთაურობით და ნ. ჟორდანიას იდეური ხელმძღვანელობით. ეს იყო წინამორბედი შემდგომი დროის ქართული მენშევიზმის. ეს წვრილ-ბურჟუაზიული ინტელიგენცია ემიჯნება ძველი ფორმის წვრილ-ბურჟუაზიულ (ნაროდნიკულ) სოციალიზმს, რომლის ეკონომიური პროგრამაც ალარ შეესაბამებოდა ჩვენი ცხოვრების წარმატების საქმეს, და იგი გაკვეთილ აყენებს კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარების პროგრამას და პროლეტარიატთან თანამშრომლობის აუცილებლობას.

ბ) მარქსიზმის ფორმებში თავის მოკალათება მოინდომა დამთავრებულმა **ბურჟუაზიულმა იდეოლოგიამაც გ. წერეთლის** სახით. თუ 60-იან წლებში ახლად აღმოცენებულმა ქართულმა ლიბერალურმა მიმდინარეობამ შეითვისა რუსული და ევროპული უტოპიური სოციალიზმის ელემენტები, 90-იან წლებში ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი 60-იანი წლების რადიკალური ინტელიგენციისა

ცდილობს მარქსიზმის ელემენტების შეთვისებას. **ეს არის თავისებური სახე ლეგალური მარქსიზმისა ჩვენში, რომელიც რუსული ლეგალური მარქსიზმის სრულიად დამოუკიდებლად აღმოცენდა.** ამ მოვლენის სოციალ-პოლიტიკური მიზეზების გამოძებნა ადვილი საქმეა: მიუხედავად იმისა, რომ ჩვენში კაპიტალისტური ურთიერთობა განვითარდა რუსეთისა და სომხეთის კაპიტალისტების მეთაურობით, ქართული მნიშვნელოვანი ბურჟუაზიული კლასი ჩვენში მაინც ვერ ჩამოყალიბდა. გასაკვირი არ არის, თუ უჯაროდ დარჩენილმა ბურჟუაზიულმა ინტელიგენციამ მტკიცე კავშირის დაჭერა მოინდომა ახალამოძრავებულ პროლეტარულ და წვრილ-ბურჟუაზიულ ელემენტებთან. ბურჟუაზიული ინტელიგენცია დასაყრდენ ბაზას ეძებდა, და ასეთად მან სცნო პროლეტარიატი, რომელიც სურდა თავისი მიზნებისათვის გამოეყენებია. ბურჟუაზიული პროგრამა მარქსისტული ფორმით — ასეთი იყო რეალური სახე ამ ბურჟუაზიული ინტელიგენციისა.

გ) გარდა ზემოთ ჩამოთვლილი სოციალური ფენებისა, ქართული მარქსიზმის დასაყრდენ ბაზად უნდა გადაქცეულიყო საქართველოს მეშათა კლასი — სოფლის და ქალაქის პროლეტარული ელემენტები. ჩვენში ნამდვილი მარქსისტული აზროვნების გავრცელების საქმეში პროლეტარულ წრეებში დიდი დამსახურება მიუძღვის ინტელიგენციას ფ. მახარაძის მეთაურობით.

ამრიგად, 90-იან წლებში „მარქსისტული სოციალიზმის" ფორმებში თავის შეფარება მოინდომეს ლიბერალურ-დემოკრატიულმა ინტელიგენციამ, წვრილ-ბურჟუაზიულმა რევოლუციონურმა ფენებმა და პროლეტარიატმა. ეს სოციალური ფენები ცდილობდენ თავიანთი გარკვეული კლასობრივი მიზნებისთვის გამოეყენებიათ მარქსისტული სოციალიზმის ფორმა, ამიტომ მათი ერთ ბანაკში დიდი ხნით ჰარმონიული თანამშრომლობა შეუძლებელი იყო. თუ პირველ ხანებში უთანხმოებას ამ ფენებს შორის ჯერ კიდევ არ ჰქონდა ადგილი ან ძლიერ სუსტად სჩანდა ეს უთანხმოება, შემდეგ, რეალური ცხოვრების ზეგავლენით, იგი ფაქტად გადაიქცა. ბურჟუაზიულმა ინტელიგენციამ თავი გაინთავისუფლა მარქსიზმის გავლენისაგან და თავისი გზით იწყო მსვლელობა (მაგ., ფილიპე გოგიჩაიშვილმა და სხვ.), ხოლო წვრილ-ბურჟუაზიულმა და პროლეტარულმა იდეოლოგიამ შემდგომ თავიანთი დამთავრებული მოძრაობა მოგვცეს მენშევიზმისა და ბოლშევიზმის სოციალური სისტემების ფორმით. მაგრამ ეს უკვე მე-XX

საუკუნის ქართულ სოციალისტურ მოძრაობას შეეხება, რომლის განხილვას ჩვენ ამ ნარკვევში მიზნად არ ვისახავთ.

პიროვნებისა თუ ჯგუფის შესახებ გარკვეული მსჯელობა შესაძლებელია არა იმის მიხედვით, თუ რას ფიქრობს ის თავის თავზე, არამედ იმის მიხედვით, თუ რა როლს თამაშობს იგი თავისი პროგრამებით, სოციალ-პოლიტიკური იდეალებით და პრაქტიკული საქმიანობით საზოგადოებრივი ცხოვრების ურთიერთობაში. ზემოთ მოყვანილი სქემატიური ცნობებიდან მკითხველი ნათლად დაინახავდა, რომ ჩვენ ცალკე ჯგუფების მიმდინარეობებს ვაფასებთ არა მათი სიტყვიერი განცხადებების მიხედვით, არამედ მათი როლითა და მნიშვნელობით ჩვენი საზოგადოებრივი ურთიერთობის განვითარების საქმეში. არა პიროვნება ჰქმნის საზოგადოების ცხოვრებას, არამედ ობიექტიური საზოგადოებრივი ურთიერთობა ჰქმნის პიროვნების სოციალ-პოლიტიკურ მისწრაფებებს. რა ფორმებითა და სახეებითაც არ უნდა გამოსთქვას თავისი სოციალ-პოლიტიკური აზროვნება ამა თუ იმ ჯგუფმა, მისი ნამდვილი სოციალური და კლასობრივი შინაარსის გამონახვა მაინც შესაძლებელი ხდება. საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის მნიშვნელობა აქვს არა გამოთქმის ფორმას, არამედ თვით გამოსათქმელ აზრს, შინაარსს. სწორედ ამ შინაარსის მიხედვით უნდა იქნეს დაფასებული ქართული სოციალისტური მოძრაობა 60-იანი წლებიდან დაწყებული. ჩვენ ვერ უარვყოფთ, რომ სამოციანმა და სამოცდაათიანმა წლებმა მოგვეცეს სოციალისტური აზროვნების ფორმები. მათი უარყოფა ისტორიულად შეუძლებელი და მოუხერხებელია. ამას არ მოითხოვს ქართული საზოგადოებრივი აზროვნების შესწავლის საჭიროება. მაგრამ ის კი აუცილებელია, რომ ამ სოციალისტური ფორმების გამოკვლევა მოხდეს მათი კლასობრივი და სოციალური შინაარსის მიხედვით. ამის საშუალებას გვაძლევს მარქსისტული სოციოლოგია და მისი კვლევის დიალექტური მეთოდი.

წერილებს წინ წავუმძღვარეთ ჩვენი ცხოვრების მე-XIX საუკუნის მეორე ნახევრის ვრცელი სამეურნეო მიმოხილვა, რაც საშუალებას მ. ხუციდს გავიცნოთ ჩვენი ერის **ეკონომიური სტრუქტურა** და მისი **სოციალური ანატომია — საზოგადოებრივი კლასები** აღნიშნულ პერიოდში. ეს კი აუცილებელი პირობაა ყოველი ჯგუფის როლისა და მნიშვნელობის შესასწავლად, თავისი ნამდვილი შინაარსის მიხედვით, ყოველ განსაზღვრულ ისტორიულ პერიოდში. ეკონომიური სტრუქტურა და ამ ბაზაზე აღმოცენებული სოციალური კლასები საზღვრავენ ყოველი საზოგადოებრივი ჯგუფის რეალურ დანიშნულებასა და შინაარსს გარკვეულ ეპოქებში. ამიტომ საჭიროა სოციალისტური აზროვნების ისტორიის მიმოხილვა ჩვენში ეკონომიური და სოციალური კლასების გაცნობით დავიწყოთ.

II. ჩვენი ეკონომიკა მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში.

რუსეთის მართველობის დაწესებას საქართველოში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი ეკონომიური ცხოვრების წარმატებისათვის. რუსეთის სახით ჩვენში მარტო აბსოლუტური მონარქიული სისტემა არ შემოჭრილა, ამ სისტემამ თან შემოიტანა ახალი ეკონომიური ფაქტორი და ხელი შეუწყო ჩვენში გამეფებული ნატურალური მეურნეობის დაშლას. მე-XIX-ე საუკუნის პირველ ნახევარში სავაჭრო კაპიტალი საქართველოში მნიშვნელოვან ეკონომიურ ფაქტორად გადაიქცა, ხოლო 50-იანი წლებიდან უკვე სამრეწველო კაპიტალის ფორმებიც ჩაისახა ჩვენში, როგორც სოფლად, ისე უმთავრესად ქალაქადაც; 70-იანი წლების მეორე ნახევრისათვის სამრეწველო კაპიტალი საგრძნობ ძალას წარმოადგენდა ჩვენში. 90-იანი წლებისათვის, რასაკვირველია, მისი მნიშვნელობა უფრო გაფართოვდა და გაიზარდა ჩვენი ეკონომიური ცხოვრების წარმატების საქმეში. ცხადია, რომ ჩვენი სამეურნეო ცხოვრების სიღრმეში შეჭრილ სავაჭრო და სამრეწველო კაპიტალს არ შეეძლო თავისი შესაფერისი ცვლილებები არ გამოეწვია ჩვენს საერთო ცხოვრებაში. ამ ცვლილების ნიშნებს ჩვენ უკვე 50 — 60 წლებში ვამჩნევთ.

„ძველი პატრიარქალური ყოფა-ცხოვრება იშლებოდა. საქ. საზოგადოებრივი ცხოვრება დიდ გარდატეხას განიცდიდა, რლევა ძველი საფუძვლებისა ხდებოდა ჩქარის ტემპით. სოციალურმა დიფერენციაციამ თავისი გამოსახვა ჰპოვა ქართულ პრესაშიაც". ასე სწერს აღნიშნული ეპოქის შესახებ პროფ. ივ. ჯავახიშვილი [1].

ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების ევოლუციისა და სოციალური წრეების დიფერენციაციისათვის უდიდესი მნიშვნელობა

[1] იხ. პროფ. ჯავახიშვილის წერილი გრანატის ენციკლოპედიურ ლექსიკონში. ტ. XVII. გვ. 213.

ჰქონდა იმ აქტს, რომელიც რუსეთში გლეხთა განთავისუფლების სახელწოდებით არის ცნობილი და რომლის პრაქტიკულ გატარებას ჩვენში 1864 წლიდან შეუდგენ. ეს აქტი რუსეთში ფაქტიურად გამოწვეული იყო, როგორც ამბ. მ. პოკროვსკი აღნიშნავს, იმ ღრმა როლითა და ინტერესით, რომელიც სამრეწველო კაპიტალმა მოიპოვა რუსეთის ეკონომიკაში. ამ კაპიტალის ინტერესი მოითხოვდა ფართო ბაზრისა და მრავალრიცხოვანი მუშა-ხელის არსებობას. რადგან ეს შეუძლებელი იყო ბატონყმური ურთიერთობის ნაჭუჭში, ეკონომიკის საჭიროებამ ეს ნაჭუჭი გახლიჩა და ყმა სრულუფლებიან მოქალაქედ გახადა. ჩვენი ცხოვრება, რასაკვირველია, ჯერ კიდევ არ განიცდიდა ასეთს მძაფრ სოციალ-ეკონომიურ დიფერენციაციას, თუმცა რუსეთიდან შემოჭრილი სავაჭრო და სამრეწველო კაპიტალი და ადგილობრივად განვითარებული სავაჭრო ურთიერთობა საგრძნობ შეტევას აწარმოებდენ ბატონყმური ერთიერთობის წინააღმდეგ. ჩვენში ადგილი ჰქონდა მნიშვნელოვან პროცესს, რომელიც აჩქარებდა თავად-აზნაურული როლის დაცემას საერთო ცხოვრების მიმდინარეობაში [1]), გარდა იმისა, რომ გლეხობაში მწიფდებოდა მოთხოვნილება სოციალური მონობის მოსპობისა („სურამის ციხე"-ში ვკითხულობთ: „სანამ ჩვენ ბატონის ყმანი ვართ, ჩვენში ბედნიერება არ შეიძლება". ეს დევიზი იყო მთელი გლეხობისა), რაც ხშირად მებატონეთა მიმართ შეიარაღებული აჯანყებით თავდებოდა [2]) და რაც ხელს უშლიდა ნორმალური ცხოვრების განვითარებას სოფლად (გაბო, ზაქრო და კაკო ამ ეპოქის რევოლუციონური ტიპები იყვნენ) [3]).

გარდა ამ ფაქტებისა, ვორონცოვის პოლიტიკამაც სოციალ-ეკონომიურად ძირი გამოუთხარა თავად-აზნაურობას და იგიც ეკონომიური დაქვეითების გზას დაადგა. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ვორონცოვის პოლიტიკის

[1]) 1865 წ. თავის საინტერესო წერილებში ბატონყმობის მოსპობის შესახებ საქართველოში, ნ. ნიკოლაძემ ხაზგასმით აღნიშნა ჩვენი თავად-აზნაურობის დაცემის პროცესი. (იხ. მისი წერილი ჰერცენის „კოლოკოლ"-ში, №198, 199, 1865 წ.)

[2]) პროფ. ი. ჯავახიშვილი: „Политическое и социальное движение в Грузии", გვ. 33—35, 1906 წ.

[3]) ეტაპ მიკავა, სამეგრელოს გლეხთა აჯანყების (1857 წ.) მეთაური, პირველი რევოლუციონერი იყო საქართველოს სინამდვილეში, რომელმაც თავისი კლასის ინტერესების დაცვისათვის 9 წლის კატორღა იგემა.

ზურგს უკან იდგა რუსეთის საეკლესიო კაპიტალი, რომელიც ამ ეკლესიაში ფართო აღებ-მიცემობასა და ბაზარს ეძიებდა[1]). ვორონცოვის პოლიტიკამ შეარყია თავად-აზნაურული ცხოვრების პატრიარქალური წესი და ევროპული გემოვნების გავრცელებით სამოქმედო გზა გაუხსნა საეკლესიო კაპიტალს.

ამავე დროს ტფილისში დაარსებულ იქნა საადგილ-მამულო ბანკი, საიდანაც მემამულეებს შეეძლოთ მიეღოთ სესხად ფული. ტფილისში გაჩაღებულმა ახალმა ცხოვრებამ თავად-აზნაურობას ფულის ინტერესი დაუყენა წინ, ხოლო ამ ინტერესმა მათი მამული ვაჭრობის ტრიალში ჩააგდო და მას წვრილი და მსხვილი ბურჟუაზია დაუპირისპირა. ბატონყმური მეურნეობა იმაზე ბევრად უფრო ადრე დაადგა დაცემის გზას, ვიდრე მისი საბოლოოდ გაუქმება მოხდებოდა. როგორი შედეგი მოჰყვა ეკონომიურად და სოციალურად ბატონყმური ურთიერთობის გადავარდნას ჩვენში?

ამ ათიოდე წლის წინეთ ნ. ჯორდანია სწერდა: „მესამოცე წლებში რუსები ცვლიან პოლიტიკას, გლეხებს მთავრობაც მფარველობას უწევს მებატონეთა თავგასულობისაგან. გლეხობა მთავრობას შეეურებდა როგორც მოსარჩლეს და დამცველს. სახელმწიფოსა და ერს შორის საუკეთესო დამოკიდებულება ჩამოვარდა. მესამოცე წლებში იწყება რუსეთის ეგრეთწოდებული დიდი რეფორმები. ახალი სასამართლო, ახალი ცხოვრება და ახალი საოფლო მართველობა შემოვიდა. სახელმწიფო დაუახლოვდა ხალხს, მთელ ერს. წინათ ისინი ძლიერ შორს იყვნენ ერთიმეორესაგან ახლა კი გარემოება იცვლება. სახელმწიფო ხალხს დაუახლოვდა"[2]).

ნ. ჯორდანიას ეს „ისტორიული დასკვნები" ისევე შემცდარია, როგორც არჩ. ჯორჯაძის კონცეპცია ვორონცოვის „კეთილ-გონიერი პოლიტიკის წესახებ ვალდებულების ასრულების საქმეში მფარველობაში მყოფ ერისადმი"[3]). ორივე ჩვენმა პუბლიცისტმა ამ შეფასებაში გადააჭარბა და დაინახა ის, რასაც ისტორიულ სინამდვილეში ადგილი არ ჰქონია. ფაქტიურ ცნობას რუსეთის მთავრობასა და ქართველ გლეხობას შორის „საუკეთესო" დამოკიდებულების დამყარების შესახებ გავიგებთ მაშინ, როდესაც გავიცნობთ იმ რეფორმების შინაარსს, რომელიც ჩვენში გატარებულ იქნა 1864 წელს.

[1]) ს. ხუნდაძე: „ქართველი ინტელიგენციის პროფილი მე-XIX საუკუნეში".
[2]) გაზეთი „განთიადი", № 19.
[3]) არ. ჯორჯაძე, ტ. V.

ეროვნული

ისტორიულად მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისიდანვე რუსეთის პოლიტიკა ყოველთვის ეძებდა საუკეთესო კავშირის დამყარებას თავად-აზნაურულ წრეებთან[1]). ეკატერინეს ეპოქაში რუსეთის მთავრობამ ეს შესძლო და მას შემდეგ თავად-აზნაურობასა და ტახტს შორის კავშირი არასოდეს არ დარღვეულა. რაც შეეხება გლეხობას, როგორც ზევით დავინახეთ, მთავრობამ იგი ბატონების სრულ მორჩილებაში დასტოვა და ერთხელაც არ ცდილა მისი ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

1864 წლის რეფორმამაც ეკონომიურის მხრით ვერავითარი სარგებლობა ვერ მოუტანა გლეხობას. ბატონყმობის მოსპობის გამოცხადება საქართველოში დაგვიანდა: ტფილისის გუბერნიაში იგი გამოცხადებულ იქნა 1864 წელს, ქუთაისის გუბერნიაში — 1865 წელს, ხოლო სამეგრელოში — 1866 წელს. ამ დაგვიანების მიზეზად ასახელებდენ საქმის წინასწარ მოუწყობლობას[2]). ფაქტიურად შესდგა თავად-აზნაურთა სამაზრო, საგუბერნიო და შემდეგ ცენტრალური კომიტეტები, რომელთაც დაევალათ რეფორმის გატარება. რადგან ბატონყმობის გაუქმება ცენტრში საბოლოოდ იყო გადაწყვეტილი, ჩვენმა თავად-აზნაურობამ ვერ გაბედა წინააღმდეგობის გაწევა, მაგრამ სამაგიეროდ იგი შეეცადა რეფორმის გატარების დროს ფართოდ დაეცვა თავისი ეკონომიური ინტერესები[3]).

ამიერკავკასიის მებატონეთა მდგომარეობის მომწყობი ცენ. კომიტეტის (თავად-აზნაურული ცეკა) 1864 წ. დადგენილებით შეუდგენ გლეხობის განთავისუფლებას ყმობისაგან: მიწა, რომელსაც გლეხები ამუშავებდენ და რომელზედაც ცხოვრობდენ, აღიარებულ იქნა მებატონეთა საკუთრებად; ამიტომ „სანადელო" მიწები, აგრეთვე ენახების ნაწილი და ბაღები გლეხობას დარჩა სასარგებლოდ; ამის სანაცვლოდ მათ განსაზღვრული თანხა და ღალა უნდა გადაეხადათ მებატონეთა სასარგებლოდ. გლეხს მიეცა უფლება ესარგებლა მება-

---

[1]) ამას ნ. ნიკოლაძეც ამტკიცებს თავის წერილში (იხ. „კოლოკოლი", № 198, 1865 წ.

[2]) ნიკოლაძის ცნობით, ბატონყმობა ჩვენში არც 1864 წ. მოისპობოდა, რომ რუსეთის მთავრობაზე არ ემოქმედნა პოლონეთის აჯანყებით გამოწვეულ ევროპის სახელმწიფოებთან ომის შიშს. მთავრობას სურდა გლეხთა უკმაყოფილება მოესპო და ამრიგად აღმოეფხვრა ის აჯანყებები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა საქართველოში 1855 — 1862 წლებში (იხ. იქვე).

[3]) ს. ავალიანი: „Крестьянская реформа в Закавказьи", გვ. 14.

ტონის ტყეებითა და საბალახოთი, მაგრამ ამაშიაც განსაზღვრული თანხა უნდა გადაეხადა. დადგენილებით, გლეხს შეეძლო გამოესყიდა კარმიდამო და სახნავი მიწები, რისთვისაც მთავრობა დახმარებას უწევდა სესხით, რომლის გადახდის ვადად 49 წელიწადი იყო დადგენილი.

მაგრამ თავად-აზნაურობამ გაღებული „მსხვერპლისათვის" უდიდესი კომპენსაცია მიიღო მთავრობისაგან. პროფ. ჯავახიშვილის ცნობით, 1860 — 1861 წლის კამერალური აღწერის მიხედვით, აღმოსავლეთ საქართველოში იყო 17.055 კომლი ყმა, ანუ 67.397 სული; ხიზანთა რიცხვი-კი უდრიდა 29.743 სულს. თავად-აზნაურობამ ხაზინიდან კომპენსაციის სახით მიიღო 25 მანეთი სულზე. სულ ტფილისის თავად-აზნაურობამ მიიღო 1.654.350 მანეთი. იმერეთსა და გურიაში გაათავისუფლეს 78.497 კომლი ყმა, ანუ 153.153 სული, რომელნიც 7.896 მემამულეს ეკუთნოდენ. კომპენსაციის სახით მთავრობამ გაიღო 2.833.815 მანეთი. სამეგრელოში გაათავისუფლეს 93.263 სული.

ქართველი გლეხობა არ სარგებლობდა გამოსყიდვის უფლებით, იმიტომ რომ იგი სრულიად უსარგებლო იყო მისთვის.

საქართველოში მიწის გამოსყიდვა უნდა მომხდარიყო თავადებთან შეთანხმებით, ამასთან მთავრობის დახმარება არ აღემატებოდა 30%-ს. ასე რომ გლეხს 70%-ის გადახდა უხდებოდა „დახმარების სესხის" გარეშე. რუსეთში კი დახმარება 80%-მდე ადიოდა. „საერთოდ,—განაგრძობს პროფესორი, — ბატონყმობის გაუქმების მომენტიდან ქართველი გლეხობა იძულებული შეიქნა ემოქმედნა ბატონყმური ურთიერთობის ლიკვიდაციის საქმეში დამოუკიდებლად, მთავრობის დახმარება ფაქტიურად არ არსებობდა"[1]).

ამავე ავტორის ცნობით, 1864 წლიდან 1910 წლამდე ტფილისისა და ქუთაისის გლეხობამ გამოისყიდა 144.000 დესეტინაზე მეტი მიწა და გაიღო ამისთვის 7.200.000 მან. „საერთოდ,—სწერს მეორე ნარკვევში პატივცემული ავტორი, — საქართველოში გატარებული სისტემა განთავისუფლებისა იყო უდიდესი უსამართლობა და დარღვევა ქართველი გლეხის უფლებებისა"[2]).

ამის შემდეგ ლაპარაკი იმაზე, რომ მთავრობასა და ხალხს შო-

---

[1]) პროფ. ი. ჯავახიშვილის წერილი ენციკლ. ლექსიკონში, გვ. 221.

[2]) პროფ. ი. ჯავახიშვილი: „Политическое и социальное движение", გვ. 36. იხ. აგრეთვე გრ. გიორგაძე „ფეოდალური ურთიერთობა საქართველოში".

ეროვნული ბიბლიოთეკა

რის საუკეთესო დამოკიდებულება ჩამოვარდაო, მხოლოდ მორიგი მენშევიკური ზღაპარია.

ბატონყმური უღლიდან გლეხის განთავისუფლებას უდიდესი წარმატებითი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი ეკონომიური ცხოვრებისათვის.

წინათ იურიდიული ნორმებით მიწაზე მიკრული გლეხი ახლა თავისუფალი გახდა და ამოძრავდა. ამოძრავება კი აუცილებელი იყო, რადგან მისი „განთავისუფლება" ფაქტიურად უდრიდა მის მიწიდან განთავისუფლებასაც: მას უნდა შეეძინა ფული, რომ მიწა შეესყიდა. ფულის შეძენა კი შეიძლებოდა ქალაქებში. ამ გარემოებამ გამოიწვია სოფლის ელემენტების გამგზავრება ქალაქისაკენ ფულის საძებნელად: ზოგი ვაჭრობით ცდილობდა ფულის შოვნას, ზოგი კი თავისი შრომის გაქირავებით. ერთიც და მეორეც ახალი სოციალურ-კატეგორიების გამაძლიერებელი შეიქნა ჩვენი ცხოვრების ვითარებაში. სოფლის წვრილი მესაკუთრე, ახლად გამომძვრალი ბატონყმური ნაჭუჭიდან, იძულებული იყო ფული ეშოვნა თავისი არსებობისათვის, რისთვისაც მან ქალაქს მიაშურა. ქალაქს ახალი მოძრავი ელემენტი შეემატა.

აქ მეტი არ იქნება ამ პროცესის ასახსნელად და საილუსტრაციოდ სიტყვა დავუთმოთ გ. წერეთელს. 1873 წ. ჟურნალი „კრებულის" ფურცლებზე იგი სწერდა:

„საცა არ გაიხედავ, ყველგან ნიშნავ უცხო ამბებსა ამ ჩვენს პაწაწა ქვეყანაში. მიხვალ სურამის სტანციაზე და იქ დაგიხვდებიან იმერლები, რომელნიც გზაზე გადასარბენს ცეცხლის ეტლს ეშმაკებივით ებლაუკებიან და როგორც უნდათ და საითაც უნდათ, იქით წაიყვანებენ... იქვე გადმოხვალ ცეცხლის ეტლითვან და შეხედავ მეკურტნეებსა... „ბატონო, მიბოძეთ თქვენი ბარგი, მოვიკიდებ ხელზე და გასტინიცისაკენ გავ'შვები" — ეს გურულებია. ოი, დიდება შენთვის ღმერთო, გურული და მეკურტნე, ეს რა ამბავია გურულს იარაღი ხელში და წინ მტერი, — აი მისი საქმე. მუშაობა, კურტანი და წელმოსაწყვეტი ბარგი გურულს ვინ ეჰკიდა? უწინ რომ გურულისათვის კურტანი მიგეცა, თოფს გესროდა, ახლა კი თვითონ გეხვეწება, მიბოძე, მე წამოგიღებო, და თან კურტანსაც იკიდებს. გახვალ ბაზარში და შეხვალ ცეცხლის გემზე. იქ მატროსი ვინ არის? — მეგრელი. მემაშინე ვინ არის? — მეგრელი ან იმერელი. მზარეული ვინ არის? — მეგრელი ან იმერელი. მოსამსახურე? — მეგრელი. იქიდან ჩაჯდები ცეცხლის ეტლში და წამოხვალ. გზაზე ხონელი მიდის, ძარში ქათმები დაუმწყვდევია და კალათები კვერცხებით აქვს სავსე. საღ მიხვალ? ვეუბნები. — ტფილისში გიახლებით, საქმეც მაქვს და სავაჭროც. ტფილისში მიხვალ, მიიხედ-მოიხედავ, გაეცნობი, ყველგან ლიბის მთის იქით მცხოვრებლებს ხედავ, რკინის გზა თითქოს იმე

რეთის ხალხისათვის გაეკეთებინოსთო, თითქოს მხოლოდ იმათ სცენს იბისი სარგებლობა, ეცენ და იმის საშუალებით ტფილისი თავის საეკრო ქალაქად გახადესო. ისინი დღითი-დღე მრავლდებიან ტფილისში და ტფილისის ბაზარში ამრავლებენ საქართველოს მიწა-წყლის ნაწარმოებს და ადიდებენ საქართველოს ხალხის აღებ-მიცემას... რკინის გზამ ამ ხალხს მისცა საშუალება ტფილისში მოგზაურობისა და იქ აღებ-მიცემობის დაწყებისა. მართლაც, ჯერ სამი წელიწადი არ გასულა, რაც რკინის გზა გაიხსნა, მაგრამ იმერლები ერთი-ორად გამრავლდენ ტფილისში... საქართველოს ბურჯი და ალაყაფის კარები, ტფილისი, გაძლიერდა, გაღონიერდა, გაივსო ხალხით' შეიქნა არამც თუ საქართველოს ერის, მთელი კავკასიის მილეთის საეკრო ცენტრად; იმაში დატრიალდა ასი ათასი (?) მცხოვრები" [1]).

ამ საჟურნალოდ დაწერილ წერილში საუცხოოდ არის გადმოცემული ის ღრმა მნიშვნელობის პროცესი, რომელსაც განიცდიდა ჩვენი სოფელი ბატონყმობის ურთიერთობიდან გამოსვლის მეორე დღესვე ქალაქებისაკენ თავის მცხოვრებთა გამგზავრებით და რომელიც გამოწვეული იყო ჩვენში ეკრობის განვითარებისა და რკინის გზის გაყვანის ზეგავლენით. ახლა განვიხილოთ ქალაქის მცხოვრებთა განვითარებაც.

ქალაქის მცხოვრებთა ზრდის გაცნობა საგრძნობლად ახდის ფარდას როგორც ჩვენი ეკონომიური წარმატების საქმეს, ისე სოციალური კლასების ჩამოყალიბებასა და განვითარებას. ქალაქი კულტურისა და წარმატების ცენტრია, ქალაქური ცხოვრების განვითარება მთავარი პირობაა კაპიტალისტური ეკონომიკის გასაფართოებლად. ამასთანავე ქალაქებში ყალიბდება ახალი სოციალური კლასები: ბურჟუაზია, წვრილი ბურჟუაზია და პროლეტარიატი,-უფრო მოქმედი და რევოლუციონერი, ვიდრე სოფლის სოციალური ფენები. ქალაქი აცხოველებს პოლიტიკურ მოქმედებას, იწვევს სოციალური კლასების აქტიობას და ინტელიგენტური ფენების ფართო მოღვაწეობას. თუ გადავხედავთ ჩვენი ქალაქების ვითარებას მე-XIX საუკუნის მეორე ნახევარში, შეტად საინტერესო მოვლენას დავინახავთ: ერთის მხრით ჩვენი ქალაქების მცხოვრებთა რიცხვი საგრძნობლად იზრდებოდა, მეორეს მხრით კი ქალაქების ეკონომიური განვითარება სწრაფად მიდიოდა წინ კაპიტალისტური მიმართულებით — ახალი ფაბრიკების, ქარხნებისა და საეკრო დაწესებულებათა ზრდის საშუალებით.

---

[1]) გ. წერეთელი: „ამ დროის მოძრაობა", ჟურ. „კრებული", № 3, გვ. 213 — 224, 1873 წ.

განვიხილოთ პირველი მოვენტი. 1886 წლის აღწერის მიხედვით, ტფილისის გუბერნიის ქალაქებში ცხოვრობდა 129.925 მოქალაქე, 1897 წლის აღწერით კი 215.196 მოქალაქე, ე. ი. 10 წლის განმავლობაში მცხოვრებთა რიცხვი ტფილისის გუბერნიის ქალაქებში გაიზარდა 85.244 სულით, ანუ 65,6%-ით. აღსანიშნავია კერძოდ ტფილისის მცხოვრებთა ზრდის პროცესი: 1886 წელს ტფილისში ცხოვრობდა 78.445 მოქალაქე, 1897 წელს-160.645. ესე იგი, 10 წლის განმავლობაში ტფილისს მოემატა 82.200 სული. პროცენტებით ეს ზრდა უდრის 104, 8%-ს [1]). საშუალება გვაქვს ტფილისის მცხოვრებთა რიცხვის ზრდა დაახლოვებით გავითვალისწინოთ მთელი მე-XIX საუკუნის სიერცეზე. საქართველოს მთავარ არქივში აღმოჩენილ 1803 წლის აღწერის ცნობებით, ტფილისში ყოფილა 20.000-მდე მცხოვრები. აქედან ყმა იყო 2.632 კომლი, თავადი — 72 კომლი, აზნაური 133 კომლი, ვაჭარი—80 კომლი [2]). 1835 წელს, ევეცკის ცნობით, ტფილისის მცხოვრებთა რიცხვმა 25.290-ს მიაღწია [3]), 1886 წელს — 78.445-ს, 1897 წელს—160.645-ს. როგორც ქვევით დავინახავთ, 1900 წელს ტფილისის მოსახლეობიდან 32 ათასზე მეტი უშუალოდ იყო ჩაბმული სავაჭრო-სამრეწველო-საკრედიტო დაწესებულებებში, ე. ი. ეწეოდა კაპიტალისტური ხასიათის სამეურნეო მოღვაწეობას ან როგორც პროლეტარი, ან როგორც ვაჭარ-მრეწველი.

ქუთაისის გუბერნიის ქალაქების ზრდა მე-XIX საუკუნის უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში შემდეგი სახით გამოიხატა: 1886 წელს მცხოვრებთა რიცხვი უდრიდა 44.421-ს, 1887 წელს-კი 82,058-ს. მოქალაქეთა რიცხვი გაიზარდა 37.637 სულით, ანუ 84,7%-ით. აღნიშნულ წლებში მთელი ამიერკავკასიის ქალაქების მცხოვრებთა რიცხვი გაიზარდა 49,8%-ით, მაზრების კი—13,7%-ით [4])

რა იწვევს ამიერკავკასიის და, კერძოდ, საქართველოს ქალაქების ასეთს სწრაფ ზრდას? საიდან ჰკრეფს ქალაქი თავისი ზრდის დაუშრეტელ წყაროს? ცხადია, რომ ჩვენი ქალაქების ასეთი სწრაფი ზრდა არ არის მცხოვრებთა ბუნებრივი გამრავლების შედეგი: აქ ამ შემთხვევაში გადამჭრელ როლს თამაშობს სხვა ფაქტორიც. სტატი-

[1]) „Сборник статистических сведений по Закавказскому краю" ტ. I, გვ. 18-19, 1902 წლ.

[2]) ს. ქაქაბაძე: „ქალ. ტფილისის აღწერა 1803 წ." ჟურ. „საისტორიო მოამბე" გვ. 27 – 8, 1925 წ.

[3]) О. Евецкий: „Статистическое описание Закавказского края" გვ. 143, 1835 წ.

[4]) „Сбор. статис. сведений" ტ. I.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტიკური ცნობით, ბუნებრივი გზით ქალაქი ტფილისი 1894-98 წლებში გაიზარდა მხოლოდ 3.419-ით, ე. ი. წლიურად იქ იბადებოდა 684 ახალი მცხოვრები[1]).

როგორც ზევით ვწერდი, ჩვენი ქვეყნის ეკონომიურმა განვითარებამ დაშალა სოფლის მყოფრო, უძრავი ცხოვრება და გალატაკებული გლეხი განდევნა ლუკმაპურის საძიებლად. სოფლის ეს უმიწაწყლო გლეხი მიიზიდა ქალაქმა, და ამრიგად ჩვენი ქალაქების მცხოვრებთა ერთ-ერთ ამაესებელ წყაროდ სოფელი შეიქნა. მეორეს მხრით, ტფილისი გაიზარდა გარედან შემოსული უცხო ტომების (რუსების, სომხების) საშუალებითაც.

ამ უამრავ მცხოვრებთ ქალაქებისაკენ იზიდავდა არა მარტო ქალაქური ცხოვრება, არამედ ლუკმაპურის ძიება, არსებობისათვის ბრძოლა. სოფელში ეკონომიურად შევიწროებული გლეხობა იმიტომ მიეშურებოდა ქალაქებისაკენ, რომ მოენახა იქ ახალი წყარო არსებობისა. შესძლეს კი ქალაქებმა მათი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება? ესე იგი, გამოუნახეს თუ არა მათ ახალი წყარო არსებობისათვის? საკითხავია: რამდენად შეიჭრა ჩვენი ცხოვრების სილრმეში კაპიტალისტური ეკონომიკა და რამდენად განვითარდა ჩვენი ქვეყანა ეკონომიურად მე-XIX საუკუნის მეორე ნახევარში?

ფულის შეძენის წყურვილით შეპყრობილი იყო არა მარტო გლეხობა, არამედ მთელი საზოგადოება და მათ შორის თავად-აზნაურული წრეებიც. ვ. წერეთლის „მგზავრის წერილებში" (1867 წელს) მოყვანილია დამახასიათებელი საუბარი აზნაურიშვილებისა. ერთი მათგანი ამბობს: „გლეხების განთავისუფლება კარგია; ჩიკოლიკმა სთქვა, იგენიც და ჩვენც ძალიან მოვიგებთ: ჯამაგირი გვექნება და ფული სულ ბზესავით მოგვივა. ხელმწიფე მოგვცემს და მერე ვაჭრობას დავიწყებთო". აქ გლეხთა განთავისუფლება გამართლებულია საკუთარი სარგებლიანობის არგუმენტაციით, ხოლო ვაჭრობა იმ შემოსავლის წყაროდ არის დასახული, რომელსაც დაკარგული ბედნიერება (ყმები) უნდა აენაზღაურებია. ფული, ვაჭრობა, შემოსავლიანი საქმის ძებნა მორიგ ამოცანად გადაიქცა ქართველი საზოგადოებისათვის. მაშინდელი დროის ვითარება თითქმის ამ ამოცანით ამოიწურებოდა.

---

[1]) „Сбор. статист. сведений", ტ. I.

С.Ц.К. Компартии Грузии Библиотека

1874 წელს ცნობილი ჟურნალისტი ს. მესხი შემდეგნაირად ახასიათებდა ქართულ საზოგადოებაში შექმნილ განწყობილებას: „ეს გამწარებული ფაცაფუცი, მოძრაობა ჩვენი მოწინავე საზოგადოებისა, ეს ძებნა ადვილად შესასრულებელი და ბევრი ფულის მომცემი საქმისა და შრომისა ჯერაც არ დაწყნარებულა. ეხლაც არიან ისეთი პირნი, რომელთაც იმედი აქვთ, რომელნიც ცდილობენ აყალო მიწაში ოქროს მადნები აღმოაჩინონ, რომელნიც სხვადასხვა უსახელო კომპანიებს ადგენენ და სხვა და სხვა, და ჩვენ სრულიად არა გვსურს რომ ამგვარი მიმართულება, ეს ლტოლვილება ჩვენს საზოგადოებაში ერთბაშად მოისპოს. [1])

იგივე გ. წერეთელი სწერდა: „ამჟამად, საცა არ გაიხედავ, ყველას ნახშირის სუნი ესმის. იმასაც ამბობენ, კავკასიის მთები იმიტომ მოსჩანს ლურჯად, რომ ნახშირის კომლი აქვთ გარს შემომდგარი, რომელიც მთების გულიდან ამოდისო და ამის გამო უნდა ვიფიქროთ, რომ კავკასიის მთების გული სულ ნახშირიანიაო. ამისი კი რა მოგახსენო და ზოგიერთი ქართველების, და განსაკუთრებით იმერლების, გული რომ ნახშირიანია, — ეს კი მართალია. ამ ნახშირის სულმა და კომლმა ისე გაიტაცა ჩვენი საზოგადოება, რომ, რაც შავია, სულ ოქრო ჰგონიათ და ამის გამო შავ ჩირქიან ზნესაც არ თაკილობენ". [2])

ეს დახასიათებანი ნათლად და გარკვევით ამოწმებენ იმას, თუ როგორი ცეცხ-ცხელებით იყო შეპყრობილი ქართველი საზოგადოება, რომელმაც ის იყო მოიშორა ბატონყმური ქურქი: საზოგადოება ვაჭრული იდეოლოგიით იკვებებოდა, ხოლო სოციალური ძალა და მნიშვნელობა იმ წრის ხელში გადადიოდა, რომელიც დიდძალი კაპიტალის პატრონი ხდებოდა. ჩვენი ეკონომიკის სიღრმეში ახალი საეკონომიო ურთიერთობა ინასკვებოდა და ამას ნათლად ამჩნევდენ მაშინდელი პუბლიცისტები. 1868 წელს გაზ. „დროებაში" ვკითხულობთ: „ჩვენში კეთდებიან რამოდენიმე ფულის მქონებელნი პირნი მრავალის შრომით და მოღვაწეობით. ახლა ვხედავთ, რომ ამ სიღარიბის გზაზე ვდგეართ და რამოდენიმე დროს შემდეგ უეჭველად პროლეტარში ჩავცვივით" [3]). აქ უკვე მოცემულია არა მარტო ახალი სამე-

[1]) ს. მესხის წერილი: „დროება", № 44, 1874 წ.
[2]) გ. წერეთლის წერილი: „კრებული", № 10 — 12, 1872 წ.
[3]) „დროება", № 25, 1868 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ურნეო ფორმა, არამედ შინაარსიც, კონცეფციაც ამ სამეურნეო ფორ-მაციისა თავისი სოციალური კლასებით: ფეოდალის მქონე რაბ-დენიმე პირის გამდიდრება, ხოლო დიდი უმეტესობის პროლეტარებად გადაქცევა. ფეოდალი და პროლეტარი, როგორც ორი საწინააღმდეგო კატეგორია, უკვე უპირისპირდება ერთმანეთს.

მაგრამ ეხლა ამ იდეოლოგიისა და განწყობილების ზემო სართულიდან გადავიდეთ თვით ცხოვრების ვითარების გაცნობაზე, ეკონომიური პირობების გათვალისწინებაზე. მთავრობამ დაახლოვებით $4^1/_2$ მილ მანეთამდე დააბანდა საქართველოში, კომპენსაციის სახით, მემამულეთა დასაჯილდოვებლად. ამ თანხას, რასაკვირველია, წარმოებისათვის ვერ გამოიყენებდა ჩვენი თავად-აზნაურობა, მაგრამ სავაჭრო ურთიერთობის გაფართოებისათვის იგი აუცილებლად გამოდგებოდა; მაგრამ საქმე მარტო ამით არ ამოიწურებოდა: რეფორმის შემდეგ რუსეთის კაპიტალის გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე უფრო ძლიერი და მნიშვნელოვანი გახდა; ეკონომიური კავშირი რუსეთსა და საქართველოს შორის უფრო განმტკიცდა და საქართველო ფაქტიურად ჩათრეულ იქნა კაპიტალისტური ურთიერთობის მორევში.

90-იან წლებში ქართულ პრესაში ცხარე კამათი იყო შესახებ იმისა, შესდგა თუ არა საქართველომ ფეხი კაპიტალისტური განვითარების გზაზე. ქართველი ნაროდნიკები (ლალი, ნა-ლი, ვ. წ.) კატეგორიულად უარყოფდენ კაპიტალისტური ურთიერთობის არსებობას საქართველოს სინამდვილეში. ქართული მარქსიზმის მეთაურები (ფ. მახარაძე, ნ. ჟორდანია, ს. ჯიბლაძე) ამ კითხვაზე დადებით პასუხს იძლეოდენ. 1910 წ. ნ. ჟორდანიამ დასთმო თავისი მთელი პოზიცია და აღნიშნა, რომ კაპიტალიზმის სწრაფი განვითარება ჩვენში შემდეგ პერიოდში (მე-XX საუკუნეში) დაიწყო [1]. არსებითად ნ. ჟორდანიამ აქ დასთმო სწორი პოზიცია; საქართველოს ეკონომიური ცხოვრება, საუბედუროდ, დღესაც არ არის სათანადოდ შესწავლილი და განხილული. მიუხედავად ამისა, გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ საეაჭრო კაპიტალის განვითარება ჩვენში დაიწყო მე-XIX საუკუნის პირველი ნახევრიდანვე, ხოლო მეორე ნახევრის დასაწყისში საეაჭრო კაპიტალი, სამრეწველო კაპიტალთან ერთად, საგრძნობ ძალას წარმოადგენდა. ჩვენ ვიცით, რომ რუ-

[1] ნ. ჟორდანია: „რჩეული ნაწერები", წინასიტყვაობა, გამოც. 1910 წ.

სეთის ეკონომიურ ცხოვრებაში საეაჭრო და სამრეწველო კაპიტალიზმი მე-XIX საუკუნის პირველ ნახევარში გადამჭრელ როლს თამაშობდა; ხოლო 60-იანი წლებიდან კაპიტალისტური განვითარება რუსეთში ჩქარის ტემპით წავიდა წინ. ამ კაპიტალის საბრუნავ საგანს ყოველთვის შეადგენდა ბაზრების დაპყრობა და საწარმოო ბაზრის განვითარება-გაფართოება, ბრძოლა ძველი საზოგადოებრივი ფორმაციების წინააღმდეგ.

რუსეთის კაპიტალმა თავის მორევში ჩაითრია საზოგადოდ მთელი კავკასია და კერძოდ საქართველო. წინათ მაგარი პოლიტიკური არჯახებით ერთმანეთზე გადაჯაჭული ორი მხარე ახლა უფრო მნიშვნელოვანი ეკონომიური რგოლებით გადაეება ერთმანეთს. რუსეთის კაპიტალიზმმა გამოიყვანა საქართველო ფეოდალურ-პატრიარქალური სიცლექიდან და რეფორმის შემდგომ პერიოდში ჩააბა ფართო საეაჭრო-სამრეწველო პროცესში. 90-იანი წლები რუსეთში ითვლება სამრეწველო გადატრიალების ხანად: ამ წლებში ინდუსტრიამ უდიდეს წარმატებას მიაღწია და იგი რუსეთის ეკონომიკის მთავარ ფაქტორად გადაიქცა. 1893 წელს სამრეწველო კაპიტალიზმმა დაიწყო განვითარების ახალი, მეტად მნიშვნელოვანი ციკლი. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ამ პერიოდში მოხდა გაორკეცებული მობილიზაცია კაპიტალიზმისა და საწარმოო ძალების სწრაფი განვითარება [1]). ასეთი სწრაფი ტემპით ამოძრავებულმა რუსეთის სამრეწველო და საეაჭრო კაპიტალმა მეტად დიდი გავლენა მოახდინა საქართველოსა და, საერთოდ, ამიერკავკასიის ეკონომიურ განვითარებაზე.

საზოგადოდ, შეუძლებელია საქართველოს ეკონომიური ცხოვრების განხილვა მე-XIX საუკუნეში რუსეთისა და ამიერკავკასიის სამეურნეო ვითარების დამოუკიდებლად. საქართველო მაგარი რგოლებით გადაეება ამიერკავკასიის სამრეწველო ცხოვრებას, ხოლო ეს უკანასკნელი შეიქნა ნაწილი მთელი რუსეთის ეკონომიური სისტემისა. ამრიგად, საქართველო მე-XIX საუკუნის მეორე ნახევარში მომწყვდეული იყო რუსეთის კაპიტალისტური ეკონომიკის მთლიან სისტემაში. როგორც ეკონომიური, ისე ფინანსიური და სატრანსპორტო პოლიტიკა რუსეთისა უდიდეს გავლენას ახდენდა საქართველოს სამეურნეო ცხოვრების დაწინაურებაზე.

კაპიტალისტური მიმართულებით ერის ეკონომიურად განვითა-

---

[1]) Фин-Енотаевский: „Капитализм в России", ტ. I. გვ. 67-70, 1925 წ.

რების საქმეში არსებითი მნიშვნელობა აქვს კარგად მოწყობილ ტრანსპორტს: რკინის გზას და საავტრო ფლოტს. რასაკვირველია, კაპიტალისტური ეკონომიკის სწრაფი განვითარება შეუძლებელია ისეთ სატრანსპორტო პირობებში, სადაც ურემი და ჯაგვაა გაბატონებული[1]) რუსეთის სამრეწველო და საავტრო კაპიტალის ინტერესი დაინებით მოითხოვდა ამიერკავკასიის სატრანსპორტო პირობების მოწყობას. რუსეთის ადგილობრივმა ხელისუფლებამ ჯერ კიდევ 30—40-იან წლებში გაიყვანა გზატკეცილები და ამით ძალიან შეუწყო ხელი ვაჭრობის განვითარებას[2]). ამ მხრით აღსანიშნავია ვორონცოვის პოლიტიკაც 40—50-იან წლებში, როდესაც ის თავისი ეკონომიური მოღვაწეობით აშკარად აწყობდა ჩვენში რუსეთის საავტრო კაპიტალის საქმეს[3]). რკინის გზის გაყვანას ჩვენში შეუდგენ 70-იან წლებში: 1871 წელს გაყვანილ იქნა ტფილისი—ფოთის რკინის გზის ხაზი, 1878 წელს მოხდა ბათუმის ნავსადგურის შემოერთება და 1883 წელს დამთავრდა ამიერკავკასიის უდიდესი სატრანსპორტო არტერიის, ბაქო—ბათუმის მაგისტრალის, გაყვანა. 1894 წელს რკინის გზის სიგრძემ 969 ვერსს მიაღწია. იმავე წელს კავკასიაში გაყვანილ იქნა 27 ვერსის რკინის გზა, 1895 წელს—38 ვერსის, 1899 წელს—279, 1900 წელს—6, 1901 წ.—12, 1902 წ.—167 ვერსის. 1914 წელს ამიერკავკასიის რკინის გზის საერთო მაგისტრალი 1767 ვერსს უდრიდა.

ამიერკავკასიის ეკონომიურ ცხოვრებაში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ნავთის წარმოების განვითარებას. ეს იყო სრულიად ახალი ფაქტორი ამიერკავკასიის ცხოვრებაში. იგი ერთ მნიშვნელოვან საექსპორტო საგნად გადაიქცა და მასთან მან ხარბად მიიხიდა ევროპის კაპიტალისტები. თუ, ერთის მხრით, ბაქოს ნავთის წარმოების განვითარება ხელს უწყობდა ეკონომიურ წარმატებასა და კაპიტალისა და წარმოების კონცენტრაციას, მეორეს მხრით, იგი უხვად იხიდავდა თავისაკენ ამიერკავკასიის გაღატაკებულ გლეხობას და ამით ბაქოს სამრეწველო რაიონებში ახდენდა პროლეტარული რაზმების კონცენტრაციას. 1876 წელს ბაქოს რაიონის ნავთის ამოღება უდრიდა 1.395.000 ფუთს, 1882 წელს—50 მილიონ

[1]) ტრანსპორტის საქმეს ჩვენს ლიტერატურაში პირველად მ. ქიქოძემ მიაქცია სერიოზული ყურადღება (იხ. მისი წერილები „მნათობში", 1870 წ).

[2]) ორ. ევეცკის ზემოდასახელებული წიგნი.

[3]) В. Иваненко: „Гражданское управление Закавказьем" გვ. 349, 1901 წ.

ფუთს, 1884 წელს — 89 მილიონს, 1888 წელს — 194 მილ., 1893 წ. 337 მილ. 1901 წ. — 670 მილ. ასე სწრაფად ვითარდებოდა 70-იანი წლებიდან ბაქოს ნავთის წარმოება. ნავთის ამ გიგანტიურ ზრდას ხელი შეუწყო ამიერკავკასიის რკინის გზის გაყვანამ, რამაც ფართოდ გააჩალა ნავთის ექსპორტის საქმე უცხოეთში. რუსეთის ნავთი 80-იან წლებში საერთაშორისო სარბიელზე გავიდა, მაგრამ მას იქ, ამერიკის ნავთის სახით, დიდი კონკურენტი დახვდა; ამერიკის ნავთს ხელთ ეპყრა მთელი მსოფლიო ნავთის ბაზარი. მასთან ბრძოლაში ბაქომ დიდ წარმატებას მიაღწია. 1883 წლიდან, ე. ი. ბათომ—ბაქოს რკინის გზის გაყვანის დღიდან, ნავთის ვაჭრობამ შემდეგ მნიშვნელოვან შედეგებს მიაღწია: 1883 წელს ბათომის გზით გატანილი იქნა 3.348.900 ფუთი ნავთი, 1890 წ. — 42.424.500 ფუთი, 1895 წ. 54 823 600 ფუთი, 1902 წ. — 78.338.800 ფუთი.[1])

შემდეგ მნიშვნელოვან ფაქტორს ამიერკავკასიისა და კერძოდ საქართველოს ეკონომიურ ცხოვრებაში წარმოადგენდა ჭიათურის მარგანეცი. შავი ქვის ამოღება დაიწყეს 1879 წელს. 1880 წელს ამოღებულ იქმნა 254.000 ფუთი, 1885 წელს — 3.640.800 ფუთი, 1890 წელს — 10.468.105 ფ., 1897 წელს — 12.131.807 ფ., 1900 წელს — 40.363.492 ფუთი.

1895 — 1897 წლებიდან მარგანეცის საქმის გაფართოებას ხელი შეუწყო საზღვარგარეთის ბაზრების მოთხოვნის გადიდებამ მარგანეცზე და ჭიათურის რკინის გზის შტოს გაყვანამ 1895 წელს[2]).

აქ უნდა აღინიშნოს ჭიათურის მაღაროების მუშათა რიცხვის ზრდა. მაღაროებში ირიცხებოდა:

1895 წელს . .	2.687 კაცი	1898 წელს . .	1.245 კაცი
1896 „ . .	1.704 „	1899 „ . .	3.250 „
1897 „ . .	1.382 „	1900 „ . .	3.702 „

საერთოდ, 1900 წელს ჭიათურის მთელს რაიონში შავ ქვაზე მომუშავეთა რიცხვი 5.000 კაცს უდრიდა[3]).

---

[1]) Л. Марков: „Очерк Батумской торговли нефтяными продуктами", გვ. 310.

[2]) წერეთლის წერილი: „Очерк торгово-промышленного развития гор. Батума", წიგნში „Батум и его окрестности", გვ. 393, 1906 წ.

[3]) ქს. ყვანტრე: „საქ. სამთომადნო მუშათა მოძრაობის ისტორია", გვ. 34—37, 1926 წ.

ჭიათურის შავი ქვის წარმოების საქმის გაჩაღებასთან ერთად უნდა აღინიშნოს ტყვიბულის ნახშირის წარმოებაც. ნახშირის ამოღების საქმე ტყვიბულში დაიწყეს 40-იანი წლების შემდეგ, მე-XIX საუკუნის მეორე ნახევარში. ნახშირის ამოღების საქმე განსაკუთრებით გაიზარდა ქუთაის—ტყვიბულის გზის გაყვანის შემდეგ.

ტყვიბულის ქვანახშირის ამოღება შემდეგნაირად ვითარდებოდა.

1847 წელს . .	23.000 ფ.	1888 წელს . .	389.000 ფ.
1860 „ . .	150.000 „	1890 „ . .	600.000 „
1870 „ . .	145.000 „	1900 „ . .	4.000.000 „
1880 „ . .	320.000 „		

1888 წელს ნახშირზე მუშაობდა 145 კაცი, 1900 წელს — 700 მუშაზე მეტი[1]).

ამრიგად, რეფორმის შემდგომ პერიოდში ამიერკავკასიის ეკონომიურ ცხოვრებაში რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორი შემოიჭრა: რკინის გზა, ბაქოს ნავთი, ტყვიბულის ქვანახშირი და ჭიათურის შავი ვა. ეს ფაქტორები აერთებდენ ამიერკავკასიის სამეურნეო ცხოვრების ძარღვებს და საერთოდ კაპიტალისტურ მიმდინარეობაში აბამდენ მათ. რკინის გზის გაყვანით საქართველოს მიენიჭა სატრანსპორტო მნიშვნელობა ახლო აღმოსავლეთისა და ევროპის ქვეყნებთან.

მაგრამ ამიერკავკასიისა და კერძოდ საქართველოს ეკონომიური წარმატების საქმე მარტო ზემოჩამოთვლილი მეტად მნიშვნელოვანი სამეურნეო ფორმებით არ ამოიწურებოდა. ქალაქებში ფაბრიკა-ქარხნების გამრავლება და მასთან სოფლის ეკონომიკის კაპიტალისტური მიზნებით ამოძრავება დამახასიათებელი მოვლენა იყო ჩვენი საერთო ცხოვრებისა მე-XIX საუკუნის მეორე ნახევარში. აღნიშნული მოვლენების შესახებ საკმაოდ დამაჯერებელი ცნობები გვაქვს. მოკლედ შევეხოთ მათ.

ჩვენი სოფლის სამეურნეო ცხოვრებაში ჯერ კიდევ ბატონყმობის ხანაში შეიჭრა კაპიტალისტური ელემენტები. როგორც ცნობები გადმოგვცემს, მთელი რიგი ქართველი მემამულეებისა 50-იანი წლებიდან შეუდგა სოფლის მეურნეობის ევროპული ტექნიკის მიხედვით მოწყობას და ამით დაიწყო ჩვენი სოფლის მეტად ნელი „კაპი-

[1]) ქს. კვანტრე: „საქ. სამთომადნო მუშათა მოძრაობის ისტორია", გვ. 27.

ტალიზაციის" პროცესი. აი როგორ აგვიწერდა ამ პროცესს გაზ. „გუთნის დედის" ერთ-ერთი თანამშრომელი 1863 წ.:

„აბლანდელ გაღვიძებას სხვა საფუძველი აქვს და სიხარულით ვაღვიარებთ, რომ ეს საფუძველი არის ნამდვილი, ბუნებითი და ამისთვის შეურყეველი და საუკუნო. დაღისტნის აღება დიდ გადასაღლათ უნდა შეირიცხოს ჩვენს ისტორიაში. არამც თუ მარტო ხალხს მიეცა შვიდობიანობა, მიუცილებელი საჭიროება მიწის შემუშავებისათვის, რამდენი ვიცი დაბრუნდა სახლში და შეუდგა მამულის საქმეს, რადგანაც მოესპო სამხედრო საქმე, რამდენი ხელი და რამდენი თავი მიემატა მიწის მუშაობას შემდგომ შამილის დაჭერისა? ამასთან ისიც უნდა ვსთქვათ, რომ, ხელისა და თავის გარდა, მიემატა მიწას მესამე უმთავრესი საჭიროება მამულის კეთებისა—ფული, ანუ თანხა. ფოდრათები დამცირდა, რასაკვირველია დაღესტნის აღების შემდეგ, დამცირდა წვრიმანი ვაჭრობაცა, ბევრი ათასი თუმანი გამბული ამ საქმეში და შემდგომ დაბათილებული, მიიქცა მამულის სასყიდლათ და მამულის გასაკეთებლათა, ამასთან უნდა მოვიხსენიოთ, რომ ერთი უმთავრესთა მიზეზთაგანი გაღვიძებისა ის არის კიდევ, რომ ამ ბოლო დროებში ძალიან გამრავლდა ჩვენი აღებ-მიცემა ევროპიის ხალხთან. მოსელა ევროპიელებისა ჩვენს მხარეში და გატანა ჩვენი საქონლისა. თვით ამრავ ტფილისში ფრანციელების მოდის მაღაზიებისა, რომელიც პირველი შეხედვით მხოლოდ მფანტველობისა და ბედოვლათობის ნიშანი გონია კაცსა, არის სასარგებლო ჩვენი მიწის გამოსავლისათვის, შეუცვლელი რჯული პოლიტიკის ეკონომიისა გვამხილებს, რომ კაცი ანუ მთელი ხალხი იქ უფრო რჩეულობის, თავისთვის საჭირო საქონელის სყიდვასა, სადაცა აქვს გასავალი იმის საკუთარ გამოსავალსა, თუ ერთი განსაკუთრებული დაბრკოლება არ შეხვდება ესე იგი: მეტის მეტი ბაჟი, ან სიშორე ქვეყნისა. თვით სარგებლობა ევროპიელებისა მოითხოვს რომ აქ მოტანილის თავიანთი საქონელისათვის გაგზავნონ თავიანთ ქვეყანაში ფულის მაგიერ აქაური გამოსავალი, რადგანაც ამით ერთის მაგიერათ ორგზობათ მოიგებენ. მართლადაც ამ ბოლო დროს აქაურმა ევროპიელებმა დაუწყეს ზიდვა ჩვენს გამოსავალსა, ბამბასა, მატყლსა, აბრეშუმსა, წმინდა სანთელსა და სხვ. ამის გარდა ბევრმა ევროპიელებმა დაიწყეს მოსელა მხოლოდ საქონლის გასაზიდავათ მეტადრე იმას შემდეგ, როცა ევროპაში გაჩნდა აბრეშუმის ჭიის ავადმყოფობა. ყველა ამ შემთხვევას ის შეუდგა, რომ ჩვენ მიწის ანუ პირუტყვის გამოსავალს დაედვა ფასი და წაახალისა ხალხი, და რამდენიც ეს აღებ-მიცემა გამრავლდება, იმთენი ფასიც აიწევს და ხალისიც გამრავლდება, რასაკვირველია, რომ თვით განათლების წარმატებასა, საჭიროების გამრავლებასა და მომავალ ცვლილებასა ბატონყმობის საქმეზედ აქვსთ დიდი მონაწილეობა მამულის კეთების ხრუნვის გამრავლებაში, რომელიც ჩვენ დროში არის მომხდარი ფეჭველათ და ყველასათვის საცნო საქმე. თავის დღეში არა ყოფილა ამთენი მსურველი ახალის მაშინების ანუ ახალის თესლების დაბარებისა, არც ამთენი მთხოველი სხვა და სხვა თესვის ნაწილებზედ დარიგებისა, არც მომხმარები მამულზედ ამთენი ფულისა. ბოლოს დროს თფილისში და გარეშე აშენდა რამთენიმედ ქარხანები,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელნიც არ შაარცხვენდნენ თვით ევროპის მხარესა და გამოჩდეს მამულის მკეთებელნი სოფლებშიაც, სადაც მოაწყვეს თავიანთი მამულები მშვენიერს და ანგარიშიან წესზედ" [1]).

ეს ვრცელი ციტატა ჩვენში სრულიად უცნობი გაზეთიდან იმიტომ მოვიყვანეთ, რომ მკითხველს ნათელი წარმოდგენა შეემუშაებინა იმის შესახებ, თუ როგორ ხდებოდა ჯერ კიდევ ბატონყმური ურთიერთობის დროს კაპიტალისტური ელემენტების შეჭრა სოფლის ეკონომიკაში. ცხადია, რომ საერთოდ ვაჭრობის განვითარებამ ჩვენი სოფლის ცხოვრებაზე საგრძნობი გავლენა მოახდინა და ჩვენ ზოგიერთ მემამულეთა სამეურნეო მოღვაწეობა კაპიტალიზმის გზისაკენ მიმართა.

მაგრამ განსაკუთრებული სიძლიერით კაპიტალისტური წარმოების ფორმები ქალაქებში შეიჭრა. კაპიტალიზმის ბუდე ქალაქია, და ცხადია, ამ კანონს ვერ აცდა ვერც ჩვენი ეკონომიური ცხოვრება. როგორც ვხედავთ, კაპიტალისტური წარმოების ფორმები ამა თუ იმ სახით ჩვენში უკვე 50-იანი წლებიდან შემოიჭრა და ამას არ შეეძლო თვისი შესაფერისი გავლენა არ მოეხდინა ჩვენი სამეურნეო ცხოვრების განვითარებაზე. ავალაპარაკოთ ფაქტები: 1825 წლისათვის ორ. ევეცკი სწერდა, რომ საქართველოში არ არის ფაბრიკები, გარდა ერთისა: ტფილისის აბრეშუმის საქსოვის [2]) 1858 წლის ცნობით, ტფილისის გუბერნიაში ყოფილა 239 ფაბრიკა-ქარხანა, რომელთა წარმოება 512.321 მან. უდრიდა. ამ 239 ფაბრიკა-ქარხნიდან 71 მოთავსებული იყო თვით ქ. ტფილისში [3]). 1869 წლისათვის ტფილისის გუბერნიაში იყო 367 ფაბრიკა-ქარხანა [4]). ამ რიცხვებში არ შედის თვით ქ. ტფილისის ფაბრიკა-ქარხნები. 1876 წ. ქ. ტფილისში ყოფილა 1.160 სახელოსნო დაწესებულება, 1879 წ. კი—1.860, ე. ი გაზრდილა 700-ით, ანუ 60%-ით. 1876 წ. ფაბრიკა-ქარხნების რიცხვი ქ. ტფილისში უდრიდა—141; 1879 წლისათვის—214, ე. ი. გაზრდილა 73-ით, ანუ 50% მეტით. 1876 წ. სავაჭრო დაწესებულებათა რიცხვი ქ. ტფილისში იყო 2.416, 1879 წ. — 2,716, ე. ი. გაზრდილა 300, ან 12% მეტით. 1876 წ. საერთოდ სავაჭრო და

[1]) იხ. „გუთნის დედა", № 1, 1863 წ. ი. ს. წერილი: „საეკონომიო წლის აღწერა"...

[2]) იხ. О. Евецкий: Статистическое описание Закавказского края. გვ. 134, 1835 წ.

[3]) Сборник материалов для описания Тифлисской губернии, под редакцией К. Л. Зиссермана. ტ. I. ნაწ. I, გვ. 72—74, 1870 წ.

[4]) იქვე, გვ. 201—202.

სამრეწველო-სახელოსნო დაწესებულება იყო 3.717, 1879 წ. — 4.790; ე. ი. გაიზარდა 1.083-ით, ანუ 30%-ით[1]). ასეთი სწრაფი ზრდა სამრეწველო-სავაჭრო დაწესებულებათა ქ. ტფილისში 1876—79 წლებში უმთავრესად გამოწვეული იყო რუსეთ-ოსმალეთის ომის ზეგავლენით; ხოლო თვისი შესაფერი როლი უნდა მივაკუთნოთ აგრეთვე რკინის გზის გაყვანასაც. სტატისტიკური ცნობის მიხედვით 1876 წ. ქ. ტფილისის მცხოვრებთა რიცხვი 104.024 უდრიდა. აქედან ჯარის ნაწილებში იყო 15.000-მდე. 89.000 მცხოვრებიც 1876 წ. გადაჭარბებულად უნდა ჩაითვალოს. რიცხვი ახალი სოციალური კლასების — ვაჭარ-მრეწველთა და მუშა-ხელოსნებისა — ქ. ტფილისში იყო: სამრეწველო-სახელოსნო დაწესებულებებში მოთავსებული იყო 13.137 პირი, რაც შეადგენს ტფილისის საერთო მცხოვრებთა 12,44%-ს. ამ რიცხვიდან მუშა-მოსამსახურე იყო — 7.289; სავაჭრო დაწესებულებაში იყო 6.251 კაცი, ე. ი. 6,01%. აქედან დაქირავებული მუშა-მოსამსახურე — 2.944, სატრანსპორტო და სატრაქტირო დაწესებულებებში — 3.508, ე. ი. 3,37%; აქედან დაქირავებული მუშა-მოსამსახურე — 2.586[2]). ამრიგად, 1876 წელს ქ. ტფილისის 22.896 მცხოვრებზე მეტი ჩაბმული იყო სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათა ქსელში. სტატისტიკური ცნობებით, 70-იან წლებში საგრძნობი გახდა კაპიტალისტური ურთიერთობის შემოჭრა ჩვენში. შემდეგი ათეული წლები უფრო საგულისხმიერო ფერადებით გვიშლიან თვალწინ კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარებას საქართველოში.

1887 — 1894 წ. წ. მრეწველობისა და წარმოების საერთო განვითარების შესახებ საქართველოში ამხ. **ფ. მახარაძეს** თავის ერთ ნარკვევში[3]) შემდეგი დაახლოებითი ცნობები მოჰყავს:

გუბერნიები	ფაბრიკა-ქარხნების რიცხვი		ნაწარმოების რაოდენობა მანეთობით		მუშების რიცხვი	
	1887 წ.	1894 წ.	1887 წ.	1894 წ.	1887 წ.	1894 წ.
ტფილისის	1.543	1.500	4.944.737	4.500.000	6.107	12.500
ქუთაისის	610	1.297	5.237.254	28.078.089	6.208	10.328
სულ.	2.153	2.797	10.181.991	32.578.089	12.315	22.828

[1]) Сборник сведений о Кавказе, ტ. VI, გვ. 231—236, 1880 წ.
[2]) იქვე, გვ. 202—214.
[3]) „ქვალი" 1898 წლისა.

ამ ცხრილში არ შედის რკინის გზის სამრეწველო დაწესებულებანი და მათი მუშათა რიცხვი. მიუხედავად ამისა, იგი საგრძნობი ფერადებით გვიშლის კაპიტალისტური ეკონომიკის განვითარების ტენდენციას ჩვენში.

1900 წლისათვის მეტად საინტერესო ცნობები გვაქვს, მაგრამ მარტო ქალაქი ტფილისის სავაჭრო-სამრეწველო ცხოვრების შესახებ. ტფილისი, როგორც ამიერკავკასიისა და საქართველოს ცენტრი, მე-XIX საუკუნის განმავლობაში მეტად მნიშვნელოვანი ეკონომიური განვითარებით ხასიათდება.

1900 წლისათვის ტფილისის ეკონომიური მდგომარეობა შემდეგ სურათს იძლევა: სახელოსნო დაწესებულება, რომელსაც ჰყავდა 1 — 2 მუშამდე, იყო 1973. სამრეწველო დაწესებულებათა რიცხვი, რომელნიც იხდიდენ სარეწაო გადასახადს 7 — 8 ხარისხით და რომელთაც ჰყავდათ 2 — 8 მუშა, უდრიდა 439-ს. მათი თანხის წლიური ტრიალი უდრიდა 2.098.000 მანეთს. ახლად გაიხსნა 211 დაწესებულება. საერთოდ ამ დაწესებულებებში ითვლებოდა 2.480 მომუშავე. 1900 წელს სამრეწველო დაწესებულება, რომელსაც 9 მუშაზე მეტი ჰყავდა, იყო 73. მათი თანხის საერთო წლიური ტრიალი უდრიდა 3.458.000 მანეთს, მომუშავეთა რიცხვი — 6.336.

ამ საწარმოო დაწესებულებებიდან აღსანიშნავია ის ფაბრიკა-ქარხნები, რომელთაც 300 მუშაზე მეტი ჰყავდათ. ასეთი იყო 7. საერთო რიცხვით ამ შვიდ ფაბრიკა-ქარხანაში მუშაობდა 3.412 მუშა-მოსამსახურე. ხოლო 8 სტამბაში მუშაობდა 251 მუშა-მოსამსახურე. 1886 წელს ტფილისში იყო 8 თამბაქოს ფაბრიკა 619 მუშით.

როგორც გულიშამბაროვი გადმოგვცემს, 1852 — 86 წლების განმავლობაში ტფილისის გუბერნიაში გახსნილა თამბაქოს მრავალი ფაბრიკა, მაგრამ მათი დიდი ნაწილი დაუხურავთ. ისე რომ 1886 წლისათვის დარჩენილა 7 ფაბრიკა ტფილისში და ერთი ახალციხეში. პირველი ფაბრიკა მოუწყვიათ 1852 წ., მეორე — 1858 წ., მესამე — 1873 წ., მეოთხე — 1873 წ., მეხუთე — 1873 წ., მეექვსე — 1878 წ., მეშვიდე — 1879 წ. და მერვე — 1886 წ. 1883 წლისათვის ტფილისის გუბერნიაში ყოფილა 12 თამბაქოს ფაბრიკა, 1884 წ. — 8, 1885 წ. — 6, 1886 წ. — ისევ 8 ფაბრიკა[1]). ეს ფაქტი იმისი მაჩვე-

[1]) Ст. Гулишамбаров: „Обзор фабрик и заводов тифлисской губернии". вв. 26 — 27, 1888 г.

ნებელია, რომ ჩვენში კაპიტალისტურმა კონკურენციამ საგრძნობლად გაიდგა ფესვები. ამ კონკურენციის დროს სუსტი ფაბრიკა-ქარხნები იღუპებოდა, ხოლო ეკონომიურად ძლიერი მაგრდებოდა. იმავე გულიშამბაროვის გადმოცემით, 1886 წელს თამბაქოს ყველა 8 ფაბრიკის 619 მუშიდან მცირეწლოვანი ყოფილა 100, ხოლო მოზრდილი — 519 მამაკაცი და არც ერთი ქალი. ეროვნების მიხედვით: სომეხი ყოფილა 428 (69%), ქართველი — 164; დანარჩენი 27 — სხვადასხვა ეროვნებისა [1]).

1894 წელს ქალაქ ტფილისში იყო 5 თამბაქოს ფაბრიკა, სადაც მუშაობდა 825 მუშა. 1895 წელს მუშაობდა 1.079 მუშა, ხოლო 1898 წელს — 958. 1900 წლისათვის ამ ხუთი ფაბრიკის თანხის წლიური ტრიალი უდრიდა 1.328.000 მან., ამუშავებდენ 20 ძალის ორთქლის მანქანას და ჰყავდათ 2.017 მუშა-მოსამსახურე.

1900 წლისათვის კაპიტალისა და წარმოების კონცენტრაციამ ქალაქ ტფილისშიაც საგრძნობად იჩინა თავი: იქ, სადაც ვითარდება კაპიტალისტური ეკონომიკა, რომელსაც თან სდევს კონკურენცია, ლოლიკური აუცილებლობით ხდება კაპიტალისა და წარმოების კონცენტრაციაც. 1900 წელს ტფილისში იყო 14 სააქციო საზოგადოება. მათი თანხის ტრიალი წლიურად უდრიდა 9.059.000 მან., ხოლო მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი — 1.906. მარტო ადელხანოვის ტყავეულობის ქარხანაში 946 მუშა მუშაობდა.

გულიშამბაროვის ცნობით, 1886 წელს მთელ ტფილისის გუბერნიაში იყო ტყავეულის 14 ქარხანა, სადაც მუშაობდა 646 მუშა. ამ ქარხნების ნაწარმოების ღირებულება 930.000 მანეთს უდრიდა. ადელხანოვს თავისი ტყავეულობის ქარხანა აუგია 1875 წელს. 1888 წლისათვის ამ ქარხანაში მუშაობდა 300 კაცი, აქედან 30 მცირეწლოვანი იყო. ქარხნის ნაწარმოების ღირებულება უდრიდა 700,000 მ.[1]) 1900 წლისათვის, როგორც დავინახეთ, ადელხანოვის ქარხანაში მუშაობდა 946 მუშა, ე. ი. დაახლოებით 12 წლის განმავლობაში მუშათა რიცხვი გაზდილა 696-ჯერ, რაც 332% შეადგენს.

აღნიშნული 14 სააქციო საზოგადოებიდან ხუთი იყო საბანკო და საკრედიტო დაწესებულება, რომელთა კაპიტალის წლიური ტრიალი 5,542,000 მანეთს უდრიდა.

---

[1]) Ст. Гулишамбаров: „Обзор фабрик и заводов тифлисской губернии", გვ. 32—33.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1900 წელს ტფილისში იყო 2.232 სავაჭრო დაწესებულება 45,317,000 მან. წლიური ტრიალით. ამავე წელს გაიხსნა 271 ახალი დაწესებულება. სავაჭრო დაწესებულებებში ჩაბმული იყო დაახლოებით 7.341 მუშა-მოსამსახურე.

ჩვენ განგებ შეეაჩერეთ მკითხველის ყურადღება ამ მშრალ ციფრებზე: ისინი ყოველის მხრით მრავალის მეტყველნი არიან, ეს მშრალი ციფრები ნათლად გვიშლიან თვალწინ როგორც ქალაქი ტფილისის ეკონომიურ მდგომარეობას, ისე მის სოციალურ ანატომიას. მართლაც, რკინის გზის სახელოსნოებისა და საწარმოო დაწესებულებათა გამოკლებით, ტფილისში იყო 5.263 სავაჭრო-სამრეწველო და საკრედიტო-სახელოსნო დაწესებულება. მათი კაპიტალის საერთო წლიური ტრიალი 60,000,000 მანეთზე ბევრად მეტს უდრიდა. ამ სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებებში თავმოყრილი იყო დაახლოებით 21,000[1]) სხვადასხვა პროფესიის მუშა-მოსამსახურე, ე.ი. ტფილისის მცხოვრებთა ერთ მეშვიდედზე მეტი ჩაბმული იყო სავაჭრო-სამრეწველო ურთიერთობაში, როგორც მუშა-მოსამსახურე, როგორც შრომის გამყიდველი ელემენტი. ნუ დავივიწყებთ, რომ ამ რიცხვში არ შედიოდენ რკინის გზის ტფილისის სახელოსნოების მუშა-მოსამსახურენი, ამასთან იგი არც სრულია.

ეს მშრალი ციფრები ცხადყოფენ, თუ საით მიემართებოდა ეკონომიურად საქართველო და როგორი სოციალური ფენებისაგან შესდგებოდა ჩვენი ერის საზოგადოებრივი შენობა მე-XIX საუკუნის მეორე ნახევარში.

ამიერკავკასიისა და კერძოდ საქართველოს ეკონომიური წარმატების დამახასიათებელ მომენტებს გვიჩვენებს ამ ქვეყნების აღებმიცემობის განვითარება და სავაჭრო ურთიერთობის გაჩაღება უცხოეთისა და რუსეთის ბაზრებთან. ასე, მაგ. ბატონყმობის წინა ხანებში და მისი გადავარდნის შემდეგ ამიერკავკასიის საერთო სავაჭრო ურთიერთობა შემდეგნაირად ეითარდებოდა:

წლები	უცხოეთთან	რუსეთთან (მხოლოდ შავი ზღვით)
1825	1.864.198 მან.	—
1850	4.747.207	—
1860	7.368.084	—

[1]) „Сборник статистических сведений по Закавказскому краю". ტ. I. გვ. 236—292, 1902 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1865	13.193.798 მან.	—
1870	15.388.718	—
1872	15.086.442	7.242.924
1874	14.070.132	11.894.652
1875	13.983.499	12.064.536
1876	14.490.999	14.795.118 [1]
1893	55.835.000	—

ამ მშრალი ცნობებიდან მკითხველი დაინახავს, თუ რა სწრაფი ნაბიჯით მიექანებოდა წინ ამიერკავკასიის საერთო საგარეო ვაჭრობა. ბატონყმობის მოსპობის შემდეგ ამიერკავკასიის საგარეო ვაჭრობა ძლიერ გაფართოვდა, მაგრამ ამ პერიოდში ევროპასთან ვაჭრობას გაუსწრო რუსეთთან ურთიერთობამ. ჩვენ ხელთ არის მხოლოდ შავი ზღვის ნავსადგურებით შემოტანილი საქონელის ცნობები; მიუხედავად ამისა, ჩვენ ვხედავთ, რომ სავაჭრო დამოკიდებულება რუსეთთან ბევრად წინ მიდიოდა, ვიდრე ევროპასთან. ასე, მაგ. 1877 წ. რუსეთიდან მარტო 6 თვის განმავლობაში შემოუტანიათ 11.139.234 მანეთის საქონელი, ხოლო ევროპიდან მთელი 1877 წლის განმავლობაში — 9.382.839 მ. 90-იან წლებში ევროპასთან ვაჭრობამ ბევრად გაუსწრო რუსეთთან ვაჭრობას: ამ შემთხვევაში გადამჭრელი როლი ითამაშა ისეთი ფაქტორების გამოსვლამ საერთაშორისო სავაჭრო სარბიელზე, როგორიც არის ბაქოს ნავთი და ჭიათურის მარგანეცი

საქართველოს და საერთოდ ამიერკავკასიის ეკონომიური წარმატებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ბათომის საქართველოსთან შემოერთებას 1877 — 78 წლებში. ბათომისა და ფოთის ნავსადგურები საქართველოს ორი მნიშვნელოვანი ჭიშკარია, საიდანაც ის მეტად დიდ ეკონომიურ ურთიერთობას აწარმოებდა მსოფლიო ბაზრებთან. ეს ქალაქები სხვებთან ერთად დიდ როლს თამაშობდენ ამიერკავკასიისა და კერძოდ საქართველოს სავაჭრო ურთიერთობის განვითარებისა და აყვავების საქმეში. ეს შეგვიძლია ნათლად წარმოვიდგინოთ შემდეგი სტატისტიკური ცნობებიდანაც: ბათომის ნავსადგურით 1883 წელს გატანილ და შემოტანილ იქნა 59.041.377 ფუთი საქონელი. აქედან გატანილი საქონელი 50.638.000

[1]) Кавказский календарь на 1879 г., зз. 337 — 345.

ფუთს უდრის. ამ რიცხვიდან 47.049.085 ფუთი ნავთი იყო, 3.588.915 ფუთი—სხვა საქონელი. შემოტანილ იქნა 8.058.000 ფუთი. 1895 წელს გატანილ და შემოტანილ იქნა სულ 79.445.964 ფუთი, აქედან გატანაზე მოდის 65.963.810 ფუთი. ამ რიცხვში 62.128.915 ფ. ნავთი იყო, ხოლო 3.834.895 ფუთი—სხვა საქონელი. შემოტანილ იქნა 6.421.225 ფუთი. 1900 წელს მთელი შემოტანა-გატანა უდრიდა 90.993.393. აქედან გატანა—74.199.147 ფ. ამ რიცხვიდან 67,293.308 ფ. ნავთი იყო, ხოლო 6.902.839 ფუთი—სხვა საქონელი. შემოტანილ იქნა 23.208.868 ფუთი. 1902 წელს მთელი შემოტანა-გატანა უდრიდა 107.397.146 ფუთს [1]). ასე გაიზარდა 19—20 წლის განმავლობაში საავაჭრო ურთიერთობა ბათომის ნავსადგურის საშუალებით: დაახლოვებით 19 წლის განმავლობაში ბათომის საქონლის გადაგზავნ-გადმოგზავნა 21-ჯერ გაიზარდა.

ავიღოთ ახლა ფოთის ნავსადგური. შემოტანა—გატანა ამ ნავსადგურით შემდეგ სურათს იძლევა:

წლები	შემოტანა	გატანა საერთოდ	სულ
1889	5.712.000	8.527.000	14.239.000
1895	6 977.477	16.299.623	23.277.100
1900	14.945,417	30.970.520	45.915.937
1902	13.384.228	31.067.442	44.451.670[2])

ბათომთან შედარებით ფოთის ნავსადგურის მუშაობის ზრდა მცირეა, მაგრამ საერთოდ კი ერთობ საგრძნობი: 13 წლის განმავლობაში ის გაიზარდა დაახლოვებით სამჯერ მეტად. ზევით დავინახეთ ამიერკავკასიის საერთო ვაჭრობის განვითარება რუსეთთან და უცხოეთთან. აქ ზედმეტი არ იქნება ამ ცნობებს დაეუმატოთ კერძოდ მარგანეცის ექსპორტის ცნობებიც.

---

[1]) წერეთელი: „Очерк торгово-промышленного развития гор. Батума", კრებულში „Батум и его окресности". გვ. 373, 1906 წ.

[2]) იქვე, გვ. 372.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარგანეცის გატანა (ფუთობით):

წლები	უცხოეთში	რუსეთში	ს ე ლ
1886	3.286.975	9.000	3.295.974
1890	8.129.480	271.000	8.400.480
1895	10.180.770	468 248	10.649.018
1900	26.335.531	2.362.826	28.698 357
1903	26.935.783	3.016.803	29.952.646[1])

საინტერესოა აქვე აღინიშნოს ბათუმის ნავსადგურში შემოსულ და გასულ გემთა რიცხვი 1900—1902 წლებში: 1900 წელს ბათომში შემოვიდა და გავიდა 9.587 ორთქლისა და იალქნიანი გემი; 1902 წელს—10.612 გემი[2]). 1902 წელს მარტო უცხო სახელმწიფოთა (რუსეთის გარდა) გემი შემოსულა 1.834. ამ რიცხვში ევროპის სახელმწიფოებიდან დიდი უმეტესობა (208) ეკუთნოდა ინგლისს, შემდეგ — საფრანგეთს (95), მერე — გერმანიას (69)[3]).

ეს მშრალი ციფრები ნათელ წარმოდგენას გვაძლევენ იმის შესახებ, ბატონყმური უღლის გადავარდნის შემდეგ როგორი ჩქარი ნაბიჯით წავიდა წინ საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიური ცხოვრება და როგორ მაგრა შეიჭრა იგი კაპიტალისტური ურთიერთობის საერთაშორისო ქსელში.

1899 წ. ნ. ლ ე ნ ი ნ მ ა საუცხოოდ დაახასიათა ამიერკავკასიისა და კერძოდ საქართველოს კაპიტალისტური განვითარების ტემპი. თავის ცნობილ შრომაში იგი სწერდა:

„რუსეთის მიერ კავკასიის ეკონომიური დაპყრობა მოხდა უფრო გვიან, ვიდრე პოლიტიკური დაპყრობა, ხოლო სავსებით ეკონომიური დაპყრობა დღესაც არ არის დამთავრებული. რეფორმის შემდგომ ეპოქაში ხდებოდა, ერთის მხრით, ძლიერი კოლონიზაცია კავკასიისა, ფართოდ დამუშავება მიწებისა კოლონიების მიერ, რომელთაც მოჰყავდათ ხორბალი, თამბაქო და სხვა ნაწარმოები გასაყიდად და რომელნიც იწვევდენ სოფლის დაქირავებულ მუშებს რუსეთიდან; მეორეს მხრით, ხდებოდა განადგურება

[1]) წერეთელი: „Очерк торгово-промышленного развития гор. Батума", კრებულში „Батум и его окресности", გვ. 372.

[2]) იქვე, გვ. 373.

[3]) იქვე, გვ. 374.

ადგილობრივი დაძველებული შინამრეწველური სახელოსნოებისა, რომელნიც მოსკოვიდან მოტანილი ფაბრიკატების კონკურენციაში ხედებოდნენ. ილუპებოდა ძველი საწარმოო იარაღი ტულისა და ბელგიის შემოტანილი საქონლის კონკურენციის გავლენით, ილუპებოდა შინამრეწველური ჩამოსხმა რკინისა რუსეთიდან მოტანილი ფაბრიკატის კონკურენციით, აგრეთვე შინამრეწველური დამუშავება ლითონის, ოქროსი და ვერცხლის, თიხის, ქონის, სოდის, ტყავეულის და სხვ. ყველა ეს პროდუქტი მზადდებოდა უფრო იაფად რუსეთის ფაბრიკებში, რომელნიც თავიანთ საქონელს კავკასიაში გზავნიდენ. მოისპო რქიდან ჭიქების (ყანწების) კეთება ფეოდალური წყობილების დამხობით და ისტორიულ ნადიმთა მოსპობით საქართველოში; დაეცა „ბოხოხების" წარმოება, რადგან აზიური კოსტიუმი ევროპულმა ტანსაცმელმა შესცვალა; დაეცა გუდებისა და დოქების წარმოება ადგილობრივი ღვინისათვის, რომელიც პირველად გამოვიდა გასაყიდად (განვითარდა „ბოქკების" წარმოება) და რომელიც თავის მხრით თანდათან იპყრობდა რუსეთის ბაზარს. ამგვარად, რუსეთის კაპიტალიზმი ითრევდა კავკასიის საქონელს მსოფლიო ტრიალში, ანადგურებდა მისი (კავკასიის) ადგილობრივი თავისებურების ნაშთებს, ძველ პატრიარქალურ კარჩაკეტილობას და ამ სახით ქმნიდა თავისი ფაბრიკებისათვის ბაზარს. მხარე, რეფორმის დასაწყისში სუსტად დასახლებული ან დასახლებული მთიელებით, რომელნიც შორს იდგენ მსოფლიო მეურნეობისაგან და თითქმის ისტორიიდანაც, გარდაიქცა ნავთის მრეწველთა, ღვინის, ხორბლეულის და თამბაქოს გამყიდველთა ქვეყნად. კავკასიის გაძლიერებული კოლონიზაციის პროცესთან ერთად და მის მიწათმოქმედ მცხოვრებთა გაძლიერებული ზრდის გვერდით ხდებოდა კავკასიის მცხოვრებთა სოფლიდან მრეწველობისაკენ გადახრის პროცესიც"[1]).

ეს ცნობები გვეუბნებიან, რომ საქართველომ უკვე თავი შეჰყო ახალ ეკონომიურ მიმდინარეობაში, რომ ფეოდალური ურთიერთობის რღვევით ნიადაგი მომზადდა ახალი სამეურნეო ფორმაციისა და ახალი სოციალური კლასებისათვის. ბუნებრივია, რომ ეკონომიური ცხოვრების განვითარებამ სრულიად ახალი კლასები გამოიყვანა ჩვენი ცხოვრების საზოგადოებრივ ფონზე და წელში გამოწრეტილ ბრწყინვალე წოდებას კაპიტალისტის აჩრდილი დაუყენა წინ, ხოლო სოფლის გლეხკაცობას ახალი მოძმე შესძინა: მისივე წრიდან გამოსული პროლეტარი, მუშა. როგორც რუსეთში, ისე ჩვენშიაც რეფორმიდან

[1]) В. Ленин. Соб. соч. т. III. „Развитие капитализма в России", გვ. 483—84.

რამდენიმე წლის შემდეგ დაიწყო წარმოებისა და სოფლის მეურნეობის კრიზისი. სხვა ნარკვევში ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ქართველმა მემამულეებმა მე-XIX საუკუნის პირველ ნახევარში, განსაკუთრებით 40 — 50 — 60-იან წლებში, სცადეს სავაჭრო-კაპიტალისტური მიზმით კულტურული მეურნეობის მოწყობა სოფლად. ამ კულტურულ მეურნეობაში ისინი უმთავრესად დაქირავებულ შრომას მიმართავდენ. რეფორმის შემდეგ რამდენიმე ხნის განმავლობაში მემამულის მეურნეობა, მუშა-ხელის უქონლობის გამო, კრიზისს განიცდიდა. ამის შესახებ ჩვენ საინტერესო ცნობა გვაქვს მაშინდელი ერთი ცნობილი მემამულისა, რომელიც გაზეთი „დროების“ ფურცელზე სწერდა: „მამულის მეპატრონეთა დღე-და-დღე უმძიმდებათ მამულის კეთება. ამისი მიზეზი მუშა-ხელის სიძვირეა. რამდენიც დრო გადის, იმდენი ძვირდება მუშა-ხელი და არ იაფდება. მიწის მოსავალი კი თანდათან იაფდება, იმისთვის, რომ მამულის მეპატრონეებს ფული არა აქვთ, და რადგან მამულის მოვლისათვის ეჭირვებათ მუშა-ხელის დაქირავება, მეტი გზა არა აქვთ, წინადვე მოსავალი ნახევარის ფასად უნდა გაჰყიდონ ქირის მისაცემად“ [1].

ეს ცნობა მით არის საინტერესო, რომ მემამულის ეკონომიკა რეფორმის მეორე დღეს უკვე გადავიდა დაქირავებულ შრომაზე და მემამულის წინ აღიმართა მეტად მნიშვნელოვანი პრობლემა — მუშა-ხელის პოვნა. ქალაქში ეს საკითხი უფრო საგრძნობი შეიქნა შემდეგ პერიოდებში. დაქირავებული შრომის საკითხი თეორიულად უკვე წამოიჭრა ჩვენს პრესაში 60-იანი წლების მიწურულებში. მაგრამ ამაზე ქვევით.

საქართველოს ეკონომიური სინამდვილის დამახასიათებელი არის ის ფაქტი, რომ ჩვენს მუშას ერთი ფეხი თუ ქალაქში აქვს, მეორე — სოფელში უდგა. ამ გარემოებამ ისტორიულად შექმნა და განამტკიცა განუყრელი კავშირი ამ ორ სოციალურ კატეგორიას შორის. მეორეს მხრით, არც იმისი თქმა შეიძლება გადაჭრით, რომ ჩვენში გარდაუვალი წინააღმდეგობა აღმართულიყოს ვაჭარ-მრეწველთა კლასსა და თავად-აზნაურულ წოდებას შორის, პირიქით, აქ ინტერესთა ერთობაც წარმოიშვა. ჩვენ უკვე დავინახეთ ის ვაჭრული ციებ-ცხელება, რომლითაც იყო შეპყრობილი ჩვენი თავად-აზნაურობა რეფორმის

[1]) „დროება“, № 51, 1867 წ. წერილი: „ახლანდელი მამულის მეპატრონეების მდგომარეობა“.

შემდგომ პერიოდში. სხვა ნარკვევში ჩვენ უკვე გავიცანით[1]) ეს იდეოლოგიური მიმდინარეობა, რომელიც ცდილობდა თავად-აზნაურობისა და ბურჟუაზიის დაახლოვებას, მათი ინტერესების შეერთებას (ე. ი. ქართული ლიბერალიზმი).

საერთოდ, ახალ სოციალურ კლასებს ახალი იდეოლოგია უნდა გამოსჩენოდათ. იდეოლოგია ანარეკლია სოციალ-ეკონომიური სინამდვილისა. გასული საუკუნის 60-იან წლებამდე ქართული აზროვნების სამეფოში თავად-აზნაურული იდეოლოგია და ინტელიგენცია ბატონობდა, რადგან ეკონომიური სინამდვილე და სოციალური ჯგუფების როლი საერთო ცხოვრების მიმდინარეობაში თავად-აზნაურული ინტერესებით ამოიწურებოდა: როგორიც იყო სოციალ-ეკონომიური სინამდვილე, ისეთივე შინაარსისა იყო იდეოლოგიური სამეფო. მაგრამ კაპიტალისტური ურთიერთობის შემოჭრამ, სოციალური ცხოვრების დიფერენციაციამ გამოიწვია აზროვნების დიფერენციაციაც, იდეოლოგიური სხვადასხვაობის წარმოშობაც. ინტელიგენციის მთლიანი ოჯახი დაირღვა, გაბატონებულ პატრიარქალურ აზროვნებას გამანადგურებელი მახვილი ჩასცა ჩვენი ცხოვრების ფონზე აღმოცენებულმა ახალმა აზროვნებამ: თავად-აზნაურულ იდეოლოგიას თავისებური ელფერით შემოსილი ბ ურ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი ი დ ე ო ლ ო გ ი ა დ ა უ პ ი რ ი ს პ ი რ დ ა ქ ა რ თ უ ლ ი ლ ი ბ ე რ ა ლ ი ზ მ ი ს ფ ო რ მ ი თ, ხ ო ლ ო სოფლისა და ქალაქის წვრილ მ ე ს ა კ უ თ რ ე ს თ ა ვ ი ს ი შ ე ს ა ფ ე რ ი დ ა მ ც ვ ე ლ ი გ ა მ ო უ ჩ ნ დ ა წ ვ რ ი ლ - ბ ურ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი (ნაროდნიკული) ა ზ რ ო ვ ნ ე ბ ი ს ს ა ხ ი თ. საქართველოს პროლეტარიატმა კი თავისი იდეოლოგიური გამოხატულება ჰპოვა მ ა რ ქ ს ი ზ მ შ ი, რომელიც გასული საუკუნის 90-იან წლებში აღმოცენდა ჩვენში. სამოციან წლებამდე ინტელიგენცია ერთ განუყრელ მთლიან პატრიარქალურ ოჯახს წარმოადგენდა: საუკუნეების განმავლობაში შემუშავებულ ტრადიციებსა და აზროვნებაზე აღზრდილი, იგი მთელი თავისი სიმძიმით იდგა თავად-აზნაურული წოდების ინტერესებზე და კარჩაკეტილ ცხოვრებას ატარებდა.

სამოციანი წლებიდან დაირღვა ინტელიგენციის მთლიანობა, მის ოჯახში განხეთქილებამ იჩინა თავი. ქართული აზროვნების მკვლევარნი (ხახანაშვილი, ჯორჯაძე, აბაშიძე, ჟორდანია) ამ განხეთქილებას თაობათა ბრძოლით ხსნიან. ფორმალურად, რასაკვირველია, აქ თა-

[1]) იხ. ჩვენი: „ქართველი ინტელიგენციის პროფილი".

ობათა ბრძოლა იყო იმდენად, რამდენადაც ახალი თაობა („თერგ-დალეულები") ებრძოდა ძველ თაობას; მაგრამ არსებითი შინაარსი ამ ბრძოლისა იმ დიფერენციაციაში უნდა ვეძიოთ, რომელიც საქართველოს ეკონომიკის სინამდვილეში და სოციალურ ცხოვრებაში ხდებოდა და რომლის ანარეკლმა მოწინააღმდეგე ბანაკებად გაჰყო ინტელიგენციის ძველი პატრიარქალური ოჯახი.

მე-XIX საუკუნის პირველ ნახევარში მატერიალურად გაბატონებულ კლასს საქართველოში თავად-აზნაურობა წარმოადგენდა, ამიტომ მისი იდეოლოგია ამ მატერიალური ურთიერთობის ანარეკლი იყო. შემდეგ პერიოდში იწყება დეკადანსი, დაშლა ნატურალური მეურნეობისა, და საგრძნობ მატერიალურ ძალად ხდებაკერძო მესაკუთრე, წვრილი ბურჟუაზია და მსხვილი საწარმოო ურთიერთობა.

ახლად აღმოცენებულმა მატერიალურმა ძალამ, საწარმოო ურთიერთობის შინაარსმა თავისი განსახიერება ჰპოვა ახალ იდეოლოგიაში, ახალ საზოგადოებრივ აზროვნებაში. ეკონომიური ცხოვრების სიღრმეში წარმოებულმა ბრძოლამ თავისი გამოხატულება ჰპოვა იდეოლოგიის სფეროში წარმოებულ ბრძოლაშიც. ჩვენს მკვლევართ ეს არ სურთ დაინახონ, და ორ მსოფლიოს შორის სამოციან წლებში მომხდარი დიდი შეტაკება თაობათა ვიწრო ფარგლით სურთ შემოზღუდონ.

როგორც ქვევით დავინახავთ, ქართული სოციალიზმი, რომელიც 60-იან წლებში აღმოცენდა ჩვენში, თავისი შინაარსითა და არსებითი დანიშნულებით ბურჟუაზიული აზროვნებისა და მისწრაფების გამომხატველი ერთნაირი ფორმა იყო. ამას უკვე ნათლად დავინახავთ შემდეგ თავებში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

განყოფილება პირველი:

უტოპიურ-გურჟუაზიული სოციალიზმი ჩვენში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი პირველი.

ბურჟუაზიულ-უტოპიური სოციალიზმის ხასიათი ევროპასა და ჩვენში

ამ ნარკვევის შესავლიდან მკითხველი უკვე დაინახავდა, თუ როგორ ნიადაგზე აღმოცენდა, ჩვენის გაგებით, ბურჟუაზიული ინტელიგენციის გადახრა 60—70-იან წლებში სოციალისტური სისტემებისაკენ და, საერთოდ, რა უნდა ვიგულისხმოთ ბურჟუაზიული სოციალიზმის სახით. საკითხის ნათელსაყოფად მოვიყვანთ აქ მარქსის და ენგელსის განმარტებას „კომუნისტური მანიფესტიდან" ბურჟუაზიული სოციალიზმის შესახებ. იქ ჩვენ ვკითხულობთ:

„ბურჟუაზიის ერთი ნაწილი მოწადინებულია მოსპოს სოციალური უსამართლობა, რომ მით უფრო განატკიცოს ბურჟუაზიული საზოგადოების დღეგრძელობა... ამ ბურჟუაზიულმა სოციალიზმმა მთელი სისტემებიც კი შექმნა... სოციალისტურ ბურჟუებს სურთ თანამედროვე საზოგადოებრივი ურთიერთობა, მაგრამ არ სურთ მოსპონ ბრძოლა და საფრთხე, აუცილებლობით ამ ურთიერთობიდან რომ გამომდინარეობს. მათ სურთ თანამედროვე საზოგადოება რევოლუციონური და დამრღვეველი ელემენტების გამოკლებით. მათ უნდათ ბურჟუაზია უპროლეტარიატოდ. რაღა თქმა უნდა, ბურჟუაზია იმ ქვეყანას სთვლის საუკეთესო ქვეყანად, სადაც თვითონ ბატონობს. ამ აფერადებულ წარმოდგენას ბურჟუაზიული სოციალიზმი ცოტად თუ ბევრად ჩამოყალიბებული სისტემის ხასიათს აძლევს".

„კომუნისტურ მანიფესტში" მარქსი და ენგელსი ბურჟუაზიულ სოციალიზმს უწოდებენ გარკვეულ მიმდინარეობას [1]) და მისი სახით არ გულისხმობდენ ევროპის დიდ უტოპისტებსა და მათ მოძღვრებას.

---

[1]) იხ. ამის შესახებ დ. რიაზანოვის კომენტარიები „კომ. მანიფესტისა", გვ. 218—220. 40-იან წლებში ამ ფილანტროპ-სოციალისტების შესახებ კ. მარქსი სწერდა: „ამრიგად, ფილანტროპებს სურთ დასტოვონ კატეგორიები, რომელნიც გამოხატავენ ბურჟუაზიულ ურთიერთობას, და მოსპონ ის ანტაგონიზმი, რომელიც განუყრელად თან სდევს ამ კატეგორიებს, რადგან მათ არსებას წარმოადგენს. ფილანტროპები ფიქრობენ, რომ ისინი სერიოზულად ებრძვიან ბურჟუაზიულ პრაქტიკას, მაშინ, როდესაც ისინი უფრო ბურჟუაზიულნი არიან, ვიდრე სხვა ვინმე".

ჩვენს პირველ სოციალისტებს არ ახასიათებდათ ფილანტროპიული ილუზიები და მათს ნაწერებში დიდი ადგილი უჭირავს კაპიტალისტური წყობილების მკვეთრ კრიტიკას, ხოლო თავიანთი იდეოლოგიური საფუძვლებით ისინი ევროპის უტოპიურ და სხვა სოციალისტურ სისტემებს ენათესავებიან. მაგრამ თავისი შინაარსით, არსებითი დანიშნულებით, თავისი ისტორიულ-სოციოლოგიური საფუძვლებით, ევროპის უტოპიური სოციალიზმი, გადმონერგილი ჩვენს ნიადაგზე, ბურჟუაზიულად განწყობილი ინტელიგენციის რადიკალურ სულისკვეთებას, მისწრაფებას გამოხატავდა; ინტელიგენციამ, მიუხედავად თვისი რადიკალური და სოციალისტური მიდრეკილებისა, ვერ შესძლო ისტორიულადაც შემოფარგლული კონკრეტული საზღვრების გადალახვა და მისი სოციალური მრწამსიც ბოლოს და ბოლოს ბურჟუაზიული შინაარსით აივსო.

აქ კიდევ შევნიშნოთ შემდეგი: ბურჟუაზიული სოციალიზმი, აღმოცენებული ევროპის ბურჟუაზიული ურთიერთობის პირობებში, თავისი სოციალური შინაარსით კონსერვატიული იყო, რადგან იგი ხელს უწყობდა უკვე საკმაოდ განმტკიცებული ბურჟუაზიული ეკონომიკის დაცვას, მისი საფუძვლების შეურყეველობას ევროპაში. ამიტომ ევროპის ბურჟუაზიულ-სოციალისტური სისტემა არსებითად ჰკარგავდა რევოლუციონურ ხასიათს და მშვიდობიან ფილანტროპიულ იერს ატარებდა. ჩვენში, სადაც ძველი ეკონომიკა და ძველი სოციალური ურთიერთობანი ჯერ კიდევ გაბატონებულ მდგომარეობაში იყვნენ, სადაც ახალი ბურჟუაზიული ეკონომიკა და მის ნიადაგზე აღმოცენებული ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობანი მშობიარობის პროცესში იმყოფებოდენ, ბურჟუაზიულ-უტოპიურ სოციალიზმს ასეთ პირობებში უაღრესად რევოლუციონური და უაღრესად პროგრესიული როლი ენიჭებოდა, რადგან იგი თეორიულადაც და პრაქტიკულადაც ხელს უწყობდა ახალი ურთიერთობის გამარჯვებას ძველ სამეურნეო ფორმაციებზე. ჩვენი ეკონომიური და საზოგადოებრივ-კულტურული მდომარეობა 60-იან წლებში გარკვევით მიგვითითებს, თუ როგორი როლი უნდა ეთამაშა ბურჟუაზიულ-ლიბერალურ სოციალიზმს, თეორიულად მაინც, ჩვენში, სანამ ნამდვილი სოციალისტური სისტემა ჩამოყალიბდებოდა საქართველოს ნიადაგზე.

მაგრამ გავიცნოთ იგი უფრო ახლოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი მეოთხე

60-იანი წლების ჩვენი ახალი თაობის ინტელიგენცია.

სხვა წერილში [1]) ჩვენ უკვე გვქონდა შემთხვევა აღგვენიშნა, თუ როგორ ეკონომიურ და სოციალურ საფუძვლებზე აღმოცენდა 60-იანი წლების ქართული ლიბერალიზმი. იქ აღვნიშნეთ, რომ ჩვენში ამ მიმდინარეობის წარმოშობას ხელი შეუწყო და პირდაპირ გამოიწვია იგი: ეკონომიურად—ნატურალური მეურნეობისა და თავადაზნაურობის ეკონომიკის დაცემამ, სავაჭრო-კაპიტალისტური ურთიერთობის შემოჭრამ ჩვენში; სოციალურად—თავად-აზნაურული წოდების დიფერენციაციამ, ამავე წოდების ნაწილის სავაჭრო-კაპიტალისტური ეკონომიკისაკენ გადახრამ; იდეოლოგიურად ქართულმა ლიბერალიზმმა ნაყოფიერი საზრდო ჰპოვა 60-იანი წლების ევროპისა და განსაკუთრებით რუსეთის რევოლუციონურ, რადიკალურ და სოციალისტურ სისტემებში. ჩვენთვის ფსიხოლოგიურად სრულიად ადვილი ასახსნელია, თუ იმ ღრმა მნიშვნელოვან ისტორიულ გარდამავალ პერიოდში, როდესაც იმსხვრეოდა ბატონყმურ ნიადაგზე აღმოცენებული საზოგადოებრივი ურთიერთობანი და ნიადაგი ეყრებოდა კაპიტალისტურ საზოგადოებას, ჩვენი ახალთაობის ინტელიგენციამ როგორ შეითვისა სოციალისტური აზროვნების ელემენტები. რუსეთის და ევროპის პროგრესიული აზროვნების ნიადაგზე აღზრდილ ჩვენ ინტელიგენციას ბრძოლა უხდებოდა ორი მიმართულებით:

ა) მას სძულდა, ეჯავრებოდა და თეორიულ-პრინციპიალურად გაუმართლებლად მიაჩნდა ბატონყმურ პირობებში განმტკიცებული ეკონომიკა და მის საფუძველზე აღმოცენებული სოციალური ურთიერთობა;

ბ) ინტელიგენცია ებრძოდა არა მარტო ძველი წყობილების სოციალ-ეკონომიურ სტრუქტურას, არამედ მის იდეოლოგიასაც, რო-

[1]) ჩვენი წიგნაკი: „ქართველი ინტელიგენციის პროფილი მე-XIX საუკუნეში".

შელიც თავად-აზნაურული სქოლასტიზმით და კონსერვატიზმით ხასიათდებოდა.

ილია ჭავჭავაძის გალაშქრება ანტონ კათალიკოზის „კატეღორიების“ წინააღმდეგ იყო ბრძოლა ახალი პროგრესიული სოციალ-პოლიტიკური იდეალებისა საუკუნეებით განმტკიცებული დახავსებული სქოლასტიური აზროვნების წინააღმდეგ, ხოლო ამ ბრძოლის არსებით სოციალურ-პოლიტიკურ შინაარსს თუ გავსინჯავთ, დავინახავთ, რომ აქ იყო შეტაკება ახლად აღმოცენებული ბურჟუაზიულად განწყობილი სოციალური წრისა ძველი ურთიერთობის დამცველი სოციალური ფენების წინააღმდეგ. ამ ბრძოლის დროს ახალმა ინტელიგენციამ, შეიძლება მისდა უნებურად, ძველი წყობილების და აზროვნების წინააღმდეგ გამოიყენა ევროპისა და რუსეთის როგორც პროგრესიული დემოკრატიული იდეალები, ისე სოციალური აზროვნების ფორმულები.

სწორედ ამ გარემოებით აიხსნება ის მოვლენა, რომ 60-იანი და 70-იანი წლების ჩვენი ახალი თაობის აზროვნებაში თავმოყრილია როგორც დემოკრატიულ-რევოლუციონური და ლიბერალურ-პროგრესიული, ისე სოციალისტური სისტემების ფორმულები, ნაწილობრივ პროგესიული თავად-აზნაურული აზროვნების ნაშთებიც: ილია ჭავჭავაძის ნაწერებში ჩვენ ვნახულობთ როგორც ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ მისწრაფებებს, ისე თავად-აზნაურული იდეოლოგიის ნაშთებს და სოციალისტური აზროვნების ელემენტებს (სახეში გვყავს ილია 60—70-იან წლებში). ნ. ნიკოლაძის და მოსე ქიქოძის სოციალ-პოლიტიკურ დოქტრინაში თავს იყრის როგორც სოციალისტური, ისე ბურჟუაზიული აზროვნება: ნიკოლაძისაში რუსეთის ნაროდნიკული სოციალიზმისაკენ გადახრით, ხოლო ქიქოძისაში—ევროპულ-ლიბერალური სოციალიზმის ზეგავლენით; ს. მესხი და გ. წერეთელი რადიკალურ—დემოკრატიულ აზროვნებას აერთებენ ნათლად ჩამოსხმულ ბურჟუაზიულ სისტემასთან; ანტონ ფურცელაძე ევროპის უტოპიურ სოციალისტურ სისტემას აერთებს რუსეთის ნაროდნიკულ სისტემასთან და მასთანავე არ ერიდება დაიცვას ჩვენში კაპიტალიზმის განვითარების საჭიროებაც; გრ. თარხან-მოურავი კაპიტალიზმის მკვეთრ კრიტიკას, სოციალისტური შრომის პრინციპის საზომით, ბურჟუაზიული ხასიათის ასოციაციების დაარსების მოწოდებით ამთავრებს.

ეს მოკლე დახასიათება ნათლად მოწმობს, რომ ჩვენში აზროვნების მკვეთრი, დამთავრებული დიფერენციაცია არ მომხდარა 1861 – 75 წლებში; მართალია, ახალი თაობის აზროვნება რადიკალურად გაემიჯნა ანტონ კათალიკოზის ფილოსოფიაზე განმტკიცებულ სქოლასტიურ იდეოლოგიას, მაგრამ თვით ახალი თაობის სისტემებსა და აზროვნებაში სრულიად სხვადასხვაგვარმა საწინააღმდეგო ელემენტებმა ნახეს „ნავსაყუდელი". ეს აიხსნება ჩვენი ცხოვრების გარდამავალი, გამოურკვეველი ხასიათით, მისი სოციალ-ეკონომიური სტრუქტურის საწინააღმდეგო ელემენტების დაპირისპირებით.

ბურჟუაზიულმა აზროვნებამ ჩვენში აღნიშნულ ეპოქაში ორჯერ სცადა თავისი სამოღვაწეო პროგრამის წამოყენება; პირველად 1861-63 წლებში, როდესაც ილია ჭავჭავაძის ჯგუფი სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდა; მეორედ—როდესაც გაზეთი „დროება" დაარსდა (1866 წ.) წერეთელ-მესხის მეთაურობით. პირველ პერიოდში სჭარბობს უმთავრესად კრიტიკა ბატონყმური ურთიერთობისა, ძველი სოციალური დამოკიდებულებისა და იდეოლოგიის. ამ პერიოდში იმდენად არა სჩანს პროგრამა იმ წყობილებისა, რომელიც უნდა აღმოცენებულიყო ბატონყმური ურთიერთობის ნანგრევებზე, რამდენადაც პირველ რიგში წამოყენებულია ბრძოლის პროგრამა არსებული სოციალური და ეკონომიური სტრუქტურის წინააღმდეგ; ინტელიგენცია გართულია უფრო ბრძოლის პროცესებით, ვიდრე ახალი ცხოვრების მშენებლობით და მისი სახეებით. ამიტომ პირველი მომენტი (კრიტიკა) უფრო ნათლად სჩანს ინტელიგენციის სამოღვაწეო პროგრამაში, ვიდრე მეორე (შემოქმედება).

მ ე ო რ ე პ ე რ ი ო დ ს ი (განსაკუთრებით 1866-76 წლებში) ინტელიგენციის წინაშე გარკვევით წარმოსდგა მკვეთრი პრობლემა „ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს მ ო მ ა ვ ლ ი ს" შ ე ს ა ხ ებ. ძველი წყობილება იურიდიულად მოსპობილ იქნა: საზოგადოება ფაქტიურად ჩაბმული იყო ძველი ურთიერთობის რღვევის პროცესში. რ ა უ ნ დ ა ა ვ ა შ ე ნ ო თ? რ ო გ ო რ ი ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო უ ნ დ ა შ ე ვ ქ მ ნ ა თ? ეს პრობლემა მთელი თავის სიძლიერით წამოიჭრა პრაქტიკულად მოაზროვნე ინტელიგენციის წინაშე ბატონყმური ურთიერთობის გადავარდნის მეორე დღესვე. აი რას სწერდა 1870 წელს მ ო ს ე ქ ი ქ ო ძ ე „მნათობის" ფურცლებზე:

„...ამას მოუღო ბოლო 1864, 65 და 66 წლებმა. ე ხ ლ ა მ ო ი წ ი ა ქ ა რ თ ვ ე ლ ებ ს ს ო ც ი ა ლ უ რ ი (ს ა ხ ა ლ ხ ო, ს ა ზ ო გ ა დ ო)

მდგომარეობის ახალი ეპოქა. ეხლა სუყველაფერი არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ წავიყვანთ საქმეს. ეხლა საქართველოს არა აქვს შეკრული გზა ისე, როგორც წინეთ ჰქონდა (ბატონყმობის გამო); შეიძლება საქართველოს ხალხმა გააუმჯობესოს თავისი ყოფა-ცხოვრება. ამას უნდა მხოლოდ მარჯვე გზის ამორჩევა. რა გზა არის ეს? რა სახით შეიძლება, რომ ჩვენი ხალხი დროზე მოესწროს ეკონომიურ ევოლუციას?" (კურსივი ჩვენია. ს. ხ.) [1])

აი ის ძირითადი საკითხები, რომელიც პრაქტიკულად დადგა ინტელიგენციის წინაშე, რაკი საქართველომ თავი დააღწია ძველ ურთიერთობას. რეალურად საკითხმა შემდეგი ფორმა მიიღო: კაპიტალიზმის გზით უნდა წავიდეს საქართველო, თუ მან სხვა, ახალი გზა უნდა გამონახოს თავისი ეკონომიური წარმატებისათვის? ფეოდალიზმიდან კაპიტალისტური ურთიერთობისაკენ, თუ საჭიროა ახალი სამეურნეო ფორმებისა და საზოგადოებრივი წყობილების გამოძებნა კაპიტალისტური წყობილების უარყოფასთან ერთად? ეს პრობლემა ძირითადი, კარდინალური პრობლემა იყო მაშინდელი ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის და ინტელიგენციას, პატრიოტულად განწყობილს და 60-იანი წლების რევოლუციონურ სოციალ-პოლიტიკურ იდეალებზე აღზრდილს, არ შეეძლო ამ პრობლემისათვის მთელი თავისი გულისყური არ მიეპყრო.

მართლაც, მაშინდელი დროისათვის სერიოზულად და დაფიქრებულად დაწერილს მთელ რიგ წერილებში სამწერლო ასპარეზზე ახლად გამოსული ინტელიგენცია (ნ. ნიკოლაძე, მ. ქიქოძე, გრ. თარხან-მოურავი და სხვ.) ამ პრობლემის ყოველმხრივ გაშუქებას სცდილობს. ნუ დავივიწყებთ, რომ ეს ინტელიგენცია გაჟღენთილი იყო რეალისტური და რაციონალისტური სოფლმხედველობით. რაციონალიზმი, შეგნება, გონიერება — გადამჭრელ როლს თამაშობდენ მათს საზოგადოებრივ აზროვნებაში. ამ ძიების პროცესში ინტელიგენციამ, რაციონალიზმთან ერთად, პოლიტიკური ეკონომიის პრინციპები და სუბიექტიური სოციოლოგიის დებულებანიც გამოიყენა. მათის წარმოდგენით, ინტელიგენციას შეუძლია თავის აზროვნებაში შეიმუშავოს ახალი სოციალურ-პოლიტიკური წყობილება, შეადაროს იგი რუსე-

[1]) იხ. მოსე ქიქოძის წერილები: „საქართველოს მომავალი". ჟურ. „მნათობი", № I, გვ. 53, 1870 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თისა და ევროპის არსებულ წყობილებას და ამ საუკეთესო იდეალური წყობილებისაკენ გაუძღვეს საქართველოს, ე. ი. საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური წყობილება მოაწყოს მის მიერ შემუშავებული გეგმების მიხედვით. მ. ქიქოძე პირდაპირ სწერს: „ამას უნდა მხოლოდ მარჯვე გზის ამორჩევა".[1]) აქ უკვე მოსჩანს რუსული სუბიექტიური სოციოლოგიის და ევროპის უტოპიური სოციალიზმის გავლენა ჩვენს ინტელიგენციაზე: ცხოვრება წინ მიდის არა თავისი შინაგანი კანონის ძალით, არა შინაგანი განვითარების ხეგავლენით, არამედ ინტელიგენციის კარნახით და მისი პროექტებით; ამ პროექტების შემუშავების დროს ინტელიგენცია იძულებული შეიქნა არსებითი ყურადღება მიექცია ევროპის კაპიტალისტური წყობილებისათვის და გამოერკვია, თუ რამდენად შეესაბამებოდა იგი საქართველოს ინტერესებს, რამდენად გააუმჯობესებდა და წასწევდა წინ კაპიტალისტური ურთიერთობა ქართველი ერის ეკონომიურ ცხოვრებას. აი ამ კითხვათა რკალში მოექცა ჩვენი ინტელიგენცია 60-იანი წლების განმავლობაში. ამ გარემოების გამო, უმთავრესად 60-იანი წლების დასასრულს და 70-იანის პირველ წლებში ქართული საზოგადოებრივი აზროვნება განაყოფიერებულ იქნა ორი მეტად მნიშვნელოვანი მომენტით:

ა) კაპიტალისტური ურთიერთობის კრიტიკით და

ბ) სოციალისტური დოქტრინების წამოყენებით.

თუ როგორ ასაბუთებდა ინტელიგენცია თავის შეხედულებას ამ საკითხზე, ამას ჩვენ ქვემოთ დაინახავთ. აქ კი უნდა აღინიშნოს, რომ ამ პრობლემების წამოყენება საქართველოში არ იყო მხოლოდ ინტელიგენციის ცნობისმოყვარეობის საქმე. საქართველოს ობიექტიურმა მდგომარეობამ წამოაყენა ეს საკითხები და ინტელიგენციაც იძულებული შეიქნა მასზე პასუხი გაეცა.

ახლა დაეუბრუნდეთ პირველი პერიოდის მოკლე დახასიათებას. ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ამ პერიოდში ინტელიგენციის ყურადღების მთავარი ცენტრი მიპყრობილი იყო არსებული ბატონყმური ურთიერთობისაკენ, რომ ინტელიგენცია მთელ თავის ძალას ამ ურთიერთობის საფუძვლების კრიტიკას ანდომებდა როგორ დებულებებს ეყრდნობოდა ამ კრიტიკის დროს მოწინავე ინტელიგენცია?

რასაკვირველია, ინტელიგენციის ერთ მთლიან შეხედულებაზე

---

[1]) მოსე ქიქოძის წერილი: „მნათობი", № 1, 1870 წ.

ლაპარაკი ამ წლებში შეუძლებელია; აღსანიშნავია, რომ ინტელიგენციის ნაწილმა ფეოდალური წყობილების კრიტიკის დროს ისარგებლა პოლიტიკური ეკონომიის დებულებით და შრომის პრინციპის. ილია ჭავჭავაძის მიერ დაარსებულ „საქართველოს მოამბე“-ში ერთ-ერთი მისი თანამშრომელი დავით ყიფიანი 1863 წელს სწერდა:

„საზოგადოებაში ერთი ნაწილი რომ სულ არა შრომობდეს და სხვისი შრომით ირჩენდეს თავსა და იმ შრომასაც რომ თავისუფლება არა ჰქონდეს, ე. ი. ურთიერთ ნებაყოფობაზე დამოკიდებული რომ არ იყოს, საზოგადოებისათვის ცუდია თუ არა? ამ კითხვაზე შენ, მკითხველო, რასაკვირველია, შედგები. იქნება შეჭკრთე კიდეეაც, პასუხს კი ვერას მომიგებ ჯერა. ვიცი, ეს მდგომარეობა ორივე ნაწილისათვის, მეტადრე მთელი საზოგადოებისათვის, სენია. აი რათა. ჯერა, მე რომ ეხლა თავისუფალი კაცი არ ვიყო, ფეხებში ბორკილი გაყრილი მქონდეს, ხეირიანი შრომა, ცხადია, არ შემეძლებოდა. ამას გარდა, სხვა ვინ შეიტყობს, მე ვითარ შრომის ნიჭი მაქვს? რასაკვირველია, არავინ, ჩემის გუნების და სურვილის მეტი. ჩემის ნებაყოფობის წინააღმდეგობით ბატონმა კალოზე პურის გამანიავებელი რომ გამხადოს, რასაკვირველია, ნახევარ ხორბალს ბზეს გავაყოლებ. ჩემი ბატონიც რომ დარწმუნებული არ იყოს, რომ სხვისი შრომა აცხოვრებს, რასაკვირველია, უფრო იმბნევებდა და თავისუფალ შრომას გასწევდა. რა გამოვიდა აქედან? ჯერ ისა, რომ თავისუფალი შრომა უფრო ნაყოფიერია, მერე ისა, რომ მთელ საზოგადოებაში ყოველი კერძოობითი კაცი უნდა იყოს მშრომელი და მშრომელი თავისუფლათა და, მაშასადამე, ნაყოფიერათაც, და თუ საზოგადოებაში ყოველი მისი წევრი ნაყოფიერათა შრომობს, საზოგადოებაც კეთილ მდგომარეობაში შევა[1])“.

როგორც მკითხველი ხედავს, აქ მეტად საინტერესო პრინციპია წამოყენებული. თავისუფალი შრომის პრინციპის წამოყენება მეტისმეტად ახალი და მეტისმეტად მნიშვნელოვანი მომენტი იყო ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში: ბატონყმობა თავისუფალი შრომის პრინციპის საზომით განიხილა ინტელიგენციის ახალმა წარმომადგენელმა და ამ საზომით აღმოაჩინა მასში მთელი რიგი უარყოფითი მოვლენებისა. ეს იყო შემოჭრა ბატონყმურ საქართვე-

[1]) დავით ყიფიანის წერილი: „საქართველოს მოამბე“, 1863 წ., № 4, გვ. 109.

ლოში ახალი პრინციპის, რომელმაც მოინდომა ღვთისმეტყველების და სქოლასტიური იდეოლოგიის განადგურება და აზროვნების აშენება პოზიტიური მეცნიერების, პოლიტიკური ეკონომიისა და საზოგადოებათმეცნიერების საფუძვლებზე.

შემდეგ წლებში დროება-კრებულ-მნათობის ფურცლებზე ინტელიგენციამ უხვად ისარგებლა ამ პრინციპით და მით გაამაგრა თავისი სოციალ-პოლიტიკური აზროვნება. აი რას სწერდა მოსე ქიქოძე „მნათობში“:

„რომელ ხალხშიდაც უკეთესი ნაწილი მშრომელი არის და მუქთა მჭამელი კი ნაკლები, ის ხალხი უფრო კეთილდღეობაშია. რამდენათაცა რიცხვი უკანასკნელისა (მუქთა მჭამელისა) მცირდება და პირველისა (მშრომლებისა) ვრცელდება, იმდენად უფრო მყარდება ხალხის კეთილდღეობა..... გლეხების მდგომარეობა ამ მუშებზე (ევროპის პროლეტარებზე) უარესი იყო. ისინი მუშაობდენ სხვისთვის, იმათი შრომა იმათ სარგებლობას არ შეეხებოდა“[1]).

მაგრამ შრომის თავისუფლების პრინციპთან ღრმად არის დაკავშირებული შრომის ექსპლოატაციის საკითხებიც და ამ საკითხსაც შესაფერ ყურადღებას აქცევდენ როგორც დავ. ყიფიანი „საქართველოს მოამბე“-ში, ისე უკანასკნელი პერიოდის მწერლებიც[2]).

მაგრამ რა დამოკიდებულება აქვს შრომის პრინციპს სოციალისტურ აზროვნებასთან? მეცხრამეტე საუკუნის უტოპიური სოციალიზმის სისტემებში შრომის პრინციპებს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მინიჭებული, ხოლო რუსეთის ნაროდნიკულ აზროვნებაში ამ პრინციპმა გაბატონებული მდგომარეობა მოიპოვა. მაგრამ შრომის პრინციპის აღიარება ჯერ კიდევ არ ნიშნავს სოციალისტური სისტემის მიღებას. შრომის პრინციპი გარკვეევითა და ნათლად წამოაყენა მე-XIX საუკუნის დასაწყისშიეე დავ. რიკარდომ პოლიტიკურ ეკონომიაში, მაგრამ თვით რიკარდო უდიდესი ბურჟუაზიული მოაზროვნე და სოციალიზმის მოწინააღმდეგე იყო. შემდგომ რიკარდოს შრომის თეორიაზე ნათლად ჩამოყალიბდა როგორც სოციალისტურ-კომუნისტური სისტემები (ტომსონი), ისე ინდივიდუალის-

[1]) მ ქიქოძის წერილი „მნათობში“. № 1 §§. 47—9, 1870 წ.

[2]) იხ. თარხან-მოურავის წერილი: „ჩვენი სიღარიბის მიზეზი“, „დროება“, № 6 და 8, 1870წ.

ტური შინაარსის მიმდინარეობანი [1]). აქედან ცხადია, რომ შრომის პრინციპსა და თეორიაზე შესაძლებელია აიგოს როგორც სოციალისტური სისტემა, ისე ბურჟუაზიულ-ინდივიდუალისტური დოქტრინა. თავისუფალი შრომის აღიარება წარმოების განსაზოგადოებრივობასთან ერთად იძლევა უტოპიური სოციალიზმის სისტემას, ხოლო თავისუფალი შრომის შეთვისება წარმოების ინდივიდუალისტურ ფორმებთან — ბურჟუაზიულ და წვრილ-ბურჟუაზიულ მიმდინარეობათა დებულებებს.

დ. ყიფიანი „საქართველოს მოამბის" ფურცლებზე იცავდა შრომის თავისუფლების პრინციპებს, მაგრამ წარმოების განსაზოგადოებრივობა მას არ წამოუყენებია. ცხადია, რომ იგი და, საერთოდ, მთელი „საქართველოს მოამბის" ჯგუფი უმთავრესად ბურჟუაზიული პრინციპის საზომით აკრიტიკებდა არსებულ სოციალურ ურთიერთობას: ამ ჯგუფის შრომის თავისუფლების პრინციპი აუცილებლად ბურჟუაზიული შინაარსისა იყო. ეს პრინციპი, ახლად შემოტანილი საქართველოში მოწინავე ინტელიგენციის მიერ, შემდეგ, რამდენიმე ხნის განმავლობაში მაინც, თითქმის გაბატონებულ პრინციპად გადაიქცა ჩვენში, და სწორედ ძალში ჰპოვა თავისი გამოსასვლელი წერტილი როგორც ბურჟუაზიული ინტელიგენციის სოციალისტურმა გადახრამ, ისე წვრილ-ბურჟუაზიული სოციალიზმის — ნაროდნიკული მიმდინარეობის — სოციალისტურმა სისტემამ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ილია ჭავჭავაძის პირველი პერიოდის (1861-77 წ.) აზროვნებაში აუცილებლად სჩანს შრომის ელემენტები. ეპოქის ზეგავლენით, შრომის თეორიას და „შრომის სუფევას" ილიამაც მიუძღვნა თავისი წვლილი: „შრომის სუფევის" თაეები „აჩრდილში" ილიამ შეიტანა 1872 წ. [2]) პირველ ხანებში ილია უმთავრეს ყურადღებას აქცევდა ბატონყმური ურთიერთობის კრიტიკას. მისი აზროვნება უმთავრესად მიპყრობილი იყო არსებული წყობილების სოციალ-პოლიტიკური და იდეოლოგიური მხარეების გაკრიტიკებისაკენ. ილიას მხატვრული ნაწარმოებნი უმთავრესად ბატონყმური ურთიერთობით შექმნილ უსამართლო პირობებს ეხებიან. აქ ნახავთ ძველი ცხოვრების ყოველგვარ უსამართლობას და მის კრიტიკას; მაგრამ აქ ვერ ნახავთ იმის სურათებს, თუ საით უნდა მიემართოს

---

[1]) ვ. სვიატლოვსკი: „История Социализма", გვ. 282-92. 1924 წ.

[2]) ილია ჭავჭავაძე: თხზულებანი, ტ. I. 1925 წ.

ან უკვე მიემართება თანამედროვე საქართველო. ეს დიდი პრობლემა უმთავრესად შემდეგ წამოიჭრა ინტელიგენციის წინაშე.

ილია ჭავჭავაძის „აჩრდილ"-ში გამოთქმულმა აზრებმა „შრომის სუფევის" შესახებ დიდი ხანია მიიპყრეს ჩვენი ლიტერატორების ყურადღება. ჯერ კიდევ 1907 წ. ი. ფანცხავამ აღნიშნა სოციალისტური ხასიათის მოტივები ილიას პოეზიაში, ხოლო ამ ბოლო ხანებში ვ. კოტეტიშვილი და კ. კაპანელიც იცავენ ამ აზრს. მართლაც, „აჩრდილ-"ში აუცილებლად არის სოციალისტური აზროვნების ელემენტები და არა მთლიანი სოციალისტური თეორია. ილიამ, მესამოციანი წლების რევოლუციონურ აზროვნებაზე აღზრდილმა, სრულიად ადვილად შეითვისა „შრომის პრინციპი", ბურჟუაზიული და ფეოდალური ურთიერთობის კრიტიკა, მაგრამ მისი აზროვნება არასოდეს არ მისულა სოციალიზმის აღიარებამდე, კერძო საკუთრების უარყოფამდე და ქონების განსაზოგადოებამდე. ილიამ კაპიტალიზმის კრიტიკა და „შრომის სუფევის" თეზისი შეითვისა, როგორც ინდივიდუალისტმა და რადიკალურად მოაზროვნე ბურჟუაზიულმა ინტელიგენტმა. აქ ჩვენ წინაშე სდგას ბურჟუაზიულად მოაზროვნე პიროვნება, რომელმაც მხოლოდ გარეგნულად შეითვისა „შრომის სუფევის" პრინციპები, ხოლო არსებითად ამ პრინციპების ქვეშ გულისხმობდა სამართლიან შრომას, თავისუფლებაზე აგებულ ბურჟუაზიულ ურთიერთობას. აუცილებლად ენერგიულად და გაბედულად აქვს ილიას შრომის პრინციპი წამოყენებული „აჩრდილ"-ში. ეს ამტკიცებს იმას, რომ ილიამ ხარბად შეითვისა 60-იანი წლების რადიკალური ინტელიგენციის იდეოლოგია. მოგვყავს აქ „აჩრდილი"-დან რამდენიმე ტაეპი:

შრომისა ახსნა,—ეს არის ტვირთი
ძლევამოსილის ამ საუკუნის,
კაცთა ღელვისა დიადი ძვირთი
მაგ ახსნისათვის მედგრადა იბრძვის
ვეღარ განუძლებს ქვეყანა ძველი
განახლებისა გრიგალის ქროლას,
ვეღარ განუძლებს ქვეყნის მცარცველი
ჭეშმარიტებით აღძრულსა ბრძოლას,—
და დაიმსხვრევა იგი ბორკილი,
შემფერხებელი კაცთა ცხოვრების,

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ახალს ნერგზე ახლად შობილი
ესე ქვეყანა კვლავ აყვავდების.
შრომის სუფევა მოვა. მაშინა
ჭეშმარიტების მის ძლიერებით
და განმტკიცდება სოფელსა შინა
კაცთმოყვარების სახიერებით.
ყველასთვის იქნეს იგი სუფევა
თანასწორადა ნიჭთა მფენელი;
მის მადლით წარწყმდეს ძარცვა და რბევა,
და ერთგან სძოვდეს ცხვარი და მგელი.
მაშინ უქმ სიტყვად არ იქნებიან
ძმობა, ერთობა, თავისუფლება,
ეკლის გვირგვინით აღარ იელიან
კაცთმოყვარება და სათნოება.
ალლო აიღო ქვეყანამ ძველმა,
რომ დღე-და-დღე მის წყობა ირღვევა,
და ამ ზვიადმა საუკუნემა
უნდა შვას იგი შრომის სუფევა.
მაშინ, მაშვრალო, შენც განკაცდები,
წართმეულ ნიჭთა კვლავ მოიპოვებ,
სხვას ძირს არ დასწევ, თვით ამაღლდები,
არც ვის ემონვი და არც იმონებ[1]).

უდავოა, რომ „აჩრდილის“ ეს ტაეპები დიდი განძია ჩვენს ლიტერატურაში: იგი გამოხატავს ავტორის დემოკრატიულ-რადიკალურ სულისკვეთებას, მაგრამ არა სოციალისტურ მისწრაფებას. უკეთ: ავტორი ითვისებს „შრომის პრინციპს“ ადამიანის ეკონომიური და პირადი თავისუფლებისათვის, რაც სრულიად არ ეწინააღმდეგება ბურჟუაზიულ აზროვნებას. რომ ილიას ასეთი ბურჟუაზიული პრინციპიალური შეხედულება ჰქონდა შეთვისებული სამოციანი და სამოცდაათიანი წლების პირველ ნახევარში, ამას ნათლად ამოწმებს მისი კამათი 1876 წ. ნიკოლაძესთან საბანკო საქმეების გამო. ილია სწერდა ნ. ნიკოლაძის შესახებ: „ამისათვის ერთ სასაცილო ღონისძიებას გვირჩევს, იმისთანა ღონისძიებას, რომ ადამიანის ეკონო-

[1]) ილია ჭავჭავაძის თხზულებანი, ტ. I.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიურსა და პირადს თავისუფლებას არღვევს და ვაჭრობის თავისუ-ფალ კონკურენციას სპობს" [1]). მეორე ადგილას ილია სწერს: „ნიკ-ოლაძე გვირჩევს ადამიანის ქონებითი უფლება და ეკონომიური აღებ-მიცემობის და ვაჭრობის თავისუფლების პრინციპი ხელ-ფეხ შეკრული იყოს და შეიწროებული" [2]).

განა ცხადი არ არის აქედან, რომ ილია ჭავჭავაძე არ იდგა სოციალიზმის ნიადაგზე და მას უმთავრესად პირველ რიგში კერძო საკუთრების პრინციპი ჰქონდა წამოყენებული? ამას ამოწმებს ნიკ-ოლაძის პასუხიც. იგი სწერს: „ილ. ჭავჭავაძე ეკუთვნის იმ მიმართუ-ლებას (ბურჟუაზიულს), რომელიც ამ ოცდაათი წლის წინეთ სუფევ-და მეცნიერებაში. მე ყოველთვის, ყოველგან, ყველაფერში ვებრძოდი ამ მიმართულებას, იმიტომ, რომ ვეკუთვნი „საზოგადოებრივ" (სო-ციალისტურ) მიმართულებას, რომელმაც მეცნიერებაში კაი ხანია სრულებით დაამარცხა ბურჟუაზიული მიმართულება" [3]).

აქედან ნათელი უნდა იყოს, რომ ილიამ, იმ პერიოდში რადი-კალურად და ბურჟუაზიულ-პროგრესიულად მოაზროვნემ, ადვილად შეითვისა შრომის პრინციპის ელემენტები, მაგრამ ამ პრინციპის გარეგან ფორმაში გამოხვეული ჰქონდა ბურჟუაზიული პროგრამა, ბურჟუაზიული მისწრაფება.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ სამოციანი წლების მეორე და 70-იანი წლების პირველ ნახევარში ინტელიგენციის ყურადღება სხვა სახის სოციალ-ეკონომიური საკითხებისადმი იყო მიპყრობილი, ვიდ-რე სამოციანი წლების პირველ ნახევარში. ჩვენ ვიცით აგრეთვე ამ საკითხების შინაარსი და ხასიათი. ახლა საჭიროა თვით ინტელი-გენციის პასუხის დაახლოებით გაცნობა იმ ეპოქაში აღძრულ საკით-ხებზე. მაგრამ, სანამ ამას შეეხებოდეთ, საჭიროა „სოციალისტუ-რად" განწყობილი ინტელიგენციის აზრის გაგებაც 1861 წელს ახ-ლად გამოსული თაობის მოღვაწეობისა და პროგრამის შესახებ. ეს ერთგვარ გასაღებს მოგვცემს იმის გასაგებად, თუ როგორი საკით-ხებით იყო დაინტერესებული 1866 -- 75 წლებში ჩვენი ახალი თაო-ბის ინტელიგენცია.

---

[1]) ი. ჭავჭავაძის წერილი: „ნ. ნიკოლაძე და მისი შეხედულება ბანკზე". „დროება", № 39, 1876.

[2]) იქვე.

[3]) ნ. ნიკოლაძის წერილი: „მრუდე გამოსარჩლება", „დროება". № 47. 1876 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1873 წ. ნ. ნიკოლაძემ ჟურნ. „კრებულში" მოათავსა მეტად საინტერესო წერილი — „ახალი ახალგაზრდობა". ეს წერილი მრავალი მხრით არის საინტერესო, იგი მრავალი მხრით ხდის ფარდას ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ევოლუციას. ამ წერილში ავტორი ეხება როგორც ძველ თაობას, ისე 1861 წელს გამოსულ ახალ თაობას და ისტორიულად ასურათებს მათ დადებით და უარყოფით მხარეებს. თავის მხრით აყენებს უახლოეს — „ახალი ახალგაზრდობის" — პროგრამასაც. აქ შევეხებით მისი წერილის მეორე ნაწილს. ავტორი შემდეგნაირად აფასებს 1861 წელს გამოსული თაობის საქმიანობას და მოღვაწეობას:

„აქ შესანიშნავი და დაფიქრების ღირსია ის გარემოება, რომ ამ (ძველი) თაობის ჩაქოლვის და დამხობის მიზეზი უფრო ცხოვრების და გარემოების ძალა იყო, ვინემ ახალთაობის მოქმედება და ბრძოლა.... თვითონ ეს (ახალი) თაობა დამზადებული როდი იყო ძველ თაობასთან ბრძოლაში შესაბმელათ. იმას გაცნობილი არ ჰქონდა პრაქტიკული ცხოვრება, საზოგადოებრივი წესის კანონები და საჭიროებანი, იმან არ იცოდა, თუ რა და რა ცვლილებას თხოულობდა ხალხის ცხოვრება, რანაირ მოქმედებას და დისციპლინას თხოულობს ბრძოლის საჭიროება, ის ერიდებოდა ძველ თაობას, ან, მართალი ვთქვათ, ეშინოდა მისი.... მაშასადამე, ჩვენში 1861 წლის თაობას ისეთი წევრები სჭირდებოდა, რომელნიც დამზადებული და გაჩვეული უნდა ყოფილიყვენ მაშინდელი საზოგადო საქმეების მართვაში. საუბედუროთ, ეს თაობა ჩვენ ცხოვრებაში დაუმზადებელი შემოვიდა, იმან არც საზოგადოებრივი მეცნიერება იცოდა და არც თეორია, არც პრაქტიკული მდგომარეობა ჩვენი ხალხისა, არც ჩვენი საზოგადოების საჭიროება და სურვილი. მას მარტო კეთილი გული და პატიოსანი სურვილი ჰქონდა და გონების იარაღად იმას მარტო ორიოდე მეტ-ნაკლებად ნათელი აზრი მიუძღოდა: გლეხების განთავისუფლების სამართლიანობა, ბატონყმობის უვარგისობა, მამულის სამსახური... და თუ ამ მცირედი იარაღით და ბარგით, ამ ვამოურკვეველი, ნისლიანი აზრებით მაშინდელმა თაობამ მაინც თავი გამოიჩინა და საზოგადოების თვალში უწინდელ თაობაზე უფრო მაღლა დადგა, ეს, ერთი მხრით, ძველი თაობის განუკურვნელ სიძაბუნეს გვიმტკიცებს

და, მეორე მხრით, გვიჩვენებს, რა ადვილი იყო მაშინ ახალი მიმართულების გამარჯვება და ამაღლება[1]). (კურსივი ჩვენია. ს. ხ.).

ჩვენ შეგვიძლია ზოგიერთ რამეში არ დავეთანხმოთ ნ. ნიკოლაძეს 1861 წელს გამოსული ახალგაზრდობის მოღვაწეობის შეფასების საკითხში. მაგრამ აქ თავისთავად საინტერესოა არა ეს, არამედ თვით მიდგომა საკითხებისადმი ნ. ნიკოლაძის მხრით. ნიკოლაძე უწუნებს ამ თაობას არა ბატონყმურ ურთიერთობასთან ბრძოლას და გლეხთა განთავისუფლების მოთხოვნას, არამედ გარკვეული პროგრამის უქონლობას მომავალი საქართველოს ასაშენებლად. ნიკოლაძე ეუბნება 1861 წელს გამოსულ თაობას: თქვენი ბრძოლა ძველ საზოგადოებრივ წყობილებასთან მოსაწონი და ისტორიულად დიადი საქმე იყო, მაგრამ, აი, გადავარდა ეს ძველი წყობილება და თქვენ კი ახლისათვის სრულიად მოუმზადებელი ხართ პრაქტიკულად: არც შესაფერი პროგრამა გაქვთ ახალის ასაშენებლად, არც იცით, თუ რადარა ცვლილებას თხოულობს ხალხის მდგომარეობა. როგორც ქვევით აღვნიშნავთ, ნიკოლაძე სოციალისტური საზომით აკრიტიკებდა 1861 წლის თაობას. აქ უკვე ნათელია, ორ ახალ თაობას შორის რა ნიადაგზე სწარმოებდა უთანხმოება. შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ, თუ ძველი სოციალური წყობილების წინააღმდეგ ბრძოლაში მეთაურობა უცილოდ ილია ჭავჭავაძეს ეკუთნოდა, რომელმაც, დანიელ ჭონქაძის შემდეგ, გამანადგურებელი მახვილი ჩასცა ძველ საზოგადოებას და ამით ლიტერატურულ ოჯახში გზა გაუწმინდა მომდევნო მებრძოლ თაობას, ახალი ბურჟუაზიული საქართველოსათვის ბრძოლა და მისთვის შესაფერისად დამუშავებული პროგრამის წამოყენება წილად ხვდა უმთავრესად დროება-კრებულ — მნათობის გარშემო შემოკრებილ ჯგუფს. ამ ჯგუფში ილიაც იღებდა მონაწილეობას, მაგრამ იგი აქ იყო არა ერთადერთი მეთაური, არამედ ერთ — ერთი მეთაური. ამასთან ეს ჯგუფი შეიარაღებული იყო ევროპული მეცნიერებით: პოლიტიკური ეკონომიის პრინციპებითა და საზოგადოებათმეცნიერების დებულებებით. რა ვუყოთ, რომ ამ ჯგუფების სამოღვაწეო პროგრამაში ერთმანეთში არეული იყო როგორც ბურჟუაზიული პრინციპები, ის უტოპიური და ნაროდნიკული სოციალიზმის ფორმულები და ლასალის საწარმოო ასოციაციების თეორია!

[1]) ნ. ნიკოლაძე: „ახალი ახალგაზრდობა", ჟურ. „კრებული", № 1. გვ. 284. 85, 90, 91. 1873 წ.

საბოლოო დასკვნით, ამ არეულ ფორმებში ინტელიგენციამ ბურჟუაზიული პროგრამა წამოაყენა, საქართველოს მოუწოდა ახალი, ევროპული შინაარსის ეკონომიური ურთიერთობისა და ძველ ფეოდალურ საზოგადოებასთან კავშირის გაწყვეტისაკენ. გ. წ ერ ე თ ე ლ მ ა ერთ თავის წერილში „კ რ ე ბ უ ლ ი ს" ფურცლებზე ნათლად გამოსთქვა ეს აზრი. ავტორი სწერდა:

„ბურთი ვისია?—არც ჩვენია, არც თქვენი, ორთა შუა არის. ამ სასტიკს და დიდებულს ბრძოლაში მე, როგორც შოროს გამჭვრეტს მეფელეტონეს, იმედი არ დამკარგვია. საქართველოს ერში ბევრია ისეთი საიმედო ნიშნები, რომ ის თავისას არ დაკარგავს, თუმცა, მკითხველო, მე და შენი გვარის (ე. ი. წოდების) კაცებს დიდი ხანი არა აქვს. ჩვენი წინაპრების შთამომაელობამ თავისი სული დაღია. მე ვამბობ იმ თავად-აზნაურობაზე, რომელიც ამ ჟამად საქართველოში ღონე გამოლეულია. ათასი და ორიათასი წლის უსამართლობამ ეს გვარი დაღუპა საქართველოს ნიადაგზე. ა მ წ ო დ ე ბ ი ს ო დ ე ნ ი უ ზ ნ ე ო ბ ა დ ა ქ ვ ე ყ ნ ი ს გ ა მ ც ე მ ო ბ ა ა რ ც ე რ თ ს წ ო დ ე ბ ა ს ა რ მ ი უ ძ ლ ვ ი ს. ძ ვ ე ლ თ ა გ ა ნ ვ ე დ ა წ ყ ე ბ უ ლ ი ჩ ვ ე ნ ი ქ ვ ე ყ ა ნ ა ს უ ლ ა მ ბ ო რ ო ტ წ ო დ ე ბ ი ს უ ს ა მ ა რ თ ლ ო ე ბ ი თ ი ყ ო დ ა ღ უ პ უ ლ ი[1]). ერთის მხრით იყვნენ გამდგარნი თავად-აზნაურობანი და მეორე მხრით მეფე და მშრომელი საქართველოს ერი...

„...დროთა ვითარებამ ისინი (თავად-აზნაურობა) მშრომელი ხალხის კისრიდან გადმოასკუპა, დასვა ცარიელზე და უთხრა, აწ შენი ოფლითა და მკლავით იშრომეო; გაფუჭებული და ღონე გამოლეული ჩვენი თავად-აზნაურობა დარჩა ყოველად უნუგეშო მდგომარეობაში: შ რ ო მ ა ი მ ა ს ა რ შ ე უ ძ ლ ი ა, ს წ ა ვ ლ ა დ ა მ ო ხ ე რ ხ ე ბ ა ა რ ა ა ქ ვ ს. ა მ ი ს გ ა მ ო ი ს თ ა ნ დ ა თ ა ნ ღ ა რ ი ბ დ ე ბ ა, ს ა შ უ ა ლ ე ბ ა ხ ე ლ ი დ ა ნ ე ც ლ ე ბ ა დ ა თ ა ნ დ ა თ ა ნ ჰ ქ რ ე ბ ა ი მ ი ს ი ს ა ხ ე ლ წ ო დ ე ბ ა ც. ამ გარემოებაში მოგებული დარჩა ის უმთავრესი ნაწილი ხალხისა, რომელიც ძველთაგანვე გაჭირვებაში და შრომაში იყო გაწაფული. ძველთაგანვე დაბალ წრეში ჩავარდნილი, გონიერი, სამართლიანი, მაგრამ უსამართლობით დაჩაგრული ჩვენი მუშა ხალხი, როგორც შეიქნა თავისუფალი, სულიც მალე მოიდგა. ამ ჟამად მხოლოდ ის შრომობს, ის იგებს, მას გაუდის თავის ღონის და გონების

[1]) ეს აზრი შემდეგ (1900 წ.) ნ. ჟორდანიამ გაიმეორა უკომენტარიოდ. იხ. მისი: „ქ ა რ თ უ ლ ი პ რ ე ს ა".

ძალა; მომავალიც ამ ჯანით ღონიერს ხალხზე ტრიალებს დაიმდენი ბუნებითი კარგი თვისებაცაქვს, რომ მიუცილებლად ბურთი და მოედანი იმას დარჩება. მით უფრო სარწმუნოა ეს ამბავი, რომ ამ ქორფა ხალხის ნამდვილ შვილებათ და მოთავეთ სთვლის თავის თავს ის გონება გახსნილი მშრომელი ახალგაზრდობა, რომელსაც სულ პირველად ქვეყნის ბედნიერება და მთელი ერის კეთილდღეობა აქვს წინწაყენებული. ამ სახით ჩვენი თავად-აზნაურობის დასუსტება, დაქვეითება და მუშა ხალხის სულის ჩადგმა, იმისი წინწამოწევა,—აი ერთი დიდათ სანუგეშო ნიშანთაგანი ამ დროებისა. მაშ გაუმარჯოს მშრომელს ერს და იმის მოთავე მშრომელს, განათლებულს ახალგაზრდობას! ჩვენი ქვეყნის ბედნიერება შემდეგში ამათს ერთმანეთთან დაკავშირებაზე და დამეგობრებაზეა დამოკიდებული"[1]) (კურსივი ჩვენია. ს. ხ.).

მაგრამ რაში გამოიხატებოდა „მუშა ხალხის სულის ჩადგმა და მისი წინ წაწევა?" ეს, გ. წერეთლის აზრით, უმთავრესად გამოიხატებოდა სოფლიდან ლტოლვაში ქალაქისაკენ, სადაც სოფლიდან გასული გლეხი ეწევა ან დაქირავებულ შრომას, ან ვაჭრობას. „ისინი,—სწერს გ. წერეთელი,—დღიდან დღეზე მრავლდებიან ტფილისში და ტფილისის ბაზარზე ამრავლებენ საქართველოს მიწა-წყლის ნაწარმოებს და ადიდებენ საქართველოს ხალხის აღებ-მიცემობას"[2]).

ამრიგად გ. წერეთლის დემოკრატიული პროგრამის ფორმებში გამოხვეულია წმინდა წყლის ბურჟუაზიული სამოღვაწეო პროგრამა. საერთოდ გ. წერეთელი და ს. მესხი შეიძლება ჩაითვალონ ამ ეპოქის ასე თუ ისე გამორკვეულ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ მოაზროვნეებად.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ 1850—70 წლებში უკვე დაიწყო საქართველოში ნელი შემოჭრა კაპიტალისტური ელემენტებისა. პროგრესიული ინტელიგენციის ნაწილი ნათლად ხედავდა ამ პროცესს და აფასებდა მის მნიშვნელობას ჩვენი საზოგადოების წარმატების საქ-

---

[1]) გ. წერეთელი: „ამ დროის მოძრაობა", „კრებული", № 3, გვ. 227—31 1873 წ.

[2]) იქვე, გვ. 214—215.

მისათვის. ნაციონალური წარმოების გაჩაღება, ნაციონალური ფაბრიკებისა და ქარხნების მოწყობა, ეროვნული აღებ-მიცემობის გაბმტკიცება,—ერთი სიტყვით, ეროვნული ბურჟუაზიის შექმნა და ეროვნული კაპიტალის დაგროვება მორიგ ამოცანად გადაიქცა 60—70-იან წლებში, და არც ერთ მწერალს ისე გარკვევითა და ნათლად არ უგრძვნია ეს აღნიშნულ ეპოქაში, როგორც ეს იგრძნო გ. წერეთელმა. მთელ რიგ წერილებში გ. წერეთელმა გარკვევით დაასაბუთა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ერის ცხოვრებაში აღებ-მიცემობისა და წარმოების გახვითარებას. ამიტომ იგი ეროვნული ბურჟუაზიისა და ეროვნული კაპიტალიზმის იდეურ ხელმძღვანელად, ახალი ბურჟუაზიული კლასის იდეოლოგად შეიძლება ჩაითვალოს: ამ კლასის ინტერესების საზომით სჭვრეტდა იგი საზოგადოებრივ მოვლენებს და იმუშავებდა პროგრამას. სწორედ აქედან წარმოსდგა გ. წერეთლის სეპარატისტული პოლიტიკა ეროვნულ საკითხში: იგი მომხრე იყო საქართველოს რუსეთიდან გამოყოფისა და დამოუკიდებელი ამიერკავკასიის ფედერატიული რესპუბლიკის პროექტებს იმუშავებდა. ამრიგად გ. წერეთელი როგორც ეკონომიურ სფეროში, ისე ეროვნულ-პოლიტიკურ საკითხშიაც გარკვევით დადგა ბურჟუაზიის ინტერესების ნიადაგზე და ამ საზომით განიხილა იმ ეპოქაში წამოჭრილი პრობლემები.

მაგრამ ასეთი გარკვეულობა არ ემჩნეოთ სხვა მწერლებს: მათი არსებითად ბურჟუაზიული პროგრამა დაფარულია სოციალისტური სამოსელით. ამით განსხვავდება გ. წერეთელი ქვემოთ დასახელებული მწერლებისაგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი მესამე.

გაზეთი „დროების“ სოციალისტური ტენდენციები.

1. მუშათა საკითხი და ჩვენი ინტელიგენცია.

ამ თავში ჩვენ შეეხებით უმთავრესად გაზ. „დროების“ სოციალისტურ ტენდენციებს. არ შეიძლება ითქვას, რომ ეს ორგანო ერთი გარკვეული მიმართულების გამომხატველი ყოფილიყოს. იქ თავს იყრიდენ როგორც ბურჟუაზიულ-დემოკრატიულად მოაზროვნენი, ისე ევროპის უტოპიური სოციალიზმისა და რუსეთის ნაროდნიკული აზროვნების მიმდევრები. „დროების“ ნაროდნიკულ ტენდენციებს ჩვენ შეეხებით ქვემოთ, მეორე განყოფილებაში, აქ-კი მოვიყვანთ „დროების“ სოციალისტური მიდრეკილებების სხვა ცნობებს.

ამ ნარკვევის პირველ თავში უკვე აღვნიშნეთ, რომ ბატონყმობის მოსპობამ ჩვენში ხელი შეუწყო შრომის გამყიდველი ელემენტების—პროლეტარული მასების—გამრავლებას ქალაქებში. მუშათა საკითხი ინტელიგენციის წინაშე უკვე წამოიჭრა 60-იანი წლების განმავლობაში. გიორგი წერეთელმა ხაზგასმით აღნიშნა ის ღრმა პროცესი სოფლის მოსახლეობის გამოსვლისა და ქალაქის პროლეტარების წარმოშობისა, რომელიც გამოწვეული იყო სავაჭრო კაპიტალისტური ურთიერთობით და მისი წინმსვლელობით.[1]) ქართულ პრესას და მის სოციალისტურად განწყობილ ინტელიგენციას არ შეეძლო ამ საკითხებისათვის ყურადღება არ მიექცია. თუ ერთი ნაწილი ქართველი ინტელიგენციისა უმეტესად სოფლის პრობლემით და გლეხის მეურნეობის გაუმჯობესებით იყო დაინტერესებული, მეორემ მუშათა საკითხსაც მიაქცია ყურადღება. ჟურნ. „დროება“ გარკვევით სწერდა 1868 წ.: „ჩვენში კეთდებიან რამოდენიმე ფულის მჭონელნი

[1]) იხ. 1872—73 წლების „კრებული“.

პირნი მრავალის შრომით და მოღვაწეობით. ახლა ვხედავთ, რომ ამ სილარიბის გზაზედ ვდგევართ და რამოდენიმე დროის შემდეგ უეჭველად პროლეტარში ჩავცვივით“.

რამდენადაც ვიცით, ქართველი მუშის საკითხს პრესაში პირველად ნიკო ნიკოლაძე შეეხო 1865 წ. ჰერცენის „კოლოკოლ“-ის ფურცლებზე. აღნიშნულ წელს ახალგაზრდა ნიკოლაძემ „კოლოკოლ“-ში Рио Нели-ს ფსევდონიმით ორი მეტად საინტერესო წერილი მოათავსა; პირველი—„გლეხთა განთავისუფლება საქართველოში“[1]) და მეორე—„ივლისის დღეები ტფილისში“[2]). ორივე ამ წერილში ნ. ნიკოლაძე ეხება ჩვენში წამოჭრილ სოციალურ პრობლემას: გლეხთა, მოქალაქეთა და მუშათა საკითხ ბს და იმ საერთო განწყობილებას, რომელიც შექმნილი იყო მაშინდელს საქართველოში. ნიკოლაძის წერილები მრავალის მხრით არის საინტერესო: გარდა ფაქტიური მასალებისა საქართველოს მაშინდელი ცხოვრებიდან, ისინი საშუალებას გვაძლევენ ფართოდ ჩავიხედოთ ჩვენი მაშინდელი მოწინავე ინტელიგენციის გულში და დავინახოთ ის, თუ რას ფიქრობდა ამ ინტელიგენციის ნაწილი ახლად წამოჭრილი სოციალ-პოლიტიკური საკითხების შესახებ. პირველ წერილში სოციალური პრობლემის შესახებ ნიკოლაძე სწერდა:

„ჩვენ დაუშვებდით არასაპატიებელ შეცდომას, თუ საქართველოში გლეხთა მოძრაობის მიზეზად[3]) ჩავთვლიდით მარტო რუსეთის მთავრობის უსამართლობას აზნაურობის სასარგებლოდ წოდებრივ უპირატესობათა დაკანონების გამო. ეჭვი არ არის, ამ ზომამ ცეცხლზე ნავთი დაასხა, მაგრამ არა მარტო მასში მარხია უბედურებათა ძირი და არა მარტო მისი მოსპობისაკენ არის მიმართული გლეხთა ძალები: სიბოროტის ძირი არა მარტო ქართულია, არამედ საერთაშორისოც. საქართველოში ამ ჟამად დღეს იგივე ბრძო-

[1]) Рио Нели: „Освобождение крестьян в Грузии,“ ჟურ. „Колокол“, № 198 და 199, 1865 წ.

[2]) Рио Нели: „Июльские дни в Тифлисе“, ჟურნ. „Колокол“, № 204, გვ. 67 — 76, 1865 წ.

[3]) ავტორის ცნობით, საქართველოში, განსაკუთრებით 1855 — 62 წლებში, გლეხთა მოძრაობამ ფართო ხასიათი მიიღო. იმდენად გამწვავებულა წოდებათა შორის ურთიერთობა, რომ თავად-აზნაურობას, მებატონეებს, შეუდგენიათ თავიანთი დამცველი რაზმები, რომელნიც სასტიკად უმასპინძლდებოდენ, თურმე, აჯანყებულ გლეხობას. ეს ფაქტი მეტად დამახასიათებელია ჩვენში წოდებათა ურთიერთობის გამოსარკვევად და შესასწავლად.

ლა, რომელმაც დაიმორჩილა რუსეთის, ევროპის, შეიძლება თამამად ითქვას, მთელი მსოფლიოს ყოველი ძალა: ეს არის მშრომელთა ბრძოლა გვარისა და კაპიტალის პრივილეგიების წინააღმდეგ, ე. ი. მარტივად რომ ვსთქვათ, სოციალური ბრძოლა მშრომელთა სიღარიბისა მუქთაღორათა სიმდიდრის წინააღმდეგ[1]).

„საქართველოში, ისე როგორც ევროპის ყველა სახელმწიფოში, შრომის ოფლში ჩაბმულ მშრომელთა მასების გვერდით, არსებობენ შრომისაგან განთავისუფლებულნიც, ისეთი ნაწილი, რომელიც გაჩნდა, ბრმა შემთხვევის წყალობით, შთამომავლობით წარჩინებულ ან მდიდარ მშობელთაგან. არსებობს არათანაბარი ან უსამართლო განაწილება საზოგადო და კერძო დოვლათისა და ამ გარემოებაზე დამოკიდებული ბედნიერება ისევე ძლიერია საქართველოში, როგორც სხვა სახელმწიფოებში“ [2]).

ასე გვიხსნის საქართველოში წარმოებული სოციალური ბრძოლის შინაარსს ჩვენი ავტორი თავის პირველ წერილში. ამ წერილს ჩვენ კიდევ დავუბრუნდებით ქვევით, სადაც ნიკოლაძის სოციალ-პოლიტიკური აზროვნების გაცნობას შევუდგებით. ახლა გავიცნოთ მეორე წერილის შინაარსი, რომელიც ეხება 1865 წელს ქ. ტფილისში მომხდარ არეულობას. ამ წერილში ჩვენი ავტორი ეხება ქართველ მოქალაქეთა მდგომარეობას და ვრცლად ჩერდება ტფილისის მუშათა ყოფა-ცხოვრების აღწერაზე. ამჟამად ჩვენც ეს მომენტი გვაინტერესებს. ნიკოლაძე სწერს:

„საქართველოს ქალაქების მოსახლეობა მცირერიცხოვანია. იგი თავმოყრილია ტფილისში და კიდევ ორ-სამ უმნიშვნელო ქალაქში, როგორიც არის ქუთაისი, გორი და სხვა. ყველა ამ ერთეულებში ისინი (მოქალაქენი) დღემდე მკაცრად იყოფიან ორ კლასად: მოქალაქეებად (мещане) და მუშებად (рабочие)[3]) საქართველოში მუშას

[1]) უნდა ვთქვათ, რომ ჩვენი ახალგაზრდა ავტორი ერთობ მუქი ფერადებით გვისურათებს იმ ბრძოლას, რომელიც წარმოებდა საქართველოში მემამულეთა და ყმებს შორის. ნიკოლაძეს ქართველი ტეტია ყმის ბრძოლა ბატონყმური უღლისა და მემამულეთა პრივილეგიების წინააღმდეგ ევროპის პროლეტარიატის სოციალური ბრძოლის დონემდე აჰყავს და ამ ბრძოლაში ხედავს თითქმის სოციალისტურ შინაარსსაც. ეს დამახასიათებელია თვით ნიკოლაძის სოციალ-პოლიტიკური აზროვნების გასაცნობად. მაშინ ნიკოლაძე ჩერნიშევსკის გავლენას განიცდიდა.

[2]) იხ. Рио Нелш, „Колокол“, გვ. 198, 1865 წ.

[3]) ნიკოლაძე „მოქალაქეს“ და „მუშას“ ხმარობს ქართულად.

არა აქვს არავითარი მოქალაქობრივი უფლება, ის არც დროებით განთავისუფლებულია; ის, უბრალოდ რომ ვთქვათ, გაქცეულია (беглый). იმერეთის, გურიის, სამეგრელოსა და რაჭის გლეხები, ვერ უძლებენ რა მემამულეთა ძალა-უფლებას და „ვერ იტანენ რა ბატონის მათრახს“, მორბიან ტფილისში, ხოლო ქართლისა და კახეთის გლეხები (ტფილისის გუბერნია), პირიქით, თავს აფარებენ იმერეთს, გურიას და სხვა ადგილებს... ოჯახის და სამშობლოსაგან განშორება ანთავისუფლებს გლეხებს ბატონის ძალა-უფლებისაგან, მაგრამ სამაგიეროდ აყენებს მას ბურჟუაზიის და მოხელეების დამოკიდებულებაში, ლუკმაპურის მონობაში. მათი დიდი უმეტესობის მუშაობა გამოიხატება ქვების, სილისა და კირის ზიდვაში შენობისათვის, ტომრებისა და სიმძიმისა — ვაჭრებისათვის, წყლისა და შეშის — მცხოვრებთათვის[1]), და ასეთი შრომისათვის იშვიათად ღებულობენ ორ, სამ აბაზს (40, 60 კაპ. ვერცხლით)... ევროპის პროლეტარს ჰყავს თავისი ოჯახი; მართალია, იგი დიდი ტვირთია, მაგრამ მასთან იგი ხშირად ამსუბუქებს მის ცხოვრების სიმწუხარეს; ქართველ მუშასაც ჰყავს თავისი მეუღლე და ბავშვები, მაგრამ „მთებსა და მინდვრებს გადაღმა“.... გაქცევა და თავის გამოყიდვა პოლიციისაგან, შრომა თითქმის ყოველგვარი იმედის დ ა ხ ვ ე წ ი თ, რომ გამოვიდეს ამგვარ საძაგელ მდგომარეობიდან; მას შესაძლებლობაც კი არა აქვს, რომ ღვინოში ჩაიხჩვეს, როგორც ეს სხვა ქვეყნებში ხდება, — ა ს ე თ ი ა ბ ე დ ი ქ ა რ თ ვ ე ლ ი პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ა ტ ი ს ა.... თვით რუსეთშიაც არ არის ი მ დ ე ნ ი ს ა მ ხ ე დ რ ო პირი და ფელდფებელი, რამდენიც საქართველოშია. ამიერკავკასია, როგორ თვით კავკასია, ჯერ კიდევ არ განთავისუფლებულა სამხედრო დესპოტიზმის ბრჭყალებისაგან. იქ ყ ო ვ ე ლ ი პ რ ა პ ო რ ჩ ი კ ი, ყოველ შემთხვევაში, ედრება ქალაქის მმართველს, ხოლო ყ ო ვ ე ლ ი პ ო რ უ ჩ ი კ ი — ისპრაენიკს.

ასეთს არა სასურველს მდგომარეობაში, როდესაც თვით ხელისუფლება არ იძლევა გარანტიას, მუშას თავის დახსნაზე ფიქრი შეუძლია მხოლოდ „გამოსყიდვით“ თავხედ მბრუნველისაგან, მაგრამ ამისთვის საჭიროა ფული; ხოლო სამოქალაქო ცხოვრება საქართველოში და განსაკუთრებით ის, რასაც ვაჭრობა და მრეწველობა ეწოდება, ძალიან სუსტად არის განვითარებული, ამიტომ ნაშოვნი ფული ძლივს ჰყოფნის მას ბატონისა და სხვა „უფლებისაგან“ გა-

[1]) შეადარეთ ილია ჭავჭავაძის ლექსს: „მუშა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსყიდვისათვის, აგრეთვე სრულიად არა სახარბიელო ცხოვრებისათვის... საუკეთესო ხანა ქართველი ქალაქელი მუშისათვის არის შემოდგომა. საქონელი, მოტანილი ნიჟეგოროდისა და როსტოვის ბაზრებიდან, აბრეშუმი, მატყლი, ნიგვზისა და ბზის ხეები, დამზადებული უცხოელების მიერ საზღვარგარეთ გასაგზავნად, ბოლოს, ჩამოსვლა ქალაქებში თავად-აზნაურებისა, რომლებიც მაშინ ახერხებენ ყმებისაგან ღალისა და ფულის შეგროვებას, — ყოველივე ეს იწვევს ქალაქის ცხოვრების ამოძრავებას და თხოულობს მუშა-ხელს. ამ შემოდგომის დღეებში, ტალახსა და ტლაპოში, წვიმასა და ქარში, მუშები შოულობენ თავიანთ წლიურ სარჩოს, ხშირად „გამოსასყიდ“ ფულსაც, და, ბოლოს, ბრწყინვალე დღეების დასასრულში კიდევ მიეშურებიან სარდაფებში და ემალებიან პოლიციისა და ბატონის აგენტებს... ზაფხულში ქალაქის სახლების შენება საშუშაოს აძლევს მუშების ნაწილს, ხოლო გასამჯელო, რომელსაც ისინი გრძელს, მცხუნავე დღეებში შოულობენ, არ აღემატება საშუალოდ 25 კაპ. ვერცხლით.

„ევროპის პროლეტარიატს, ყოველ შემთხვევაში, აქვს იმედი, რომ გამოვა თავის მდგომარეობიდან; ის იმედოვნობს, რომ დაიმსახურებს თავისი პატრონის ან თავისი ამხანაგების ნდობას, მოეწყოს როგორმე დამოუკიდებლად, მოაგროვოს კაპეიკები; მან იცის, რომ კანონმდებლობა თუ არ მფარველობს მის შრომას, არც ძლიერ ეწინააღმდეგება, და რომ მისი მფარველობის ქვეშ ცალკე ინდივიდებს შეუძლია გაუმჯობესონ თავიანთი მდგომარეობა ხელისუფლებასთან განსაკუთრებული შეტაკების გარეშეც. საქართველოში არავითარი ამის მსგავსი არ არის: კაპიტალით ჯიბეშიაც კი ძნელია ხალხში გასვლა; ამას ხელს უშლის არა მარტო ხელისუფლების თვითნებობა, არამედ თვით კანონმდებლობაც, რომელიც მფარველობას უწევს მხოლოდ მცხოვრებთა უმნიშვნელო ნაწილს, დანარჩენებს კი ხელს და ფეხს უბორკავს“ [1]).

ქართული პროლეტარიატის წარმოშობისა და განვითარების შესწავლის საქმეს ნიკოლაძის ზემოთ დასახელებული წერილი დიდ დახმარებას გაუწევს. ნიკოლაძის მიერ აწერილი მუშა არ არის ნამდვილი პროლეტარი, კაპიტალისტური წარმოების ქვაბში გამოხარშული: იგი ნახევრად პროლეტარია, რომელსაც ჯერ არ უნახავს კა-

---

[1]) Рио Нели: „Июльские дни в Тифлисе“, журнал. „Колокол“, № 204, 1865 წ.

პიტალისტური წარმოება, ნამდვილი კაპიტალისტური წყობილება. ის მეკურტნე მუშაა, სოფლის მებატონის რეჟიმისაგან გამოქცეული, ერთგვარი წინამორბედი ქართველი პროლეტარული კლასისა. კაპიტალისტური წარმოების განვითარების წინა პერიოდში ჩვენს ქალაქებში უკვე გროვდებოდენ ყოველგვარ საკუთრებას მოკლებული (გარდა თავისი მარჯვენისა) ელემენტები. ამ ელემენტებისაგან შემდგომ, როდესაც ჩვენში, ასე თუ ისე საგრძნობლად, ფაბრიკა-ქარხნები წარმოიშვა, შესდგა პირველი კადრი ქართველი პროლეტარული კლასისა. მაგრამ 1860—65 წლებში არც ნ. ნიკოლაძე და არც ილია ჭავჭავაძე არ იცნობენ ფაბრიკა-ქარხნების პროლეტარს: მათი მუშა კურტანმოკიდებულია, მაგრამ მაინც ყოველდღიურად ლუკმაპურის მაძიებელი, კერძო საკუთრებას მოკლებული, შრომის გამყიდველი ელემენტი.

ასეთი იყო ქართველი მუშის მგომარეობა ჩვენი მწერლების გაშუქებით 60-იანი წლების პირველ ნახევარში. მაგრამ გადის რამდენიმე წელიწადი, სურათი იცვლება და, ნაცვლად კურტნიანი მუშებისა, ინტელიგენცია ჩვენი ცხოვრების წიაღში უკვე ხედავს საფაბრიკო პროლეტარიატს. ცხადია, ჩვენი ეკონომიური ცხოვრების სიღრმეში მეტად საგრძნობი ცვლილება მოხდა და მან ბოლოს და ბოლოს თავისი ნაყოფი გამოიღო. ეს ნაყოფი გამოიხატა ახალი სოციალური კლასის—პროლეტარიატის—ჩამოყალიბებაში. მართლია, მე-XIX საუკუნის მეორე ნახევრის პირველი ორი ათეული წლის განმავლობაში ეს კლასი არ წარმოადგენდა საგრძნობ ძალას, მაგრამ ახალი თაობის ინტელიგენციისთვის იგი მაინც ხელშესახები ხდება.

იმის საილუსტრაციოდ, თუ რამდენად დაინტერესებული იყო ინტელიგენცია ნაწილი საქართველოში ახლად წამოჭრილი მუშათა საკითხით, მოვიყვანთ შემდეგ ფაქტებს. 60-იანი წლების მიწურულში ტფილისში გაიხსნა მირზოევის მიტკლის საქსოვი ქარხანა. ამის შესახებ მოწინავე წერილში „დროება" სწერდა:

„ყველა ამაებს, გარდა მირზოევის ფაბრიკისა, კიდევ ის მნიშვნელობა აქვს, რომ რამოდენსამე ასს კაცს საქმეს გაუჩენს და თან ხელობასაც ასწავლის. ფაბრიკას, გარდა ამისა, თვითონ მუშების გონების გახსნაზედაც დიდი გავლენა ექნება: ვინ არ იცის, რომ ევროპაში ფაბრიკის და ქარხნის მუშები ყოველთვის უფრო დაწინაურებულნი არიან ჭკუა-გონების გახსნითა, ვიდრე სოფლის ხალხი?

„ჩვენ გვსურდა შეგვეტყო, როგორ მიდის ამ ფაბრიკაში მუშაობა, ვინ ან რამდენი არიან მუშები, როგორ ქსოვენ მიტკალს, ერთი სიტყვით, დაგვეხედა მირზოევის ფაბრიკა“ [1]).

ფაბრიკის გამგემ პრესის წარმომადგენელთ ფაბრიკის დათვალიერების ნება არ მისცა. მათ მაინც შეუტყვიათ, რომ მირზოევს ამ ფაბრიკაზე ერთი მილიონი მანეთი დაუხარჯავს და რომ იგი დღე-ღამეში 450 კაცსა და ქალს ამუშავებს. ეს ფაქტი ნათლად ამტკიცებს, თუ რამდენად დაინტერესებული იყო ჩვენი ინტელიგენცია 60-იანი წლების მეორე ნახევარში წამოჭრილი მუშათა საკითხებით.

„დროების“ შემდეგი წლის (1872) ნომერში მოთავსებულია ერთი წერილი, რომლის დიდი ნაწილი ტფილისის მუშათა კლასის მდგომარეობას ეხება. ეს წერილი ნათელ წარმოდგენას იძლევა 60-იანი წლების ჩვენი მუშათა კლასის მდგომარეობის შესახებ და ამიტომ მოგვყავს ვრცლად. წერილის ავტორი ს ტ. გ უ ლ ი შ ა მ ბ ა რ ო ვ ი სწერს:

„ყველაზე უფრო შესანიშნავი ამ შემთხვევაში უფ. მირზოევის მიტკლის საქსოვი ფაბრიკა არის; ამ ფაბრიკაში, როგორც ამბობენ, ხუთასს მუშამდე არის თურმე [2]), უმეტესი ნაწილი აქაური ახალგა-

---

[1]) „დ რ ო ე ბ ა“, № 48, 1871 წ. მოწინავე წერილი: „მირზოევის მიტკლის საქსოვი ფაბრიკა ტფილისში“.

ეს წერილი ხელმოუწერელია. ნ. ნიკოლაძის „არქივში“ აღმოჩენილი მასალიდან ირკვევა, რომ იგი ეკუთვნის ნიკოლაძის კალამს. ფაბრიკა-ქარხნების მნიშვნელობის შესახებ რუსეთის ნაროდნიკები ამგვარი ენით არ ლაპარაკობდენ. აღნიშნული წერილი ამტკიცებს იმ ჩვენს დებულებას, რომ ნიკოლაძე 70-იან წლებში აღარ იყო ტიპიური ნაროდნიკი, რომ იგი ცდილობდა ევროპის სოციალისტური სისტემის შეუღლებას ნაროდნიკულ სისტემასთან. ამაზე ქვევით.

[2]) ამ ცნობებს არ ეთანხმება პ. უ. (პ. უმიკაშვილის) მიერ გამოქვეყნებული ცნობები. იგი სწერს: „ამ ჟამად ფაბრიკაში რვაას სულამდის მეტი მუშაობს. მუშაობის პირველ ჟამში ოთხასი სული იყო; ამ ორის თვის წინათ ყოფილა ხუთასამდე. მუშა ხალხი არ არის უმადური უფალ მირზოევისა, მუშები ფულს იღებენო, რამდენსაც იმუშავებენ, რამდენ თოფს ან რამდენ გირვანქა ქსელსაც გამოიყვანენ ერთს კვირაში; და თითო სული იღებს ორ მანეთიდან თუმნამდე. ეს ამგვარი ფასის გადაჭრა თვის ჯამაგირს, რასაკვირველია, ჯობია და ფაბრიკაშიაც გამოუცდიათ ეს დროს: ამ ერთი თვისა თუ თვე ნახევრის წინათ ჯამაგირი დაუნიშნავს უფ. მირზოევსა და მუშებს ისე აღარ უმუშავნიათ, იმდენი ქსელი აღარ გამოუყვანიათ, როგორც თითო საქმის ფასის დროსა. ამის გამო ჯამაგირი მოუშლიათ და ისევ ფასად ძლევა დაუწყიათ. მუშაობა იწყება დილის შვიდ საათიდგან საღამოს რვა საათამდე. საათი თუ საათ ნახევარი სადილისათვის არის დანიშნული...

ზრდა ბიჭებია, რომელნიც ძლიერ მალე გაწაფებულან თურმე და მალეც შეუსწავლიათ ყოველგვარი ფაბრიკის ხელობა. საზოგადოთ ძლიერ ძნელი შესატყობია ფაბრიკის პატრონებისაგან როგორ მდგომარეობაში არის იმათი ფაბრიკა, რამდენი შემოსავალ-გასავალი აქვს, როგორ მდგომარეობაში არიან იმის მუშები და სხვა. ამ მოკლე ხანში მე უფ. თამამშოვის სტეარინის სანთლის ფაბრიკაზე ყოფნა შემემთხვა, რომელიც ადრე უფ. დეზოლმს ეკუთვნიდა, ოცდა ათიდამ ოცდა ხუთმეტ კაცამდინ მუშაობს ყოველ დღე, მდგომარეობა შესანატრებელი არ უნდა იყოს. მაგალითად, სტეარინის სანთლის ფაბრიკაზე საუკეთესო დახელოვნებულ მუშას თვეში 25 — 28 მანეთზე მეტი არ ეძლევა. უფ. მირზოევის ფაბრიკაზედაც საუკეთესო მუშას კვირაში 7-8 მანეთზე მეტს არ აძლევენ. ქალთა შრომა ამ ფაბრიკაზე, როგორც საზოგადოთ ყველგან, ძლიერ იაფათ ფასობს: უფ. თამამშევის ფაბრიკაზე, მაგალითად, ქალები, რომელნიც მთელ დღეს ცხელ ნაცარ-ტუტაში ურევენ ხელსა და სანთელს სწმენდენ, ეს ქალები დღეში თითო აბაზს იღებენ ქირას. გამოიანგარიშეთ, რამდენს დახარჯავს ადამიანი დღეში პურის საჭმელად; გამორიცხეთ რამდენი უქმე დღეა თვეში, და თქვენ გაიგებთ რამდენს იღებს საწყალი მუშა-

---

ბოლოს ესეც უნდა ვსთქვათ, რომ, თუმცა დიდსანს არ გაუცლია, მაგრამ ჩვენებური ქალაქის ბიჭები ძალიან მარდობას და გამჭრიახობას იჩენენ და საკმაოდ გაოსტატებულან, ასე რომ ამ ჟამათ ფაბრიკაში ხუთიოდე ინგლისელის (მუშის) მეტი აღარ არის თურმე. მართალია, ამ პირველ თვეებში მუშებში ორი კაცი დამბინჯებულა და ერთიც მამკვდარა, მაგრამ ამას იმათ გაუფრთხილებლობას აბრალებენ".... („დროება" № 3, 1872 წ. პ. უ-ის წერილი „რამოდენიმე სიტყვა მირზოევის ფაბრიკაზე").

პ. უმიკაშვილის ეს ლოიალური დამოკიდებულება ფაბრიკისა და ფაბრიკანტასადმი ადვილი ასახსნელია, თუ მხედველობაში მივიღებთ ავტორის სოციალ-პოლიტიკურ მსოფლმხედველობას: იგი ფაბრიკა-ქარხნების გამრავლებასა და კაპიტალისტური წყობილების გამტკიცებაში დიდ ბედნიერებას ხედავს და ამიტომ მას უმთავრესად აინტერესებს არა მუშის ბედი, არამედ ფაბრიკის მომავალი და წარმატება. როგორც მისი მეორე წერილიდან ირკვევა, მუშები არც ისე კმაყოფილნი ყოფილან ფაბრიკაში შექმნილი მდგომარეობით და გაფიცვისათვისაც მიუმართავთ.

ამ უკმაყოფილებას გაზ. „დროების" მეორე თანამშრომელიც იმეორებდა 1872 წ. იგი შემდეგნაირად ასაბუთებდა თავის მოსაზრებებს:

„აგერ რამდენი ხანია, მირზოევის ფაბრიკა გაიმართა და აქამდინ დაწვრილებითი ამბავი ამ ფაბრიკისა არა ვიცით რა. ნახვით, ღმერთმა იცის, მუშებს გარდა უნახავს ვისმე თუ არა? ფაბრიკაში ადამიანს არ უშვებენ, რომ ან ავი გაი-

ქალი და როგორ მდგომარეობაში უნდა იყვნენ ისინი. კაცებზე უფრო გულს მოდგინეთ და უფრო ბევრსაც მუშაობენ, მაგრამ შრომის ფასი კი მაინც იმათზე ნაკლები ეძლევათ. ფაბრიკის პატრონს, რასაკვირველია, უხარია, რომ ასე იაფად ჰპოულობს მუშახელს და ამის გამო უფრო პატარა ბიჭებსადა ქალებს ქირაობს. ფაბრიკის პატრონმა კარგათ იცის, რომ ქალს თითქმის ყოველი გზა საცხოვრებელ საშუალების მოპოებისა მოსპობილი აქვს და ძალა უნებურათ უფრო ნაკლებ ფასად უნდა იმუშაოს, ვიდრე კაცმა. ის სარგებლობს ქალის ამ გვარი მდგომარეობითა და მხოლოდ იმდენს აძლევს, რამდენიც ლუკმა პურისათვისაც ძლივს ჰყოფნის. ამის გამო აგრეთვე მუშა-კაცის ქირაც თან და თან ჰკლებულობს. ერთის სიტყვით, ამ ჩვენ ახალს ფაბრიკაზე სწორეთ იმნაირათ მიდის მუშა ხალხის საქმე, როგორც იმ ქვეყნებში (მაგ. ინგლისში, საფრანგეთში და სხვ.), სადაც სხვადა სხვა წარმოება ძლიერ გავრცელებულია. განსხვავება ის არის, რომ ამ გარემოებას ჯერ ჩვენში იმდენი ვნება არ მოაქვს, რამდენიც ზემოხსენებულ ქვეყნებში, რადგან ჩვენში ერთის მხრით ფაბრიკები და ქარხნები ნაკლებად არის, და მეორეს მხრითაც იმდენი უმიწა-წყლო ხალხი არ მოიპოება.

„რაც შეეხება მუშაობის დროს, ჩვენი ფაბრიკის პატრონები, როგორც უნდათ ისე იქცევიან. უფ. თამამშოვის ფაბრიკის მუშებმა მითხრეს, რომ ჩვენ დილის ექვს, ხუთსა და ხან ოთხ საათზე მივდივართ და საღამოს შვიდ-რვა საათამდინ ვმუშაობთო. ვსთქვათ, ერთი საათი ან საათ ნახევარი საღილობის დროთ და მოსასვენებლად ჩავაგდოთ, მაინც გამოდის, რომ დღეში თორ-

---

გოს კაცმა და ან კარგი, როგორ მუშაობს მანქანები ან თვით მუშები, როგორი საქონელი გამოდის, რა გამჭრიახობა ეტყობათ მუშებს, ან საზოგადოთ მთელ ფაბრიკას... აქვს რამე შესანიშნავი, მოსაწონი ან დასაწუნი. ეს დიდათ სამწუხაროა და დიდი ნაკლულევანებაა, ეინ იცის უფალ მირზოევისათვის მაყურებლებს რამდენი კარგი რჩევა და კარგი აზრები მიეცათ... ჩვენის მხარისათვის ძვირფასი რამ არის ფაბრიკის გამართვა და სამწუხარო იქნება, რომ ამ საქმეს დაბრკოლება რამე მიეცეს და არც პატრონს არგოს, არც მუშა ხალხს და არც მრთელის მხარის აღებ-მიცემასა“ (იხ. ჰ. უ-ს, ალბათ, პეტრე უმიკაშვილის, წერილი, „დროება“ № 3. 1872 წ.).

მეტ საათზე მეტს მუშაობენ. და ამისათვის ქალებს მხოლოდ ერთი აბაზი დღიური ქირა ეძლევათ"[1]).

შეადარეთ ამ წერილში აწერილი ქართველი მუშის მდგომარეობა იმ მუშის მდგომარეობას, რომელსაც აგვიწერდა 1865 წელს ნიკოლაძე „კოლოკოლ"-ის ფურცლებზე და დაინახავთ მათ შორის სრულ განსხვავებას: ქართველ ინტელიგენციას 60-65-იან წლებში კურტნიანი მუშის საკითხი აწუხებდა, რადგან ჩვენი ცხოვრების სილრმეში ჯერ კიდევ არ სჩანდა პროლეტარული კლასი, ხოლო ერთი ათეული წლის შემდეგ ინტელიგენციამ უკვე დაინახა ფაბრიკა-ქარხნების წარმოება და მასში ჩაბმული სოციალური კლასი, რომლის ყოველმხრივ ექსპლოატაციას ეწეოდა ახლად ფეხადგმული კაპიტალისტური წარმოება. გულიშამბაროვის ამ წერილით საშუალება გვაქვს ნათლად წარმოვიდგინოთ ჩვენი ახლად წარმოშობილი მუშათა კლასის ეკონომიური მდგომარეობა მაშინდელ პერიოდში. ეს ისტორიული ხასიათის დოკუმენტია. აქედან ვტყობილობთ, თუ როგორი იყო შემადგენლობა ჩვენი მაშინდელი მუშათა კლასისა (ქალები, პავშები, კაცები), რამდენს ღებულობდენ ხელფასს და როგორი იყო სამუშაო დრო.

აქ მოყვანილი დოკუმენტები ნათლად ამტკიცებენ, რომ ჩვენი ინტელიგენცია მარტო უცხო თეორიებისა და მწერლების ზეგავლენით არ დაინტერესდა მუშათა საკითხით: ეს საკითხი ამათუიმ სახით უკვე წამოაყენა ჩვენი ეკონომიური ცხოვრების განვითარებამ და ინტელიგენციამაც მას თავისებური პასუხი გასცა 60-70-იან წლებში. ეს ფაქტი ამტკიცებს, რომ ჩვენი ინტელიგენცია დაინტერესებული იყო „პროლეტარიატის საკითხით".

მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს შემდეგი მნიშვნელოვანი ფაქტიც. ქართული აზროვნების შესწავლის საქმისათვის საინტერესო საკითხს წარმოადგენს ის, თუ როგორი საზომით უდგებოდა ჩვენში წამოჭრილ მუშათა საკითხს ის ინტელიგენცია, რომელიც არ მალავდა თავის ბურჟუაზიულ მისწრაფებას და ფაბრიკა-ქარხნების გამართვაში დიდ ბედნიერებას ხედავდა ჩვენი წარმატების საქმისათვის. როგორც ზევით დავინახეთ, ამ ინტელიგენციას აინტერესებდა ფაბრიკების კარგად მოწყობისა და აყვავების საქმე და მუშათა საკითხს იმდენად ეხებოდა, რამდენადაც მუშათა საქმის მოწესრიგებას მოითხოვდა ფაბ-

---

[1]) სტ. გულიშამბაროვი: „ზოგიერთი რამ ჩვენს ეკონომიურ მდგომარეობაზე", „დროება", № 24, 1872 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიკისა და ქარხნების ინტერესები, ე. ი. კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარების საჭიროება. ზევით უკვე დავინახეთ, თუ პ. უმიკაშვილი, ერთ-ერთი თანამშრომელი ილია ჭავჭავაძის „საქართველოს მოამბისა“ (1863 წ.), რას სწერდა ფაბრიკა-ქარხნების განვითარების შესახებ საქართველოში. იმავე „დროების“ ფურცლებზე მოთავსებულია საინტერესო წერილი მირზოევის ფაბრიკის შესახებ პ.-ის ფსევდონიმით (შეიძლება იგივე პ. უმიკაშვილი იყოს). ამ წერილში ვკითხულობთ:

„დროების“ მკითხველებისათვის მეტი არ იქნება და, ვგონებთ, საჭიროც იყოს, რამ ხანდისხან ჩვენში გამართულ ფაბრიკებისა, ქარხნებისა და სახელოსნო ადგილების ვითარება შევატყობინოთ. ჩვენში ეხლა ასეთი დროა, რომ დღე დღეზე უეჭველად უნდა გახშირდეს სახელოსნო ადგილების, ქარხნების და ფაბრიკების გამართვა, რადგანაც შემძლებელი ფულიანი კაცები თავისთვის სარგებლობას ნახავენ ამ გვარს საქმის ხელმიყოფითა, ვიდრე მამა-პაპურ ჩვეულებისამებრ ფული სარგებლობით გასცენ. მეორეს მხრით ყოველი მოსავალი ჩვენშია, რომ ფაბრიკები გაიმართოს და საკმაო სარგებლობა მისცეს თავის პატრონსა. სხვა ქვეყანაში საიდან სად უნდა მიიტანონ მოსავალი (ე. ი. ნედლი მასალა. ს. ხ), რომ ფაბრიკაში გადააკეთონ გასასყიდათ. მაგალითად, ბამბა ამერიკიდან მიაქვთ ინგლისში, საფრანგეთში და რუსეთში და ფაბრიკები ჰქსოვენ სხვადასხვა ქსელითა. ჩვენში ბამბაც აქვეა, მატყლიცა და აბრეშუმიცა. ხალხის საჭიროებისათვის ბამბეული, მატყლეული და აბრეშუმეული (ე. ი. დამზადებული საქონელი. ს. ხ.) სხვა და სხვა ქვეყნებიდან შემოაქვთ. რასაკვირველია, რომ ადგილობრივად გამოსული საქონელი იაფად უნდა დაჯდეს. მაშასადამე, საცა ეს ორი გარემოებაა: ერთის მხრით საჭიროება და მეორეს მხრით ფულიანობა, ამისთანა ადგილას უეჭველად ფაბრიკები და ქარხნები უნდა გახშირდეს“[1]) (ხაზი ჩვენია. ს. ხ).

ჩვენში ფიქრობენ, რომ 60—70-იან წლებში საქართველოში შეუძლებელი იყო წარმოშობილიყო ბურჟუაზიული იდეოლოგია, რად-

[1]) წერილი: „რამოდენიმე უკანასკნელი ანბავი უფ. მირზოევის ფაბრიკაში“, „დროება“, № 15, 1872 წ.

გან არ არსებობდა ამისათვის ბურჟუაზიული ეკონომიური ურთიერთობა. ამ დებულებას აუცილებლად არღვევს მთელი რიგი იმდროინდელი ლიტერატურული ნაწერებისა, რომლებშიაც 60-იანი წლების ჩვენი მოღვაწეები იცავენ ვაჭრობა-მრეწველობის განვითარების საჭიროებას ჩვენში [1]). საიდან წარმოიშვა ეს იდეოლოგია და ასეთი ბურჟუაზიული მისწრაფება ჩვენი ინტელიგენციის ნაწილში, თუ ამისათვის ნიადაგი არ იყო ჩვენი ცხოვრების ეკონომიურ ურთიერთობაში? ჩვენ ვფიქრობთ, რომ 50—70-იან წლებში საქართველოში დაიწყო ნატურალური მეურნეობის მეტად საგრძნობი რღვევა და ამავე პერიოდში ჩვენი ქვეყანა კაპიტალისტური ურთიერთობის თავისებური მშობიარობის ტკივილებსაც განიცდიდა. აი აქ უნდა ვეძიოთ სოციალ-ეკონომიური საფუძვლები იმისა, რომ ჩვენში ბურჟუაზიული იდეოლოგია უკვე 60-იანი წლებიდან იწყებს აღორძინებას.

ზემოთ დასახელებული „დ რ ო ე ბ ი ს“ თანამშრომელი ნათლად გრძნობდა ფაბრიკა-ქარხნების მნიშვნელობას ჩვენი ცხოვრებისათვის. მაგრამ იგი არა მარტო ფაბრიკა-ქარხნების გამრავლებისა და მოწყობის საჭიროებას იცავდა, არამედ იმის გეგმებსაც აყენებდა, თუ როგორ გამრავლდეს მუშა-ხელი, პროლეტარიატი ამ ფაბრიკებისათვის. უდავო ფაქტად უნდა იქნეს მიჩნეული, რომ იმ პერიოდში ჩვენში გამოცდილი მუშა-ხელის პოვნა ძალიან ძნელი იქნებოდა; თვით მირზოევს მუშების მოყვანა ინგლისიდან მოუხდა. ასეთს გარემოებაში გამოცდილი მუშა-ხელის ნაკლებობა დიდ დაბრკოლებას შექმნიდა ფაბრიკის წარმოების საქმეში. ჩვენი ავტორი სწერს: „თუ ფაბრიკა იმართება ჩვენს ქალაქებში, უფრო თვით ქალაქის ხალხის იმედი უნდა ჰქონდეს ფაბრიკის გამმართელს. (მაგრამ) ქალაქის ღარიბი ხალხი ყოველთვის ხელოსნობას და ვაჭრობას ირჩევს. ყ ო ვ ე ლ თ ვ ი ს ა ც დ ი ლ ო ბ ს მ ა ლ ე ო ს ტ ა ტ ა დ დ ა ლ ო ც ო ნ რ ა მ ხ ე ლ ო ბ ა შ ი, რ ო მ პ ა ტ ა რ ა დ უ ქ ა ნ ი გ ა ი მ ა რ თ ო ს თ ა ვ ი ს თ ვ ი ს დ ა თ ა ვ ი ს უ ფ ლ ა დ ლ უ კ მ ა მ ო ი პ ო ვ ო ს“ (იქვე). ამრიგად, დამოუკიდებელი ხელოსანი და მისი შეგირდი ჩვენშიაც დამოუკიდებელი არსებობისაკენ მიისწრაფოდენ და ისე იოლად არ აპირებდენ დამოუკიდებლობაზე ხელის აღებას და ფაბრიკა-ქარხნების უღლის დადგმას, დამოკიდებულ პროლეტარად გადაქცევას. ეს, რასაკვირ-

---

[1]) ს. ხუნდაძე: „ქ ა რ თ ვ ე ლ ი ინ ტ ე ლ ი გ ე ნ ც ი ი ს პ რ ო ფ ი ლ ი მე-XIX ს ა უ კ უ ნ ე შ ი“.

ველია, იწვევდა მუშა-ხელის კრიზისს: გაწვრთნილი პროლეტარული რაზმის შექმნა მორიგ ამოცანად გადაიქცა ჩვენი მაშინდელი ფაბრიკებისათვის. ამას გრძნობდა ბურჟუაზიულად განწყობილი ინტელიგენცია და თავისებურ გეგმებსაც იძლეოდა. ყური ვათხოვოთ ჩვენს ავტორს. იგი სწერს:

„მაგრამ აქ ერთი მხარეც უნდა გვქონდეს მხედველობაში. ვინმემ გამართა ქარხანა, ამას ხომ მუშა კაცები მოუნდება. მუშა კაცი ჩვენს ქალაქებში იაფი (ავტორს უნდა სთქვას: - ბევრი. ს. ხ.) არ არის. დღეში უბრალო დღიური მუშა იღებს ექვსი შაურიდან ათ შაურამდე და სამ აბაზამდე, ესე იგი თვეში რომ ოთხი დღე კვირაუქმე გამოვიდეთ, 26 ან 27 დღისას თვეში იღებს შვიდ მანათ და ექვს შაურიდგან თექვსმეტ მანეთ და ერთ აბაზამდე. იმ სიძვირეს, რაც ჩვენშია, შვიდ მანეთს ნაკლებად ცხოვრება ერთი ადამიანისთვის შესაძლებელი აღარ არის, და აი ამიტომ კიდეც ჩვენს ქალაქებში დღიურათ მუშა კაცი ადგილობრივი ქალაქის მცხოვრებელი კი არ არის, არამედ გარეშე მოსული კაცი ოსმალეთიდგან და სპარსეთითგან. ამ მიზეზის გამო ეს მუშა ხალხი არასდროს ბინას არ იკეთებს ჩვენს ქალაქებში, რჩება ოთხი-ხუთი თვე... ამ გვარად ქალაქში თუ ვინმე ფაბრიკას ანუ ქარხანას მართავს, ამ გარემოებას დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს. ვისაც უნდა ფაბრიკის საქმე კარგად წაიყვანოს, კარგი ჯამაგირი უნდა აძლიოს მუშებსა, რომ კაი ოსტატი, გამჭოიახი ხალხი მიიზიდოს. თუ კაი ფასი არ მისცა მუშასა, ფაბრიკა წინ არ წავა იმის იმედით, რომ დღეს ერთ მუშას ვიყოლიებ და ხვალ სხვასაო. თუ მუშა კაცს ფასი არ დაახარბებს, რათ შევა ფაბრიკაში? ყოველი კაცი თავის სიკეთეს ეძებს, საცა მეტს სარგებლობას ნახავს, იქ მივა. ფაბრიკა თუ იმაზე მეტს არ მისცემს მუშა ხალხსა, რასაც ისე ხელობაში შოულობს, არას დროს ფაბრიკაში არ შევა, რადგან იქ მუშაობა მძიმე მუშაობაა. მუშას ყოველთვის იმედი აქვს, რომ ერთ დღიურ ლუკმას, გაჭირვებულ ლუკმას, საცა არის, იშოვნის. თუ ფაბრიკის გამმართველი ფიქრობს, რომ ამ გაჭირებულ ლუკმისაც განახევრება შეიძლება, მუშა მაშინვე თავს ანებებს ფაბრიკასა. დღიურ სარჩენ ლუკმას თუ ცოტასაც აკლებენ, მუ-

შაობა სწყდება იმ დრომდინ, სანამ ამ ლუკმას ისევ არ ულოლებენ მუშასა... ჩვენში ფაბრიკის გამმართველი თუ ამაებს ყურადღებას მიაქცევს, ძალიან შესცდება და ბევრსაც წააგებს"[1]). (ხაზი ჩვენია. ს. ხ.).

ჩვენ განგებ მოვიყვანეთ ასე ვრცლად ეს ციტატა, რომ მკითხველს ნათელი წარმოდენა შემუშავებოდა იმის შესახებ, თუ როგორ ფიქრობდა მუშათა საკითხის მოწესრიგებას ფაბრიკა-ქარხნებში ჩვენი ბურჟუაზიულად განწყობილი ინტელიგენცია. ავტორის გამოსაცალი წერტილი და უმთავრესი მიზანი ფაბრიკის ბედნიერება და მისი წარმატებაა. და სწორედ ამ მიზნისათვის ცდილობს იგი მოაწესრიგოს მუშათა საკითხიც: მიეცი მუშას კარგი ჯამაგირი, იგიც დასტოვებს თავის დამოუკიდებელ სახელოსნოს და შენს განკარგულებაში გამოცდილი ოსტატი იქნებაო — ასეთს რჩევას აძლევს ავტორი მირზოევსა და სხვა ფაბრიკანტებს. ამ გეგმებსა და რჩევაში ნათლად სჩანს ჩვენი ავტორის ბურჟუაზიული მისწრაფება და ინტერესები. ავტორს აღარ ეშინია ჩვენში მუშა ხალხის, პროლეტარიატის გამრავლებისა, როგორც ამას ჩვენ ქვევით დავინახავთ გრ. თარხან-მოურავისა, მ. ქიქოძისა და სხვების ნაწერებში; პირიქით, იგი ფაბრიკა-ქარხნებში დახელოვნებულ მუშათა მასების გამრავლების მომხრეა და გარკვეულ გეგმებსაც თხზავს, თუ როგორ გამოიყვანოს ფაბრიკანტმა თავისი სოროებიდან ოსტატი-ხელოსნები, როგორ მოსპოს მათში დამოუკიდებელი არსებობისადმი მისწრაფება. აქ მეტყველებს გარკვეული ბურჟუაზიული პროგრამა.

რომ სრული წარმოდგენა გვქონდეს მუშათა მაშინდელ მდგომარეობასა და მუშათა საკითხზე, აუცილებლად საჭიროა შევეხოთ აქ მუშათა იმ გაფიცვას, რომელსაც ადგილი ჰქონია 1872 წელს მირზოევისავე ფაბრიკაში[2]). ამ გაფიცვის შესახებ ვრცელ ცნობას გადმოგვცემს იგივე ავტორი „დროების" ფურცლებზე. ეს ცნობა საკვლევით მოგვყავს, რადგან დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი მუშათა კლასის წარმოებისა და ეკონომიური მდგომარეობის შესწავლის საქმისათვის 60 — 70-იან წლებში. „დ რ ო ე ბ ა"-შ ი ვკითხულობთ:

„რამდენისამე კაცისაგან გავიგონეთ, რომ წარსულ ორშაბათს, აპრილის 3-ს, მუშებს, საკუთრად ფეიქრებს, უარი უთქვამთ მუშაობაზე. აი რაში მდგომარეობს ამისი მიზეზი, რომელიც სხვადასხვა კა-

[1]) „დ რ ო ე ბ ა", № 15, 1872 წ.
[2]) გაფიცვას 1866 წელს ჰქონია ადგილი ტფილისის ერთ-ერთ ფაბრიკაში.

ცებმა გვიამბეს და დაახლოებით ვითომც ასე ყოფილა. აპრილის 3-ს საღამოზე ფულის დარიგების დროს, ფაბრიკაში გამოუცხადებიათ, რომ თითო თოფის ქსოვაზე ორ-ორ შაურს დაგიკლებთო. ეს ნიშნავს რომ ორი ანუ სამი აბაზის მაგიერათ მიეცემათ ექვსი ანუ ათი შაური (თოფზე 2 — 3 აბაზი ყოფილა ადრე). მაშინ ხმა არ ამოულიათ მუშებსა. 3-ს აპრილს დილით, მუშები რომ მოგროვილან, ერთად გამოსულან ფაბრიკიდან. პრიკაშჩიკების რჩევისათვის ყური არ უგდიათ: ყველა იმას იძახოდაო „არ ვიმუშავებთო, ერთ ლუკმა პურს სხვაგანაც ვიშოვითო“. როდესაც აყვედრიდენ თურმე პრიკაშჩიკები, რომ ლუკმა პურს ეს ფაბრიკა გაქმევსთო, მუშები უპასუხებდნენო „თუ აქამდინ ეს ფაბრიკა არ იყო, მშივრები როდი ვიხოცებოდითო“. მუშაობით ორიოდ საქსოვ მაშინას გარდა სხვა მუშაობა არ ყოფილა. საუზმის დროს 9 საათზე თვითონ მმართველი მოსულა და მუშები ქუდმოხდილები მიჰგებებიან. მცირე ლაპარაკის შემდეგ მმართველს გადაჭრით გამოუცხადებია, რომ „ვისაც ხელს მოგცემს იმუშავეთ, ვისაც არა და წადით, საცა თქვენი ნება იყოსო!“... სხვათა შორის უფ. მირზოევი ხშირათ თურმე არიგებს მუშებსა და ეუბნებაო, რომ ეს ფაბრიკა საწყალ ხალხისთვის გავმართეო, რომ ლუკმა პური მოიპოვოთო. ამ დარიგებისათვის ჩანს ყური არ უგდიათ, რომ მთელი კვირის განმავლობაში თითქმის ნახევარი ფაბრიკა არ მუშავობდაო და საუკეთესო ფეიქრები სრულებით გასულან. საზოგადოთ უკანასკნელ დროს სამწუხარო ამბები გვესმის ფაბრიკაზე. მაგალითად, ამ ერთი თვის წინად შევიტყვეთ, რომ რამდენიმე ხანი მუშაობა შეუწყვეტიათ იმ მიზეზის გამო, რომ საქსოვ მაშინას რაღაც ნაწილები დაკლებია და სანამ ეს იარაღები ინგლისიდან მოუვიდოდათ, მუშები ცუდათ იყვნენო.... ჩვენის მხრით მირზოევის ფაბრიკისათვის ვისურვებთ წარმატებასა, რადგანაც, როგორც გვესმის, ღარიბების შემწეობისათვის გაუმართავსო“[1]).

ჩვენ ამჟამად არ შევდივართ მირზოევის ფაბრიკაში მომხდარი გაფიცვის დეტალურად განხილვაში. ზემოთ მოყვანილი ცნობები ნათლად გვიმტკიცებს იმას, რომ 70-იან წლებში მუშათა საკითხი უკვე წამოჭრილი ყოფილა ჩვენში და ჩვენი ინტელიგენციის სხვადასხვა მიმდინარეობებმა თავისებური პასუხი გასცეს ჩვენი ცხოვრების ამ ახალ საკითხს. ქვევით შეეცდებით გავარკვიოთ სოციალისტურად განწყობილი ინტელიგენციის შეხედულება ამავე საკითხზე.

---

[1]) „დროება“, № 15, 1872 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. კამათი ლასალის თეორიების გარშემო

მაგრამ არა მარტო აღნიშნული დოკუმენტები, არამედ პრინციპიალური ხასიათის წერილებიც ამტკიცებს ჩვენ მიერ წამოყენებულ დებულებას, რომ ინტელიგენცია დაინტერესებული იყო მუშათა საკითხით. აი, მაგალითად, რას ვკითხულობთ „დროების“ ერთ მოწინავე წერილში:

„რა არის მიზეზი მუშა ხალხის სიღარიბისა? სიღარიბის, როგორც სხვა ყოველგვარი კაცობრიობის უბედურობის მიზეზი ქვეყანაზე არის ქონებისა და ცოდნის უთანასწოროდ გავრცელება (ხაზი რედაქციისაა). იმ დროს, როდესაც ერთი ისე მდიდარია, რომ არ იცის, როგორ მოიხმაროს თავისი სიმდიდრე, ათასი სხვა უსახლკარობისა და შიმშილისაგან კვდება; იმ დროს, როდესაც ერთი სწავლული და მცოდნეა და ამით პოულობს საცხოვრებელს ღონისძიებას, ათი ათასი სხვა უბედურებაში და ცრუმასწმენლობაშია ჩავარდნილი! — თუნდ იმავე ინგლისში, ჩვენ ვხედავთ, რომ მთელი მიწები რამდენსამე ათ პირს ეკუთვნის და დანარჩენი სოფლის ხალხი კი ხიზნათ სცხოვრობს სხვის ბინაზე, რომლიდგანაც პატრონს ყოველთვის შეუძლია აყაროს. ქალაქის მუშა დილიდან საღამომდე რომელსამე ფაბრიკაზე მუშაობს და იმის შრომით სარგებლობს ფაბრიკის პატრონი, რომელიც, ამ რიგათ, სხვისი შრომით მდიდრდება. ცოტათ თუ ბევრათ ყველგან ამნაირათაა ახლანდელ დროში განწყობილი ადამიანის ცხოვრება და რა გასაკვირია, რომ ქვეყანაზე ღარიბები მოიპოვებიან?[1]) (ხაზი ჩვენია. ს. ხ.).

ქართული აზროვნების შესწავლის და სოციალისტური იდეების გავრცელების ისტორიისათვის ზემოთ მოყვანილ წერილს მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს: აქ შეზავებულია ელემენტები როგორც მეცნიერული სოციალიზმის, რომელიც ჩვენში უმთავრესად ლასალის ნაწერების ზეგავლენით მომდინარეობდა, ისე უტოპიური სოციალიზმისა. წერილის აზრით, სიღარიბეს ჰქმნის:

---

[1]) მეთაური წერილი: „რა მოსპობს სიღარიბეს?“, გაზ. „დროება“, № 27, 1871 წ.

ა) ქონების უთანასწორო განაწილება მცხოვრებთა შორის, რაც იწვევს სიმდიდის დაგროვებას მცირე ნაწილის მხარეზე და სიღარიბეს მეორე მხარეზე. პირველი მდიდრდება სხვისი შრომით, ე. ი. შრომის ექსპლოატაციას ეწევა. ეს დებულებანი მეცნიერული სოციალიზმის, მარქს-ენგელსის მოძღვრების მთავარ დებულებებს შეადგენენ, რომელსაც ლასალიც იზიარებდა და რომლისაგანაც, როგორც ქვევით დავამტკიცებთ, გადმოიტანა იგი ჩვენში ინტელიგენციის სოციალისტურმა ნაწილმა. აღსანიშნავია, რომ ავტორს კაპიტალისტური ფორმა „ცოტად თუ ბევრად“ გავრცელებულად მიაჩნია „ახლანდელ დროში“ (1870-იან წლებში) მთელს ქვეყანაზე, მაშასადამე, საქართველოშიაც.

ბ) მაგრამ გაზეთი სიღარიბის მიზეზს ეძებს არა მარტო ქონებრივ უთანასწორობაში, ეკონომიურ მომენტში, არამედ ცოდნის უთანასწორო გავრცელებაშიაც. აქ კი ნათლად სჩანს ევროპის უტოპიური სოციალიზმის გავლენა.

მაგრამ "დროების" მოწინავე წერილების ავტორი განსაკუთრებით ლასალის მოძღვრების დიდ გავლენას განიცდის. ავტორს ნათლად შეუთვისებია ლასალის მთელი სოციალური ფილოსოფია, მისი ეკონომიური შეხედულებანი და საწარმოო ასოციაციების იდეაც. აღსანიშნავია, რომ შრომის საკითხის გარჩევის დროს იგი გადაჭრით იყენებს ლასალის ეგრეთწოდებულ შრომის ხელფასის რკინის კანონს (железный закон заработной платы).

ჯერ ყური ვათხოვოთ დროების მოწინავეს. იგი სწერს:

„საპოლიტიკო ეკონომიის მეცნიერებაში ნათლად დამტკიცებულია, ჭეშმარიტებათ ითვლება ის აზრი, რომ მუშა-კაცის დღიური ქირა არც მატულობს და არც კლებულობს (ხაზი რედაქციისაა. ს. ხ.).

კაცობრიობის ცხოვრება იმნაირათაა ახლა გამართული, რომ მუშა ხალხს საზოგადოთ თითქმის სწორედ იმდენი დღიური ქირა ეძლევა თავის შრომისათვის, რამდენიც იმისათვის აუცილებელი საჭიროების დასაკმაყოფილებლად საჭიროა. ხანდისხან მოხდება, რომ მუშას ამ თავის აუცილებელ საჭიროების დასაკმაყოფილებელ ქირაზე ცოტა მიმატებული ეძლევა; მაგრამ ამაზე უფრო ხშირად ისეთი შემთხვევები მოხდება, რომ თავის შრომით მუშა თითქმის ვერ აკმაყოფილებს ყველა თავის ბუნებით მოთხოვნილებას, როგორც, მაგალითად, სიმშილს, წყურვილს, სიცივისაგან და ავდრისაგან სადმე

თავის შეფარვას და სხვა; მაგრამ საზოგადო კანონი მაინც ისევ რჩება, რომელიც ზევით მოვიყვანეთ“ [1]).

აქ მოყვანილი ციტატა პირდაპირ გადმოღებულია ლასალის ნაწერებიდან. რკინის კანონის შესახებ ლასალი სწერს:

„ეხლანდელ ურთიერთობაში, შრომის მოთხოვნის და წინადადების ბატონობის დროს, მუშის ქირას განსაზღვრავს შემდეგი რკინის კანონი: საშუალო სამუშაო ქირა ყოველთვის და უეჭველად უდრის იმ აუცილებელს, რომელიც, ხალხის ჩვეულების მიხედვით, საჭიროა არსებობისა და გამრავლებისთვის. აი წერტილი, რომლის ირგვლივაც ტრიალებს ნამდვილი დღიური ქირა: ეს ქირა, როგორც საათის საქანი, არასოდეს ხანგრძლივად არ იწევს მასზე ზევით და არასოდეს ხანგრძლივათ არ ეშვება მასზე ქვევით“ [2])

ლასალის განმარტებით, თუ დიდი ხნის განმავლობაში გაგრძელდა შრომის ქირის საშუალო დონეზე ზევით აწევა, ეს გამოიწვევს მუშების გამრავლებას, რაც თავის მხრით დაბლა დასწევს შრომის ქირას; თუ შრომის ქირა დონიდან დაბლა დაიწევს, ეს თავის მხრით გამოიწვევს მუშების სიღატაკეს და მუშა-ხელის შემცირებას, რასაც თავის მხრით მოჰყვება შრომის ქირის აწევა ისევ საშუალო დონემდე [3]);

ამ კანონს სიტყვა-სიტყვით აშუქებს მეთაურის ავტორი. მისი აზრითაც, „მომხმარებელ საზოგადოებათა“ საშუალებით შესაძლებელია მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესება, მაგრამ ეს დროებითია. ავტორი დაასკვნის:

„ცხადია, რომ მუშა-ხალხი ყოველგვარ იმ ქვეყანაში მიდის სამუშაოდ, სადაც მისი შრომა უკეთ იქნება დასაჩუქრებული, ე. ი. სადაც იმას მომატებული ქირის აღება და უკეთ ცხოვრება შეეძლება. ამით, რასაკვირველია, ისარგებლებენ ფაბრიკანტები, მამულის პატრონები და საზოგადოთ ისეთი პირები, რომელთაც მუშის შრომა სჭირდებათ; გაჩნდება ის სოციალური სენი, რომელსაც „კონკურენციას“ ეძახიან, ე. ი. შეიქნება ქიშპობა. ფაბრიკანტი ან მამულის პატრონი მხოლოდ იმ მუშებს დაიქირავებს, რომელნიც დღეში თხუთმეტ შაურის მაგივრად ათ შაურათ იმუშავებენ. მუშებმა, რასაკვირველია, თუ სულ ულუკმა-უპუროთ არ უნდათ დარჩენა, უთუოდ უნდა დაუკლონ ქირას“.

---

[1]) მოწინავე წერილი: „მომხმარებელი საზოგადოებები ხალხისათვის სასარგებლო არიან თუ არა?“ „დროება“, № 22, 1871 წ.

[2]) Соч. Лассаля, т. II. გვ. 67.

[3]) ლასალის თხზულებანი, ტ. II. გვ. 67. რუს. გამოცემა.

ცოტა ქვევით სწერს: „აქედან ყოველ კაცს ცხადათ შეუძლია გამოიყვანოს ის, რომ რადგან ბევრი იბადება, ხალხი მრავლდება და მაშასადამე მუშა-ხალხიც მატულობს, მუშა-ხალხის მომატებისაგან კი კონკურენცია (მუშების) და დღიური შრომის ქირის დაკლება წარმოსდგება“ [1]).

ასეთია „დროების“ თანამშრომელთა შეხედულება შრომის ხელფასის შესახებ. იგი სავსებით ეთანხმება ლასალის „რკინის კანონის“ თეორიას. ცხადია, ლასალს ერთგული დამცველი ჰყოლია ჩვენში ჯერ კიდევ 60-იანი წლების მიწურულებში. მაგრამ მარტო ამ ეკონომიური საკითხით არ ამოიწურება ლასალის გავლენა ჩვენს ავტორზე: ლასალის სოციალური პროგრამაც სავსებით მისაღები შეიქნა ჩვენი ავტორისათვის.

ლასალის „რკინის კანონის“ საზომით ჩვენმა ავტორმა დაიწუნა „მომხმარებელ საზოგადოებათა“ პროექტი: იგი, ავტორის აზრით, მხოლოდ დროებით აუმჯობესებს მუშა ხალხის მდგომარეობას და მისი რადიკალურად გარდაქმნა მას არ შეუძლია. მაშ რაში გამოიხატება ეს რადიკალური საშუალება?

ავტორი მომხრეა სილარიბის პრობლემის არა ზერელედ გადაწყვეტის, არამედ მისი საფუძვლიანად შეცვლის. იგი სწერს:

„დღემდე სილარიბის მოსპობას საზოგადოება მხოლოდ ფილანტროპიით აპირებდა, მაგრამ ახლა საუკეთესო ხალხის სენის ექიმებმა და ყველაზე უკეთ თვით ღარიბებმა გაიგეს, რომ ფილანტროპია — ისეთი წამალია, რომელიც არა თუ ძირითადათ არ მოსპობს სილარიბეს, მაგდენათ ვერც შეასუმბუქებს იმას. მუშა ხალხი მიხვდა, რომ იმათი მდგომარეობის გაუმჯობესობას ხელ-ფეხზე მალამოს დადება კი არ მოუხდება, არამედ თვითონ ამ სენის მიზეზის სათავის გაგება და იქ წამლობა“ [2]).

ზევით ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ავტორი სილარიბის მთავარ მიზეზს ქონებისა და ცოდნის უთანასწოროდ განაწილებაში ხედავდა. აქედან ნათელი უნდა იყოს ავტორის სოციალური კრიტიკის მთავარი დებულება, მისი სოციალური კონცეპციის გამოსავალი აზრი. ავტორი აკრიტიკებს არსებულ ეკონომიურ წყობილებას არა აბსტრაქტული ცნების — ზნეობის და

---

[1]) „დროება“, № 22, 1871 წ.
[2]) „დროება“, № 27, 1871 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამართლიანობის — საზომით, არამედ „ეკონომიური კანონების“ საზრისით. თუ რაში გამოიხატება ეს „ეკონომიური კანონები“, ამას შემდეგი ციტატიდან გავიგებთ. „დროება“ მოწინავე წერილში ამბობს:

„მკითხველი უჩვენოთაც გაიგებს იმ ეკონომიურ ჭეშმარიტებას, რომ, რაც უფრო მომეტებული მწარმოებელი, ანუ მშრომელი არის რომელსამე საზოგადოებაში, ან ქვეყანაში, მით ეს ქვეყანა და საზოგადოება უფრო ბედნიერი და წარჩინებულია ყოველი მხრითა. რასაკვირველია, ჩვენ ვიგულისხმებთ აქ ისეთს მწარმოებლებს, რომელთ შრომა და ნაწარმოები საგნები პირდაპირ გამოსადეგია საზოგადოებისათვის. მეორე მხრით, რაც უფრო მეტია მარტო მომხმარებელი და ნაკლები მწარმოებელნი, სხვანაირათ ვთქვათ, რაც უფრო მეტი მუქთი მშრომელი და მუქთა-მჭამელია საზოგადოებაში, მით ეს საზოგადოება უფრო ღარიბი და უკან დაწეული იქნება. ამიტომაც კაცობრიობა სრულ ბედნიერებას მხოლოდ მაშინ მიაღწევს, როდესაც ყოველი ადამიანი იმდენს მოიხმარს თავის ცხოვრებისათვის, რამდენსაც თვითონ მოიწევს, რამდენსაც იმუშავებს. სანამ ერთი ნაწილი საზოგადოებისა მუშაობს, ოფლს ღვრის და მეორეკი გულ-ხელ დაკრეფილი, მუხლ-მოკეცილი ზის და ამ მშრომელის ნაოფლარსა სჭამს, მანამ ამ საზოგადოების კეთილდღეობა შეუძლებელი საქმეა. ეს არის ეკონომიური კანონი, ეკონომიური ჭეშმარიტება“[1]) (კურსივი ჩვენია. ს. ხ.).

ამ თავისი ეკონომიური კრიტიკითაც ჩვენი ავტორი ებჯინება ევროპის უტოპიურ სოციალიზმს და არც ლასალისაგან სდგას შორს. მაგრამ ლასალის გავლენა განსაკუთრებით გამოიხატა მომხმარებელ საზოგადოებათა კრიტიკაში და მწარმოებელ საზოგადოებათა უპირატესობის აღიარებაში. როგორც ვიცით, ლასალი აკრიტიკებდა მომხმარებელ საზოგადოებას „შრომის ქირის რკინის კანონის“ საზომით და ამბობდა, მას მხოლოდ დროებით შეუძლია გააუმჯობესოს მუშის მდგომარეობაო. სამაგიეროდ მწარმოებელი ასოსიაციების შესახებ ლასალი სწერდა:

---

[1]) მოწინავე წერილი: „მომხმარებელი და მწარმოებელი საზოგადოებები“, „დროება“, № 4, 1871 წ.

„ერთადერთი საშუალება მუშების, როგორც მწარმოებლების, ამაღლებისა არის მათი გადაქცევა თავიანთ საკუთარ წამომწყებლებად, განსხვავების გაუქმება საწამომწყებო მოგებასა და სამუშაო ქირას შორის და ამ უკანასკნელის შეცვლა მუშის შრომის ნამდვილი პროდუქტით. ამისთვის საჭიროა დაარსება თავისუფალი მწარმოებელი ასოციაციებისა სახელმწიფო კრედიტით და სახელმწიფო კონტროლის ქვეშ. მხოლოდ ამ გზით იქნება შესაძლებელი მუშების განთავისუფლება სამუშაო ქირის რკინის კანონის ჩაგვრისაგან“.

ლასალის მწარმოებელი ასოციაციების კონცეპციას სავსებით იზიარებს ჩვენი ავტორი, იგი სავსებით ლასალის სამეურნეო პროგრამის ნიადაგზე სდგას. აბა ყური ვათხოვოთ. ავტორი სწერს:

„იმ მუშას, რომელიც შეიძლება დღეში სამი მანეთის საქმეს აკეთებს, ბევრი-ბევრი, მექარხნე მანეთს თუ მისცემს, დანარჩენი თავისი კაპიტალის სარგებლად მიაქვს.

„წარმოიდგინეთ ახლა, რამდენი შემოსავალი ექნება იმ მექარხნეს, რომელის ფაბრიკაში მრდამ დღე ორი ან სამი ათასი კაცი მუშაობს. ახლა ისიც წარმოიდგინეთ, რამდენათ გაკეთდებოდა მუშა ხალხის მდგომარეობა, ნამდვილი ფასი თავიანთი შრომისა რომ სრულათ ეძლეოდეთ იმათა[1]).

„მწარმოებელი საზოგადოების“ დანიშნულებაც ის არის, მუშა-ხელს მიეცეს შეძლება თავის შრომის ღირსეულად დასაჩუქრებისა. ევროპაში რამოდენიმე „მწარმოებელი საზოგადოება“ არის და ყველა იმათგანის მაგალითი გვიმტკიცებს, რომ ისინი ბევრად უფრო გამოსადეგნი არიან მუშა ხალხისათვის, ვიდრე „მომხმარებელი საზოგადოებები“.

„მაგრამ ამნაირი საზოგადოებების გამართვას ბევრი დამაბრკოლებელი მიზეზები უდგას წინ. პირველი და უმთავრესი დაბრკოლება ის არის, რომ ახლანდელ დროში თითქმის ყველა მუშა-ხელი ძალიან ღარიბია; მაშასადამე, ის ვერ მოახერხებს იმდენი ფულების შეკრებას, რომ ამ ფულებით საკუთარი ქარხნებისა და ფაბრიკების გახსნა შეეძლოს. ამ შემთხვევაში, როგორც ლასალიც ურჩევს, სა-

[1]) გაიხსენეთ უტოპისტების დებულება: „მუშის უფლება თავის შრომის სრულ პროდუქტზე“.

ხელმწიფო ვალდებულია ხელი მოუმართოს მუშა ხალხს, თორემ მარტო საკუთარი ღონის ძიებით მუშა ხალხი ვერ შეიძლებს კაპიტალისტური დამოკიდებულებისაგან განთავისუფლებას“ [1]).

მეორე წერილში ვკითხულობთ:

„ამნაირად ჩვენ ვხედავთ, რომ „მომხმარებლების დუქნების“ წყალობით, ხორაგისა და სხვა-საჭირო ნივთების გაიაფებას სრულიად არ მოსდევს თან მუშა-ხალხის კეთილდღეობა, რადგან იმათი დღიური ქირა საჭირო ნივთების გაიაფებისა და გაძვირებისთანავე კლებულობს და მატულობს. ვისაც ამ საინტერესო საგნის უფრო ვრცლად და ნათლად გაცნობა ჰსურს, იმას ჩვენ ვურჩევთ განსაკუთრებითი ყურადღება მიაქციოს იმ გაცხარებულ პოლემიკას, რომელიც რამოდენიმე წლის წინათ გერმანიაში იყო — შულცე-დელიჩსა და ლასალს შუა. მარტო ლასალის თხზულებების პირველი წიგნიდანაც (რომელიც შარშან გამოვიდა პეტერბურგში)[2]) მკითხველი ძალიან კარგად და ყოველი მხრით გაიცნობს იმ საგანს და დარწმუნდება მუშებისათვის მომხმარებელი საზოგადოებების უვარგისობაზე“[3]).

ჩვენ განგებ ამოვწერეთ ვრცლად ეს ადგილები „დ რ ო ე ბ ი ს“ ფურცლებიდან, რომ დაგვემტკიცებია (უტოპიურ სოციალიზმთან ერთად) ლასალისტური სოციალიზმის გავლენა ჩვენი ინტელიგენციის ნაწილზე: ვფიქრობთ, რომ ზემოთ მოყვანილმა ციტატებმა საკმაოთ ნათელი მოჰფინეს ამ საკითხს. ლასალს თავისი მიმდევარი ჰყავდა საქართველოში; როგორც მისი ეკონომიური თეორია, ისე სოციალური პოლიტიკა მუშათა საკითხში საწარმოო ასოციაციების უკრიტიკოდ მიიღო „დ რ ო ე ბ ი ს“ თანამშრომელმა და გადმოიტანა იგი ჩვენს პრესაში. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ჩვენი ავტორი არ ერიდება და საკმაოთ იზიარებს ლასალის თეორიას საწარმოო ასოციაციების მოწყობის საქმეში სახელმწიფოს დახმარების შესახებ, ე. ი. საქათველოს სინამდვილეში ამ ასოციაციების მოწყობის საქმე უნდა მომხდარიყო რუსეთის რეაქციონური ხელისუფლების დახმარებით. რასაკვირველია, ეს მიუღებელი უტოპია იყო, მაგრამ ეს ფაქტი, ე. ი. სახელმწიფოს როლის აღიარება ასოციაციების მოწყობის საქმეში, ააშკარავებს იმ გარემოებასაც, რომ ჩვენს ავტორს კავშირი ჰქონდა გაწყვეტილი რუსულ

[1]) „დროება“, № 4, 1871 წ.

[2]) ავტორს მხედველობაში აქვს ლასალის თხზულებანი, 1870 წელს ორ ტომად გამოცემული ზაიცერის მიერ.

[3]) „დ რ ო ე ბ ა“, № 22, 1871 წ.

ნაროდნიკულ სოციალიზმთან და საქართველოს შველას ევროპის ნიადაგზე შემუშავებული სოციალისტური სისტემით ცდილობდა.

ლასალის ეკონომიურ და სოციალურ თეორიებს 70-იან წლებში, ანტონ ფურცელაძის სახით, თავისი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა საქართველოს ნიადაგზე. ანტონ ფურცელაძეს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ჩვენი სოციალისტური აზროვნების ევოლუციაში, როგორც ნაროდნიკული სოციალიზმისა და ევროპის უტოპიური სოციალიზმის შემაერთებელს. ამიტომ მის სოციალისტურ შეხედულებათა შესწავლა ცალკე თავს თხოულობს. აქ კი უნდა შევეხოთ მის შეხედულებას ლასალის თეორიების დაფასებაში, ვინაიდან ამ განყოფილებაში ჩვენ უმთავრესად ამ საკითხს ვეხებით, ამიტომ ლასალის თეორიების მოწინააღმდეგენიც ამ თეორიების მომხრეთა განხილვასთან დაკავშირებით უნდა იქნენ შესწავლილი.

ანტონ ფურცელაძის წერილი საპოლემიკო ხასიათისაა და მიმართული იყო „დროების" თანამშრომლის წინააღმდეგ.

ლასალის თეორიების შეფასებაშიაც გარკვევით სჩანს ანტონ ფურცელაძის ნაროდნიკული გადახრა. როგორც ზევით აღვნიშნეთ, „დროების" თანამშრომელი ლასალის „რკინის კანონის" თეორიის საზომით აკრიტიკებდა მომხმარებელ საზოგადოებათა ასოციაციებსაც და მუშების გაუმჯობესების საქმეში უპირატესობას ანიჭებდა მწარმოებელ ასოციაციებს. ანტონ ფურცელაძეს საკითხის ამ სახით დაყენება არ მიაჩნდა საქართველოს სინამდვილეში მიზანშეწონილად. „მნათობის" ფურცლებზე იგი ეკამათება „დროების" თანამშრომელს და ვრცლად გადმოგვცემს ლასალისა და შულცე-დელიჩის გეგმებს[1]). აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ანტონ ფურცელაძემ თითქმის გაიგო ლასალის როგორც სოციალური სისტემა, ისე ის სოციალური საფუძვლები, რომლებზედაც აღმოცენდა ლასალის თეორია. ანტონ ფურცელაძე სწერს:

„მუშების საძაგელი მდგომარეობა დიდი ხანია აღელვებს ევროპას და ამყოფებს ნიადაგ შიშში. მუშები დიდი ხანია ჰგრძნობენ, რომ ყველა წოდებათ იომეს თავის სიმართლისათვის და შეიძინეს, რასაც ელტოდნენო და ახლა ჩვენი დრო მოსულაო. ყოველთვის ამ გვარად ძლევდა სიგნალს თავის სიმართლის აღსადგენისათვის, რო-

---

[1]) ანტონ ფურცელაძე: „ათი მტერს, ერთი მოყვარეს", ჟურნალი „მნათობი", გვ. 192 — 204, 1872 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გორც ამ ბოლო დროს კომუნის ბრძოლით, საფრანგეთი. მაგ-
რამ რადგან შესაფერი მომზადება მუშებს არ ჰქონდათ, ძლევა რჩე-
ბოდა და რჩებათ ისევ იმ წოდებათ, რომელთაც ხელში აქვთ მუშე-
ბის სული.

„რომ ამგვარი აღელვება მუშების ერთხელ და ერთხელ არ გა-
დასულიყო ზომას და არ მოსწრებოდა ევროპა საშინელს სისხლის
ღვარს, რომელიც მოსდევს, თუ მუშებმა ერთად მოიყარეს თავი, შეჰ-
კრეს პირი და ასტეხეს ბრძოლა, დაიწყეს მრავალი იმგვართ
ღონის-ძიებათ მოგონება, რომლითაც შესაძლებელი
ყოფილიყო მშვიდობიანათ გაეთავებიათ მუშების
და მეპატრონეების საქმე. ამგვარ პირთ ეკუთვნო-
დნენ შულცე-დელიჩი და ლასალი[1])“ (ხაზი ჩვენია. ს. ხ.).

მართლაც, მიუხედავად იმისა, რომ ლასალს არ აკლდა რევო-
ლუციონური პათეთიზმი, მისი სოციალური გეგმები არსებითად მშვი-
დობიანი ხასიათისა იყო და რეფორმისტული სოციალიზმის ერთ-ერთ

---

[1]) ანტ. ფურცელაძე: „ათი მტერს, ერთი მოყვარეს“, ჟურნალი „მნათობი“, (აგვისტო) გვ. 193, 1872 წ.

შულცე-დელიჩის საწინააღმდეგოდ 1875 წელს ფურცელაძე სწერდა:

„მამა ამ სასოფლო და სახელოსნო ბანკებისა არის ნემენცი, შულცე-დელიჩი. შულცე-დელიჩი ეკუთვნის იმგვართ პირთა, რომელთაც უნდათ, რომ ხალხი საკუთარის ღონისძიებით დააყენონ იმ წრეზედ, რომ იმათ არ უჭირდეთ არც სახელმწიფოს დახმარება, არც მოუნდეთ აღრეულობით ახლანდელთ წესების დარღვევა და გადაგდება, რომ ამითი ახალი და საუკეთოსო წესი დაჰბადონ. ერთის სიტყვით, იმას უნდა, რომ დღევანდელი სახელმწიფო და საზოგადო წესი და წყობილებანიც დარჩნენ და ხალხიც კეთილ დღეობაში იყვეს. უკეთა ვსთქვათ, უნდა არც მწვადი დასწვას, არც შამფური დამოაზდინოს შეუძლებელი საქმე.

„ჯერ მარტო ამგვარი აზრის აღება თავში და ამგვარი საქმის შედგომა ამტკიცებს, რა ღრმა ჭკუის კაციც უნდა იყვეს ისა, თუ ეს არ მოსდის იმას სათაღლითოთ.

„ჩვენ ძალიან შორს წაგვიყვანდა იმისი დამტკიცება, თუ რაოდენათ შეუ-
ძლებელია ამგვარი შულცე-დელიჩისა და მის მსგავსი კა-
ცების აზრის შესრულება, რომ დღევანდელს წესსა და წყო-
ბილებაში შესაძლებელი იყვეს საყოველთაო ბედნიერება
და კეთილ დღეობა, ჩვენ მხოლოდ განვიხილთ მოკლეთ, რა და ვის მოუ-
ტანა შულცე-დელიჩის და მის მიმადევრების ბანკებმა სარგებლობა. („გუთნის
დედა“, № 1, 1875 წ. წერილი: „რამოდენიმე სიტყვა სასოფლო-სამეურნეო ბან-
კებზედ“).

ვარიაციას წარმოადგენდა. არსებითად მისი „მწარმოებელი ასოციაციის“ პროექტი, რომელშიაც გადამჭრელ როლს ბურჟუაზიულ-ბიუროკრატიული სახელმწიფოც თამაშობდა, ხელს უწყობდა მუშათა კლასობრივი თვითშეგნების შესუსტებას და კაპიტალისტებთან შერიგებას. ეს თითქმის ესმოდა ა. ფურცელაძეს, მაგრამ ანტ. ფურცელაძეს არც „რკინის კანონი“ და არც მომხმარებელ საზოგადოებათა ასოციაციების უარყოფა არ მიაჩნია საფუძვლიანად ჩვენი სინამდვილისათვის. იგი სწერს:

„ჩვენა ვთქვით, რომ ამ ფაბრიკის ქვეყნებში ძალიან ბევრნი არიან მუშები, რომელნიც სრულებით არიან მოკლებული საკუთრებას. ამასთან ჩვენ ვსთქვით, რომ გერმანიაში უმიწო ხალხი დიდძალია. ჩვენში უსაკუთრო, უმიწაწყლო ხალხი ძალიან მცირეა, სოფლებში ხომ იშვიათია. ფაბრიკები, რაც ეხლა არ გაიხსნა ერთი თუ ორი, სულ არ არის, მაშასადამე, ქარხნის მუშები ჩვენში უნდა იყვნენ ძალიან მცირენი, ის მუშები, რომელთაც არ უნდა ჰქონდეთ, გარდა ფაბრიკაზედ სამუშაოსი, სხვა ღონის-ძიება“ [1]).

აქ გამოთქმული მოსაზრება ფურცელაძისათვის არის გამოსავალი წერტილი, რომლითაც ის, ერთის მხრით, უარყოფს „რკინის კანონის“ არსებით მნიშვნელობას ჩვენში და, მეორეს მხრით, არსებითად მნიშვნელობას ანიჭებს მომხმარებელ საზოგადოებასაც, წინააღმდეგ „დ რ ო ე ბ ი ს“ თანამშრომელის მოსაზრებისა, რომელიც, „რკინის კანონის“ თეორიის მიხედვით, გადამჭრელ მნიშვნელობას ანიჭებს მწარმოებელ ასოციაციას. ეს აღსანიშნავი მომენტია. აქ პირველად ეჯახება ნაროდნიკული სოციალიზმი ევროპის ნიადაგზე აღმოცენებულ სოციალიზმს. ფურცელაძე განაგრძობს:

„ამის გამო ის რკინის კანონი, რომელიც ლასალს მოჰყავს შესახებ სამუშაო ფასის ერთ წერტილზედ ტრიალისა, რომელიც უმტკიცებს შულცეს, რომ ამ კანონის ძალით შენი ასოციაციები (მომხმარებელი) ვერ შეასრულებენ მუშების სრულს საწადელსაო, არის უფრო ძლიერი ამ უსაკუთრო ქვეყნისათვის“ [2]). ჩვენში კი სხვა ეკონომიური და სხვაგვარი პირობებია. ამიტომ აქ არ მოქმედებს რკინის კანონი, უკეთ, იგი არ არის საშიშარი... „გერმანიაში მუშა ხალხი არის დამოკიდებული მამულის პატრონებისგან და მეთანხეებზედ.

[1]) „ათი მტერს, ერთი მოყვარეს“
[2]) იქვე.

Комартия Библиотека

აქ კი მომეტებული ნაწილი არის თვით საკუთრების პატრონი. მაშასადამე, თავის თავზედ დამოკიდებული". აქედან ცხადია, რომ გერმანიაში მუშების რიცხვის გამრავლება აუცილებლად იწვევს სამუშაო ფასის დაცემას, აქ კი ამას ადგილი არ ექნება; პირიქით, მომხმარებელი ასოციაცია ძლიერ დაეხმარება ყერძო მესაკუთრის გამდიდრებასა და გამრავლებას. „ჩვენი სილარიბე შესდგება ჩვენი სიმცირის გამო, რომ არა გვაქვს საკმაო მუშა-ხელი. ამასთან ისევ სილარიბით გამრავლებას, შეძლებით გამრავლდეს ისა სჯობია. რაც შეეხება იმას, რომ გერმანიაში (მუშების) გამრავლებით სამუშაო ფასი აკლდებათ (მუშებს) და ისევ იმ (გაჭირვებულ) მდგომარეობაში უნდა ჩაცვივდნენ, ჩვენში საკუთრების პატრონები თითონ არიან და მაშასადამე თუ მოხერხდება და გარჯა ექნებათ, თავისი შრომის ფასი თავის თავზედ იქნება დამოკიდებული და არა სხვაზე (კაპიტალისტებზე), რომელიც რაკი ბევრს შემთხოვნელთ (მუშებს) დაგინახავთ, მოგიკლებთ ფასსა. ამასთან იქ (გერმანიაში) მოჭარბებულია მუშა ხელი. აქ (საქართველოში) ძალიან მცირეა და გვაკლია". აქ უკვე გარკვევით სჩანს ის სოციალური გზა, რომელსაც ეყრდნობოდა ა. ფურცელაძე საქართველოში: მისი საზრუნავი სოციალური კლასი იყო სოფლის წვრილი მესაკუთრე, გლეხობა, — აი ამათ გამდიდრებაზე ზრუნავდა თავისი მომხმარებელი ასოციაციებით ნაროდნიკი ა. ფურცელაძე, მაშინ, როდესაც „დროების" თანამშრომელს თავისი მწარმოებელი ასოციაციით მხედველობაში ჰყავს ქალაქის მუშა, პროლეტარი. მაგრამ ანტონ ფურცელაძეს სხვა არგუმენტებიც აქვს „დროების" თანამშრომლის და ლასალის სოციალური სისტემის საწინააღმდეგოდ; იგი სწერს:

„ლასალი (იმ გვარ აზრებს) წელანაც აღვსენით უფრო რათა ჰქადაგებდა. ამას ედო დიდი საქმე წინ, ეპყრა დიდი ძალა ხელსა. ჩვენ იმ პოლიტიკურ მდგომარეობაში ვართ ჯერ, რომ ლასალის აზრამდის ხელი არ მიგვიწვდება, თუნდა რომ თავიან ფეხით დავიჩარჩნეთ, ჩვენ არც იმ გარემოებაში ვართ, რომ ამ გვარს რადიკალურს ცვლილებაზედ ყური დაგვიგდოს ვინმემ. ჩვენი მდგომარეობა სხვაფრივაც საშიშოა, ჩვენ უნდა ველოდეთ დროს, და მინამდინ ეცდილობდეთ ჩვენი ყოველი ღონისძიებით ჩვენი თავის დახმარებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ გვექნა ცოდნა, მხნეობა, გამრავლება, რასაც არ გვარგებს, არას გვავნებს არც ეკონომიურად, არც პოლიტიკურად. ჩვენ ყოველის ლონისძიებებით ვეცადნეთ განმრავლებას, ეკონომიურს გაუმჯობესებას, სარჩოს შეძენას; როცა ესეები გვექნება, მაშინ უფრო ადვილად შეგვეძლება ლასალისა და ლასალის მსგავსთ კაცთ სწავლათა შესრულება. ულონისძიებოდ, უცოდნელად, უხალისოდ ვიქნებით ყოველთვის უბედური და იმასაც დავკარგავთ, რაცა გვაქვს. ამის გამო ჯერჯერობით დავეხმარნეთ ჩვენს თავს იმ ლონისძიებით, რაც ჩვენს ხელთ არის და ნურც იმას მოვიცლით მხედველობიდან, რასაც სხვები გვასწავლიან — რომ პირველ მარჯვე შემთხვევებში ვიყვეთ იმისათვის (სოციალიზმისათვის) გამზადებულნი". (ხაზი ჩვენია. ს. ხ.)

როგორც მკითხველიც შეამჩნევდა, ავტორს მხედველობაში აქვს როგორც ჩვენი პოლიტიკური მდგომარეობა, ისე სოციალ-კულტურული პირობები. ლასალის იდეებისათვის ჩვენ ჯერ მზად არ ვართ, გავმდიდრდეთ, მოვემზადოთ და „მერე უფრო კარგად შევასრულებთ ლასალის სწავლას" აქ ანტ. ფურცელაძე ოპორტუნისტის როლში გვევლინება. ეს ოპორტუნისტობა შეიძლება აიხსნას ორი მომენტით:

ა) იმ სოციალური ფენის (გლეხობის) ჩამორჩენილობით, რომელსაც თავისი სოციალური პროგრამის შეფარდების დროს ეყრდნობოდა ფურცელაძე და

ბ) რუსული ნაროდნიკული მიმდინარეობის იმ ფრთის გავლენით, რომელიც იცავდა ხალხის კულტურულად და ინტელიგენტურად მომზადების ტაქტიკას (ლავროვი და სხვები).

ვიმეორებთ, ა. ფურცელაძისა და „დროების" თანამშრომლის კამათით ფაქტიურად დაიწყო ის მნიშვნელოვანი დისკუსია, რომელსაც ადგილი ჰქონდა ჩვენს პრესაში 90-იან წლებში; როგორც 90-იან წლებში ქართველ მარქსისტებს და ნაროდნიკებს ჰქონდათ კამათი კაპიტალიზმის განვითარებისა და პროლეტარიატის როლის შესახებ საზოგადოებრივი ცხოვრების მიმდინარეობაში და სოციალიზმის განხორციელების გზებისა და საშუალებათა შესახებ, ისე 70-იან წლებში იგივე საკითხები, თუმცა ჩანასახის სახით, საკამათოდ გადაიქცა საერთოდ ქართველ ლასალიანელებს და ქართველ ნაროდნიკებს შორის. ისე, როგორც 90-იან წლებში გაზ. „ივერიაში" ლალი (გ. ლასხიშვილი) გლეხურს (წვრილი მწარმოებლის) ნია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაგზე იდგა, უარყოფდა კაპიტალიზმს და მოელოდა სოციალისტური წყობილების „გადმოღებას ევროპიდან ინტელიგენციის საშუალებით“, — ასევე 70-იან წლებში ან. ფურცელაძეს სოციალიზმის განხორციელება შესაძლებლად მიაჩნდა გლეხების მომხადებით, მათში საწარმოო და მომხმარებელი ასოციაციების გავრცელებით. მაგრამ აღსანიშნავია ისიც, რომ ლასალიანელი სოციალისტები ისე არ ფიქრობდენ ჩვენი ცხოვრების ეკონომიური განვითარების შესახებ, როგორც ჩვენ ამას დაეინახავთ 90-იანი წლების ქართველი მარქსისტების სამოღვაწეო პლატფორმაში.

ანტ. ფურცელაძისა და „დ რ ო ე ბ ი ს“ თანამშრომლის კამათი ნათლად გვიმტკიცებს იმ ფაქტს, რომ 70-იან წლებში ჩვენი ინტელიგენციის ნაწილი სერიოზულად იყო დაინტერესებული სოციალიზმით და მუშათა ცხოვრებით.

ჩვენ არ შევდივართ ამჟამად ლასალის სოციალური კონცეპციის განხილვაში. მარქსმა მთელ რიგ ნაწერებში ნათელჰყო ამ პროგრამის ნამდვილი მნიშვნელობა; თავისთავად მუშათა საწარმოო ასოციაციების მოწყობა კაპიტალისტურ ურთიერთობაში, სადაც მუშა მიიღებდა თავისი ნამუშევრის სრულ ნაყოფს, ამ ასოციაციების კაპიტალისტურ ორგანიზაციებად გადაქცევას ნიშნავდა.

ჩვენში კი, ეკონომიური და კულტურული ჩამორჩენილობის გამო, მუშათა ასოციაციების პროექტების წამოყენება აშკარა უტოპია იყო. მაგრამ ქართული საზოგადოებრივი და სოციალისტური აზროვნებისათვის მას ის მნიშვნელობა აქვს, რომ ამ პროექტში ჩვენში ახლად წამოჭრილმა მუშათა საკითხმა პირველად ჰპოვა თავისი პასუხი ინტელიგენციის მხრით: სოციალისტურად და რადიკალურად განწყობილმა ინტელიგენციამ უკრიტიკოდ გადმოიტანა მშობლიურ ნიადაგზე ლასალის საწარმოო ასოციაციების პროგრამა და ამ გზით მოინდომა ჩვენში უკვე წამოჭრილი საკითხის მოწესრიგება.

3. პირველი ინტერნაციონალი და ჩვენი ინტელიგენცია.

ზემომოყვანილი ფაქტი ამოწმებს, რომ ინტელიგენცია საკმაოდ დაინტერესებული იყო მუშათა და სოციალიზმის საკითხით 70-იან წლებში. ამის დასამტკიცებლად ჩვენ ხელთ კიდევ არის ორი მეტად მნიშვნელოვანი დოკუმენტი: 1871 წლის „დ რ ო ე ბ ი ს“ გადათვალიერების დროს წავაწყდით სარედაქციო წერილს პ ი რ ვ ე-

ლი ინტერნაციონალის (1864 — 72 წ. წ.) შესახებ. აღსანიშნავია აგრეთვე ის აღფრთოვანება და თანაგრძნობა, რომელიც გამოუცხადა ქართველი ინტელიგენციის ნაწილმა პარიზის მუშების აჯანყებას. ამაზე ქვევით.

რაც შეეხება პირველ დოკუმენტს, ის საინტერესოა. რუსეთის ლეგალურ პრესაში პირველი ინტერნაციოცალის შესახებ, ცენზურის პირობების გამო, იმ ხანებში არაფრის დაწერა არ შეიძლებოდა. საქართველოში ლეგალურ პრესაში I ინტერნაციონალზე წერა, ალბათ, აიხსნება ცენზურის ჩამორჩენილობით და უყურადღებობით[1]). არ შეგვიძლია ეს დოკუმენტი აქ მთლად არ მოვიყვანოთ, რადგან მასში გამოთქმულია ჩვენი ნორჩი ინტელიგენციის სიმპატია მუშათა პირველი საერთაშორისო ორგანიზაციისადმი, რომელსაც მეთაურობდა კ. მარქსი. ცხადია, 70-იან წლებში ინტელიგენციის ნაწილი იცნობდა კ. მარქსს და მის მოღვაწეობას. ამასთანავე ამ დოკუმენტისათვის ჩვენს ლიტერატურაში ჯერ კიდევ არავის მიუქცევია ყურადღება, იგი კი ღირსია გამომზეურების. აი ეს დოკუმენტი.

„ხალხთა შორის მუშების საზოგადოება".

„ზოგიერთს გაზეთებში სწერენ ამ უკანასკნელ დროს, რომ პარიზში არეულობის მომხდენი და მოთავე ის მუშების საზოგადოება იყო, რომლის სახელი ჩვენ ზემოთ ამოვიწერეთ; ამბობენ, რომ პარიზის მუშებს ლონდონისა და ბერლინის კომიტეტებიდან მოსდიოდა ინსტრუქცია და დარიგება — თუ როგორ უნდა მოქცეულიყვენ ისინი და როგორ უნდა წაეყვანათ არეულობის საქმე. ამიტომ ამ საზოგადოებას ახლა უფრო მომეტებულ მნიშვნელობას აძლევენ და ამიტომაც ბევრს სწერენ გაზეთებში. აქ მოგვყავს შემოკლებით ცნობები მართლა ამ ბევრის მხრით შესანიშნავს საზოგადოებაზე.

ეს საზოგადოება ან ასოციაცია შემდგარიათითქმის მხოლოდ მუშა ხალხისაგან, მაგრამ იმის წევრებათ არიან აგრეთვე ისეთიც მწერლებიც და სხვა პირებიც, რომელნიც გამოჩენილნი არიან თავის ხალხის მოყვარული აზრებით და რომელთაც ჰსურთ მდაბიო ხალხის მდგომარეობის გაუმჯობესება. სულ წევ-

[1]) 80-იან წლებში ბოროზდინი უსაყვედურებდა ტფილისში მოქმედ ცენზორს, რომ იგი არ აქცევდა შესაფერ ყურადღებას პრესას, რის გამო ნ. ნიკოლაძეს შეძლება ჰქონდა ევრცელებია ხალხში თავისი ნიღილისტურ-სოციალისტური აზრებიო. (იხ. „Былое", 1907 წ.)

რების რიცხვი ორ მილიონ ნახევარია (2.500.000). ესენი თითქმის მთელ დედა-მიწაზე არიან გაფანტულნი: ყველგან, სადაც კი ცოტაოდნათაა შესული მუშებში განათლების სხივი, ყველგან ნახავთ ამ ასოციაციის წევრებს. ცენტრალური მმართველობის კომიტეტი კი ლონდონშია, აქ სწყდება ასოციაციის ყველა საზოგადო და ღირსშესანიშნავი საქმეები. სხვაგანც, სატახტო ქალაქებში, არიან ამ კომიტეტის განყოფილებანი, მაგალითად: პარიზში, ბერლინში, ვენაში, ფლორენციაში, ბრიუსელში, ჟენევაში, და აგრეთვე ამერიკის ბევრ ქალაქებში. უმთავრესი, ანუ ცენტრალური ლონდონის კომიტეტი თხუთმეტი წევრისაგან არის შემდგარი. ყოველ კვირას ამ კომიტეტს უცხო-ქვეყნების კომიტეტებისაგან მოსდის იმათი მოქმედების ანგარიში და სხვა და სხვა საჭირო ცნობები, როგორც მაგალითად: 1. ადგილობრივ პოლიტიკურ მოძრაობაზე და სავაჭრო საქმეებზე; 2. უწყება ახალ წევრებზე; 3. თავის ლონის-ძიების მდგომარეობაზე; 4. მდიდართ ფაბრიკანტების და თანხის პატრონების სია; 5. თავიანთი მოქმედების და გადაწყვეტილების ანგარიში და სხვა.

„ამ ასოციაციას ძალიან დიდი შეძლება აქვს: ყოველი წევრი, ყოველი მუშა, შეძლებისა და გვარათ, თითო-ოროლ შაურს სწირავს კვირაში და აქედან დიდი ფული შესდგა. უმთავრესი დანიშნულება ამ საზოგადოებისა ისაა, როს ყოველ შემთხვევაში მუშებს ხელი მოუმართოს და ეცადოს მისი ცუდი მდგომარეობის გაკეთებაზე. ამ აზრის მისაღწევად ასოციაცია სცემს წიგნებს და გაზეთებს მუშებისათვის, ჰკითხულობს საპუბლიკო ლექციებს, მართავს იმათთვის საავადმყოფოებს და საკითხავ ოთახებს და სხვა. ეს ასოციაცია არის მთელი ქვეყნის მუშების შემაერთებელი, ის სცდილობს, რომ ყველა მუშებს ერთი აზრი, ერთი წადილი და ერთნაირი მოქმედება ჰქონდეთ. ვსთქვათ, სადმე რომელიმე ფაბრიკანტი მუშებს ავიწროებს, ცოტა ჯამაგირს აძლევს ან ბევრს ამუშავებს და ამის გამო ამათ შუა უთანხმოება მოხდა და მუშებმა თავი დაანებეს მუშაობას (შეადგინეს „სტაჩკა“), რომ ამით ჯამაგირი მოამატებინონ ფაბრიკანტს; მაშინვე ცენტრალური კომიტეტი უგზავნის ამ მუშებს ფულებს, რომ დრომდი შეიძლონ ცხოვრება და დარიგებას აძლევთ ამათ, თუ როგორც უნდა მოიქცენ.

„ერთი სიტყვით, სხვა არა იყოს რა, ეს ასოციაცია მარტო იმითაა შესანიშნავი, რომ ამდენი წევ-

რები და შეძლება, მგონი არცერთ სხვა საზოგადოებაში არ იპოვნება, და თუ ამ სახსრების ორგანათ მოხმარება დასცალდათ და შეიძლეს, უეჭველია იმას ძალიან დიდი მნიშვნელობა ექნება შემდეგში, როდესაც მუშების მდგომარეობას ახლანდელზე უფრო მომეტებული ყურადღება ექნება მიქცეული"[1] (კურსივი ჩვენია. ს. ხ.)

მკითხველი შეამჩნევს, რომ წერილის ავტორი ერთობ ფრთხილად ლაპარაკობს პირველი ინტერნაციონალის შესახებ: ინ-ლის პოლიტიკურ მხარეებს და პროგრამის საზოგადო მიზნებს თითქმის სრულიად არ ეხება, უკეთ — ვერ ეხება. ეს აიხსნება ცენზურული პირობებით. ავტორმა იმდენად დეტალურად იცის პირველი ინტერნაციონალის ორგანიზაციული სტრუქტურა, მისი მოღვაწეობა და მნიშვნელობა, რომ შეუძლებელია მას არ სცოდნოდა ამ ასოციაციის მთავარი მიზნები, სოციალიზმის და კლასთა ბრძოლის პრინციპი, არ სცოდნოდა მისი მეთაური კ. მარქსი, და თუ სიმპატიას უცხადებს, ეს იმას ნიშნავს, რომ წერილის ავტორი სიმპატიას უცხადებს მთლიანად აღებული ინტერნაციონალის მოღვაწეობას და მიზნებს: ცენზურული პირობები მას საშუალებას არ აძლევდა სხვა ენით ეწერა და ამიტომ აირჩია „ეზოპის ენა".

გარდა ზემომოყვანილი წერილისა, პირველი ინტერნაციონალის შესახებ „დროების" ფურცლებზე ვსვდებით სხვა წერილებსაც. „დროების" ქენეველი თანამშრომელი (ბ. ჯ.[2]) (როგორც წერილებიდან ირკვევა, ქენევის უნივერსიტეტის მსმენელია) ვრცელს მიმოხილვაში სწერს:

„ამ საზოგადოებაშიდ მარტო გაგაცნობთ ორს, არა იმიტომ, რომ აქ უკეთ მიდიოდეს საქმე და უფრო სხვაზე უკეთესათ იჩენდეს თავსა თავის ღრმა სწავლით, — პუბლიკური ლექციების საქმე, რამდენადაც შემინიშნავს, ყველგან კარგათ მიდის, — მაგრამ მე მინდა იმ ორ საზოგადოებაზე გითხრათ ორიოდე სიტყვა ერთი იმიტომ, რომ ისინი დიდათ განსხვავდებიან სხვებიდან თავის მიმართულებით

[1]) გახ. „დროება", № 23, 1871 წ. ხელმოუწერელი წერილი: „ხალხთა შორისი მუშების საზოგადოება".

[2]) ჩვენ მიერ შეკრებილი ცნობით, მისი ნამდვილი გვარი და სახელი ბესარიონ ჯაფარიძეა; ამ ჯაფარიძემ მონაწილეობა მიიღო 1874 წ. ქართველების მიერ გამართულ კონგრესზედაც ქენევაში.

და მეორეთ იმიტომ, რომ რომელსამე შემდგომ წერილში მსურს უფრო დაწვრილებით გაგაცნოთ მათ სხვა მხრით[1]). ახლა კი გიჩვენებთ იმათ მოქმედებას, რომლიდგანაც შეგიძლიათ გამოიყვანოთ, თუ-რა ადგილი უჭირავს მათ ამ საზოგადო ლექციების საქმეშიდ. ერთი ამ ორთაგანი არის „ხალხთა შორის მუშების საზოგადოება", რომელსაც ინტერნაციონალს უძახიან (international) და მეორე მისი მოპირდაპირე: „სახალხო წრე" (cerle populaire). პირველის მიზანი არის გამოიყვანოს მუშა-ხალხი იმ მდგომარეობიდგან, რომელშიაც ის ეხლა იმყოფება და, რამდენადაცეს შესაძლებელია, პოლიტიკური ეკონომიის კანონების თანახმად; მაშასადამე, მისგან გახსნილ ლექციებსაც ის მიმართულება აქვს, რომ ცხადად დაანახოს მსმენელს ეხლანდელი მუშა-ხალხის მდგომარეობა, აუცილებელი საჭიროება მისი ამ მდგომარეობიდან გამოსვლისა და პოლიტიკური და სოციალური საშუალებები ამ გამოსვლისათვის; ამ აზრით კითხულობენ სოციალიზმის ისტორიას და მის ეხლანდელ მდგომარეობას სხვადასხვა სახელმწიფოებშიდ, მოძრაობას სხვადასხვა ადგილს. ამას გარდა განსაკუთრებითი ლექციებია დანიშნული ქენევის კანტონის პოლიტიკური და სამოქალაქო კანონების ასახსნელათ. იქნება გაგიკვირდეთ, რომ შეგატყობინოთ, რომ უმეტეს ნაწილს ამ ლექციებისას, რომელნიც პოლიტიკურ და იურიდიკულ მხარეს შეეხება, ჰკითხულობენ აქაური ადვოკატები, რასაკვირველია, რომელნიც თანაუგრძნობენ ამ ნაირ მიმართულებას. ამ პირდაპირ თავის მიზნის შესახებ საგნებს გარდა, ამჟამათ მათ აქვთ გამართული ასტრონომიის ლექციები, რომელნიც თითქმის მთელ ასტრონომიას შეიცავს და ისე ვრცლათ იკითხება, რომ მის გაგების შემდეგ ბევრს ამაოდ მორწმუნებას ადგილი აღარ ექნება მისი მსმენელის თავშიდ. უნდა გითხრათ ჩემი აზრი, ძლიერ კმაყოფილი ვარ ამ ლექციებზე: ვინ იცის რამდენი ფიქრები მომდიოდენ, როცა ვხედავდი, რომ კიდევ კირით გასვრილ კალატოზებს და ათას ფერათ შეჭრელებულს მღებრებს კოპერნიკის სისტემას უხსნიდენ; მაშინ გამახსენდა, რომ რამდენი ადგილია, სადაც თავადიშვილებს, არამც თუ სისტემები,

---

[1]) ავტორმა თავისი დაპირება ვერ შეასრულა: „დროების" ნომრებში არ სჩანს მისი წერილი პირველ ინტერნაციონალზე.

უბრალო ასტრონომიური ტერმინები როგორ: ეკლიპტიკა, ეკვატორი და სხვა, პირველ თავს საქმელად მიაჩნიათ; აქ კი უბრალო მუშამაც იცის, რას რა მნიშვნელობა აქვს.

„მეორე საზოგადოებას—თუმცა სახელი კი სახალხო აქვს, მიზანი კი სულ სხვა აქვს; ნისი აზრია რაც მოუხერხდება მეტი დაბრკოლება მისცეს ინტერნაციონალის საქმეს და დააჯეროს მუშა-ხალხი მის ეხლანდელ ბ ე დ ნ ი ე რ მდგომარეობაზედ, ანუ შეაგონოს, რომ რასაც მათი პ ა ტ რ ო ნ ე ბ ი მათ თავის ნებით არას დაუთმობენ, მის მეტს ვერც არას ისინი შეიძენენ. ამ აზრის თანახმად არის იქ გამართული ლექციები სოციალურს და პოლიტიკურ წყობილებაზედ ჩვენს დროშიდ, და ამ პროგრამის გარჩევა თუ—როგორ ვიმოქმედოთ მომავლისათვის“[1]). ასე სწერდა ინტერნაციონალის შესახებ „დ რ ო ე ბ ი ს“ ქენეველი თანამშრომელი (ბ. ჯაფარიძე). აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ იმ ხანებში საზღვარგარეულ ქართველ მოსწავლე ახალგაზრდობაზე დიდ გავლენას ახდენდა, როგორც გაზეთის კორესპონდენციებიდან სჩანს, პარიზის კომუნის ამბები. ახალგაზრდობას ასე თუ ისე დამოკიდებულება ჰქონდა ემიგრანტ-კომუნარებთან და მათი გავლენით სწერდენ წერილებს „დ რ ო ე ბ ი ს ა თ ვ ი ს“[2]) და ხშირად აცნობდენ ქართველ მკითხველს ამბებს კომუნარების ცხოვრებიდან. ცხადია, რომ ჩვენ ახალგაზრდებში პირველი ინტერნაციონალისადმი სიმპატიები, ალბათ, კომუნარების ზეგავლენითაც შემუშავდა. მესამე წერილი პირველი ინტერნაციონალის შესახებ ეკუთვნის დ. ზ უ რ ა ბ ი შ ვ ი ლ ს. 1872 წ. „დ რ ო ე ბ ა“-ში იგი ვრცელ წერილებს ათავსებს და მის წერილებსაც გადაკრული აქვს სოციალისტური იერი. სხვათა შორის, მას დაუწერია ვრცელი მიმოხილვა ბასტილიის და-

[1]) „დ რ ო ე ბ ა“, № 7, 1872 წ. ბ. ჯ-ს წერილი: „უ ც ხ ო ქ ვ ე ყ ნ ე ბ ი (ქენევიდამ)“.

[2]) „დ რ ო ე ბ ა“ ერთ ნომერში ერთ საინტერესო ცნობას გადმოგვცემს: „ერთი ჩვენი („დროების“) კორესპონდენტი შემდეგ საკვირველ ამბავს გვწერს წიგნში საზღვარგარეთიდან: „ამას წინათ აქ (შვეიცარიაში) ერთი პარიეელი ფრანცუზი გავიცანი. ამ ფრანცუზს შარშან მაისს პარიზის კომუნაში მიეღო მონაწილეობა, ერთი ბატალიონის წინამძღოლი იყო, და ამის გამო ეხლა, როგორც ბევრი სხვები, ესეც აქ არის გადმოვარდნილი. სხვათა შორის იმან მითხრა, რომ ჩემს ხელ-ქვეით ერთი ქართველი, სახელად ბაგრატიონი მსახურობდაო და ძლიერ მხნე და ვაჟკაცი ყმაწვილი იყოო... ეს ბაგრატიონი, როგორც შემდეგ შევიტყვე, იმერეთის მეფის შთამომავლობისა ყოფილა. ის მოუკლავთ პარიზის ერთს ბარიკადაზე იმ დროს, როდესაც ვერსალის ჯარმა პარიეი აიღო...“ („დ რ ო ე ბ ა“, № 22, 1872 წ.). საფიქრებელია, რომ პარიზის კომუნაში სხვა ქართველებიც მიიღებდენ მონაწილეობას, მაგრამ ამის შესახებ ამჟამად არა ვიცით რა.

მხობისა და საფრანგეთის 1789 წლის რევოლუციის შესახებ[1]), ჟენევიდან გამოგზავნილ ვრცელ მიმოხილვაში იგი პირველ ინტერნაციონალსაც ეხება და სწერს:

„ახირებული ხალხია ეს შვეიცარიელები! მაშინ, როდესაც ხალხთა შორის საზოგადოებას (ინტერნაციონალს) ყოველ სახელმწიფოში — გარდა ინგლისისა და ამერიკისა — სდევნიან, და ჟულ ფავრის მანიფესტი კიდევ უფრო ამტკიცებს ბურჟუაზიის შიშსა და თრთოლვას ინტერნაციონალის პრინციპების წინაშე, ჟენევაში ამ საზოგადოების წევრნი მართებლობის წევრთა რიცხვში არიან და საქვეყნო საქმეებს განაგებენ... მაგრამ ჩვენს საუკუნეში სამართლის ტალახში გათელა, თავისუფლების შეგინება, ხალხის ბედით თამაში, როგორც ჭანდრაკის კაცებითა, გულს აღარ გვიღონებს... შეეჩვიეთ!... სანატრელი დღის მოახლოვება ჩვენზედვე არის დამოკიდებული, ვებრძოლოთ ხალხის დამჩაგვრელ მიზეზებს, წინ აღუდგეთ მხნეთ ბოროტებას და ეჭვი არ არის, ვნახავთ გამარჯვების დღეს...

„არ არის უფლება, გარეშე ვალდებულებისა, არ არის ვალდებულება გარეშე უფლებისა“. ეს არის ინტერნაციონალის დევიზი, მთელი მისი პროგრამა ამ სიტყვების განმარტებაა. ხალხთა შორის საზოგადოება სცდილობს: 1) რომ ყველა მუშა თვითონ თავის ღონით განთავისუფლებული იქნეს, 2) რომ მუშები თავის შრომის პატრონნი შეიქნენ, რომ საზოგადოების ერთი ნაწილი ბატონათ არ გაუხდეს მეორესა, 3) რომ მუშების დამოკიდებულება თავიანთ აღებზედ (ე. ი. კაპიტალისტებზე. ს. ხ.) მავნებელია განთავისუფლებისათვის და ყოველი ზნეობით დამცირების, სოციალური და პოლიტიკური უსამართლობის მიზეზია, 4) რომ ეკონომიური განთავისუფლება მუშებისა დიდი საქმეა, რომლისთვისაც ყოველი პოლიტიკური შემთხვევა უნდა იხმარონ, 5) რომ ყოველი მეცადინეობა მუშებისა დღემდე უნაყოფო იყო, რადგან მათ შორის არ სუფევდა თანხმობა და ძმური სიყვარული, 6) რომ მუშა ხალხის განთავისუფლება არ არის ადგილობრივი, ან ნაციონალური, არამედ ეს არის მიზანი ყოველი განათლებული ქვეყნისა და ყველამ მონაწილეობა უნდა მიიღოს ამაში.

---

[1]) დ. ზურაბისშვილი: „ბასტილიის აღება 1789 წ. და იმისი დღესასწაულობა წელს“, „დროება“, № 29 და 30, 1872 წ.

„კონგრესმა, რომელიც პირველად 1866 წ. შეიკრიბა ჟენევაში, გამოაცხადა, რომ არავითარს განსხვავებას არ ჰპოებს ის სხვადასხვა ხალხებს შორის, რომ კაცი უნდა ხელმძღვანელობდეს ნიადაგ შემდეგი პრინციპებით: სიმართლით, ჭეშმარიტებით, ზნეობით. კონგრესმა იცნო ყველა ადამიანი კაცობრიობის წევრათ, რომელთაც აქვთ უფლება მოითხოვონ სამოქალაქო კაცის სიმართლე, არა თუ მარტო თავისთვის, არამედ ყველასათვის, ვინც კი თავის მოვალეობას ასრულებს. როგორ მოგწონთ, რომ იმ საზოგადოებას, რომელსაც ამისთანა უმანკო და გონიერი მიზანი აქვს, ისე სდევნიან, როგორც ძველ ქრისტიანებს ნერონის დროსა? მაგრამ ქრისტიანებს იმ ტანჯვით და წამებით, რომელიც მათ გასწიეს, არა წაუგიათ რა. უგუნურმა მტერმა არ იცოდა, რომ რაც უფრო მხურვალეთ ებრძოდა ქრისტიანობას, ის მით წევრსა და ძლიერებას იძენდა. ყოველი ახალი სწავლის ბედი, რომელიც საზოგადოებას ჯერ არ მიუღია, ამნაირია“[1]).

ამგვარად აშუქებდა 70-იანი წლების ჩვენი მოწინავე და სოციალისტურად განწყობილი ინტელიგენცია პირველი ინტერნაციონალის მნიშვნელობასა და როლს მუშათა განთავისუფლების საქმეში. უდავოა, რომ ამ ეპოქის ჩვენი ინტელიგენცია სიმპატიით უცქერის ინტერნაციონალს და დიდ იმედებს ამყარებს მასზე. ეს ფაქტი აუცილებლად უნდა იქნეს აღნიშნული: აქედან მტკიცდება, რომ ჩვენი მაშინდელი ინტელიგენციის მოწინავე ფენები დიდ გავლენას განიცდიდენ როგორც რუსეთის რევოლუციონური მოძრაობისა და სოციალისტური მიმდინარეობებისა, ისე ევროპის ნიადაგზე აღმოცენებული სოციალისტური მოძრაობისაგან.

4. პარიზის კომუნა და ჩვენი ინტელიგენცია

პარიზის კომუნამ დიდი სიმპატია და აღფრთოვანება გამოიწვია ქართველი ინტელიგენციის ნაწილში[2]), ხოლო მისმა დამარცხებამ

---

[1]) დ. ზურაბისშვილი: „წერილები ჟენევიდამ“. „დროება“, № 47, 1872 წ.

[2]) უცხოეთის ერთ-ერთ მიმოხილვაში 15 აპრილის ნომერში „დროების“ თანამშრომელი სწერს: „ამბობენ, რომ ახლანდელი პარიზის რევოლუციის პლანები ლონდონში დაუწყვია მარქსს, ასსის, ბენტინისა და ლარნოტს; ყველა ესენი არიან სხვა და სხვა ქვეყნების წარმომადგენელნი წევრები ლონდონის ხალხთა

ეროვნული

არანაკლებად დააღონა იგი[1]). „დროების“ ფურცლებზეარაერთხელ გამოთქმულა სიმპატიები პარიზის მუშებისადმი. ა. ჯორჯაძე თავის მასალებში სწერს, „დროების“ სიმპატიები საფრანგეთის მუშების მიერ წამოყენებული კომუნალური ფედერალიზმისაკენ არ იყო მიმართულიო[2]). ეს მართალია, „დროების“ თანამშრომელი, რომელიც ლასალის სახელმწიფოებრივი პრინციპის ნიადაგზე იდგა, ვერ გაიზიარებდა კომუნის ფედერალურ-კომუნალურ პრინციპებს. ის მოპირე იყო ცენტრალისტური პრინციპისა და სწორედ ამ სახელმით აფასებდა პარიზის კომუნის პროგრამასაც. საერთოდ კი „დროების“ სიმპატიები პარიზის მუშებისაკენ იყო. „დროების“ 9 აპრილის ნომერში შემდეგი საყურადღებო დახასიათება არის მოთავსებული პარიზის არეულობის შესახებ:

„არეულობა პარიზში, რომელიც 6 (18) მარტს დაიწყო, მას შემდეგ ძალიან გაგრძელდა, ასე რომ ამ ჟამად მთელი პარიზი აჯანყებულების ხელშია. აჯანყებულები არიან ნაციონალური გვარდიის ჯარი და მუშა-ხალხი, რომელთაც არ ეოსწონთ ახლანდელი მმართველობა და მათი მოქმედება; იმათ ეშინიათ, რომ ტიერის, ჟულ ფავრის და პიკარისთანა პირებისაგან შედგენილი მმართველობა და ახლანდელი ნაციონალური კრება, რომელიც მონარქიული დეპუტატებისაგან არის შემდგარი, უღალატებს რესპუბლიკის პრინციპს ამას გარდა იმათ არ მოეწონათ კიდევ ის გარემოება, რომ პარიზი

შორის მუშების ლიგისა (ე. ი. პირველი ინტერნაციონალის. ს. ხ.). ამ ლიგის მიტინგებში, როცა პარიზში რევოლუციის მოხდენაზე ყოფილა ლაპარაკი, დიდი მონაწილეობა მიუღია აგრეთვე ბლანკის“ (იხ. „დროება“, № 15, 1871 წ.).

ისტორიულად ეს ცნობა მართალი არ არის. კომუნა სტიქიურად წარმოიშვა, მასში ინტერნაციონალის კომიტეტს არავითარი მონაწილეობა არ მიუღია, თუმცა კომუნაში ინტერნაციონალის რამდენიმე წევრი იღებდა მონაწილეობას. შემდგომ ენგელსი სწერდა, რომ კომუნის რევოლუციის მოსახდენად ინ-ლს თითიც არ გაუნძრევია, მაგრამ იგი (კომუნა) მაინც ნაყოფი იყო იმ დიდი სოციალისტური მოღვაწეობის, რომელსაც ეწეოდა მუშათა საერთაშორისო ასოციაცია თავისი დაარსების დღიდანო.

[1]) იხ. ილ. ჭავჭავაძის ლექსი: „პარიზი“ („კრებული“, № 5 და 6. 1873 წ., გვ. 354). და ნ. სკანდელის (ნიკოლაძის) წერილი „პარიეის გარემოება“, „კრებული“, № 4, გვ. 293—200, 1873 წ.

1872 წ. „დროების“ ფურცლებზედაც უცდია ნ. ს. კომუნის შესახებ წერილის მოთავსება, მაგრამ მისი მიმოხილვის ეს ნაწილი არ გაუშვია ცენზურას (იხ. „დროება“ № 1 და 2, 1872 წ.).

[2]) არჩილ ჯორჯაძე: თხზულებანი, ტ. 5, გვ. 131.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიატოვეს და საფრანგეთის სატახტო ქალაქად ვერსალი გახადეს. აჯანყებული ნაციონალური გვარდია თხრულობს ამასთანავე, რომ ჩვენი უფროსები ჩვენვე უნდა ამოვირჩიოთო, მმართებლობისაგან დანიშნული პირების ნდობა ჩვენ არ გვაქვს, — ისინ ვერ დაიცვენ საფრანგეთის რესპუბლიკასო. აი ეს არიან უმთავრესი მიზეზები ახლანდელი პარიზის არეულობისა. ნამდვილი მიზეზი კი განხეთქილებისა, როგორც თითქმის ყოველთვის, ლუკმა-პურის საქმეა. მუშებს არა აქვთ ნდობა ახლანდელი მმართველობისა, რომელიც მდიდრებისაგან და ბურჟუაზიული პარტიის მომხრეებისაგან არის შემდგარი; იმათ იციან, რომ ამისთანა პირები ხშირათ უფრო თავის საკუთარი სარგებლობისათვის მოქმედებენ, ვიდრე საზოგადოებისა და მდაბიო ხალხისათვის". (ხაზი ჩვენია ს. ხ.)[1])

30 აპრილის ნომერში ვკითხულობთ: „ეს ახლანდელი ბრძოლა — ლუკმა პურისათვის ბრძოლაა, და ამიტომ არის ისე გაცხარებული. ბურჟუაზიას (ვერსალის მმართველობას) ჰსურს ჩაიგდოს ხელში საფრანგეთის საქმეების გამგეობა და უწინდებურად ისარგებლოს მუშა-ხალხის შრომით. მუშა-ხალხს კი თავის მხრით ჰსურს თავის საქმეები თვითონვე (ნამდვილი რესპუბლიკის საშუალებით) განაგოს და არავის არ მისცეს თავისი შრომით სარგებლობის ნება, — აი ნამდვილი მიზეზი ახლანდელი არეულობისა; როდესაც პარიზელები თავიანთვის სხვა და სხვა უფლებებს თხოულობენ, იმათ მხოლოდ ის მიზანი აქვთ მხედველობაში, რომ შემდეგში კაპიტალისტებისაგან დამოუკიდებლობას აპირებენ.[2]) (ხაზი ჩვენია ს. ხ.)

ვფიქრობთ, ამოწერილი ციტატები ნათლად ამტკიცებენ იმას, თუ საით იყო მიმართული „დროების" თანამშრომელის სიმპატიები და როგორ ესმოდა მას პარიზის აჯანყების მთავარი მიზეზები. ვაზ. „დროების" თანამშრომელმა აქაც ნათლად დაგვანახა, თუ როგორ ღრმად იყო დაინტერესებული 70-იან წლებში ინტელიგენციის ნაწილი მუშათა და სოციალისტური მოძრაობის საკითხებით.

---

[1]) იხ წერილი: „უცხოეთის ქვეყნები—საფრანგეთი". „დროება", № 14, 1871 წ.
[2]) იხ. ხელმოუწერელი წერილი: „უცხო ქვეყნებში — პარიზის არეულობა". „დროება", № 17, 1871 წ.

აქ მეტი არ იქნება მკითხველს გავაცნოთ ნ. ნიკოლაძის საყურადღებო წერილებიდან („სხვათა შორის ნაგრძნობი და განაგონი") შენიშვნები პარიზის კომუნის შესახებ. 1872—1873 წლებში ჩვენმა პუბლიცისტმა იმგზავრა რუსეთსა და ევროპაში და შემდეგ თავისი „ნაგრძნობი და განაგონი" გადმოგვცა ჟურნ. „კრებულის" ფურცლებზე. 1872 წ. ივნისის თვეში, ე. ი. პარიზის კომუნარების დამარცხების ერთი წლის შემდეგ, იგი პროლეტარიატის სისხლით შეღებილ საფრანგეთის დედაქალაქშია. ავტორი შემდეგნაირად აგვიწერს თავის შთაბეჭდილებას:

„დიდის ყურადღებით გავსინჯე ის ადგილი, რადაც ეკლესიის კედელთან, ეკლესიის ბოძზე განუსჯელად დახვრიტეს პარიზის დეპუტატი მილერი. აგრეთვე, როგორც ის ქუჩა, სადაც მაკ-მაჰონის ჯარმა, ბარიკადის აღების შემდეგ, ბარიკადის უკან სამასი კაცი ერთად დახვრიტა და იქვე, ბარიკადის ორმოში ჩაფლო, თუმც უმეტესი ნაწილი იმათგანი სანახევროდ ცოცხალი იყვნენ... ვნახე მთელი ის გზა, რომელზედაც რვა დღის განმავლობაში დაუზოგველი ბრძოლა იყო, და რომლის თითოეული ნაბიჯი ასი და ათასი კაცის სისხლით მოირწყო. ვნახე ორიოდე იმ ეზოებთაგანი, სადაც ჯარმა ხუთას-ხუთასობით პარიზელი მუშები შეამწყვრია და განუსჯელად, დაუთვლელად, განუკითხავათ ყველანი მიტრალეზებით დახვრიტა. ის ადგილიც ვნახე, სადაც დამარცხების შემდეგ ბარიკადზე გამოვიდა გამოჩენილი მწერალი დელეკლუზი, გულხელი დაკრიფა, დროშას ამოუდგა, ექვსი ტყვია ირგო გულში და ბარიკადის ქვეშ მკვდრათ დაეცა. ის ადგილებიც გავსინჯე, სადაც თორმეტი წლის მებრძოლი მუშები, თექვსმეტი წლის მათი დები და მოხუცი დედ-მამა დახვრიტეს. ერთის სიტყვით გავიარე ის გზა, რომელზედაც გამწარებულმა და სამი თვის ბრძოლით დაუღალავმა პარიზის ხალხმა უზენაესი გმირობის თვისება — მოკვლობის ცოდნა და სიადვილე გამოიჩინა".

ცოტა ქვევით ჩვენი ავტორი განაგრძობს:

„მუშა-ხალხზე კი რა ითქმის? წარმოიდგინე, მკითხველო, რომ შენ დიდი შრომით და გაჭირვებით ჩინებული ხილი გიპოვნია, რომლის ჩამოსატანადაც უშველებელ ხეზე აფორთხებულხარ და კისერი კინალამ ათასჯერ მიგიმტვრევია, ჩამოსულხარ ხედგან და იმ დროს, როცა ხილის შეჭმას ემზადები, სტაცებს ვინმე ხელს იმ შენ ხილს და ხელიდან გააცოცებს. შენ გრძნობ, რომ ხილს ველარ შეინარჩუნებ, რომ ის გერთმევა, ნახევარიც აღარ გიჭირავს ხელში, აი

ორი თითი კიდევ გაგეხსნა, აი ესეც არის გამოგისხლტება ხელიდან ის ნაწილიც, რომელსაც ნახევრამდე ჩაერჭო შენი თითები. შენ გრძნობ ამას და დახმარების, გამაგრების იმედი არსაით გაქვს. რა გუნებაზე იქნები შენ მაშინ, თუ მართლა ის ხილი გიყვარს და მისი შერჩენა გულდაგულ გინდა? რა ქეიფზე დაგაყენებს შენ ის გრძნობა? რა სიმწარე და ბრაზი გამოიხატება შენს პირის სახეზე? განსაკუთრებით თუ ხილის წართმევის დროს ორიოდე თითი მოგამტვრიეს და მთელი მკლავი დაგილურჯეს? აი სწორეთ, ამ გუნების და პირის სახის მეჩვენა მე პარიზელი მუშა-ხალხი, როცა იმას გვერდი აუარე, შინ რომ მივდიოდი მოსასვენებლად" [1])

მკითხველი მიხვდება, რომ ჩვენი ავტორი, საკენბურო პირობების გამო, შედარებებით ლაპარაკობს; მაგრამ ამ წერილიდან ნათლად, გარკვევით სჩანს ის ღრმა თანაგრძნობა და სიმპატიები, რომელსაც უცხადებდა ქართველი პუბლიცისტი პარიზის აჯანყებულ მუშებს [2]).

ნიკოლაძეს კარგად ესმოდა, რომ პარიზის პროლეტარებმა თავიანთი სანატრელი ხილი ჩაიგდეს ხელში 1871 წ. მარტის თვეში, მაგრამ ასეთი ექსპერიმენტისათვის ბურჟუაზიამ იგი გაანადგურა და სისხლისაგან დასცალა. ნიკო ნიკოლაძე იმ პერიოდში რევოლუციონურად და სოციალისტურად განწყობილი მწერალი იყო და მან ცხადად დაინახა პარიზის რევოლუციის კლასობრივი და პროლეტარული შინაარსი. ნიკოლაძეს ჩვენ უფრო ვრცლად ქვევით გავიცნობთ, ახლა დაეუბრუნდეთ გაზეთ „დროებას"

1871 წლის „დროება"-ში „პარიზის არეულობის" შესახებ მოთავსებული ხელმოუწერელი მიმოხილვების გადაკითხვამ დაგვარწმუნა, რომ ამ წერილებს სწერდა გამოცდილი ხელი, საერთაშორისო პოლიტიკისა და მუშათა მოძრაობის კარგად მცოდნე პიროვნება. ამ

[1]) ნ. სკანდელი (ნიკოლაძე): „სხვათა შორის" ჟურ. „კრებული", № 4, 1873 წ.

[2]) როგორც ზევით ვწერდით, ქართველი სტუდენტები იცნობდენ პარიზის კომუნარ ემიგრანტებს და, ცხადია, მათ დიდ გავლენას განიცდიდენ ისინი. ივ. ჯაბადარი თავის მოგონებებში გადმოგვცემს, რომ 1874 წელს ქართველთა კონგრესისათვის დაქირავებულ ბინაში დადიოდენ როგორც რუსეთის ემიგრანტები (ტკაჩევი, ეუკოვსკი და სხვ.), ისე საფრანგეთის კომუნარები — ლე-ფრანსე, მონტელს, ბაბიკი და სხვები. სხდომის გახსნამდე კონგრესის მონაწილეთ ფეხზე ადგომით პატივი უცია დაღუპული კომუნარების ხსოვნისათვის (იხ. ჯაბადარის „მოგონებები". ჟურნ. „Былое", № 9, გვ. 177 — 75, 1907 წ.) ვიმეორებთ, კომუნამ და მისმა ბრძოლამ საკმაო მნიშვნელობის გავლენა მოახდინა ჩვენს ინტელიგენციაზე. ეს საკითხები ჯერ კიდევ თხოულობს შესწავლას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიმოხილვებს დიდი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდათ ჩვენში სოციალისტური და რევოლუციონური აზროვნების გავრცელების საქმეებისათვის. ფაქტიური მიმოხილვა პარიზის აჯანყების ვითარებისა, გამოცემული მნიშვნელოვანი დეკრეტები, მოწოდებები, მანიფესტები და საგანგებო წერილები, აჯანყებულთა პროგრამა, სხვადასხვა ჯგუფების მიმართვები ფართოდ იბეჭდებოდა „დროების" ფურცლებზე, ცენზურის ცხვირის წინ. ვფიქრობთ, რომ ასეთი „თავისუფლებით" პარიზის კომუნის შეფასებაში არც ერთი პრესა არ სარგებლობდა რუსეთის ტერიტორიაზე. ეს ისტორიული დოკუმენტები პარიზის კომუნის მოღვაწეობიდან და გაზეთის მხრით მათი პრინციპიალური შეფასება აუცილებლად დიდ როლს ითამაშებდა ახლად ფეხადგმული ქართველი მშრომელი წრეებისა და ნორჩი ინტელიგენტური ძალების რევოლუციონურად გათვითცნობიერების საქმეში [1])

ასეთია ის თანაგრძნობა, რომელიც გამოიჩინა ჩვენმა გაზეთმა პარიზის კომუნისადმი. ეს თანაგრძნობა მას ხელს არ უშლიდა კრი-

---

[1]) „დ რ ო ე ბ ი ს" 1871 წ. 23 მაისის ნომერში, მაგალითად, მოყვანილია „პარიზის დამცველ ქალთა საზოგადოების" პროკლამაცია, რომელშიაც ეკითხულობთ: „სოციალური რევოლუციის სახელით, რომელსაც ჩვენ მივეხმარეთ იმის გამო, რომ ის გვანიჭებს შრომის უფლებას, თანასწორობას და სამართლიანობას... განა შესაძლებელია თავისუფლებისა და დესპოტობის, ხალხისა და მტარვალების ერთმანეთში მორიგება?.. არა. მშვიდობიანობას კი არა, ბრძოლას, გაუწყვეტელ ბრძოლას თხოულობენ პარიზის მუშები. მორიგება და მუშების საქმის ღალატი ახლა ერთი იქნება. მორიგებას ის მნიშვნელობა ექნებოდა, რომ ჩვენ დავემორჩილოთ ჩვენ ბედს, რომ ჩვენ, მუშები, აღარ ვთხოულობთ არც ჩვენი სოციალური მდგომარეობის შეცვლას, არც ჩვენი დამცირებული და დალუპული კანონებისა და დაწესებულებების მოსპობასა და არც კაპიტალის დამოკიდებულებისაგან შრომის განთავისუფლებას... ჩვენ ღირსნი ვართ იმ უფლების მონიჭებისა, რომელსაც ვთხოულობთ. პარიზი არ დაუთმობს, ამიტომ რომ იმისი დროშა — მომავლის დროშაა. მოაწია ანგარიშის მოთხოვნის დრომ. ადგილი მუშებს.. თავქვე დავემხეთ, მტარვალებო! ნუ გეშინიანთ, ჩვენებო! თავისუფლების ბე, იმის დამცველების სისხლით მორწყული, თან და თან იზრდება. პარიზის ქალებიც, რომელთაც გამოცდილებით იციან, რომ საზოგადოებაში რევოლუცია უმსხვერპლოდ არ მოხერხდება და რომელნიც დარწმუნებულნი არიან, რომ პარიზის კომუნა მუშა ხალხის სარგებლობისათვის იბრძვის, ეს პარიზის ქალები საფრანგეთსა და ქვეყანას დაუმტკიცებენ, რომ იმათ თავიანთ ძმებსავითა და ჭმრებსავით ბრძოლა და სისხლის დაღვრა შეუძლიათ პარიზის ბარიკადებზე და კედელზე, როდესაც იმავე ვერსალის ბურჟუები მიადგებიან. მუშა ქალსა და მუშა ვაჟს ერთი და იგივე მტერი ჰყავს — კაპიტალი და ამიტომ ორივენი შეერთდენ ამ მტრის დასამხობათ. გაუმარჯოს სოციალურ რესპუბლიკას, კომუნას და შრომას!" („დროება", № 20, 1871 წ.).

გასაკვირია, როგორ გაუშვა ცენზურამ ეს რევოლუციონური მოწოდება პარიზის კომუნარებისა?

ტიკულადაც შეხებოდა კომუნის პროგრამას და ტაქტიურ მხარეებს. წერილის „რა არის კომუნა?“ [1]) ავტორი ცდილობს პარიზის კომუნა და კომუნიზმი შეადაროს ერთმანეთს. წერილის ავტორის აზრით, პარიზის კომუნასა და კომუნიზმს შორის „უშველებელი განსხვავებაა“. ეს წერილი დაწერილია 16 აპრილს, ე. ი. კომუნის გამოცხადების თითქმის ერთი თვის შემდეგ. გასაკვირველი არ არის, თუ რედაქციას ამ ხნის განმავლობაში არ ჰქონდა სრული ცნობები კომუნის შესახებ, ამიტომ მოსალოდნელი იყო შეცდომის დაშვება. როდესაც გაზეთი სწერს, რომ პარიზის კომუნასა და კომუნიზმს შორის „უშველებელი განსხვავებაა“, ეს ნაწილობრივ სწორია. ხოლო როდესაც სწერს: ის პირები, რომლებმაც წელს გამოაცხადეს კომუნა, სრულებითაც არ არიან იმ სწავლის მოაზროვნენი, რომელსაც კომუნიზმს ეძახიანო, იგი სცდება: პარიზის კომუნაში საგრძნობ ნაწილს კომუნარები და პირველი ინტერნაციონალის წევრები შეადგენდენ. ეს შეცდომა შემდეგ გაასწორა რედაქციამ, როდესაც პირველი ინტერნაციონალი კომუნის გამომწვევ ინიციატორად დასახა.

მაგრამ რაში ხედავს წერილის ავტორი პარიზის კომუნასა და კომუნიზმს შორის განსხვავებას? ავტორის აზრით, კომუნიზმი იმაში მდგომარეობს, რომ ყველას ქონება და სიმდიდრე მარტო მთელ ხალხს, მთელ სახელმწიფოს ეკუთვნოდესო, რომელიც თითეულ თვის წევრს უნდა აძლევდეს ყველაფერს, რაც კი მას დასჭირდება სიცოცხლეში და სამაგიეროდ მისგან ყველაფერს იღებდეს, რისი გაკეთება და მიცემაც იმას შეუძლია. ამ სწავლის აზრით, ყველას საჭიროებაზე უნდა ზრუნავდეს მთელი საზოგადოება ერთად, თავისი წარმომადგენელი მართველობის ხელით, რომელიც თითეული პირის მოქმედებას ჰგმობს და მოთხოვნილების დაკმაყოფილებას უნდა აძლევდეს. სულ სხვანაირი აზრი და დანიშნულება აქვს იმ „კომუნას“, რომელიც ეხლა პარიზში დაარსებულა. ეს კომუნა მარტო მთელი ქალაქის პარიზის მმართველობის სახელია. ეს კომუნა სრულიადაც არ შეეხება კერძო პირების ქონებას და მთელ სახელმწიფოს მართავს; ის არც სიმდიდრის და ქონების მოგროვებას აპირებს სა-

[1]) „დროებაში“ სხვადასხვა მიმართულების პირები თანამშრომლობდენ, ასე რომ შეუძლებელია მთლიანად გაზეთის აზრის გაცნობა და გამორკვევა. აქ სხვადასხვა ავტორთან გვაქვს საქმე. დასახელებული წერილი შეიძლება სულ სხვა ავტორის წერილი იყოს.

ხელმწიფეს ხელში, არც საბელმწიფოს ავალებს კერძო პირების რჩევნას, აღზრდასა და წინამძღოლობას" [1]).

სწორი არის დებულება, რომ კომუნა არ იყო კომუნიზმი, მაგრამ ავტორი ვერ ამჩნევს, რომ პარიზის კომუნა მოსამზადებელი და გარდამავალი საფეხური იყო სრული კომუნისტური წყობილების განსახორციელებლად. არ არის გასაკვირი, თუ პარიზის კომუნის მნიშვნელობა ბრძოლის მეორე დღეს ვერ გაიგო ჩვენმა ავტორმა: ეს დღესაც არ ესმით ზოგიერთ „სოციალისტებს". შემდეგი წერილებიდან სჩანს, რომ გაზეთისათვის ნათელი გახდა პარიზის კომუნის სოციალური შინაარსი, გაზეთმა გაიგო, რომ პარიზის კომუნა იყო პირველი მნიშვნელოვანი სოციალური რევოლუცია მუშათა კლასისა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მომიხილვის ავტორი არ აკრიტიკებს პარიზის კომუნის სოციალურ და ეკონომიურ ღონისძიებებს. აი როგორ ხსნის მიმომხილველი კომუნის დაცემის მიზეზებს: „ვინც უკანასკნელი გაზეთების ცნობებს ადევნებდა ყურს, ის ადრეც მიხვდებოდა, რომ კომუნა ვერ გაიმარჯვებდა: უპირველესი მიზეზი მისი დამარცხებისა ის იყო, რომ მის წევრებს და საქმეების გამგებლებს შუა მუდამ განხეთქილება და უთანხმოება სუფევდა... ამისთანა დროს განსაკუთრებით სამხედრო საქმეების გამგეობა ყოველთვის ერთი კაცის ხელში და ერთი პლანით უნდა იყოს. კომუნის წევრებს კი ერთმანეთის ნდობა სრულიად არა აქვთ... ცენტრალური კომიტეტი რომ ერთს განკარგულებას აძლევდა, საზოგადო დაცვის კომიტეტი მეორეს ეუბნებოდა, სამხედრო საქმეების გამგებელი დელეგაცია მესამესა და თვითონ სამხედრო მინისტრს კი თავისი ჭკუით უნდოდა საქმე წაეყვანა. ამნაირი ყოფობისაგან კომუნის საქმეები აირ-დაირა და ამით ყველაზე უკეთ, რასაკვირველია, ტიერმა და ვერსალის ნაციონალურმა კრებამ ისარგებლა" [2]). (ხაზი ჩვენია. ს. ხ.).

აქრიგად, ავტორი პარიზის კომუნის დაცემის მრავალ მიზეზს ხედავს არა მის სოციალურს ექსპერიმენტში, არამედ მთლიანი მმართველობისა და სამხედრო გეგმის უქონლობაში.

---

[1]) „დროება", № 15, 1871 წ. წერილი: „რა არის კომუნა?"
[2]) „დროება", № 20, 1871 წ.

ზემოთ დასახელებული წერილის ავტორს ერთი პრინციპიალური ხასიათის სადავო საკითხი ჰქონდა პარიზის კომუნარებთან: როგორც ზევით დავინახეთ, გაზეთის ერთ-ერთი თანამშრომელი თითქმის სახელმწიფოებრივი სოციალიზმის ნიადაგზე იდგა, ამიტომ იგი ვერ გაიზიარებდა კომუნალურ ფედერალურ სისტემას. 15 აპრილის ნომერში ვკითხულობთ: „ეს (ფედერალისტური) მიმართულება. როგორც მთელი ისტორია ამტკიცებს, განსაკუთრებით შეერთებულ შტატებისა და შვეიცარიისა, მეტის მეტად მავნებელია კაცობრიობის წარმატებისათვის, და ამ უკანასკნელ საუკუნეებში ყოველი წარმატება, როგორც ამ ორ გამოჩენილ რესპუბლიკებში მოხდა, მარტო იმით მოხდა, რომ ცენტრალურმა მმართველმა ცოტ-ცოტათ შეიძინა ძველ დროში დაკარგული ძალა კერძო მაზრებზე. კომუნისტების აზრით კი, რა საკვირველია, კერძო სოფელს და მაზრას, როგორც კერძო პირს, თვითმარსებობადა თავისი საკუთარი ქონება არ უნდა ჰქონდეს; ეს უნდა დამოკიდებული იყოს თავის აღმზრდელ და დამცველ საზოგადო მამულზე, მთელ სახელმწიფოზე“[1]) (ხაზი ჩვენია ს. ხ.)

აქედან ნათლად სჩანს ავტორის ცენტრალისტური პრინციპი და უარყოფა ფედერალისტური თეორიისა. მაგრამ ასეთი დებულების წამოყენებით ჩვენი უცნობი ავტორი თეორიულად ემიჯნებოდა არა მარტო პარიზის კომუნარების თეორიას, არამედ რამდენადმე რუსეთის დეცენტრალისტურ ნიადაგზე მდგარ ნაროდნიკულ სოციალიზმსაც. აქ ავტორი იდგა ევროპული სოციალიზმის იმ ნიადაგზე, რომელიც სოციალიზმის განხორციელების საქმეში დიდ როლს ანიჭებდა ცენტრალისტურ ხელისუფლებას. ცენტრალისტურმა თეორიამ ჩვენი ავტორი პრინციპიალურად გამიჯნა როგორც პარიზის კომუნის ფედერალიზმისაგან, ისე რუსული ნაროდნიკული სოციალიზმის გადაჭარბებული სათემო მმართველობის პრინციპისაგან.

ჩვენ მოყვანილმა ლიტერატურულმა დოკუმენტებმა სავსებით დაგვარწმუნა იმაში, რომ ქართველი ინტელიგენციის ნაწილი, განწყობილი სოციალისტურად და რადიკალურად, დიდი აღფრთოვანებით შეეგება პარიზის კომუნარების რევოლუციას. ამის შემდეგ პარიზი და საფრანგეთი თავისუფლების სიმბოლოდ გადაიქცა ინტელიგენცი-

---

[1]) „დროება“, № 15, 1871 წ.

ისათვის: ინტელიგენციის ნაწილი რელიგიური აღფრთოვანებით იბრძოდა
და ქედს პარიზისა და საფრანგეთის წინაშე, აღტაცებით იგონებდა
მის თავდავიწყებით ბრძოლას თავისუფლებისათვის. იმ პერიოდში
რადიკალურ — დემოკრატიულად განწყობილმა ილია ჭავჭავაძემ
1871 წლის 29 მაისს, ე. ი. რევოლუციის დამარცხების მეორე დღეს-
ვე, შემდეგი ლექსი უძღვნა პარიზის კომუნას:

პ ა რ ი ჟ ი.

ტვირთმძიმეთ და მაშვრალთ მხსნელი
დიდი დროშა დაიშალა.
კვლავ ქვეყნისა მჩაგრავ ძალმა
იგი დროშა დასცა დაბლა.
კვლავ ეწამა მოყვასთათვის
საოცარი იგი ერი,
კვდავ დაიდგა დიდ-წამების
მან გვირგვინი მშვენიერი.
კვლავ ქვეყნისთვის დაიღვარა
წმინდა სისხლი წამებულის;
კვლავ დამარცხდა დიდი საქმე
ყოვლად მხსნელი სიყვარულის.
კვლავ ძირს დასცეს იგი მცნება
ქვეყნის ხსნად მოვლინებული,
რომლისათვის თვითონ ღმერთი
იყო ტანჯულ და ჯვარცმული.
კვლავ შეფერხდა ისტორია —
განახლების შედგნენ ძალნი,
და კვლავ დღესასწაულობენ
გამარჯვებული მტარვალნი [1]).

დღემდე ჩვენში მხოლოდ ეს ლექსი იყო ცნობილი, როგორც გა-
მოხმაურება პარიზის რევოლუციისა ჩვენი ინტელიგენციის მხრით. წარ-
მოდგენილმა დოკუმენტებმა ჩვენ ნათლად დაგვანახეს, რომ მარტო ამ
ლექსით არ ამოიწურება პარიზის რევოლუციის შორეული გამოძახი-

[1]) იხ. „კ რ ე ბ უ ლ ი", № 5 — 6, გვ. 354, 1873 წ. ილია ჭავჭავაძე: „პ ა-
რ ი ჟ ი".

ლი ჩვენში; კომუნამ საკმაოდ დიდი გავლენა მოახდინა ჩვენს ინტელიგენციაზე, „წამებული ერის“ბრძოლა მაგალითად გადაიქცა ჩვენი ინტელიგენციის ნაწილისათვის. აი რას სწერდა 1874 წ. რადიკალურად მოაზროვნე ცნობილი პუბლიცისტი სერ. მესხი, რომელმაც 70-იან წლებში ერთი წელიწადი (1873 — 74 წ.) გაატარა ევროპაში. თავის „ხამი მოგზაურის შენიშვნებსა და ფიქრებში“ იგი სწერდა:

„პარიეის პირველ დანახვას, იმის ნიადაგზე პირველი ფეხის დადგმას გამაშტერებელი და ჩამაფიქრებელი ზედმოქმედება აქვს კაცის გონებაზე. თვალი ხედავს ზღაპრის ქალაქივით თვალუწვდენელ ქალაქს, დაუბოლოებელ, სწორ ქუჩებს, კოშკებივით ამაღლებულ ექვს და შვიდ ეტაჟიან სახლებს და სახლებზე კიდევ უმაღლესს ეკლესიებს, კოშკებს და ძეგლებს. გული გრძნობს, რომ შენი ფეხი სდგას ისეთ ნიადაგზე, რომელზედაც რამდენსამე ასს შთამომავლობას უცხოვრია, უმოქმედნია, რომელზედაც რამდენიმე რევოლუცია მომხდარა; გრძნობ, რომ ყოველივე ნაბიჯი ამ ქალაქის მიწისა საფრანგეთის თავისუფლებისათვის დალვრილ სისხლით არის მორწყული; გრძნობ, რომ შენ ხარ იმ ნიადაგზე, იმ ქალაქში, რომელიც არის ერთსა და იმავე დროს თავი და გული მთელი საფრანგეთისა, სადაც ცემს მაჯა პოლიტიკური და სოციალური ცხოვრებისა! უნებურად წარმოგიდგება თვალწინ პარიეის წარსული ცხოვრება, იმის ხალხის ბრძოლა, იმის მუშის თავ შეწირულება, იმის მოწინავე კაცებისა და მეცნიერების გავლენა მთელი ქვეყნის გონებით ცხოვრებაზე, — და ყველა ეს აზრი ისეთ ნაირად გაგიტაცებს, ისეთ ნაირად შეგიპყრობს, რომ შტერდები და ძარღვების უნებური ცახცახი მოგდის.

მე არ ვიცი, რა ემართება და როგორი გრძნობით შედიან მაჰმადის თაყვანისმცემლები თავის წმინდა ქალაქს, — ქაბაში, მაგრამ მგონია, რომ იმათი გრძნობა ძალიან უნდა გვანდეს აღმოსავლეთიდამ პარიეში პირველათ შემომავალი კაცის გრძნობასა!“ [1])

ასეთი აღფრთოვანება და აღტაცება განიცადა ჩვენმა პუბლიცისტმა პარიზის ატმოსფერის გაცნობით, საფრანგეთისა და პარიზის რევოლუციონური წარსულით, მისი ბრძოლების თავგადასავლებით. აღტაცებულმა ქართველმა მწერალმა საქართველოში დაბრუნებისას შემდეგი სიტყვებით მიმართა თავის მკითხველ საზოგადოებას: „უცხო ქვეყნისა და ხალხების დანახვამ ჩემი ქვეყანა და ხალხი უფრო

[1]) იხ. სერ. მესხის ნაწერები, ტ. I, გვ. 193 — 194, 1904 წ.

მომეტებულათ შემაყვარა. იმათ ცხოვრების გაცნობამ საუკეთესო მომავლის იმედი და მომეტებული ენერგია აღძრა ჩემში. ეს იმედი იქნება ჩემი წინამძღოლი და ენერგია ჩემი საქმის წინ წამწევი..." [1])

ამ თავში ჩვენ სხვა მომენტებთან ერთად გავიცანით ის ნაკადი ქართული სოციალისტური აზროვნების, რომელიც უმთავრესად ლასალის სოციალურ და ეკონომიურ კონცეპციებს ეყრდნობოდა და ამრიგად ევროპის სოციალისტური მიმდინარეობის ერთ-ერთ სისტემას იზიარებდა, მარგამ გარდა ლასალისა, ქართული სოციალისტური აზროვნება 60-70-იან წლებში ევროპის სოციალიზმის სხვა სისტემებშიაც ეძებდა თავის საყრდნობს. გავიცნოთ იგიც.

[1]) იხ. სერ. მესხის ნაწერები, ტ. I. გვ. 210 — 211.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი მეოთხე

ნიკო ინაშვილი და ქალთა განთავისუფლების საკითხი.

ქართული სოციალისტური აზროვნების მკვლევარი გვერდს ვერ აუხვევს 70-იან წლებში სამწერლო ასპარეზზე ახლად გამოსული ნიკო ინაშვილის, გრ. თარხან-მოურავისა და მოსე ქიქოძის წერილებს. განსაკუთრებული ადგილი ქართული სოციალიზმის ისტორიაში ნიკო ნიკოლაძეს და ანტონ ფურცელაძეს უჭირავთ; მათ ჩვენ ქვემოთ შევხვდებით. რაც შეეხება სამს ზემოდასახელებულ პუბლიცისტს, მათი ეკონომიური და საზოგადო ხასიათის წერილები მრავალის მხრით არის საინტერესო ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიისათვის. საუბედუროდ, ცენზორის ჯალათურმა ხელმა მათი წერილები ერთობ დამახინჯებული დაგვიტოვა. მიუხედავათ ამისა, მაინც გასაგები ხდება ის სოციალისტური შინაარსი, რომელიც ახასიათებს მათ წერილებს და პროგრამას. განსაკუთრებული მნიშვნელობა ამ პუბლიცისტებისა იმაში გამოიხატება, რომ მათ წერილებს ატყვიათ გავლენა ევროპის სოციალისტური აზროვნებისა, ისინი ჯერ კიდევ ევროპის სოციალისტური აზროვნების ნიადაგზე სდგანან, მაშინ, როდესაც ნიკო ნიკოლაძე და ანტონ ფურცელაძე ცდილობენ შეაერთონ ევროპის სოციალისტური სისტემა რუსეთის ნაროდნიკების სოციალისტურ თეორიასთან.

ნიკო ინაშვილის მნიშვნელობა საერთოდ ქართული საზოგადოებრივი აზროვნებისა და კერძოდ ჩვენში სოციალისტურ შეხედულებათა გავრცელების საქმეში ერთი მეტად მნიშვნელოვანი და იმ დროის ჩვენი საზოგადოებისათვის სრულიად ახალი პრობლემის წამოყენებით ამოიწურება. ჩვენ ვგულისხმობთ ქალთა საკითხს. ქალთა განთავისუფლების საკითხის წამოყენებაში და მის სოციალისტურად განხილვაში პირველობა ჩვენს ლიტერატურაში ნ. ინა-

შვილს ეკუთვნის[1]). 1869 წ. მან გადმოთარგმნა ქართულად სტუარტ მილის მეუღლის წერილი: „ქალების განთავისუფლება“ და ოავის მხრით თარგმანს დაურთო ერცელი წინასიტყვაობა იმავე საკითხის შესახებ, რომელშიაც იგი მნიშვნელოვან თეორიული და პრინციპიალური ხასიათის დებულებებს აყენებს ქალთა განთავისუფლებისათვის. აქ სჩანს მისი საკმაო მომზადება და მასთანავე ღვაწლი ჩვენში ახალი საზოგადოებრივი პრობლემების წამოყენების საქმეში. ნ. ინაშვილი სრულიად ახალგაზრდა გამოეცალა (1870 წ.) ჩვენს ჯერ კიდევ ნორჩ მებრძოლ ახალთაობას. ნიკო ნიკოლაძემ „დროების“ ფურცლებზე იგი დაახასიათა, როგორც ერთი საუკეთესო და ახალი იდეალებით გატაცებული ახალგაზრდა, რომელსაც გულს უკლავდა ჩვენი ცხოვრების ჩამორჩენილობა და ჩვენი მემკვიდრე თაობის მოუმზადებლობა. ნიკოლაძისადმი მიწერილს კერძო წერილში ინაშვილი სწერდა ამ საკითხების შესახებ: „პატიოსანს და მოაზრე კაცს ვალი აქვს მიაქციოს ამაზე ყურადღება, ვალი აქვს გვიჩვენოს ჩვენ ახალი გზა და ახალი ნათელი შეიტანოს ჩვენს ცხოვრებაში“[2]). „ახალი გზის ჩვენება“ და „ახალი ნათელის შეტანა ჩვენს ცხოვრებაში“ სრულიად ახალგაზრდა მწერალმა ზოლოდ 40-გვერდიანი წერილით მოახერხა.[3])

ქალთა საკითხის მოწესრიგებას უდიდესი საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს. ეკონომიური და ისტორიულ-სოციალური პირობების გამო ქალი დამონებულ მდგომარეობაში იმყოფება, ამიტომ მისი განთავისუფლება მოითხოვს ამ ეკონომიური და სოციალური პირობების გარდაქმნას, საზოგადოებრივი სტრუქტურის შეცვლას. აქედან ცხადია, რომ, თუ ერთის მხრით ქალთა საკითხს აქვს თავისი ბიოლოგიური მხარე, მეორეს მხრით იგი აღმოცენებულია გარკვეულ სოციალ-ეკონომიურ ურთიერთობაზე და ამიტომ ქალთა პრობლემა არის უმთავრესად სოციალური პრობლე-

[1]) ქალთა საკითხი ჩვენში გარკვევითა და ნათლად წამოიჭრა ბატონყმობის მოსპობის შემდეგ. „დროების“ ფურცლებზე ჩვენ ხშირად ვხვდებით წერილებს ქალთა საკითხის შესახებ. აღსანიშნავია შემდეგი წერილები: „პოლიტიკური უფლება დედაკაცებისა“ („დროება“, № 19 და 20, 1867 წ.) და „შუშა ხალხის ქალის და ოჯახის მდგომარეობა ევროპის წინასახელმწიფოებში“ — ფილიპე დათეშიძისა (დროება, № 28, 29 და 30, 1867 წ.)

[2]) ნ. სკანდელის წერილი: „ნიკო ინაშვილის სიკვდილზე“, „დროება“, № 45, 1870 წ.

[3]) ნ. ინაშვილის კალამს ეკუთვნის აგრეთვე ჟურნ. „მნათობის“ პირველი მოწინავე წერილი (1869 წ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

მა, ქალების განთავისუფლება შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ მიზანშეწონილი სოციალური ცხოვრების შექმნით.

ინაშვილს საუცხოოდ ესმის ქალთა საკითხის სოციალური მხარე და სწორედ ამ საზომით აშუქებს იგი ამ საკითხს.

„ამ სიტყვებში (ქალთა განთავისუფლება) ისმის რაღაც ახალი, რომელსაც ჯერ ყური არ შეჩვევია, რომელიც პირველად ესმის (ჩვენ) კაცს. საჭიროა ხანგრძლივი მოქმედება ამ აზრისა, რომ კაცის გონება შეურიგდეს მას, რომ მან გასტანოს მის სისხლში და ხორცში და შეეთვისოს მას. ეს კითხვა არის იმ მნიშვნელობის კითხვა, რომელიც საზღვრავს ძველსა და ახალსა, რომელიც შემოიტანს კაცობრიობის ცხოვრებაში ახალს დასაწყისს... ჩვენ ვსასოებთ, მკითხველო, ჩვენის ცხოვრების განახლებაში, ჩვენ გვწამს ჩვენი ხალხის გახსნა და წარმატება. ამისათვის მოვამზადოთ ნიადაგი, რომელმაც აღმოგვიცენოს ცხოვრება, შემკული სიბრძნით, გონიერებით და სათნოებით. უკეთუ ეხლა ვერ შევითვისებთ სრულიად მაღალს და წმინდა აზრებს, ჩვენი ცხოვრების გასამშვენიერებლად, მაინც უნდა ვიცოდეთ, რომ თავის დროზე ამ აზრებს ექნება თავისი სრული მოქმედება“ [1]). (შემდეგ ცენზურის მიერ გამოტოებულია. ხახს ჩვენ ვუსვამთ. ს. ხ.).

ამ სიტყვებში ნათლად სჩანს ის დიდი იდეალი და მიზნები, რომლის სამსახურისათვისაც ემსადებოდა საქართველოში ჩვენი ავტორი [2]).

---

[1]) ნ. ინაშვილი: „ქალების განთავისუფლება“. ჟურ. „მნათობი“ (მაისი და ივნისი), გვ. 1—2, 1869 წ.

[2]) საინტერესოა შემდეგი სიტყვები ინაშვილისა, რომელშიაც იგი, ერთის მხრით, აღნიშნავს საქართველოს ყოფნას, ხოლო მეორე მხრით იმ იდეალებს, რომელსაც უნდა ემსახურებოდეს ახალი თაობა:

„ჩვენი დრო არის კრიტიკული დრო; ჩვენ ვცხოვრობთ ძველსა და ახალს შუა, ძველი სამუდამოდ წავიდა ჩვენგან, მაგრამ ახალი გზა კი ჯერ არ გაგვიკვლევია. ჩვენ უნდა ვეცადოთ გაუნათოთ ხალხს მსვლელობის გზა გონებითი, ზნეობითი და ნივთიერებითი წარმატებისათვის... (ცენზორის მიერ ამოღებულია ს. ხ.)

ამისათვის არის კიდეც ეხლა საჭირო ჟურნალი, რომ იმან შეიყვანოს ხალხი თავის ცნობაში, ახსნას და შეუმუშავოს ის კითხვანი, რომელნიც ყველაზედ მომეტებულად შეეხებიან ხალხის ცხოვრებას, მის სათნოებას, კეთილ-დღეობას და სხვ. ჟურნალი უნდა იყოს წარმომადგენელი უკეთესის და უბრძნესის მოქალაქეებისა. იგი უნდა ჰქადაგობდეს იმ აზრებს, აღეიძებდეს იმ გრძნობებს და იმ გულისთქმას,

როგორ სწყვეტს ქალთა პრობლემას ახალგაზრდა ნ. ინაშვილი? ჩვენ ვიცნობთ იმ მიმართულებას ბურჟუაზიულ მეცნიერებაში, რომელიც ქალთა პრობლემას აშუქებს ბიოლოგიური და ინტელექტუალურ — ფსიხოლოგიური საზომით და რომელსაც ქალი თავისი ბიოლოგიურ—ინტელექტუალური წყობით დაბალი ხარისხის ცხოველად მიაჩნია. ინაშვილი მთელი თავისი არგუმენტაციებით ილაშქრებს ასეთი „თეორიების“ წინააღმდეგ. მისი გამოსავალი წერტილი არის არა ბიოლოგია და ფსიხოლოგია, არამედ საზოგადოებრივი წყობილება და მისი გავლენა ქალთა ცხოვრებაზე. ავტორი სწერს:

„ჩვენ ვერ ვიტყვით იმ კაცზე, რომელსაც ფეხები შეკრული აქვს, რომ მას სირბილი არ შეუძლიან. გაუხსენით ფეხები და იქნება სირბილში ის თქვენ არასფრით არ დაგივარდეთ. აგრეთვე ავარჯიშეთ ქალის ნიჭი, ისე, როგორც ავარჯიშებთ კაცისას, და თქვენ დაინახავთ, რის შემძლებელი არის ქალი. გაუღეთ იმას კარი სამოქალაქო ცხოვრებაში და ის შეიქნება ისეთივე გონიერი და კეთილსაიმედო მოქალაქე, როგორც ერთი ჩვენთაგანი. უჩვენეთ იმას მოქმედების ფართო და თავისუფალი ასპარეზი და მერწმუნეთ, მოიპოვებიან იმათშიაც ბრძენნი და გმირნი, რომელნიც გაგვინათებენ ჩვენს მსვლელობის გზას და თავისის ღვაწლით დაიმსახურებენ უკვდავებას“[1]).

„გაუხსენით ქალს დღეანდელი ბორკილები, გაანთავისუფლეთ იგი თანამდეროვე მონური მდგომარეობიდან და ქალიც თანაბარ ადგილს დაიჭერს მამაკაცთან ერთად“. ამგვარად, ინაშვილის აზრით, ქალის დამონავების და მისი მოუმზადებლობის მიზეზი არის თანამედროვე სოციალური პირობები და თანამედროვე წყობილება. ზემოთ მოყვანილ ციტატებში ჯერ კიდევ გარკვევით არა სჩანს ავტორის სოციალისტური ტენდენციები, ჯერ კიდევ არ ვიცით, „ავტორი რას გულისხმობს „ცხოვრების გამშვენიერებაში“. ცენზურული პირობები ავტორს საშუალებას არ აძლევენ გარკვეული ენით გამოსთქვას თავისი აზრები. მაგრამ არის წერილში გარკვეული ადგილებიც,

---

რომლებსაც შეეძლოთ მოგვცენ ჩვენ თვით უკეთესი მოქალაქენი და მოამზადონ იმათი გული საზოგადო სარგებლობისათვის, რომელსაც აქვს სახეში ხალხის კეთილ-დღეობა და დიდება პატიოსნებისა, სიბრძნისა, სათნოებისა და გენიოსობისა“. (ნ. ინაშვილი: „საჭიროა თუ არა ქართული რიგიანი ჟურნალი“. „მნათობი“ (მარტი), გვ. 7 — 8, 1869 წ.)

[1]) იქვე, გვ. 9.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საიდანაც სჩანს, რომ ინაშვილი სოციალისტურ ნიადაგზე იდგა და ქალთა მოძრაობას სოციალიზმს უკავშირებდა. ავტორი სწერს:

„მეცხრამეტე საუკუნეში ქალების მდგომარეობა ძირის-ძირად შეირყა. ეს არის ეპოქა მათს მდგომარეობაში. ამ საუკუნეს ბედათ ჰხვდა მიეცა სრული დაბოლოვება ქალების კითხვებისათვის, თუ საქმით არა, იდეიით და პრინციპით. ამ საუკუნეში იბადება სოციალიზმი[1]) და იგი პირველად აღვიარებს ქალს სრულიად კაცის თანასწორად (ოვენიზმი, სენ-სიმონიზმი და სხვ.). იგი ჰქადაგებს, რომ ქალს მიენიჭოს ისეთივე თავისუფლება, როგორიც აქვს მინიჭებული მამა კაცს. (ხაზი ჩვენია. ს. ნ.).

„მთელი მეცხრამეტე საუკუნის მოძრაობა არის აღნიშნული ერთის დედა-აზრით (პრინციპი), რომელიც მდგომარეობს კაცის პიროვნების გახსნაში და განვითარებაში სქესის, ტომის და მდგომარეობის განუსაზღვრად (აქ ხაზი ავტორისაა). ჩაუკვირდით კარგათ ყოველ გვარს მოვლენას ამ საუკუნისას, თუ იგი არ წარმოგიდგენთ ერთს გაშლილს ქსოვილს, რომელიც გარდაეფარება ყოველ გვარა ისტორიულს ფაქტს ამ საუკუნისას. ეს არის „სასიცოცხლო ნერვი" (ძარღვი, თუ მომცემთ ნებას ასეთის გამოხატვისას) მთელ მისი ისტორიისა, ეს არის თესლი, საიდგანაც ამოვა და გაიზრდება მთელი მრავალ გვაროვნება ჩვენის ცხოვრებისა, ეს არის დედა-ბოძი, რომლის

[1]) ნ. ინაშვილის წერილს შენიშვნების სახით დართული აქვს უცხო სიტყვათა განმარტებები, სხვათა შორის განმარტებულია სოციალიზმი, სენ-სიმონიზმი, ოვენიზმი და სხვ. სოციალიზმის შესახებ განმარტებაში ვკითხულობთ: „სოციალიზმი არის ფილოსოფიური სწავლა, რომელსაც საგნათ აქვს გამრავლება საზოგადოების ცხოვრების ღონისძიებათა, რომ მთელმა კაცობრიობამ მიაღწიოს თანასწორ კმაყოფილებას და ბედნიერებას. სოციალიზმი ასწავლის: სიკეთეს, სისრულეს, წარმატებას და თანასწორობას, ასწავლის აგრეთვე, რომ სუფევდეს მართ-მსაჯულება, გონიერება და თავისუფლება. სოციალისტებს ეძახიან ყველას, ვინც კაცობრიობის ან საზოგადოების ბედნიერებისათვის ცდილობს და ყველა ამ აზრით მომხდარი დაწესებულება არის სოციალისტური დაწესებულება. ამ დაწესებულებებს სხვათა შორის ეკუთვნის საზოგადო ბანკი, პურის მაღაზიები, რომელნიც საწყალ ხალხს დიდ შეებას აძლევენ გაჭირვებაში, საზოგადო საეკლესიო ბანკები, სადაც საზოგადოების მოგებაზე ზრუნავენ და არა კერძო პირისას და სხვა" (იქ. 24).

რასაკვირველია, სოციალიზმის ცნების ასეთი განმარტება დღეს ვერავის და-

გარეშემოც ტრიალებს ეს საუკუნე. ესეთია მუშების მოძრაობა, ესეთია ნეგრების განთავისუფლება, ესეთივეა — აგრეთვე ქალების მოძრაობა. ყველა ამას ერთი სული აქვს ჩასახული და შეადგენს შედეგს ერთისა და იგივე მიზეზისას...

„...ცივილიზაცია გაიმარჯვებს, ე. ი. კაცის აზრი ჰსძლევს ყველას და დაუმკვიდრებს კაცს უფრო ბედნიერებას, უფრო სრულს და უფრო გახსნილს ცხოვრებას. ასეთია მსვლელობა კაცთა საქმეთა. ...მომავალში შევლენ სხვა მიზეზები მოქმედებისა, დაიბადებიან სხვა ახალი და გონიერი საფუძვლები ცხოვრებისა. სიმართლეზედ, ჭეშმარიტებაზედ...[1]) დაშენდება იგი... სრული გახსნა პიროვნებისა, როგორათაც უპირველესი — პრინციპი (დედა-აზრი) დაისუფევებს მაშინ ქვეყანაზედ.... ჩვენ ვითხოვთ ისეთ თანხმობას და შეთანასწორებას, როგორიც არის მუსიკალური ჰარმონია, შემდგარი მრავალ გვაროვან ხმათაგან"[2]). (ხაზი ჩვენია. ს. ხ.)

ვფიქრობთ, რომ მოყვანილი ციტატა საკმაოდ არკვევს ავტორის როგორც სოციალისტურ მიდრეკილებას, ისე მის თეორიულ მოსაზრებებსაც. თეორიულად იგი ევროპის უტოპიური სოციალიზმის

აკმაყოფილებს, მაგრამ ეს განმარტებაც საინტერესოა იმის გასაგებად, თუ როგორ ესმოდა სოციალიზმი ჩვენი ინტელიგენციის ნაწილს 60-იან წლებში. აქვე განმარტებულია სენ-სიმონისა და ოვენის სოციალისტური სისტემები (გვ. 25 — 27). აღსანიშნავია შენიშვნა: „ჩვენ წინაალმდეგი ვართ ზემოდ დასახელებული პიროვნების (ე. ი. სენ-სიმონის, ოვენის) აზრებისა, რადგან მათი სწავლა არის უსაფუძვლო და წინალმდეგი ქვეყნიერების წესისა. ამაზედ ჩვენ მოვილაპარაკებთ შემდეგ ნომერში". აქედან ცხადია, რომ „მნათობის" რედაქცია მთლიანად არ იდგა სოციალისტურს ნიადაგზე. ეს ცხადიც არის. ეს ორგანო უმთავრესად ნაციონალ-დემოკრატიული იყო, ხოლო სოციალიზმი შემთხვევითი სტუმარი ხდებოდა შიგ. შეიძლება ეს შენიშვნა ცენზურული პირობების გამოც იყო დაწერილი. ჟურნალის შემდეგ ნომერში არ არის დაბეჭდილი დაპირებული წერილი, ხოლო 1871 წ. ნომერში მოთავსებულია მოენიძის (ან. ფურცელაძის) წერილი: „ჩვენი სალტოლველო" რომელშიც ავტორი სოციალისტურ პრინციპს იცავს.

[1]) აქ ცენზორის მიერ ამოღებულია სიტყვა.

[2]) იქვე, გვ. 24 — 27, 39.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიადაგზე სდგას [1]). ინაშვილის ისტორიულ-საზოგადოებრივი შეხედულება იდეალისტურია და ნაწილობრივ თელეოლოგიზმის შინაარსს ატარებს. ავტორის დებულება, რომ „სულ ი ი ს ტ ო რ ი ი ს" მდგომარეობს კაცის პიროვნების განთავისუფლებაში და მისი სულის თავისუფლებაში და მრავალ გვაროვან გახსნაში, ეს არის კანონი, რომლის გამომხატველიც არის ისტორია", — ეს დებულება ნათლად ამოწმებს, რომ ასეთი ისტორიოსოფია ინაშვილს შეთვისებული აქვს უმთავრესად უტოპიური სოციალიზმის სალაროდან და აგრეთვე ლავროვის წიგნიდან („ისტორიული წერილები"), რომელიც პირველად 1868—69 წლებში დაიბეჭდა გაზ. „ნედელია"-ში. რუსეთის სუბიექტიურმა სოციოლოგიამაც ავტორზე, ეტყობა, დიდი გავლენა მოახდინა.

როგორც აღვნიშნეთ, ნ. ინაშვილმა ერთ-ერთმა პირველთაგანმა წამოაყენა ჩვენში ქალთა საკითხი და აღიარა იგი, როგორც ერთ-ერთი რგოლი დიდი სოციალური ძოძრაობისა. მუშათა მოძრაობასთან ერთად, ავტორის აზრით, ქალთა მოძრაობაც „შეადგენს შედეგს ერთისა და იგივე მიზეზისას", სულდგმულებს ერთი მთავარი პრინციპით, რომელსაც ემსახურება სოციალიზმი. პიროვნების განთავისუფლების თეორიიდან ჩვენი ავტორი მიეიდა მუშათა და ქალთა განთა-

[1]) იმ შენიშვნებში, რომელიც დართული აქვს ინაშვილის წერილს, ავტორი თანაგრძნობით იხსენიებს ევროპის უტოპიური სოციალიზმის მამამთავრებს. ასე, მაგალითად, ს ე ნ - ს ი მ ო ნ ი ს შესახებ შენიშვნაში ვკითხულობთ:

„ს ე ნ - ს ი მ ო ნ ი ზ მ ი ეწოდება იმ სწავლას შესახებ სარწმუნოებისა, პოლიტიკისა, სოციალიზმისა, ეკონომიისა, რომელსაც ასწავლიდა სენ-სიმონი რევოლიუციის შემდეგ 1803 წ. სენ-სიმონიზმი სხვათა შორის ასწავლიდა ზნეობითს, გონებითს და ფიზიკურს გახსნას დაბალი წოდების კაცისას. ამის სწავლით არ უნდა ყოფილიყო ქონების თანასწორი განაწილება, არამედ ყველას უნდა მიეღო ჯეუისა და შრომის გვარად; პატივი და უადრესობა უნდა მოსპობილიყო; ქალები უნდა ყოფილიყვნენ კაცებივით თავისუფალნი და ისეთივე უფლება და სამართალი ქონოდათ, როგორც კაცებს, გარნა ქორწინება ისევე უნდა ყოფილიყო. ამ სწავლამ ძალიან ბევრი საწყალი წასწია წინ და ტალანტი გამოაჩენია" (იხ. „მნათობი", 1869 წ., გვ. 25).

რობერტ ოვენის მოძღვრებას ავტორი შემდეგნაირად გადმოგვცემს:

„ო ვ ე ნ ი ზ მ ი—აგრეთვე სწავლაა, რომელიც ეკუთვნოდა რობერტ-ოვენის. სცხოვრობდა მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში, ინგლისში. ის ასწავლიდა ურთიერთის დახმარებას და საკუთრების განსაზოგადოებას (ესე იგი ყველას საკუთრება საზოგადო უნდა ყოფილიყო, ყველასი). ოვენიზმის თავი და თავი აზრი შემდეგია: „კაცის ბედშარიტი დანიშნულება ქვეყანაზე არის ცხოვრება თავისი ბუნების კანონის შესაფერად, ე. ი. სრული დაკმაყოფილება მისი საჭიროებისა, რომლებიც

ვისუფლების იდეამდე, ხოლო ამ იდეების, ე. ი. პიროვნების განთავისუფლებისა და მისი „სულის მრავალ გვაროვან გახსნას", სრულყოფას იგი ხედავს სოციალისტურ წყობილებაში. ამრიგად, ავტორი პიროვნების თავისუფლების იდეიდან მივიდა სოციალიზმის აღიარების იდეამდე.

ავტორმა ინდივიდუალიზმის თეორია სოციალიზმის თეორიას დაუკავშირა. ეს იყო სრულიად ახალი იდეები და თეორიები, რომელთა შემოტანაც 60-იანი წლების ჩვენი ახლადფეხადგმული კულტურის ოჯახში მოუხდა სრულიად ახალგაზრდა პუბლიცისტს ინაშვილს.

ზევით უკვე დავინახეთ, „შრომის თეორიის" აღიარებით „დროების" ერთ-ერთი თანამშრომელი როგორ მივიდა ლასალიანური სოციალიზმის აღიარებამდე. ინაშვილის გამოსაავალი წერტილი არის არა შრომა, არამედ პიროვნების თავისუფლება, პიროვნების „სულის თავისუფალი და მრავალგვაროვანი გახსნა". კაცის პიროვნების გახსნა და განვითარება სქესის, ტომის და მდგომარეობის განურჩევლად — აი რას ქადაგებდა ინაშვილი. „დროების" თანამშრომელი ეყრდნობოდა ეკონომიურ კანონს, ეკონომიურ ჭეშმარიტებას, ნ. ინაშვილი — ინდივიდუალიზმის კანონს, ინდივიდუალიზმის, თავისუფლების ჭეშმარიტებას. მიუხედავად ამისა, ერთიც და მეორეც ერთ დასკვნამდე მიდიან, თუმცა გამოსაავალი წერტილი და მიდგომა სხვადასხვა აქვთ.

გამოიხატებიან მოთხოვნილებით, მიდრეკილებით და გემოვნებით. კაცი თუ მოქმედებს აქის მისაღწევად, მაშასადამე, ის მოქმედებს ბედნიერების მისაღწევად, რომელიც არის უმაღლესი მიზანი ყველა კაცის მოქმედებისა. ამის გამო უნდა შეიმუსროს ბოროტება, როგორც კაცის ბედნიერების წინააღმდეგი ძალა". ახასიათებს რა ოვენის შეხედულებას ადამიანის შეგნებაზე, ავტორს შემდეგ მოჰყავს ოვენის სიტყვები და დაასკვნის:

„როგორც სრანს ოვენიზმი ასწავლის იმას, რომ კაცის მოქმედება სრულებით არის დამოკიდებული გარემოებაზედ და უარს ჰყოფს კაცის ნების თავისუფლებას და ყოველ გვარს პასუხის გებას დანაშაულობისათვის, ხოლო ძალდატანებას და დასჯას ჭრიცხავს უსამართლო და უსაკმარისო საშუალებზე სახოგადოებაში ბოროტებისა ამოსაფხვრელად. სენის ძირიანად აღმოფხვრა სახოგადოებაში, იმის აზრით, უნდა მდგომარეობდეს თვით სახოგადოების წყობილების გარდაცვლაში და სხვა. ოვენმა თავის სწავლის აღსასრულებლად შეადგინა პლანი (მოსაზრება) და იმის გვარად დააფუძნა 1800 წ. სამეურნეო სავაჭრო კოლონია შოტლანდიაში და ისე ჩინებულად წაიყვანა საქმე, რომ ინგლისელებმა დაარქვეს მას სურათი: მარჯვე ცხოვრებისა, ბედნიერებისა, სიფაქიზისა, დაკმაყოფილებისა. შემდეგ ამისა ამ

აქ ზედმეტი არ იქნება მთლიანად მოვიყვანოთ ის წერილი, რომელიც ნ. ინაშვილს მიუწერია 1870 წ. მაისში მისი მეგობარი ნ. ნიკოლაძისათვის. ეს წერილი ნიკოლაძემ გამოაქვეყნა „დროების" ფურცლებზე 1870 წ. და ამიტომ, ცენზურული პირობების გამო, იძულებული იყო წერილი შეეკვეცა. მოუხედავად ამისა, ეს წერილი ნათელ წარმოდგენას იძლევა ინაშვილის მაღალი მიზნებისა და მისწრაფებების შესახებ.

ამჟამად ჩვენ ხელთ არის ნ. ინაშვილის წერილის დედანი. მოგვყავს იგი სავსებით, როგორც საინტერესო დოკუმენტი. ნ. ინაშვილი სწერდა პეტერბურგიდან ნ. ნიკოლაძეს:

„ნიკო. ეხლა ნამდვილად შევიტყე, რომ შენ ტფილისში ხარ, მე მაქვს ხელში ცხადი ნიშნები შენის მანდ მყოფობისა. „დროების" მე-15 და 16 ნომრები შენი რედაქტორობის ქვეშ არის გამოსული. მე-15 ნომერი არაფრით არ განირჩეოდა უწინდელი ნომრებიდან ხასიათით. მე-16 ნომერში კი გამოითქვა სხვა, ახალი, ჯერ უცნობელი. სტატია: „ჩვენი საზოგადო საქმეები" ბევრით არ განირჩევა სხვა ამ გვარი სტატიებიდან, რომლებიც უწინაც არა ერთხელ მინახავს „დროებაში". ჯერ ეს შესავალია; დავიცადოთ, ნუ გულ ვისწრაფებთ, ვნახოთ ბოლო რალას გვეტყვის; „მგზავრის წიგნები" კარგი სტატიაა, ვგონებ, რომ ხასიათები ტიპიურად იყოს გამონახული, შენ როგორღა ჰფიქრობ ამაზედ? შენი შენიშვნა სახელად: „რედაქციის შენიშვნა" მომეწონა სრულიად თანაგიგრძნობ. ბიბლიოგრაფია„ მნა-

---

გვარი კოლონიები ორიოდე სხვაც დაწესდა კიდევ". (იქვე, გვ. 25-6-7)

ცხადია, ამგვარი შენიშვნებით და სოციალისტურ მოძღვრებათა შინაარსის გადმოცემით ჟურ. „მნათობი" და თვით ავტორი ნ. ინაშვილი დიდად უწყობდენ ხელს ჩვენი საზოგადოების გათვითცნობიერებას. ყოველ შემთხვევაში, ეს პირველი წერილი იყო ჩვენს ღარიბ ლიტერატურაში, საიდანაც მკითხველმა საზოგადოებამ პირველად მოისმინა სოციალიზმის ცნების განმარტება და დიდი უტოპისტების მოძღვრებათა დახასიათება. სოციალიზმი, სენ-სიმონიზმი, ოვენიზმი აქ განმარტებულია თავისებურად, მაგრამ ამ განმარტებაშივე ნათლად სჩანს ავტორის სიმპატიები და თანაგრძნობა ამ მოძღვრებისადმი. ორი წლის შემდეგ, ე. ი. 1871 წელს, ანტ. ფურცელაძემ იმავე „მნათობის" ფურცლებზე ერცლად განიხილა ევროპის უტოპიური სოციალიზმის სისტემები და გააცნო მათი შინაარსი ქართველ ინტელიგენციას. ასე და ამ გზით ჩვენი საზოგადოება ეცნობოდა ევროპის სოციალისტურ მოძღვრებათა შინაარსს უკვე 60-იანი წლ. მიწურულებიდან. ეს ფაქტი აუცილებლად უნდა იქნეს აღნიშნული ჩვენი სოციალისტური აზროვნების განვითარების ისტორიაში.

თობზედ“ სრულიად მართალია და ამაშიაც თანაგაგიზიარებ აზრებს.[1] მეც როცა გადავიკითხე „მნათობი“ ჯავრი მომივიდა. ღმერთო ჩემო! ამაზედ იდიოტური ლექსები კიდევ ღა იქნება. ან ქიქოძეს სტატიას დამიხედე [2]): მთელს მსოფლიოს შეიცავს, ისე ერცელი და ფართოა. მაგრამ რაზედ ლაპარაკობს? სად არის უმთავრესი ძაფი სტატიისა, სად არის მისი იდეა, რა ჰსურს ავტორს? ამაზედ ვერავითარი პასუხი ვერ მივიღე. ერთი ნაბიჯი კიდევ და გამიხდება მეორე „ცისკარი“. ჩემი სურვილი ეხლა ის არის, თუ იყოს „მნათობი“ კარგი იყოს, ან არა და სულ ნუ იყოს. ეს ყველას ემჯობინება. ვნახოთ შემდეგი ნომრები „დროების“ რალას მოგვიტანენ, ან რას გვეტყვიან ახალს. დასაწყისი კარგია და ბოლოც თუ კარგათ გამოაბით ძრიელ სასარგებლო იქნება. ნიკო! მე ძალიან მსურს, რომ შენ გულმოდგინეთ ითანამშრომლო „დროებაში“ და დიდხანს; ერთი თვით შენი თანამშრომლობა „დროებაში“ არ კმარა. მე გავიგე, რომ შენ პეტერბურლს აპირებ მოსვლას. შენი განზრახვა არ ვიცი, მაგრამ სასარგებლო კი იყო, რომ შენ ტფილისში დარჩომილიყავი და ბეჯითი, მუყაითი თანამშრომლობა გაგეწია. ეს ძრიელ საჭიროა. ჩვენი ლიტერატორები სწორედ თვალებ ახვეულები არიან და საზოგადო საქმისა, როგორც არ მომკლავ, არა გაეგებათ რა.

ეგენი არიან ბრმა წინამძღვრები უბედური ხალხისა. რა ძალა აქვს მაგათ სიტყვას? რამდენათ ღრმა არის მაგათი აზრი? რამდენათ შორს და პირისპირათ გასჭრის საზოგადო საგნების შინაარსს მაგათი ანალიზი, მაგათი კრიტიკა? რამდენათ ცხოველი და ნაყოფიერია მაგათი მოქმედება? რა საზოგადო იდეალი აქვთ მაგათ დახატული თავში? რა პროგრამა აქვთ მოქმედებისა? ვითარია მაგათი პოლიტიკური მიზანი? ვითარი საზოგადო ცელილება ჰსურთ მაგათ?

შენ თითონ მითხარი, მეტყვიან თუ არა ეგენი ამაზე პასუხს. ხეირიანად მაგ საქმეზედ არც ერთი იმათგანი არ მომხადებულა, ნიჭითაც ძალიან არ არიან დაჯილდოვებულნი. აი ვინ არიან წარმომადგენლები ჩვენი სახალხო აზრისა, აი ვისში გამოიხატება ჩვენი გონებითი მოძრაობა! მდგომარეობა ძეტათ სამწუხარო და საგძნობელია პატიოსან და მოაზრე კაცს ვალი აქვს მიაქციოს ამაზე ყურადღება,

---

[1]) აქ ლაპარაკია ნ. ნიკოლაძის ერცელ ბიბლიოგრაფიაზე ჟურ. „მ ნ ა თ ო ბ ი ს“ შესახებ, რომელსაც ჩვენ ქვევით შეეხებით.

[2]) საკითხი შეეხება მოსე ქიქოძის წერილს: „ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს მ ო მ ა ვ ა ლ ი“, რომელიც ნ. ნიკოლაძემ გაარჩია. დაწერილებით იხილეთ ქვევით.

ვალი აქვს გვიჩვენოს ჩვენ ახალი გზა და ახალი ნათელი შეიტანოს ჩვენ ბნელ ცხოვრებაში. რატომ არ უნდა დაღონდეს ქალი, როცა ჰხედავს, რომ კაცი დიდი ენერგიის და ნიჭის პატრონი უმოქმედო და უაზრო ცხოვრებას მიცემია? კერძო პირი არაფერიაო, კერძო პირი დამოკიდებულიაო საზოგადო გარემოებაზედ,—ამბობენ. ეს მართალია. მაგრამ მაინც და მაინც კერძო პირსაც ბევრი რამ შეუძლიან. კერძო პირსაც ემართება ბრძოლა უსამართლობასთან და უმეცრებასთან, თუნდაც ამ ბრძოლაში დაიღუპოს! მაშასადამე, „სიმართლე პიროვნებისა" აღდგინებულია. ვიმოქმედოთ....

ახლა გეტყვი ორიოდე სიტყვას ჩემს პიროვნებაზედ. მე დაგპირდი ვინ იცის როდის თარგმანს გამოგიგზავნი მეთქი; მაგრამ აქამდინაც ეს ვერ შევიძელი. მე იმ დროს შეუძლოთ ვიყავი და მერე ეგზამენებიც თავზედ მოგვატყდა, აჰასთანავე სხვა ნაწილები არ იყო გათავებული, ამანაც შემაგვიანა. სტატიებსაც დაგპირდი და აქამდის არც ერთი ჩემი სტატია თვალით არ გინახავს. ესეც ზემოხსენებული მიზეზების გამო. 15 მაისს ეგზამენი თავდება, შემდეგ მოკლე დროში თარგმანსაც გამოგიგზავნი და სტატიებსაც. ძალიან ვეცდები, რომ ცოცხალი და ხალისიანი სტატიები იყოს; ბევრი წიგნების წაკითხვა დამჭირდება, ამასაც მოვასწრობ. ერთი სიტყვით ამ ზაფხულს შემეძლება „დროებისათვის" მოვამზადო სტატიები, მწერენ, რომ დამატების გამოცემას აპირობთო, ეს კარგი იქნება[1]).

ნ. ინაშვილი ადრე გამოაკლდა ჩვენი ინტელიგენციის ოჯახს. მისი წერილი ქალთა განთავისუფლების შესახებ გვიმტკიცებს, რომ მასში ჩვენმა ხალხმა დაჰკარგა დიდი ნიჭის, ცოდნისა და მაღალი იდეებით აღფრთოვანებული მებრძოლი პუბლიცისტი.

ამ თავის ბოლოში მე არ შემიძლია აღუნიშნავი დავტოვო ერთი სერიოზული წერილი, რომელიც 1868 წლის „დროების" 36, 37 38 და 39 ნომრებში იყო მოთავსებული. ამ წერილის სათაურია: „ზნეობითი, გონებითი და ესთეტიკური გახსნა". წერილები ხელმოუწერელია და მხოლოდ პირველი ნაწილი არის გამოქვეყნებული. ჩვენ ვფიქრობთ, რომ იმ დროისათვის ამ მეცნიერული და სერიოზული წერილის ავტორი უნდა იყოს იგივე ნიკო ინაშვილი: თვით მიდგომა საკითხისადმი, წერის მანერა და სტილი იწვევს აზრს,

---

[1]) ეს წერილი გადმომცა პატივცემულმა ნიკო ნიკოლაძემ, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ.

რომ წერილის: „ზნეობრივი, გონებრივი და ესთეტიკური გახსნისა“ და „ქალთა განთავისუფლების“ ავტორთა შორის დიდი ნათესაური კავშირი უნდა იყოს. სწორედ ეს გარემოება გვაფიქრებინებს ჩვენ, რომ ზემოდასახელებული ხელმოუწერელი სტატია ნ. ინაშვილის კალამს ეკუთვნის [1]).

წერილის შესავალში ავტორი სწერს: „არა ვგონებ, რომ იყოს კიდევ ჰეშმარიტება იმაზედ ცხადი, რომ ჩვენი ცხოვრება საჭიროებს ძირითადს განახლებაში, ჩვენი საერთო ლტოლვილებანი უნდა იყვნენ მიმართულნი ამ მიზნისადმი და ყოველი კეთილშობილი მოქალაქე ამასვე უნდა ცდილობდეს... წრფელი და ღრმა უნდა იყოს ჩვენი წადილი საზოგადო განახლებისა, სანატრელი უნდა იყოს მისი მიახლოება და ხელებ-გაპყრობილნი უნდა მივესალმოთ გარიჟრაჟს ამ ახალის ცხოვრებისას... ვინ, თუ არა ახალგაზრდობა უნდა შეჰნატროდეს ხალხის განახლებას? ვინ, თუ არა ის (ახალგაზრდობა) იყო წი-

[1]) ეს თავი სავსებით აწყობილი იყო, როდესაც ჩვენ მოვიწადინეთ აღნიშნული მომენტის შესახებ ახალი ცნობების შეკრება:

ნ. ნიკოლაძის ნაწერების ხელახლად გადათვალიერებამ დაადასტურა ჩვენი მოსაზრება, რომ აღნიშნული ხელმოუწერელი წერილის („ზნეობითი, გონებითი და ესთეტიკური გახსნა“) ავტორი ნ. ინაშვილია. ერთ წერილში ნ. ნიკოლაძე პირდაპირ ასახელებს აღნიშნული წერილის ავტორად ნ. ინაშვილს. ჩვენ მოვიყვანთ ერთ ციტატას ნ. ნიკოლაძის წერილიდან, სადაც იგი ბიოგრაფიულ ცნობასაც იძლევა ინაშვილის შესახებ. ნიკოლაძე სწერს: „ნიკო ინაშვილი დღეისწორს (6 ნოემბერს, 1870 წ.) მოკვდა თფილისში, სადაც ის ამ ზაფხულს პეტერბურგიდან საექიმოდ ჩამოვიდა. ეს ახალგაზრდა, აქაურს სემენარიაში სწავლის დასრულების შემდეგ კიევის უნივერსიტეტში შევიდა, საიდგანაც შარშან (1869 წ.) პეტერბურგს გადაეიდა. მისი თანამშრომლობა „მნათობში“ კარგათ უნდა ახსოვდეს ჩვენ მკითხველს, აგრეთვე ოოგორც ზოგიეოთი მისი სტატიები „დროებაში“ (სხვათა შორის „ზნეობითი და ესთეტიკური გახსნა“). მაგრამ მკითხველმა არ იცის, რა მხურვალე გულით სურდა ინაშვილს ჩვენი საზოგადოების სიკეთე, ან რა ნაირ გაჭირვებაში ემზადებოდა ის — ხამაშურიძესავით (მომზადებული, სოციალისტური იდეებით გატაცებული ახალგაზრდა ყოფილა. ს. ხ.) — საზოგადოებისთვის სარგებლობის მოსატანათ... სამწუხაროდ ამ მხადებასაც ისე უდროოდ მოეღო ბოლო, როგორც ხამაშურიძის შრომას: ორივეს ერთნაირი ბედი მოერია“. (იხ. ნიკო ნიკოლაძის ნაწერი: პირველი წიგნი, გვ. 135—6, 1890 წ.) სამწუხაროდ, ამჟამად დროებებას არ გვაძლევს იმის გამოსაკვლევად, თუ გაზ. „დროების“ რომელი ხელმოუწერელი წერილები ეკუთვნიან ნ. ინაშვილის კალამს. ეს შემდეგისათვის უნდა გადავდოთ. ყოველ შემთხვევაში, ორი ზემოთ განხილული წერილი ნ. ინაშვილისა ნათელ სურათს გვაძლევს ნიჭიერი ავტორის აზროვნების დასახასიათებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნამორბედი მომავლისა, დამგმობი საზოგადო უმეცრებისა და ბნელ-ველ გვარ პატიოსნურ თავშეწირულებაზედ" [1]).

შემდეგ ავტორი აღნიშნავს, თუ როგორი დიდი როლი ითამაშა ოგიუსტ კონტმა სოციოლოგიური მეცნიერების შემუშავებაში. „იმან (კონტმა) — სწერს ავტორი—პირველმა დაამტკიცა ჯეროვანის სისრულით, რომ სოციოლოგია უნდა შემუშავდეს სამეცნიერო მეთოდით, და ცხადად გვიჩვენა, რომ მხოლოდ ამ მეთოდის შემწეობით იგი შეიქმნება მეცნიერებათ... ეს არის ერთი იმ მეცნიერებათაგანი, რომელიც ყველაზედ მომეტებულად მიაქცევს ჩვენს ყურადღებას. აქ აიხსნებიან კითხვანი სიცოცხლისა და გახსნისა, ბედნიერებისა და კეთილისა" (იქვე). ამრიგად, ჩვენი ავტორი სოციოლოგიურ პრინციპზე დგება. მაგრამ მისი სოციოლოგიური შეხედულებანი სუბიექტიური სოციოლოგიის ძირითად დებულებებს ეყრდნობა. ავტორი სწერს: „მოაქელთ კაცს განათლება, თავისუფლება, თვის საყვარელი საგანი და კაცი შეიქმნება უბედური, ის იტანჯება, იმას წაერთვა სრული ცხოვრება და სიცოცხლემ დაჰკარგა მისთვის თავისი სიმშვენიერე და მიმზიდველობა... აქ უნდა გამოვსთქვა ის აზრი, რომ ყოველი ინდივიდუმი (ყოველი კერძო პირი) არის გაჩენილი სრულის ცხოვრებისათვის, სადაც მისნი ნიჭნი უნდა ერცლად გაიხსნან და მისნი სასიცოცხლო მოთხოვნილებანი მიუცილებლად დაკმაყოფილდნენ... აქედან შეგვიძლიან გამოვიყვანოთ ის უდიდესი აზრი, რომ ყოველი ინდივიდუმისათვის სიკეთეს და ბედნიერებას შეადგენს ის, რაც ეხმარება მის მოთხოვნილებათ, ხოლო ბოროტს და ტანჯვას ის, რაც უშლის და რაც ეწინააღმდეგება მათ" (იქვე). აქ ნათლად სჩანს ავტორის ინდივიდუალური შეხედულება. მაგრამ მისი ინდივიდუალიზმი არ მიდის უკიდურესობამდე. ინდივიდი, მისი აზრით, წევრია საზოგადოებისა და მას ამის გარეშე არ შეუძლია არსებობა. საზოგადოება არის დანიშნული კაცის სრულის და ბედნიერების ცხოვრებისათვის, სადაც ყოველი მისი მოთხოვნილება უნდა დაკმაყოფილდეს... ყოველი ჩვენი სულიერი ნიჭი არასოდეს არ არის ჩვენი საკუთრება, არამედ იმაში მონაწილეა საზოგადოება... ყოველს ინდივიდუალურს ფაქტში ჩვენ ვხედავთ სოციალურის მიზეზების მოქმედებას. ყოველი სისრულე ჩვენის სულიერის ცხოვრებისა არის პირდაპირი შედეგი

[1]) იხ. ხელმოუწერელი წერილი: „ზნეობითი, გონებითი და ესთეტიკური გახსნა", „დროება", № 36, 1868 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოციალურის (საზოგადო) მოღვაწეობისა" (იქვე). ასეთი თეორიით ავტორი სრულიად ლოგიკურად მივიდა ორი ძირითადი პუშმარიტების აღიარებამდე: ინტერნაციონალიზმისა და სოციალიზმის პრინციპის მიღებამდე. იგი არ ცდილობს პიროვნება მოაქციოს ვიწრო საზოგადოებრივ ფარგლებში: მისი იდეალი და მისწრაფება მთელი კაცობრიობაა. ავტორი სწერს: „...კაცობრიობა სხვა არაფერია, როგორც შემკრებელობა ინდივიდუმებისა [1])" და ინდივიდუმები თუ უბედურობაში და ტანჯვაში არიან, მთელი კაცობრიობაც უბედურია და იტანჯება. ბედნიერების მოთხოვნილება — სწერს მეორე წერილში — არის მსოფლიო მოთხოვნილება. ყოველი კერძო კაცი, ყოველი საზოგადოება და უკანასკნელ მთელი კაცობრიობა ელტვის ბედნიერებას, რომელიც მდგომარეობს ყოველის სულიერის და ხორციელი მოთხოვნილების დაკმაყოფილებაში" [2]). ავტორი ებრძვის ვიწრო ნაციონალისტური ინტერესებით გატაცებას და ამბობს: „იგი აძლევს უპირატესობას ვიწრო სახალხო ინტერესებს, არ მიაქცევს არავითარ ყურადღებას საზოგადო კაცობრიობის ინტერესებს, და ამის გამო დიდათ ავნებს თავის მამულს. რადგანაც ის შემოფარგავს თავის გონებითს მხედველობას ვიწრო წრეს, ამის გამო ის სრულიად ვერ შენიშნავს საზოგადო საქმეებს უმაღლესის მნიშვნელობისას და დააკვირდება მხოლოდ უმდაბლესის მნიშვნელობის საქმეებს" [3]).

უდავოა, რომ ჩვენი ავტორი ილაშქრებს ვიწრო ნაციონალიზმის წინააღმდეგ და ინტერნაციონალურს პრინციპს იცავს.

ჩვენი ავტორი იცავს ევროპის სოციალისტების მიერ წარმოდგენილ შრომის უფლების პრინციპს. იგი სწერს:

„...სამართალი ითხოვს, რომ შრომის უფლება (право труда) გამოურაცხველად ყოველ კერძო პირს უნდა ჰქონდეს, რადგანაც იგი არის წყარო სრულის და ბედნიერის ცხოვრებისა ინდივიდისათვის და ესეც გვიჩვენებს, რომ შრომის უფლება უნდა იყოს დაურღვეველი" [4]).

სამწუხაროდ, წერილის ერთი ნაწილი არის მხოლოდ დაბეჭდილი და ამიტომ არა გვაქვს ავტორის სრული შეხედულება ამ სა-

---

[1]) დროება № 37, 1868 წ.

[2]) „დროება", № 36.

[3]) „დროება", № 37.

[4]) დროება № 38.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კითხზე. მაგრამ მოყვანილი ციტატა ნათლად ამტკიცებს ავტორის შეხედულებას საკითხზე.

როგორც დავინახეთ, „გონებითი, ზნეობითი და ესთეტიკური გახსნის" ავტორი სუბიექტიური სოციოლოგიის საფუძვლებზე სდგას. წერილის სინაარსიდან ვტყობილობთ, რომ ამ სტატიის ავტორი საკმაოდ მომზადებული პიროვნება იყო და უმთავრესად ევროპის მეცნიერების დასკვნებს ეყრდნობოდა. ავტორი ერთ წერილში წერს: „ჩვენ შეუმცდარ ჭეშმარიტებათ მიგვაჩნია ეს აზრი, რომ გონიერის აღზრდით კაცის გონებას და გულს შეგვიძლია მივსცეთ იდეალური სისრულე. ამ აღზრდაში იპყრობება უდიდესი ზნეობითი და სოციალური ძალა და მისის შემწეობით ჩვენ შეგვიძლიან ჩავნერგოთ ახალგაზრდობაში სიყვარული საზოგადო სიკეთისა და აღუგზნათ მას ლტოლვილება სათნოებისა და სისრულისადმი"[5]). მეორე ადგილას: „წინ მსვლელი სულიერი პროგრესი გაიტაცებს თავის მსვლელობაში მატერიალურს ქვეყანასაც და გამოუწოდებს ყოველგვარს მატერიალურს გაუმჯობესობას"[6]). ეს დებულებანი, ჩემის აზრით, ევროპის უტოპიური სოციალიზმის წყაროდან მომდინარეობენ.

---

[5]) „დროება", № 37, 1868 წ.

[6]) „დროება", № 39.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი მეხუთე

გრ. თარხან-მოურავი და ასოციაციების თეორიები.

სოციალისტური ტენდენციები აუცილებლად სქარბობენ გრ. თარხან-მოურავის (1844 — 1897) ნაწერებში, მაგრამ რაც დამახასიათებელი და მნიშვნელოვანია თარხან-მოურავის პუბლიცისტურ ნაწერებში—ეს არის მისი „ეკონომიზმი", ეკონომიური საკითხებით დაინტერესება და მათი გაშუქება. ეს მწერალი მთელ რიგ მოფიქრებულად და მეცნიერულად დაწერილ წერილებში არკვევს საქართველოს მაშინდელ ეკონომიურ ცხოვრებას და მის საზოგადოებრივ წყობილებას მომავალში. გრ. თარხან-მოურავის ეკონომიური წერილებისათვის ჩვენს ლიტერატურაში დღემდე არავის არ მიუქცევია სათანადო ყურადღება. არჩ. ჯორჯაძემ თავის „ინტელიგენციის ისტორიის მასალებში" მხოლოდ გაკვრით მოიხსენია ეს მწერალი, ის კი ღირსია უფრო მეტის ყურადღებისა. მის წერილებში საყურადღებოა შემდეგი მომენტები:

ა) კრიტიკა კაპიტალისტური წყობილების და აგრეთვე იმ სოციალ-პოლიტიკური სტრუქტურისა, რომელიც არსებობდა საქართველოში 60 — 70-იანი წლებში;

ბ) გზა და საშუალება კოლექტიური მეურნეობის განვითარებისათვის საქართველოში, ე. ი. სამეურნეო ასოციაციების თეორიების აუცილებლობა საქართველოს ეკონომიური წარმატებისათვის;

გ) ეროვნული საკითხის გაშუქება ეკონომიური საზომით;

დ) შრომის თეორიის წამოყენება და მუშათა საკითხზე საუბარი.

ყველა ამ საკითხთან დაკავშირებულია მისი სოციალისტური ტენდენციები. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ იგი საზოგადოებრივ ცხოვრებაში გადამჭრელ მნიშვნელობას ეკონომიურ ფაქტორს ანიჭებს. რასაკვირველია, მისი „ეკონომიზმი" შორს დგას მარქსისტული ეკო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნომიზმისაგან. ამ მხრით ისტორიულად იგი წინააღმდეგობა ქართველი მარქსისტებისა; ეკონომიური ფაქტორის აღიარება, მისი პირველ რიგში დაყენება და ამ საზომით გაშუქება მთელი საზოგადოებრივი ცხოვრებისა აუცილებლად უნდა ჩაითვალოს საგულისხმიერო მოვლენად ჩვენში 60-იანი წლების მიწურულებისათვის, მიუხედავად იმისა, რომ საკითხის ასეთი საზომით გაშუქების დროს თარხან-მოურავის ეკონომიური კონცეპცია არ იყო სრული. ეკონომიური ფაქტორის უპირატესობა გამოთქმულია მის შემდეგს სიტყვებში: „ჩვენ ჯერ უნდა ვეცადოთ, რომ ხალხში გავრცელდეს ნივთიერებითი სიმდიდრე, რომელზედაც განსაკუთრებით არის დამოკიდებული გავრცელება როგორც ზნეობისა, ისე გონებისა[1]).

1872 წელს ერთ თავის დაუმთავრებელ წერილში იგი აყენებს დარვინის „არსებობისათვის ბრძოლის" თეორიას და ამ საზომით ცდილობს საქართველოს საკითხის განხილვას. მისი აზრით, მთელი კაცობრიობის ისტორია გამომხატველია ამ ბრძოლისა, მაგრამ ამ ბრძოლის დროს უპირველესი ადგილი უჭირავს ეკონომიურ ფაქტებს. ავტორი სწერს:

„რამდენათაც ვრცლად განვიხილავთ კაცობრიობის ცხოვრებას, იმდენად უფრო ვრწმუნდებით, რომ მიზეზი ყოველის მოძრაობისა ხალხში არის ბრძოლა ცხოვრებისათვის, რომლის შედეგი უეჭველად უნდა იყვეს საზრდოს მოპოვება, ანუ სწორეთ ვსთქვათ სიმდიდრის შეძენა და სხვა რომელიმე მხრის გაუმჯობესება. ამასთანავე ბრძოლა ცხოვრებისათვის შეუწყვეტელია; მაგრამ გონების და ზნეობის გახსნის დაგვარათ, ესე იგი საზოგადოებრივი ცხოვრების გაცნობის დაგვარად, იცვლება სახე ბრძოლისა, ფორმა მისი, თუმცა საკუთრად ბძრძოლის მიზეზი იგივე არის[2]). (ხაზი ჩვენია. ს. ხ.).

ასეთია თარხან-მოურავის „ეკონომიური კონცეპცია".

ამ მწერლის მთელი გულისყური მიპყრობილია საქართველოს

[1]) გრ. თარხან-მოურავი: „საპიროა ჩვენთვის ურთიერთის შემწეობა, თუ არა?", „დროება", № 21, 1869 წ.

[2]) გრ. თარხან-მოურავი: „გავლენა ცხოვრებისთვის ბრძოლისა საქართველოზე" ჟურ. „მნათობი" (მარტი), გვ. 121, 1872 წ. დაბეჭდილია მხოლოდ პირველი თავი, დანარჩენი არ არის ჟურნალში მოთავსებული. ცხადია, ცენზურამ არ გაუშვა.

ეკონომიური მდგომარეობისაკენ. მან კარგად იცის, რომ ქართველმა ხალხმა მოიხსნა მძიმე ტვირთი ბატონყმური ურთიერთობისა, რომელსაც დაწვრილებით აკრიტიკებს თარხან-მოურავი, და დღეს ახალს საფუძვლებზე უნდა განაგითაროს თავისი ეკონომიური და საზოგადოებრივი ცხოვრება. როგორი უნდა იყოს ეს საფუძვლები, როგორია ეს გზა, რა მოუხდება საქართველოს დაიარავებულ ცხოვრებას?-აი ეს კითხვები აინტერესებენ ჩვენს ავტორს. იგი პირდაპირ წერს: „საჭიროა განვმარტოთ, როგორი ცხოვრება არის საჭირო ჩვენი საზოგადოებისათვის, რომ მომავალში დავიმკვიდროთ საჭირო და ჩვენი შესაფერისი ადგილი ცხოვრებაში" [1]. აი ამ ახალი პროგრამისა, ახალი ცხოვრებისა და მისი სოციალური პირობების გამომუშავების დროს ჩვენი მწერალი იძულებულია გამოარკვიოს, თუ რამდენად შეესაბამებიან ევროპაში შექმნილი პირობები და სოციალური ურთიერთობანი საქართველოს ინტერესებს და მის მომავალს. მისი დასკვნა კაპიტალიზმის საწინააღმდეგოა; მას არ მოსწონს კაპიტალისტური ეკონომიკა და მის ნიადაგზე გამეფებული სოციალური ურთიერთობა, ამიტომ იგი, ერთის მხრით, აკრიტიკებს კაპიტალისტურ წყობილებას, ხოლო მეორეს მხრით კაპიტალისტური წყობილების გარეშე ეძებს საქართველოს ხსნას; უკეთ: უარყოფს კაპიტალიზმის საჭიროებას საქართველოსათვის და ეძებს ახალ გზას, ახალ სამეურნეო პროგრამას ჩვენი წარმატებისათვის. ეს პროგრამა ასოციაციებში გამოიხატება. განვიხილოთ პირველი მომენტი. ე. ი. კაპიტალიზმის კრიტიკა. აქ ავტორის კრიტიკა თითქმის სავსებით ენათესაება გახ. „დროების" თანამშრომლის მოსაზრებებს, რომელიც ჩვენ ზევით გავიცანით. თარხან-მოურავი წერს:

„ნამდვილი წარმატება საზოგადოებისა შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც გამამდიდრებელ ელემენტებს ხმაროობენ გონივრულად. ამ ორს გამამდიდრებელ ელემენტებს შუა არ უნდა არსებობდეს ის ბრძოლა, რომელსაც ვხედავთ ეხლანდელ დროს სხვა და სხვა სახელმწიფოში. მე ვამბობ იმ ბრძოლაზე, რომელიც გავრცელებულია კაპიტალს და შრომის შუა. პირველი მიზეზი პროლეტარიატისა მიეწერება იმას, რომ კაპიტალს და შრომის შუა არ იპოვება თანასწორობა. რადგანაც ყოველი რეზულტატი შრომისა—კაპიტალი[2]) გა-

[1]) გრ. თარხან-მოურავი: „გავლენა ცხოვრებისათვის ბრძოლისა საქართველოზე", „მნათობი", გვ. 115.

[2]) რომ მკითხველს ნათელი წარმოდგენა შეუმუშავდეს ჩვენი ავტორის ეკონომიურ შეხედულებაზე, აქ საჭიროა განიმარტოს თარხან-მოურავის შეხედულება

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადის კაპიტალისტის ხელში და მშრომელს ვი ალბრა-
რჩება რა, გარდა მცირედი შრომის ფასისა; ამის მიზე-
ზით მთელი კაპიტალი გროვდება მხოლოდ რამდენიმე
პირის ხელში და დანარჩენი, უმრავლესი ნაწილი სა-
ზოგადოებისა, რჩება ცარიელი შრომის იმედით. რა
უნდა ქნას მშრომელმა, თუ კი ყოველი რეზულტატი ორ გამამდიდრე-
ბელ ელემენტების შეერთებისა გადადის რამდენიმე კაცის უფლებაში?
ცარიელის შრომით, თუ ეს უკანასკნელი არ შეუერთდა მეორე გამა-
მდიდრებელს ელემენტს (კაპიტალს), კაცი ვერ დაიცავს თავისუ-
ფალ ცხოვრებას. ამ გვარი ცხოვრება აღმოჩნდება
მაშინ, როდესაც მშრომელს და კაპიტალისტს წარ-
მოადგენს მხოლოდ ერთი პირი, ესე იგი, როდესაც
კაცი ერთს და იგივე დროს იქნება საზოგადოებისა-
თვის სასარგებლო მშრომელიც და კაპიტალისტიც.
თუ, მაგალითად, საზოგადოება იმ გვარათ დაყოფილა, რომ პირველი
ელემენტი გამდიდრებისა—მიწა და მის კუთვნილი ნივთი ეკუთვნიან
ერთს ნაწილს და შრომა კი მეორეს, მაშინ ბევრი ლაპარაკი აღარ
უნდა, ამ ორს ნაწილს შუა აღმოჩნდება ბრძოლა, რომლის შედეგი
უნდა იყვეს სილარიბე საზოგადოების მომატებულის ნაწილისა. მაგ.
ევროპაში ხშირად მოხდება ხოლმე უსიამოვნება მუშებსა და კაპიტა-
ლისტებს შუა. რისთვის? მისთვის, რომ კაპიტალისტს ყოველთვის
შეუძლია გასძლოს რამდენიმე ხანი უშრომოთ, რადგანაც რამდენიმე
თვისა და ხშირად რამდენიმე წლის სარჩო შეძენილი აქვს. მაგრამ
რა ჰქნას მშრომელმა, რომელსაც ხვალისათვის არა აქვს რა შენა-
ხული მხოლოდ იმ მიზეზით, რომ ის არის პატრონი შრომისა და
სხვა არაფრისა? დღეს თუ ხვალ მშრომელი მუშა უნდა მივიდეს ისევ
კაპიტალისტთან და დაეთანხმოს იმ პირობებზე, რომელნიც მისთვის
სასარგებლო სრულიადაც არ არიან. მე კაპიტალს არ ვუწო-
დებ ფულს. ფული არის საშუალება, რომლისა გამო
უფრო ადვილად ვშოულობთ ჩვენთვის საჭირო ნივ-
თებს. ისინი არიან ღარიბნი მისთვის, რომ, გარდა შრომისა, არა

ცნება კაპიტალზე. ავტორი ამბობს: „ნივთი შეძენილი იმ აზრით, რომ სასა-
რგებლო იქნეს დღესაც და მომავალ დროსაც, შეადგენს კაპიტალსა"; ან კიდევ:
„კაპიტალი ეწოდება ყოველ ნივთს ცხოვრებისათვის სასარგებლოს". ასეთი განმარ-
ტება კაპიტალისა, როგორც განსაკუთრებული ეკონომიური კატეგორიის, ძლიერ
შორს სდგას მარქსისტული განმარტებისაგან.

აქვთ რა და ესეც დამოკიდებულია სხვისგან. მეორე მხრივ იმ ბრძოლის გამო, რომელიც დაარსდა მშრომელის და კაპიტალისტს შუა, კაპიტალისტებმა შეიძინეს იმისთანა სახელი, ნდობა, რომ ყოველი გონივრული მუშა უცქერის მათ, როგორც თავიანთ სიცოცხლის პატრონს, მართლადაც, საკმაო არის დაუგდოთ ყური იმ ამბებს, რომელიც სჩანან ყოველ ფაბრიკაზე. იქ ნახავთ თქვენ, რომ ფაბრიკანტი კაპიტალისტი იმ რიგად ეპყრობა მუშებს, რომ მუშა ერთი ლუკმა პურისათვის იძულებულია იმუშავოს დღეში თორმეტი ან თხუთმეტი საათი. ეს კიდევ არათა სჩანს მუშების ცხოვრებასთან; იმათ შინაურ ცხოვრებაში ვხედავთ ყოველ გვარ უზნეობას, გარყვნილ ქაცს, გადასულს ზნეობის წრეს. რა არის ამის მიზეზი? ამ გვარი მაგალითები გვიმტკიცებს, რომ მისი მიზეზი არის მხოლოდ დამოკიდებულობა შრომისა კაპიტალისაგან" [1]) (ხაზი ჩვენია. ს. ხ.).

აქ კაპიტალიზმის კრიტიკასთან ერთად გვაქვს ის გამოსავალი დებულებანიც, რომელსაც ეყრდნობოდა ჩვენი ავტორი ახალი სხვაგვარი სახის სამეურნეო პირობების შესაქმნელად. ცოტა ქვევით იგი წერს:

„საზოგადოებისათვის საკმარისი არ არის შექმნა კაპიტალისა, თუ კიეს უკანასკნელი არ აღასრულებს თავის დანიშნულებას. გარდა ამისა, ყოვლად საჭიროა არსებობა შრომისა და კაპიტალის გონივრულად განაწილებისა.. შრომა და კაპიტალი შეერთებულნი უნდა იყვნენ, ე. ი. უნდა ჩანდეს მათ შორის კავშირი-თანაშემწეობა" (იქვე).

ზემომოყვანილი ციტატიდან მკითხველი ნათლად დაინახავდა, რომ ჩვენს ავტორს გარკვეული წარმოდგენა აქვს კაპიტალისტურ ექსპლოატაციაზე, უკეთ: შრომის ექსპლოატაციაზე, და ესმის ზედმეტი ღირებულების თეორიაც. მოყვანილი ადგილიდან გარკვევით მტკიცდება, რომ გრ. თარხან-მოურავი „შრომის თეორიაზე" სდგას და ამ საზომით აკრიტიკებს კაპიტალისტურ წყობილებას. ავტორმა იცის, რომ შრომა ჰქმნის „კაპიტალს" (ნიეთს, საგანს — მისი ტერმინოლოგიით), მაგრამ ეს შრომის ნაყოფი გადადის კაპიტალისტის ხელში, ხოლო თვით „კაპიტალის", ნიეთის შემქმნელს თავისი შრომის ნაყოფიდან რჩება მხოლოდ „მცირედი შრომის ფასი". ავტორი პირდაპირ მიუდგა თავისი შრომის თეორიით ზედმეტი ღირებუ-

[1]) გრ. თარხან-ბოურაკი: „ჩვენი სიღარიბის მიზეზი", „დროება", № 6, 1870 წ.

ლების თეორიას და თითქმის სწორი განმარტება მოგვცა „შრომის ხელფასისა", რომ იგი არის მცირედი ნაწილი შრომის მთელი რეზულტატისა, ან კაპიტალისა. ჩვენი ავტორი ნათლად ხედავს, რომ კაპიტალი გროვდება მცირედი ნაწილის ხელში, „დიდი ნაწილი საზოგადოებისა კი რჩება ცარიელ შრომის იმედით". ეს ეკონომიური დებულებები სრულიად ახალს თეორიებს წარმოადგენდენ ჩვენი მაშინდელი აზროვნებისათვის. რასაკვირველია, ჩვენს პუბლიცისტს, თუ ავიღებთ მსოფლიო ეკონომიურ ლიტერატურას, არავითარი ახალი აზრი არ გამოუთქვამს. მაგრამ ჩვენი საზოგადოებისათვის იგი აუცილებლად ახალი, უჩვეულო იყო. აქ საინტერესოა არა გრ. თარხან-მოურავის ორიგინალობა, საინტერესოა სწორედ ის წყარო, თუ საიდან შეითვისა და გადმოიღო თავისი შრომის თეორიები ჩვენმა ავტორმა.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ გრ. თარხან-მოურავის ეკონომიური თეორიების მასაზრდოებელი წყარო სჩქეფს ევროპის უტოპიური სოციალიზმის იმ ნაკადიდან, რომელმაც შეითვისა რიკარდოს შრომის ღირებულების თეორია და საგრძნობლად განავითარა იგი სოციალისტური მიმართულებით (ვ. ტომსონი, თ. გოდსკინი, გრეი და სხვ.[1]). ამ უტოპისტებმა უყოყმანოდ მიიღეს რიკარდოს ეკონომიური დებულება, შრომის ღირებულების თეორია, და შეუთანხმეს იგი დიდი უტოპისტების სოციალისტურ იდეებს, განსაკუთრებით კი ოვენის სოციალისტურ სისტემას, და თანაგრძნობით ეკიდებოდენ სოციალისტური კომუნების (თემების) დაარსებას. „შრომა არის ერთადერთი წყარო ღირებულებისა", — ამტკიცებდა ინგლისის დიდი ეკონომისტი დ. რიკარდო. ამას უკრიტიკოდ იზიარებდენ ზემოდასახელებული უტოპისტები. მაგრამ იქ, სადაც რიკარდომ დასვა წერილი და კაპიტალისტური საზოგადოება სრულიად ნორმალურ მოვლენად დასახა, უტოპისტებმა გახსნეს ბრჭყალები და ნათლად აღნიშნეს მთელი „უსამართლობა" კაპიტალისტური ეკონომიკისა. შრომის ღირებულების თეორიის ლოლიკური განგრძობა იყო ის სწავლა, რომელიც წამოაყენეს უტოპისტებმა: „მუშის უფლება შრომის სრულს ნაყოფზე" (право рабочего на полный продукт труда): თუ შრომა ჰქმნის ყოველსავე ღირებულებას, ეს ღი-

[1]) რასაკვირველია, აქ ჩვენ იმისი თქმა არ გვინდა, რომ გრ. თარხან-მოურავი არ განიცდიდა გავლენას ევროპის სხვა სოციალისტი მწერლებისა, მაგ. ლუი ბლანის, ლასალის და შრავალ სხვათა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებულება უნდა ეკუთვნოდეს იმას, ვისი შრომაც მასზე არის დახარჯული. მუშა სრული ბატონი უნდა იყოს თავისი დახარჯული შრომისა, — ამტკიცებდენ აღნიშნული უტოპისტები. კაპიტალისტურ წყობილებაში ეს შრომის ღირებულება და შრომის უფლების სამართლიანობა დარღვეულია, უარყოფილია, მაშასადამე, ეს წყობილება არ არის ნორმალური, სამართლიანი. იგი არ შეესაბამება შრომის ღირებულების თეორიას, ამიტომ უარყოფილ უნდა იქნეს ეს (კაპიტალისტური) წყობილება და სრულს უფლებაში აღდგენილი შრომის თეორიები და უფლებები: კაპიტალიზმის ნაცვლად უნდა შეიქმნეს ახალი, „შრომის უფლებაზე" აგებული, წყობილება.

როგორც მკითხველი ხედავს, რიკარდოს შრომის ღირებულების თეორია სოციალისტებმა ახალი სოციალისტური მიმართულებით გაავითარეს და სრულიად ახალი მეთოლოგიური აზრი მისცეს მას. რიკარდოსათვის ეს ფორმულა იყო თეორიული კანონი, რომელიც მოქმედებს კაპიტალისტური მეურნეობის პირობებში; უტოპისტები კი ამტკიცებდენ, რომ ეს სწორი თეორია დარღვეულია კაპიტალისტურ მეურნეობაში, რადგან საქონელს ჰქმნის მუშის შრომა, ხოლო ამ შრომის ნაყოფს ითვისებს პარაზიტი კაპიტალისტი. ამიტომ საჭიროა დაწესება ისეთი საზოგადოებრივი წყობილებისა, სადაც განხორციელებული იქნება ეს სწორი და სამართლიანი თეორია. ამრიგად, რიკარდოს თეორიული კანონი უტოპისტების ხელში გადაიქცა, ერთის მხრით, კაპიტალისტური მეურნეობის კრიტიკის იარაღად, მეორეს მხრით კი — მოწოდებად სოციალისტური წყობილების განხორციელებისათვის, სადაც სრულის მთლიანობით აღდგენილი იქნება შრომის ღირებულებისა და უფლების თეორია. „ყოველ ადამიანს აქვს უდავო უფლება ყველა მასზე, სწერდა ბრეი, რაც მას შეუქმნია თავისი პატიოსნური შრომით". კაპიტალისტური წყობილება არღვევს ამ ზნეობით კანონს, სოციალისტური კი საესებით ანხორციელებს [1]). ასეთია ამ უტოპისტების თეორია.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩვენი ავტორიც, გრ. თარხან-მოურავიც, ამ უტოპისტების დიდი გავლენის ქვეშ იდგა და იგიც საესებით

---

[1]) Рубин: „История экономической мысли", გვ. 130 — 35. აგრეთვე В. Святловский: „История социализма", 1924 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იზიარებდა მათ „შრომის ღირებულებისა და შრომის უფლების“ თეორიებს. ჩვენ უკვე დავინახეთ, თუ როგორ აკრიტიკებდა იგი, აღნიშნული უტოპისტების მსგავსად, კაპიტალისტურ მეურნეობას, სადაც შრომა და შრომის ნაყოფი დაშორებული, დაცილებულია ერთიმეორეს, სადაც ერთი — პროლეტარი — შრომობს, ხოლო მეორე — კაპიტალისტი — სარგებლობს, ითვისებს სხვისი შრომის ნაყოფს. ახლა ყური ვათხოვოთ და გავეცნოთ ავტორის „შრომის ღირებულების თეორიასაც“. 1869 წელს გამოქვეყნებულ ერცელ წერილში ასოციაციების შესახებ იგი შემდეგს წერდა[1]):

„მე ვგონებ, რომ ყოველი ნივთი არის ქმნილება შრომისა. თუმცა ბევრი ჩვენგანი მოვატებულს სიმდიდრეს ხედავს მხოლოდ ვერცხლში და ოქროში, მაგრამ ჩვენ უნდა ვსთქვათ, რომ ნამდვილი სიმდიდრე როგორც კაცისა, ისე ხალხისა მდგომარეობს საკუთრად შრომაში. ფული არის მხოლოდ შუამავალი ნივთი, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, რომლითაც ვშოულობთ ჩვენ ამა თუ იმ ნივთს პირველ საჭიროებისას და სხვა. საკუთრად ფული არ უმატებს არაფერ სიმდიდრეს ხალხს, თუ ხალხის შრომა არ არის მოძრაობაში — სიმდიდრე ხალხისა მდგომარეობს მომატებულ გონების გახსნაში, სხვა და სხვა საჭიროების ნივთების მოპოვებაში“[2]).

„ჩვენ იმ ნივთს კი არ უნდა ვაფასებდეთ, რომელიც გავაკეთეთ, ჩვენ უნდა დავაფასოთ მხოლოდ ის შრომა, რომელიც საჭიროა ნივთის გასაკეთებლად, მისთვის რომ ჩვენ ნივთის შექმნა არ შეგვიძლიან; ნივთს გვაძლევს თვითონ ბუნება; ჩვენ უცვლით მხოლოდ ფორმას ყოველ ნივთს, რომელიც საჭიროა მოსახმარებლად. მაგალითად, როგორ უნდა შექმნას კაცმა სკამი? კაცი იღებს მხოლოდ რომელსამე ხეს, რომელიც თავისუფლად იზრდება მინდორში ან ტყეში, ხერხავს, სთლის და შემდეგ მიაწებებს ერთმანეთზე რამდენსამე ნაჭერს და დასასრულ გამოყავს სკამი. მაშა-

---

[1]) ვრ. თარხან-მოურავი: „საჭიროა ჩვენთვის ურთიერთის შემწეობა, თუ არა?“ გაზ. „დროება“ №№ 20, 21, 22, 23, 24, 1869 წ. აგრეთვე მისივე სტატია 1868 წ. „დროების“ მე-44 ნომერში.

[2]) „დროება“, № 22, 1869 წ.

სადამე, ნივთის დაფასების დროს ჩვენ მხედველობაში უნდა გვქონდეს მხოლოდ შრომა"[1]). (ხაზი ჩვენია. ს. ს.)

აქ მოყვანილი ციტატიდან სრულიად საფუძვლიანად დაასკვნის მკითხველი, რომ ჩვენი პუბლიცისტი შრომის ღირებულების თეორიაზე სდგას და თუმცა ბუნდოვანად, მაგრამ მაინც გადაჭრით აღიარებს, რომ შრომა არის ღირებულების ერთადერთი წყარო.

ამრიგად, ეკონომიური თეორიების საკითხში და კაპიტალიზმის კრიტიკის დროს თარხან-მოურავი სავსებით დგას აღნიშნული უტოპიური სოციალისტების თეორიულ ნიადაგზე და იგი მასთანავე სავსებით იზიარებს იმ დებულებას, რომ მუშას უნდა ჰქონდეს სრული უფლება თავისი შრომის ნაყოფზე.

მაგრამ არა მარტო ეკონომიური დებულებები აქვს ნასესხები ჩვენს ავტორს ევროპის უტოპიური სოციალისტებისაგან, არამედ მისი შეხედულებაც საზოგადოებრივ განვითარებაზე წმინდა წყლის უტოპიურია. ავტორს არ ესმის საზოგადოებრივი განვითარების კანონები, მან არ იცის, რომ საზოგადოებრივ წყობილებას აქვს თავისი ობიექტიური კანონები, რომელნიც თავიანთი შინაგანი ლოგიკური ძალით მოქმედებენ საზოგადოებრივ განვითარებაზე, რომ საზოგადოება მიმდინარეობს თავისი შინაგანი კანონების მიხედვით. ავტორი ამის საწინააღმდეგო პოზიციაზე სდგას; მას სწამს, რომ შეგნებას, გონივრულ მოქმედებას შეუძლია გადამჭრელი როლი მიეანიჭოთ საზოგადოების განვითარების საქმეში და საზოგადოების ცხოვრება იმ გეზით მიემართოთ, რომელსაც ჩვენი უმაღლესად განვითარებული გონება გვიკარნახებს. ამიტომ არის, რომ ჩვენი ავტორი იმუშავებს ახალ პროექტებსა და გეგმებს საქართველოს საზოგადოებრივი წყობილების ახალ საფუძველზე გადასაყვანად; მას სწამს, რომ თუ საზოგადოება შეიგნებს მისი პროექტის უპირატესობას და საფუძვლიანობას არსებულ წყობილებასთან შედარებით, მაშინ ადვილად ავცდებით სილარიბეს, კაპიტალიზმს და პირდაპირ „სოციალისტურ" საფუძვლებზე მოვაწყობთ ჩვენს ცხოვრებას. აქაც ჩვენი ავტორი ქუდმოხდილი სდგას ევროპის უტოპიური სოციალიზმის გავლენის ქვეშ. მკითხველი ნათლად შეამჩნევს, რომ თარხან-მოურავის „ეკონომიზმი" თავდაყირა სდგას. მას სწამს ეკონომიური მხარის დიდი მნიშვნელობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მაგ-

[1]) „დროება", № 22, 1869 წ.

რამ ფიქრობს, რომ ამ ეკონომიური ფაქტორის მოქმედება თავის მხრით დამოკიდებულია „გონების მოქმედებაზე". არა ეკონომიკის ზეგავლენით იქმნება „გონიერება" თვისი შესაფერისი პროგრამით, არამედ თვით „გონიერება", შეგნება ჰქმნის თავის შესაფერს ეკონომიკას. მარქსისტული მატერიალისტური ფილოსოფია გვეუბნება: მდგომარეობა ჰქმნის შეგნებასო; უტოპიური სოციალიზმი-კი გვიმტკიცებდა: შეგნება ჰქმნის მდგომარეობასო.

თარხან-მოურავი ამ უკანასკნელ თეორიას იზიარებს და სრულიად შეგნებულად იმუშავებს პროექტს საქართველოს (რომელიც ის იყო გამოდიოდა ბატონყმური ურთიერთობის ნაშუქიდან) ახალ ეკონომიურ და სოციალურ საფუძვლებზე გადასაყვანად, კაპიტალისტური ეკონომიკის გვერდის ავლით. ბუნებრივია, რომ მას, როგორც უტოპისტების მიმდევარს, არ ესმოდა ის ურყევი სოციოლოგიური დებულება, რომ კაპიტალისტური წყობილება არის ისტორიულად აუცილებელი წყობილება საზოგადოებრივი ცხოვრებისა: იგი კაპიტალიზმში ისტორიულ უსამართლობას ხედავდა და არა ისტორიულ აუცილებლობას. ამიტომ თარხან-მოურავი სერიოზულად შეუდგა საქართველოსათვის ასოციაციებისა და შეერთებული შრომის პროექტების შემუშავებას. მისი წერილები ასოციაციებზე სერიოზულად და მოფიქრებულად დაწერილი სტატიებია; მაგრამ ამ პროექტების განხორციელებაც კი ვერ შეაჩერებდა საქართველოში კაპიტალიზმის განვითარებას.

ზევით გაკვრით გავიცანით ავტორის სოციალური გეგმები და სოციალ-ეკონომიური თეორიები. ამ თეორიების მიხედვით, ავტორი აშენებდა შემდეგ ეკონომიურ დებულებებს: „კაცობრიობის ყოველმხრივი წარმატება მოითხოვს, რომ შედეგი შრომისა იყვეს მომავლისათვის სასარგებლო... საზოგადოებისათვის საკმაო არ არის ქონება გამამდიდრებელ ელემენტებისა; ესენი არიან მხოლოდ საშუალებანი, რომელთაც კაცი ანუ საზოგადოება მიაღწევს უმაღლეს განძრახვამდინ. გარდა ამ ელემენტებისა, საჭიროა აგრეთვე იმათი გონიერული მოხმარება. ჩვენ თუ გვაქვს კაპიტალი — შრომა და მიწა, უნდა ვეცადოთ, რომ ეს ელემენტები გამდიდრებისა მოვიხმაროთ ისე, რომ ყოველი ჩვენი მოქმედება, მოძრაობა გაამდიდრებდეს ნამდვილად როგორც ეკონომიურს, ისე გონებითი შესახვედრობაში"[1]).

[1]) თარხან-მოურავი: „ჩვენი სიღარიბის მიზეზები", „დროება", № 6, 1870 წ.

ავტორს განძრახვა ჰქონდა გამოერკვია ჩვენი ხალხის ეკონომიური მდგომარეობა, ნათელეყო, თუ რა მდგომარეობაშია საქართველოში შრომის და კაპიტალის საქმე, როგორ არაგონიერულად არის განხორციელებელი ჭეშმარიტება „შრომისა და კაპიტალის შეერთებული მოქმედების“ შესახებ ჩვენს სინამდვილეში. საუბედუროდ, მისი საინტერესო წერილების ეს მხარე სამუდამოდ დაკარგულია: წერილიდან „ჩვენი სიღარიბის მიზეზები“ სწორედ ის თავებია (V — VI) ამოგდებული ცენზორის მიერ, რომელიც ეხებოდა „საქართველოს ეხლანდელ მდგომარეობას“[1]), ხოლო წერილიდან: „გავლენა ცხოვრებისათვის ბრძოლისა საქართველოზედ“ მაოლოდ ერცელი შესავალი დაიბეჭდა[2]), დანარჩენი ნაწილი კი არ გამოქვეყნებულა, ალბათ, ცენზურული პირობების გამო.

სამაგიეროდ ჩვენ გვაქვს მისი ერცელი წერილები ასოციაციების და მათი გავლენის შესახებ საზოგადოებრივი წარმატების საქმეზე.

1868 წელს „დროების“ ფურცლებზე ავტორი ამტკიცებდა, რომ „უასოციაციოთ არა თუ ჩვენში, არც ერთ ხალხის ცხოვრება არ შეიძლებაო“[3]). კერძოდ საქართველოს შესახებ ის სწერს:

„ჩვენს ხალხში გაღვიძებულია ასოციაციების მოძრაობა... მე ვგონებ, რომ ჩვენს ხალხს არ გაუძნელდება ასოციაციების დაფუძნება და გავრცელება, თუ საზოგადოება ერთგულად მოეკიდება ამ საგანს“[4]).

ჩვენს პუბლიცისტს კარგად ესმის, რომ ჩვენი ქვეყანა ეკონომიურად ჩამორჩენილია, ხოლო კულტურულად განუვითარებელი. მთელი მისი გულისყური და გეგმები მიქცეულია ჩვენი ეკონომიური აღორძინებისაკენ და ახალი, უფრო მაღალი სამეურნეო ფორმების შექმნისაკენ. ამიტომ არის, რომ ავტორი საქართველოს ერთადერთ ხსნას

---

[1]) „დროება“, № 8, 1870 წ.

[2]) „მნათობი“ (მარტის), 1872 წ., გვ. 116-136.

[3]) „დროება“, № 44, 1868 წ. ავტორი წერდა: „ერთის სიტყვით ასოციაციის ფორმა არის უკანასკნელი ნაბიჯი, რომელთანაც მიიწევს კაცი, ეს არის საზოგადო კანონი ყოველი ხალხისა; მოკლეთა ვსთქვათ — ასოციაციას აქვს თავის განზრახვათ, რომ შეერთებულის ღონისძიებით აღასრულონ რამდენიმე კაცებმა თავის აზრი, ან გაზრახვა შესახებ შრომისა, რომელსაც მისდევენ ცხოვრებაში. — ყოველი ცვლილება, ყოველი ფაქტი, რომელიც მოხდა კაცობრიობის ცხოვრებაში, არის ნაყოფი ასოციაციისა“... (იქვე)

[4]) „დროება“, № 21, 1869 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ეკონომიური აღდგენის შესაძლებლობას ასოციაციებში ხედავს. იგი წერს:

„ჩვენ ჯერ უნდა ვეცადოთ, რომ ხალხში გავრცელდეს ნივთიერებითი სიმდიდრე, რომელზედაც განსაკუთრებით არის დამოკიდებული გავრცელება როგორც ზნეობისა, ისე გონებისა. ჩვენ, ეჭვი აღარ არის, უნდა მივმართოთ მთელი ჩვენი შეძლება და ძალა იმისთანა საქმეს, რომლის საშუალებითაც გავიმაგრებთ ფეხს კაცობრიობის მოძრაობაში; ამის გამო, ჩემის ფიქრით, დრო არის მივხედოთ სასოფლო მეურნეობას; იქ, სადაც კაცის შეძლება ვერ გასწვდება მამულის შემუშავებას, ვეცადოთ, რომ მოვიპოვოთ ამხანაგი და შეერთებული შრომით მოვიდოთ ხელი უსაჭიროების საქმეს“ [1]) (ხაზი ჩვენია. ს. ხ.)

აქედან მკითხველმა არ უნდა დაასკვნას, თითქოს ჩვენი ავტორი წინააღმდეგი იყოს სხვა ასოციაციების დაარსებისა, გარდა სასოფლო-სამეურნეოსი. ავტორი მხედველობაში იღებს „გარემოებებს“ და ამიტომ ერთგვარ მინიმუმ პროგრამას აყენებს „სოციალიზმის“ განხორციელებისათვის. ცოტა ქვევით იგი ამბობს:

„თუმცა ჩვენ ზევით ვსთქვით, რომ უნდა გავმართოთ საკუთრად სასოფლო მეურნეობის ასსოციაციები, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ზოგიერთი ამ გვარი ასსოციაციები ჩვენთვის ეხლანდელ დროში შეუძლებელი იქნება და ამის მიხეზით უნდა დავიწყოთ იმ ასსოციაციების დაფუძნება, რომლებიც უფრო შეეთანხმება ჩვენს სწავლას და გარემოებას. შემდეგ, როდესაც გამოიცვლებიან გარემოებები და შეგვეძლება შეუდგეთ უფრო ძნელ საქმეს, ძაშინ უნდა დავიწყოთ სხვა ასსოციაციების გამართვაც“ (ხაზი ჩვენია. ს. ხ.).

ცხადია, თარხან-მოურავს მხედველობაში აქვს როგორც პოლიტიკური მომენტი, ისე ჩვენი უკულტურობა, ხოლო სხვა ასოციაციებში, ალბათ, გულისხმობს სოციალური წყობილებისაკენ მიახლოვების ცდას.

როგორ პრინციპებს უდებს საარჩულად თარხან-მოურავი თავის ასოციაციებს, როგორ „ეკონომიურ ჭეშმარიტებას“ ემსახურე-

[1]) „დროება“, № 21, 1869 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიან მისი ასოციაციები? ამ საკითხს ნათელს მოჰფენს შემდეგი ბისი სიტყვები:

„ნივთის დაფასების დროს ჩვენ მხედველობაში უნდა გვქონდეს მხოლოდ შრომა — ამ მიხეზით მეტი დივიდენტი უნდა ერგოს მხოლოდ შრომას, ვიდრე ფულს. ვისი შრომაც აკეთებს ნივთს ან ნაყოფს მოიტანს, იმას უნდა ერგოს მომატებული დივიდენტიც. შრომის დაფასება ადვილი იქნება იმისთანა ასოციაციებში, რომლებიც ეკუთვნიან სასოფლო მეურნეობას. როდესაც ეს პრინციპი მიღებული იქნება, ე. ი. ფულის უფლება დაეცემა და ამის ადგილს დაიჭერს შრომა, მაშინ ჩვენს ქვეყანაში არ იქნება ის ექსპლოატაცია, დამონავება ღარიბიკაცებისა კაპიტალისტებისაგან, რომელსაც ხშირად ვხედავთ ევროპაში. შემდეგი ის უნდა იყოს, რომ ის ნაწილი საზოგადოებისა, რომელიც დაჩვეულია სხვის შრომით ცხოვრებასა, აღარ იქნება და უფროსასარგებლო საქმეს მიჰმართავს ხელს; ეხლა კი ბევრსა ვხედავთ, რომელთაც ჰყავთ დაჩაგრული მრავალი მუშა კაცი, რომლებსაც არ შეხვედრიათ სიცოცხლეში იმისთანა ბედნიერი დღე, რომ მოეგროვებინათ საკმაო ფული და გამხდარიყვნენ კაპიტალისტებათ. მართლადაც ასოციაციებში ფულს თუ მივეცით პირველი ადგილი და მეტი დივიდენტი, მაშინ, ეჰვი აღარ არის, იქნება ისევ ის დასასრული, რომელსაც ვხედავთ: დამონავება უფულო და შრომის მოყვარე კაცებისა. მაშინ ასოციაცია შემწეობის მაგიერ ხალხს ავნებს, რადგანაც ასოციაციებში შეგროვდება საკუთრად ფული და ნამდვილი სასარგებლო შრომა უკან დაიწევს. ამას მოსდევს საზოგადო დაღარიბება და დამცირება“ [1]) (ბაზი ჩვენია. ს. ხ.)

ასეთია ჩვენი ავტორის შრომის პრინციპის გაშუქება ასოციაციაში. აქ აღსანიშნავია თარხან-მოურავის ეკონომიური შეხედულება ფულზე. ფული, ავტორის აზრით, არის „შუამავალი ნივთი“, მაგრამ თუ შრომა ჰქმნის ღირებულებას, რატომ უნდა გამოიხატოს იგი (ღირებულება) ფულში და არა შრომის ერთეულში? ავტორს, როგორც უტოპიური სოციალიზმის მიმდევარს, არ ესმის, რომ საქონლის მეურნეობაში შრომის პროდუქციის ღირებულება თავის გამოხატულებას ფულში პოულობს.

[1]) „დროება“, № 22, 1869 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უტოპისტებიც უარყოფდენ ფულს, მათ შესაძლებლად მიაჩნდათ საქონლის ღირებულების განსაზღვრა უშუალოდ შრომის ერთეულების მიხედვით (ტრუდოვიე ედინიცი). თვით ოვენიც სწერდა, რომ „ღირებულების ერთადერთ საზომს პრინციპში წარმოადგენს ადამიანის შრომა“ და აქედან დაასკვნიდა, რომ „აბსოლუტურად აუცილებელია ამ პრინციპის გატარება უშუალოდ მოქმედებაში“. აქედან წარმოსდგება ოვენის „შრომის ფულები“ და სხვა [1]). ჩვენი პუბლიცისტიც, რომელიც უტოპიური სოციალისტების თეორიის დიდ გავლენას განიცდის, ცდილობს თავის ასოციაციებში მოსპოს ფული და გააბატონოს შრომის პრინციპი. რასაკვირველია, კაპიტალისტური ურთიერთობის პირობებში ფულის მოსპობა განუხორციელებელი უტოპიაა, მაგრამ ოვენის და ჩვენი მწერლის ეკონომიურ პროგრამასაც ხომ ეს უტოპიზმი ახასიათებს.

ჩვენი ავტორი იმდენად გატაცებულია თავისი ასოციაციებით, რომ საქართველოს და მთელი კაცობრიობის ხსნის საშუალებად მხოლოდ ასოციაციები მიაჩნია. ასოციაცია ხელს შეუწყობს ჩვენი საზოგადოების არა მარტო ეკონომიურ დაწინაურებას, არამედ გონებრივ და ზნეობრივ ამაღლებასაც.

„...ასოციაცია არის საშუალება, რომლითაც შეიტყობს კაცი საზოგადო ნაკლულოვანებას და ღირსებას... ხალხში დროს მიმდინარეობით იხსნება და ვრცელდება ადამიანის შეხედულება საგანზე და ზნეობითი გაუმჯობესება. ასოციაციაში ყველას აქვს საზოგადო ინტერესი, რომელიც მოითხოვს საზოგადო შრომას, ეს შრომა აძლევს წევრს ცხოვრების ღონისძიებას, რადგანაც დარწმუნებულია, რომ მისი შრომა იქნება ჭეშმარიტად დაუფასებელი და მიეცემა დასაჩუქრება... როდესაც ამ გვარათ ხალხი შეიძენს ნივთიერებითი სიმდიდრეს, უეჭველია ზნეობითაც ამაღლდება.

„ჩვენს საზოგადოებას ბევრი არასფერს შეეწევა სასწავლებლები, თუ დავაგდეთ უყურადღებოთ ჩვენი ეკონომიური მდგომარეობა. სასწავლებლები და მატერიალური მდგომარეობა ერთად უნდა მოდიოდენ... ასოციაციები მოსპობენ სილარიბეს, უნდობლობას, რომელნიც ყოფენ შუაზე საზოგადოებას; როდესაც ასოციაციებში მიიღე-

[1]) რუბინის დასახელებული წიგნი, გვ. 332.

ბიან თავად-აზნაურობაც და გლეხკაცობაც, მაშინ, ეჭვი არ არის, დაუხლოვდებიან ერთმანეთს, შეიტყობენ და გაასწორებენ თავის ნაკლულევანებას. როდესაც ჩვენში გაიხსნება ასოციაციები, სამუდამოთ მოისპობიან უსარგებლო ვაჭრები, რომელნიც არიან ჩვენსა და ფაბრიკანტებს შუა" [1]).

ასეთ დიდ როლს აკუთვნებს ჩვენი ავტორი ყოველად შემძლე ასოციაციას. ეს ასოციაცია მას ჩვენი ხალხის მსხნელად მიაჩნია: გააძლიერებს მას მატერიალურად, აამაღლებს გონებრივად და ზნეობრივად, შეაჩვევს საზოგადოებრივ შრომას და გადაიყვანს უმაღლეს საზოგადოებრივ წყობილებაში. ასოციაცია, ავტორის აზრით, გადაარჩენს ქართველ ხალხს კაპიტალისტურ ციებ-ცხელებას და შეჰქმნის საზოგადოებრივ ჰარმონიას.

აღსანიშნავია კიდევ ერთი ფაქტი: ჩვენს ავტორს კარგად ესმის, რომ კაპიტალიზმის ბატონობის პირობებში არსებობს კ ლ ა ს თ ა ბ რ ძ ო ლ ა კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ტ ებ ს ა და პ რ ო ლ ე ტ ა რ ე ბ ს 'შორის; კლასთა ბრძოლა არსებობს ევროპის პირობებში. თარხან-მოურავი ხაზგასმით აღნიშნავს ამას, მაგრამ მას არ ესმის კლასთა ბრძოლის ისტორიული მნიშვნელობა და რევოლუციონური როლი საზოგადოებრივი წყობილების გარდაქმნის საქმეში, ისევე, როგორც არ ესმის პროლეტარიატის ისტორიულ-საზოგადოებრივი დანიშნულება სოციალიზმისათვის ბრძოლაში. იგი წინააღმდეგია კლასთა ბრძოლისა და ამიტომ თავის ასოციაციებში მოითხოვს მუშების და კაპიტალისტების, მიწის მშრომელთა და მეპატრონეთა შეთანხმებულ, შეერთებულ თანამშრომლობას. როგორც პირველ საკითხში (კლასთა ბრძოლა), ისე მეორე მომენტში ჩვენი ავტორი საესებით იმეორებს ევროპის უტოპისტების სამოღვაწეო პროგრამას. ცნობილია, რომ უტოპისტები წინააღმდეგნი იყვნენ რევოლუციების, კლასთა ბრძოლის: ისინი თავიანთ კომუნებში, ასოციაციებში, ფალანსტერებში მოუწოდებდენ ყველას შეთანხმებული მოქმედებისაკენ. ჩვენი ავტორიც იმეორებს:

„ასოციაციის წევრათ უნდა მიიღებოდეს ყოველი კაცი, როგორც გლეხ-კაცობა, ისე თავად-აზნაურობა; ასოციაციაში წევრად არ უნდა იყოს განსაკუთრებით არც თავადი და აზნაური და არც გლეხ-კაცი. უამისოთ ჩ ვ ე ნ ს ხ ა ლ ხ შ ი ი ქ ნ ე ბ ა ი ს ე ვ ი ს გ ა ნ წ ყ ო ბ ი ლ ო ბ ა, რ ო მ ე ლ ი ც ა რ ს ე ბ ო ბ ს ე ხ ლ ა ც ა მ ო რ ს მ ხ ა რ ე ს

[1]) „დ რ ო ე ბ ა", № 24, 1869 წ.

შუა. როდესაც ასოციაციაში მიიღებიან ერთიც და მეორეც, მაშინ იმათს შუა გავრცელდება ერთობა, ნდობა, რომელნიც საჭირონი არიან ჩვენი ეკონომიური წარმატებისათვის. უკეთესათ გაიცნობენ ურთიერთის საჭიროებას, ექნებათ ერთი საზოგადო ინტერესი და ამით უფრო ადვილად და სწრაფად მიაღწევენ უკეთესი ცხოვრებამდინ და განათლებამდინ[1]) (ხაზი ჩვენია. ს. ხ.).

ცხადია, ჩვენი ავტორი არა კლასთა ბრძოლით და რევოლუციების გზით ცდილობს ცხოვრების გარდაქმნას ახალ საფუძვლებზე, არამედ კლასთა თანამშრომლობისა და მშვიდობიანობის საშუალებებით. ეს არის ევროპის უტოპიური სოციალიზმის მეთოდი და სოციალური პროგრამა. ამ საკითხშიაც ჩვენს ავტორს არ უღალატნია თავისი მასწავლებლებისათვის.

გრ. თარხან-მოურავის წერილების გაცნობის დროს არ შეიძლება არ აღინიშნოს ერთი საინტერესო მომენტიც, რომელიც დაკავშირებულია ეროვნულ საკითხთან: ამ შემთხვევაში ავტორს სახეში აქვს ეროვნული საკითხის არა პოლიტიკური მხარე, არამედ ეკონომიური.

საქართველოს ეკონომიური ცხოვრების შესწავლამ ავტორი იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ საქართველოდან გააქვთ უმთავრესად ნედლი მასალა, ხოლო საზღვარგარეთიდან კი შემოაქვთ „დამზადებული ნივთები". ასე, მაგ., თარხან-მოურავს მოჰყავს საინტერესო სტატისტიკური ცნობა, საიდანაც სჩანს, რომ 14 წლის განმავლობაში (1854-1867 წ. წ.) ამიერკავკასიაში შემოუტანიათ 80,353.657 მანეთის საქონელი, ხოლო აქედან გაუტანიათ 40.008.338 მანეთის.

„სჩანს,— დასძენს ავტორი,—რომ ჩვენ ყოველ წელიწადს უნდა დავამატოთ, ან გადავიხადოთ ვალი რიცხვით 2.874.675 მან. საქართველოში არ არის დაფუძნებული არსად ფაბრიკა, სადაც შეიძლება გავაკეთოთ ჩვენთვის საჭიო ნივთეულობა და ამგვარად დავიკმაყოფილოთ ისევ ჩვენის შრომის რეზულტატით. უეჭველია, ამ გვარის მიმდინარეობის გამო უცხო ქვეყნების ვაჭრობას ყოველთვის ექნება გავლენა ჩვენს ეკონომიურ ცხოვრებაზე. ყოველი საჭირო და გამოსადეგარი ნივთი საზღვარ გარეთიდან უნდა მოვიტანოთ, მაშინ, რო-

[1]) „დროება", № 21, 1869 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დესაც ჩვენი ქვეყანა მოგვცემს უკეთეს ნაყოფს, პატრონებსა და გლეხკაცს შუა აღმოჩნდება ურთიერთის შემწეობა და თუ საზოგადოებამ აღზარდა შთამომავალი და მოამზადა სასარგებლო წევრები, აღზარდა ისე, როგორც გვენუბებიან ბუნებითი საგნები, მაშინ თავისთავად მოისპობიან სიღარიბეც და მოიმატებს შემოსავალიც ჩვენის მამულისა" [1]).

ე. ი. ასოციაციის დაარსებას მოითხოვს ჩვენი ერის ეკონომიური მდგომარეობა, ხოლო ამ ასოციაციას მიზნად უნდა ჰქონდეს გაამრავლოს „ბუნებითი საგნები" და გაათავისუფლოს ქართველი ხალხი საზღვარგარეთის ბაზრის გავლენისაგან, რადგან უცხოელებთან საეკონომო ურთიერთობისაგან საქართველო, ამიერკავკასიის სხვა ერებთან ერთად, კარგავს წლიურად ზედმეტ 3 მილიონ მანეთს. ასოციაციების საშუალებით მოხდება ჩვენი ეკონომიური ცხოვრების ყოველმხრივი წარმატება და მისი სამეურნეო დამოუკიდებლობის მოპოვება, რაც შესაძლებელია საკუთარი ფაბრიკა-ქარხნების შექმნის გზით. ასეთია ჩვენი ავტორის ეკონომიური პოლიტიკის ძირითადი საფუძველი. ჩვენი პუბლიცისტი კარგად ხედავდა, რომ ჩვენ ფაბრიკა-ქარხნების მხრით მეტად ჩამორჩენილნი ვიყავით და სწორედ აქედან წარმოსდგებოდა ჩვენი ეკონომიური დამოკიდებულება უცხოეთის ვაჭრობაზე. განვითარება საკუთარი წარმოებისა აუცილებელია, ხოლო მისი შესრულება შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ ასოციაციის — ამხანაგობის — გზით. აქ უკვე ნათლად სჩანს ის ობიექტიური გარემოება, რომელმაც აიძულა ჩვენი ავტორი ასოციაციების პოლიტიკას დასდგომოდა: ავტორს სურდა ჩვენი ერის ყოველმხრივი ეკონომიური წარმატება; უკეთ რომ ვთქვათ, კაპიტალიზმის განვითარება უკაპიტალისტოდ და უპროლეტაროდ, კაპიტალისტური ეკონომიკა ბურჟუაზიული სოციალური ურთიერთობის გარეშე. მიუხედავად ავტორის ეკონომიური პროექტის ასოციაციური და უტოპიური ფორმისა, მისი არსებითი შინაარსი მაინც გასაგებია: აქ ასოციაციის ფორმებში იმალება კაპიტალისტური ეკონომიკის შინაარსი.

ჩვენში ასოციაციების პროექტების წამოყენებას თავიდანვე შეუდგენ გაზ. „დროების" თანამშრომელნი. ამ მხრით საკითხის წამოყენებაში პირველობა არ ეკუთვნის გრ. თარხან-მოურავს, მაგრამ

[1]) გრ. თარხან-მოურავი: „ჩვენი სიღარიბის მიზეზი", „დროება", № 8, 1870 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მან ეს საკითხი უფრო გააღრმავა, დაასაბუთა მთელ რიგ სერიოზულ წერილებში და ამით იგი აუცილებლად იპყრობს მკვლევარის ყურადღებას.

ჩვენი ინტელიგენციის ასოციაციებისა და კოოპერაციების პროექტებით გატაცება სამოციანი წლების მეორე ნახევარში სრულიად ბუნებრივ მოვლენად უნდა ჩაითვალოს, თუ მხედველობაში მივიღებთ ჩვენი ცხოვრების მაშინდელ ეკონომიურ მდგომარეობას. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ 50—70-იან წლებში ჩვენი ეკონომიური ცხოვრება საგულისხმიერო ეკონომიურ პროცესებს განიცდიდა კაპიტალისტური მიმართულებით. ინტელიგენცია, მოწინავე რაზმი ახალი ცხოვრებისა, ყველაზე უფრო ღრმად გრძნობდა დაწყებულ პროცესს და ამიტომ სურდა ჩვენი ახალი ეკონომიური ცხოვრების დენა კოლექტიური ფორმებით მიემართა.

როგორც აღვნიშნეთ,მთელი რიგი მწერლებისა გაზ. „დროების“ ფურცლებზე,კანტიკუნტად ეურნ.„საქართველოს მოამბეშიაც“ (1863 წ.), დიდ ყურადღებას აქცევდენ ასოციაციისა და კოოპერაციის ფორმებს. 1866 წ. დიმიტრი ბაქრაძე ვრცელ ნარკვევებში „ისტორიული მოძრაობა განათლებისა“[1]), მეშვიდე თავში იხილავს პროლეტარიატის წარმოშობისა და მდგომარეობის საკითხს ევროპაში და მასთანვე ვრცლად არკვევს ასოციაციების მნიშვნელობას. ავტორი წერს: „იწყება კოოპერაციები ანუ ასსოციაციები, რომელნიც ჩვენს დროს ერცელდებიან მთელს ევროპაში და რომელზედაც მომავალს დიდი იმედი აქვს... უკანასკნელს დროამდე ამხანაგობის პრინციპი არ უცდიათ საზოგადოდ იქ, სადაც უფრო საჭირო იყო, ესე იგი, დაბალი ხალხის შრომაში. ეს ნაკლუვანება უნდა შეავსოს კოოპერაციამ, იმან უნდა აღადგინოს შრომის სიმართლე, გაანთავისუფლოს იმ უღლისგან, რომელიც იმისათვის დაუდვია კაპიტალს; უნდა შესცვალოს ნივთიერებითი და ზნეობითი მდგომარეობა. თუ მუშა კაცს სურს იშრომოს, ჯერ მან ინსტრუმენტები ან იარაღი უნდა მოიპოვოს: იქონიოს მასალა; ამისთვის საჭიროა ადგილი, მაშინები; საჭიროა ღონის ძიება იმისის და იმის სახლობის გამოსაკვებათ: ეს ყოველივე მუშა ხალხს უნდა ქონდეს, ვიდრე იმის შრომა სარგებელს მოიგებდეს. ერთი სიტყვით მუშას უნდა კაპიტალი. უკაპიტალოთ

[1]) იხ. დიმიტრი ბაქრაძის წერილი: „ისტორიული მოძრაობა განათლებისა“. გაზ. „დროება“, № 5, 13, 14, 15, 16, 17, 19, 20, 1866 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის ვერას გაარიგებს. რომელ მუშასაც კაპიტალი არა აქვს, ის კაპიტალისტზედ არის დამოკიდებული. ჩვენ დროს კაპიტალისტებს სრულებით ხელში უჭირავთ ყოველივე საქმე, ყოველივე შრომა. კაპიტალისტი მტერია მუშა ხალხისა. ეს არ უნდა იყოს. როდესაც მუშა ასოციაციის შუამავლობას მიმართავს, მაშინ კაპიტალი დაჰკარგავს თავის ძალას, შრომა მონაობისაგან გამოვა, თავისუფალი გახდება და თვითონვე შეიძენს კაპიტალს... ამხანაგობას (ასოციაციას) დღეს თუ ხვალ ჩვენი ხალხიც უნდა შეუდგეს. უამისოდ ის ყოველთვის გაჭირვებაში იქნება. დროს განმავლობაში იმისი მდგომარეობა უფრო ცუდათ წავა..."[1]).

შემდეგ ავტორი ედუარდ პფეიფერის წიგნის („Об ассоциации") მიხედვით იხილავს ასოციაციური მოძრაობის ისტორიას ინგლისში, საფრანგეთში და გერმანიაში[2]).

თუ ავტორის ზემომოყვანილ ციტატას კარგად დავაკვირდებით, ნათლად დაგინახავთ, რომ დ. ბაქრაძეს არ მოსწონს თანამედროვე ფორმა და მდგომარეობა კაპიტალისტური სამეურნეო ურთიერთობისა და სურს იგი შესცვალოს ასოციაციური ფორმით, უკეთ: თვით პროლეტარებიც გადააქციოს კაპიტალისტებად, შეჰქმნას უპროლეტარო კაპიტალისტური წყობილება, უპროლეტარო კაპიტალიზმი. ავტორი არ აყენებს პროექტს კაპიტალიზმის რადიკალურად გარდაქმნის შესახებ; იგი მხოლოდ ფორმას უცვლის მას და ამრიგად ცდილობს საზოგადოებრივი წყობილების გაწესრიგებას.

მეორე ავტორი, ბ. პ ე ტ რ ი ა შ ვ ი ლ ი, მთელ რიგ წერილებში ეხება ჩვენს ეკონომიურ მდგომარეობას და ასოციაციას აუცილებელ საჭიროებად სცნობს ჩვენი წარმატების საქმისათვის. „ეს ამხანაგობა (ასოციაცია) მიუცილებელი საჭიროებაა ეხლა ჩვენში, რადგანაც მარტო ამითლა შეგვიძლიან უბედურებისაგან გამოსელა"[3]). საინტერესო არის ავტორის არგუმენტები ინდუსტრიის სასარგებლოდ. იგი წერს:

„ამას ისიც უნდა დაუმატოთ, რომ ჩვენ ჩვენი შეუძლებლობის, ანუ სწორედ ვსთქვათ, უთავბოლოობის და დაუდევრობის გამოისო-

---

[1]) იხ. „დ რ ო ე ბ ა", № 17, 1866 წ.

[2]) იხ. „დ რ ო ე ბ ა", № 19, 20, 1866 წ.

[3]) ბ. პ — შ ვ ი ლ ი (ბ. პეტრიაშვილი): „რ ა ტ ო მ ჩ ვ ე ნ მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ა ზ ე ა რ ა ს ა ვ ფ ი ქ რ ო ბ თ?" გაზ. „დ რ ო ე ბ ა", № 10, 1867 წ. ჩვენი აზრით, ამ წერილის ავტორი უნდა იყოს პროფ. ვასილ (ბასილ) პეტრიაშვილი.

ბით ჩვენ ქვეყანაში ერთი ფაბრიკა არა გვაქვს, სადაც შეიძლებოდეს ჩვენი ბიწის და შრომის მოსავალი სასარგებლოთ და სახმარათ გადაკეთდეს. ამის გამო ბამბა მოგვდის, ვაჭრებს სხვაგან მიაქვს, მატყლი აგრეთვე, აბრეშუმი აგრეთვე, ენდრო და სხვა მრავალი, რასაც ჩვენი ქვეყანა გვაძლევს, იქ სახმარათ მიაქვთ და უკან იმისი ნახევარიც ალარ გამოაქვთ, მაგრამ ათი იმ ფასათ კი. ეს, რასაკვირველია, ჩვენთვის მავნებელია პირველათ იმითი, რომ ჩვენ გაყიდულ ნივთს ჩვენზედვე ჰყიდიან ერთი ოცათ და უფრო მეტათ და ამით ფულებზე ცარიელებსა გვსომენ... ყველგან ესე მომხდარა, სადაც ფაბრიკები არა ყოფილა და სხვას დაახლოვებია; ვისაც მანუფაქტურული მუშაობა დაწესებული და გაჩაღებული არა აქვს, იმას სხვა მხარესთან ვაჭრობა, უეჭველათ, ძირს დასცემს და გააღარიბებს... თუ მანუფაქტურულ მუშაობას გავაჩენთ ჩვენში, წინ წავიწევთ, თუ არა და ისევ სიღარიბეში ვიქნებით და თანდათან უკანაც წავალთ" [1]).

ამ წერილიდან გარკვევით სჩანს, რომ ავტორს ესმოდა ფაბრიკისა და ქარხნების მნიშვნელობა საზოგადოებრივი ცხოვრების წარმატების საქმეში; ავტორმა იცის, რომ „საზოგადოთ უფაბრიკო ქვეყანა ღარიბია" და ამიტომ იმუშავებს პროექტებს ფაბრიკა-ქარხნების გამრავლებისათვის ჩვენში. ამ შემთხვევაში ასოციაციას გადამჭრელი მნიშვნელობა ენიჭება; ავტორი წერს: „ფაბრიკების გაჩენაც რომ ასოციაციის ძალზე არის დამოკიდებული, ასოციაციას რომ შეუძლიან იმათი გაკეთება, ესეც საეჭვო არ არის" [2]). და ამ თავის დებულებას ბ. პეტრიაშვილი ასაბუთებს ეკონომისტ კერისა და ედ. პეიფერის დებულებებით. უდავოა, რომ ავტორი, შეიძლება შეუგნებლადაც, კაპიტალისტური ეკონომიკის ნიადაგზე სდგას და ახალი სამეურნეო წყობილების განვითარებას ასოციაციების ფორმებით ცდილობს, ე. ი. მასაც სურს ფაბრიკა-ქარხნები, კაპიტალისტური ეკონომიკა—გარეშე კაპიტალისტური სოციალური ურთიერთობისა. კაპიტალიზმი—უპროლეტარიატოდ, კაპიტალისტური წყობილების ეკონომიური საფუძვლები იმ სოციალური კლასის გარეშე, რომელიც მის დასაყრდენ ძალას წარმოადგენს,—ასეთი სახე მიიღო ჩვენში თეორიულად ახალი ეკონომიკის განვითარების აუცილებლობამ. და ამ ნიადაგზე იდგა მთელი რიგი მწერლებისა 60—70-იან წლებში, რომელთაც უხდებოდათ ჩვენი ეკონომიური ცხოვრებისა და მომავლის შესახებ წერა.

[1]) იგივე, „დ რ ო ე ბ ა", № 9, 1867 წ.
[2]) იგივე, „დ რ ო ე ბ ა", № 10, 1867 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა აღინიშნოს შემდეგი: მიუხედავად იმისა, რომ ავტორი ფაბრიკა-ქარხნების პროგრამას აყენებს, შრომის მნიშვნელობას დიდ როლს ანიჭებს და გადაჭრით მოითხოვს გონივრული შრომის შემოღებას ჩვენში, მეორე თავის წერილში — „ამ დროების ქართველები“ [1]) — იგი წერს: „სიღარიბე უმეცრებაში გვიპყრობს და უმეცრება კიდევ სიღარიბეში, ერთი ერთმანეთის ძალით ჩვენ ამ გამოუვალ მდგომარეობაში ვართ. აქედან გამოსვლა არ არის შეუძლებელი, ჩვენ თუ ცოტაოდენ ხერხსა და ღონეს მოვიხმარებთ. ყველგან ხალხი შეძლებაში მიდის შრომით და ნაშრომის გაფრთხილებით, უშრომოთ და შრომის გაუფრთხილებლათ არცერთს ხალხში არავითარი წარმატება არ მოხდება და არ მომხდარა. ხალხის ცხოვრებაში ეს ორი მოვლენა შეადგენს მის წარმატების ძალას. ჩვენ კი ჯერ-ჯერობით არც ერთი გვაქვს და არც მეორე“ [2]).

ბ. პეტრიაშვილის წერილებს აშკარად ატყვია სოციალისტური აზროვნების გაკლენა, იგი მიწის განსაზოგადოების და კოლექტიური დამუშავების მომხრეა. მიუხედავად ამისა, მისი სოციალისტური პრინციპები აღვსილია კაპიტალისტური ეკონომიკის შინაარსით. ძალაუნებურად მისი პროგრამა ბურჟუაზიულ შინაარსს იღებს.

გაზ „დროება“ და მისი თანამშრომლები თავიდანვე აქცევდენ ყურადღებას ჩვენში კაპიტალისტური წყობილების დამყარების საქმეს; მათთვის აშკარა ხდებოდა, რომ საქართველოს ეკონომიური წყობილება კაპიტალიზმის გზით ძიექანებოდა, მაგრამ მათ იცოდენ, მეორე მხრით, ისიც, რომ კაპიტალიზმის განვითარება იწვევს სიმდიდრის გავრცელებასთან ერთად სიღარიბის გავრცელებასაც ხალხში; მაგრამ „დროებას“ სურდა პირველის (სიმდიდრის) გავრცელება საქართველოში, ხოლო მეორესი (სიღარიბის) არსებითი წინააღმდეგი იყო. აქედან წარმოსდგა ასოციაციური და კოოპერატიული პროგრამების წამოყენება ჩვენი ინტელიგენციის მიერ 60-70-იან წლებში, ე. ი. კაპიტალიზმი უნდა განვითარებულიყო ასოციაციურ და კოოპერატიულ ფორმებში, მას უნდა შეექმნა მხოლოდ ხალხის სიმდიდრე და არა სიღარიბე; უკეთ: კაპიტალიზმი უპროლეტარიატოდ უნდა განვითარებულიყო ჩვენში. ყური ვათხოვოთ „დროების“ მოწინავეს, თუ რას

---

[1]) ბ. პეტრიაშვილი: „ამ დროების ქართველები“, გაზ „დროება“, № 20, 21, 22, 23, 24, 1866 წ.

[2]) „დროება“, № 22, 1866 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წერს იგი პროლეტარიატისა და კაპიტალის შესახებ. „საქართველოში“ „ჯერ ჩვენ ხალხს არ გამოუცდია პროლეტარიატი, — წერს „დროება“ მოწინავე წერილში, — იმედი გვაქვს, არც ჩავარდეს ამ მდგომარეობაში, თუ ის თავის კეთილდღეობისათვის ღონისძიებას მიიღებს“[1]). „დროებას“ იმედი აქვს, რომ შესაფერისი ღონისძიებით აიცდენს თავიდან „პროლეტარიატში ჩაცვენას“. მაგრამ წერილის ავტორი ნათლად ამჩნევს, რომ ჩვენი ეკონომიური ცხოვრება კაპიტალიზმის გზით მიემართება. იგი წერს: „ჩვენში კეთდებიან რამდენიმე ფულის მქონებელნი პირნი მრავალი შრომით და მოღვაწეობით. ეს წესი თუ არ შეიცვალა, დიდს ვნებას მისცემს ყველას. ხალხს გაალარიბებს. ახლავე ვხედავთ, რომ ამ სიღარიბის გზაზედა ვდგევართ და რამდენისამე დროს შემდეგ უეჭველათ პროლეტარიატში ჩავცვივით. ჩვენ ყველანი ვალში ვართ, ამ ვალიდან ვერ გამოვდივართ[2]). სად უნდა ვეძიოთ გამოსავალი, როგორი ფორმით უნდა გავავითაროთ ჩვენი ეკონომიური ცხოვრება?“ „დროების“ რედაქტორს ამისათვის მზად აქვს გარკვეული პროგრამა. მოვუსმიოთ მას: „კაპიტალის შედგენა ამხანაგობით, სასოფლო ბანკები განათლებულს ქვეყნებში ჩვენ დროს უკეთესს საფუძველათ და უპირველესს ღონისძიებათ არის მიღებული საზოგადო კეთილ-დღეობისთვის“. გაცალცალკევებული ცხოვრების გამო „უფრო გაძლიერდა ევროპაში პროლეტარიატი ანუ უკიდურესი სიღარიბე, რომელიც ჯერ კიდევ ძალიან არის გავრცელებული და ტვირთათ აწევს ევროპას. იმისი მოსპობა შეუძლიან მხოლოთ ასოციაციას ანუ ამხანაგობას“ აი ამ ყოვლად შემძლე ასოციაციების პროგრამა წამოაყენა ჩვენში „დროებამ“. მაგრამ საინტერესოა, „დროების“ აზრით, ვინ უნდა განახორციელოს ეს პროგრამა საქართველოში, ვინ უნდა იქნეს მისი წამომწყები? „დროება“ წერს: „ეს მოვალეობა აძევს ყველა მაზრებში ადგილობრივ მოხელეებს, რომელნიც მთავრობისაგან არიან დაყენებულნი; ის აძევს აგრეთვე მიროვის პოსრედნიკებს და აგრეთვე ყველას, ვისაც სწავლა აქვს მიღებული და ესმის საქმის გარემოება. იმათ უნდა ჩააგონონ ხალხს, განუმარტონ, უჩვენონ მისახმარი ღონის-ძიება. ეს ღონის-ძიება ძნელი არა არის რა. დააწესონ ამხანაგობები, შეადგინონ კაპიტალები... მხოლოდ ამ გვარათ შეიძლება კეთილ დღეობის გავრცელება ხალხში. თუ არ ამხანა-

---

[1]) დროება № 25, 1866 წ. მოწინავე წერილი.

[2]) იქვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გობით, არაფერი არ მოხერხდება რა"[1]). ნუ შეეკალთ „დროების" პროგრამის კრიტიკულად განხილვაში, ეს საჭირო არ არის. აღვნიშნოთ მხოლოდ, რომ მას ერთი მიხანი აქვს: კაპიტალიზმის განვითარებას ჩვენში ამხანაგური, ასოციაციების ფორმა მისცეს და ამით ჩვენი ხალხი გადაარჩინოს „პროლეტარიაში ჩაცვენას", ე. ი. შეჰქმნას „პროლეტარიატო კაპიტალიზმი. აღსანიშნავია აგრეთვე ის ფაქტიც, რომ „დროების" მოწინავე მთავრობის მოხელეებსაც და თვით სახელმწიფო აპარატსაც იყენებს თავისი პროგრამის განხორციელების საქმეში. ესეც უტოპიზმი იყო, მაგრამ უტოპიზმი თავისი ცუდი მხარეებით.

ასოციაციური პოლიტიკის დამცველად „მნათობის" თანამშრომლებიც გამოვიდენ. საილუსტაციოდ ჩვენ მოვიყვანთ ერთ ადგილს. ინგილო-ჯანაშვილი „მნათობში" წერდა: „რომ ეკონომიური ცხოვრება აფუფუნდეს, გაიხსნას და ყველანი გარე მოიცვას, რომ ქართველმა კაცმა შრომა შეიყვაროს, უნდა გვქონდეს კარგად გახსნილი ფაბრიკები და ზავოდები, რომ ხალხის მონაგარს მოთხოვნილება ჰქონდეს, იცოდეს, რომ იმისი შრომის ნაყოფი ღირსეულ ფასად გაიყიდება... მაშასადამე, რომ ჩვენი ქართველი ხალხი გამდიდრდეს და მხნეთა მუშაობდეს, საჭიროა: 1) გონივრული, ნაყოფიერი შრომა; 2) ფაბრიკები და ზავოდები, რომ ნაწარმოები შინვე ისყიდებოდეს, და რომ ჩვენი ნიადაგი არ ღარიბდებოდეს; 3) საჭიროა, რომ დურგალი და ფეიქარი, მეცხვარე და მთესველი, მენაბდე და მებაღე ერთად დასახლდნენ, რომ ამათშივე იყოს მსყიდველიცა და გამსყიდველიც... მაშასადამე საჭიროა, რომ ერთი ასოციაცია მთესველისა იყოს, მეორე — მეძროხესი, მესამე — მეცხვარესი, მეოთხე — სახლის ამგებლისა, მეხუთე — ფეიქრისა, მეექვსე — მეღვინესი, მეშვიდე — მეზავოდესი, მერვე — მეფაბრიკესი, და ყველაფერი ამათ ამხანაგობა ჰქონდეთ, რომ თავიანთი ჭირნახული ადგილობრივ ერთმანეთზე გასცვალონ, ყველაფერი ადგილობრივ იშოვებოდეს იმათშივე"...[2])

ასეთი პროგრამა დაუპირისპირა ჩვენი იტელიგენციის საუკეთესო ნაწილმა კაპიტალისტური წყობილების განვითარებას ჩვენში: ინტელიგენცია აშკარად და ნათლად გრძნობდა კაპიტალისტური წყო-

---

[1]) „დროება", № 25, 1866 წ.

[2]) ინგილო-ჯანაშვილი: „კაცს განათლებამ უნდა მისცეს სახსარი ცხოვრების გაფაქიზებისა და სიმდიდრის მოპოვებისა". ჟურ. „მნათობი" (აპრილი), გვ. 56-60, 1869 წ.

ბილების მძიმე მშობიარობის ტკივილებს ჩვენს ნიადაგზე და ამიტომ, ცდილობდა ჩვენი ეკონომიური განვითარებისთვის მშვიდობიანი და მიმზიდველი ფორმა—ასოციაციური სახე—მიეცა: ნაცვლად კაპიტალიზმისა თავისი კლასიური შინაარსითა და ეკონომიური წინააღმდეგობებით, საქართველოს ნიადაგზე უნდა ჩამოყალიბებულიყო ამხანაგობანი, კოოპერაციები, რომელნიც შეაჩერებდენ პროლეტარიატის განვითარებას ჩვენში და ეკონომიურ წარმატებას ყველას სასარგებლოდ გახდიდენ. ჩვენთვის უდავოა, რომ ეს ასოციაციური ეკონომიური პროგრამა ჩვენი ინტელიგენციის მოწინავე რაზმებმა სოციალისტური აზროვნების დიდი გავლენით შეითვისეს: როგორც ევროპის უტოპიური სოციალისტები და მათი ეპიგონები ლუი ბლანთან და ლასალთან ერთად, ისე რუსეთის სოციალისტებიც (ნ. ჩერნიშევსკი და სხვ.) დიდ იმედებს ამყარებდენ ასოციაციებზე. ჩვენმა ინტელიგენციამ მიიღო ეს პროგრამა მთელი თავისი უტოპიური შინაარსით და მოინდომა ამ ფორმებით გაევითარებინა ჩვენი ეკონომიური წარმატება. მაგრამ უტოპია უტოპიად დარჩა და ცხოვრებამ თავისი კალაპოტით იწყო დენა.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ იმ პერიოდში ჩვენში არა მარტო სწერდენ პრინციპიალურ წერილებს ასოციაციებისა და კოოპერაციების შესახებ, არამედ პრაქტიკულადაც შეუდგენ ასოციაციების მოწყობას ჩვენში. ამის შესახებ „დ რ ო ე ბ ი ს" ფურცლებზე საკმაოდ ბლომად მოიპოვება ცნობები. მაგრამ ამ „ასოციაციურ მოძრაობას" თავისი მოწინააღმდეგენი და კრიტიკოსებიც ჰყავდა ჩვენში 70-იან წლებში. ამჟამად ბრიტანეთის მუზეუმში აღმოჩენილი გექტოგრაფიული გაზეთის „დ რ ო შ ი ს" (იხ. ქვევით დამატება). პირველ ნომერში მოთავსებული არის „ასოციაციურ მოძრაობის" საწინააღმდეგო წერილი. ეს წერილი მოგვყავს სავსებით:

ჩ ვ ე ნ ი ახ ალ გ ა ზ რ დ ო ბ ი ს ს ი ყ ვ ა ლ ბ ე.

„ჩვენ ახალგაზრდობას არ შეეძლო ყურადღება არ მიექცია ქვეყნის ცუდ ეკონომიურ მდგომარეობისათვის, ხალხის უმრავლესი ნაწილის სიღარიბესთვის, მის გაუნათლებლობისათვის და სხვა. კეთილნი და პატიოსანნი გულითა, აღზრდილნი ჟურნალურ ლიტერატურითა და საკუთარ მოაზრების შეუჩვეველნი, ისინი წინ დაუხედველათ სჯიან და სწყვეტენ ყოველ — საგანსა.

რათ არის ხალხი ამ ცუდ მდგომარეობაში, რისთვის იტანჯება ის და მისი შრომით სხვები რათ სარგებლობენ? და რით მოვსპოთ ესა? აი კითხვანი, რომელზედაც მათი გულკეთილობა პასუხათ ეუბნება: ეს ალარ უნდა იყოს, უნდა მოვსპოთ ექსპლოტატორები! და მაშინ მისი მოაზრება იწყება თუ, როგორ მოვსპოთ ისინი, — მაგრამ აქვე ჩნდება მათი მსჯელობის შეცდომა. ისინი ვერ ხედავენ, რომ მარტო ექსპლოტატორების მოშორება როდი სპობს თვით ექსპლოტაციას, როგორც საზოგადოებრივ წყობილებას.

როცა ისინი ცხოვრებაში შედიან უწინდელვე კვალსა ადგებიან. იმათ დროშაზე პირების გამოცვლა სწერია „მოვიშოროთ ექსპლოტატორები.

მაგალითად ვაჭრები ტყავს ართმევენ კახეთის გლეხობას, გაეყაროთ ვაჭრები! ახალგაზრდობა... [1]) იმ მებატონეებს, ეწევა რომელთაც...[2]) და თავიანთი ღვინო გლეხებისგან ნაყიდიც თბილისში გასასაღებლად მოაქვთ — ვითომდა ეს წარმატების ნაბიჯია, ვითომდა ექსპლოტატორები მოშორებული არიან და ასოციაცია დაფუძნებულა. მაგრამ რა მნიშვნელობა აქვთ აქ მებატონეებს? განა წინანდლებისთანა ტყავის მძრობელნი არ არიან ისინი იმ გლეხების შესახებ, ვისგანაც ღვინოს ნაღდათ ყიდულობენ?

გორის მაზრაში იხსნება „ასოციაციური" ყველის ქარხანა, შესავალი თანხა იმხელაა, რომ მარტო მდიდრებს შეეძლებათ შიგ მონაწილეობის მიღება. გლეხებს ნება ექნებათ ამ ქარხანაში რძის მოტანისა და გასაღებისა. რა იქნება ეს ქარხანა გლეხებისათვის, თუ არა „ასოციაციური გამტყავებელი", რომელიც სერმოს შეერთებით უფრო გაძლიერდება? აი ამ ქარხნის დაარსებას ალტაცებით ტაშს უკრავს მოწინავე ქართული ლიტერატურა.

რა იქნება შემდეგში? წინანდელი ექსპლოტატორების ადგილს დაიჭერს კეთილისადმი მლტოლველი ქართველი ახალგაზრდობა! ძველებური სასტიკის სიტყვის და „შენის" მაგივრათ გლეხი გაიგონებს გაზრდილურ სიტყვებსა და „თქვენის", მაგრამ ჩვენ ღრმად ვეჭვობთ, რომ გლეხის ეკონომიური მდგომარეობა იმითი გამოიცვალოს, რომ იმას ტყავს ართმევს მისი გულითადი მეგობარი, და არა უმოწყალო ვაჭარი" [3]).

---

[1]) სიტყვები ვერ ამოვიკითხეთ.
[2]) სიტყვები ვერ ამოვიკითხეთ.
[3]) იხ. „დ რ ო შ ა", № 1, 1873 წ. ინახება ქარ. რევოლუციონერ მუზეუმში.

უნდა ვთქვათ, რომ აქ სამართლიანი კრიტიკა არის მოცემული იმ ასოციაციური მოძრაობისა, რომელმაც ჩვენს ცხოვრებაში ჯერ კიდევ 60-იან წლებში ჰპოვა თავისი პრინციპიალური დამცველი და პრაქტიკული მიმდევრები. ასოციაციური მოძრაობა იმ პერიოდში აუცილებლად კაპიტალისტური ურთიერთობის შინაარსს იღებდა. ეს კარგად ჰქონდა შეგნებული არალეგალური „დროშის" თანამშრომელს, რომელიც თავის მხრითაც სოციალისტურ ნიადაგზე იდგა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი მეექვსე

მოსე ქიქოძე და მისი წერილები საქართველოს მოგმავალზე.

თარხან-მოურავივით, მოსე ქიქოძეც დაინტერესებულია ჩვენი ერის ეკონომიური განვითარებით; ისიც თარხან-მოურავივით დაინტერესებულია ჩვენი ხალხის მომავალით და მისი წარმატების საკითხებით. მაგრამ ეკონომიური საკითხების გამორკვევაში ეს ორი ჩვენი მწერალი ოსებითად განსხვავდება ერთმანეთისაგან: როგორც დავინახეთ, გრ. თარხან-მოურავის დასაყრდნობი ბაზა არის ევროპის უტოპიური სოციალიზმი და ისიც ამ სოციალიზმის საზომით იხილავს თანამედროვე ეკონომიურ საკითხებს. მ ო ს ე ქ ი ქ ო ძ ი ს ეკონომიური შეხედულებანი ეყრდნობა ჯონ-სტუარტ მილის ლიბერალურ სოციალისტურ მოძღვრებას. შეიძლება ითქვას, რომ მოსე ქიქოძე დამთავრებული რადიკალურ-დემოკრატიული მწერალია სოციალისტური ელფერით. მის ნაწერებში ჩვენ ვერ ვნახულობთ კაპიტალიზმის იმ მკვეთრ კრიტიკას, რომელიც ახასიათებს თარხან-მოურავის ეკონომიური ხასიათის წერილებს. წინააღმდეგ, იგი მომხრეა ჩვენში ვაჭრობა-მეურნეობის განვითარებისა, და ამ დებულებას იგი ადასტურებს როგორც ჩვენი ობიექტური ეკონომიური მდგომარეობით, ისე ევროპის ეკონომისტების მოსაზრებებითაც. „რკინის გზების გაყვანა გვიმტკიცებს, — წერს ავტორი, — რომ ჩვენი საზოგადოებისათვის ახალი დრო მოსულა, ის დრო, როდესაც უნდა აუცილებლად შეირყეს საფუძველი ჩვენი საზოგადო ცხოვრებისა და დაიდგას ახალი საფეხური ახალი ცხოვრებისათვის. ეს გვიმტკიცებს, რომ საქართველოს აღარ შეუძლია დაკმაყოფილდეს იმ ცხოვრების წყაროებით, რომლითაც აქამდე კმაყოფილდებოდა. სჩანს, რომ საქართველოში უგრძნიათ სხვადასხვა მოთხოვნილებები, რომელთაც წინედ არ გრძნობდენ“ [1]).

---

[1]) მ. ქიქოძე: „გზებისა და ბოგირების მნიშვნელობა“, „მნათობი“ (მარტი), გვ. 55, 1870 წ.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მ. ქიქოძე ჯერ კიდევ 1869 წელს ამჩნევდა ჩვენში ახალი ეკონომიური ურთიერთობის შეღოჭრას, მაშინ როდესაც 90-იან წლებში ჩვენი ნაროდნიკები თავგამოდებით უარყოფდენ კაპიტალიზმის არსებობას საქართველოში. მაგრამ ჩვენი ავტორი არა მარტო აღნიშნავს ახალი ფაქტორების შემოჭრას ჩვენში, არამედ მას გარკვეული პროგრამაც აქვს კაპიტალისტური ეკონომიკის განსაკითარებლად. იგი წერს: „ჩვენ უნდა მოეკიდოთ ხელი ხვნას, თესვას, საქონლის მოშენებას, ვაჭრობას და სხვას. ჩვენში, რომ ფაბრიკები იყოს, რომლის ქონაც ძალიან ადვილია, და შემზადება ვიცოდეთ შეუმზადებელი მასალისა, ეს იქნებოდა ძლიერ სასარგებლო ჩვენი მცხოვრებთათვის“ [1]).

„პოლიტიკურ ეკონომიაში ჩვენ თითქმის ვერ შეეხვდებით იმ გვარს ეუშმარიტს წინადადებას, როგორიც შემდეგია: ის მხარე, საიდანაც გააქვს მასალები და მაგივრად შემოაქვს შეუმზადებელი (საქონელი), ის მხარე ღარიბდება, და რომელსაც შემოაქვს შეუმზადებელი და გააქვს შემზადებული — მდიდრდება; პირველი მონათ ხდება და მეორე ბატონათ. ამის დასამტკიცებელს ფაქტებს ვხედავთ კალიფორნიაში, ჩილიში, სათათრეთში, ავსტრალიაში, სადაც არავითარი ხელოვნება (წარმოება) არ არის, საცა მარტო ხვნისა და თესვის მეტი არა იციან რა. ჩვენშიც ხომ ასე არის ჩვენ არაფრის შემზადება არ შეგვიძლიან, არ გვაბადია არავითარი ფაბრიკები და ქარხნები, არა გვაქვს არავითარი ტეხნიკური (ხელოვნური) ცოდნა“ [2]). აი ამ მიზეზების გამო ვფიქრობთ, — დასძენს ავტორი, — რომ, ჩვენ თუ გვსურს რკინის გზის სასარგებლოდ მოხმარება, ჩვენთვის აუცილებლად საჭიროა შინაგანი გზების გაკეთება და გაუმჯობესება, რომ ჩვენი ბუნების და მიწის ნაწარმოებისა ჩვენვე შეგვეძლოს შემუშავება და ყველა ჩვენთვის სახმარი ნივთების კეთება“ [3]).

ეს წმინდა წყლის ბურჟუაზიულ-ეკონომიური პროგრამა არის; ის, რასაც ასოციაციების ფორმით გვაწვდიდა გრ. თარხან-მოურავი, მოსე ქიქოძის წერილებში აშკარად და გარკვევით არის გამოთქმუ-

[1]) მ. ქიქოძე: „საქართველოს მომავალი“, „მნათობი“ (იანვარი), გვ. 53—56, 1870 წ.

[2]) მისივე: „გზების და ბოგირების მნიშვნელობა“, „მნათობი“ (აპრილი), გვ. 56 — 57, 1870 წ.

[3]) მ. ქ ი ქ ო ძ ე: „გზებისა და ბოგირების მნიშვნელობა“, „მნათობი“ (აპრილი), გვ. 82, 1870 წ.

ლი. ჯიჯოძე აყენებს ნაციონალური კაპიტალის განვითარების პროგრამას, რომელიც 1901 წელს განმეორებით წამოაყენა „ცნობის ფურცელში“ ალ. ჯორჯაძემ. ავტორი გრძნობს, რომ რკინის გზის გაყვანის შემდეგ ჩვენში „უფრო სასტიკად დაეტაკებიან ერთმანეთს ჩვენი ქვეყნის და უცხო ქვეყნის ინტერესები, უფრო გამოცოცხლდება ბრძოლა არსებობისათვის“ (გვ. 68) და სწორედ ამიტომ მოითხოვს ჯიჯოძე ნაციონალური კაპიტალის განვითარებას ჩვენში და ფაბრიკა-ქარხნების საშუალებით ეკონომიური აღორძინებას დაწყებას

ასეთია მოსე ჯიჯოძის ეკონომიური პროგრამა: იგი წმინდა წყლის ბურჟუაზიული შინაარსისაა, მაშინდელი პირობებისათვის სრულიად პროგრესიულია და სასარგებლო ჩვენი წარმატებისათვის. მაგრამ კაპიტალიზმი მ. ჯიჯოძეს სურს უპროლეტარიატოდ, კაპიტალისტური წარმოების განვითარება — პროლეტარიატის განუვითარებლად. ერთი სიტყვით, ჩვენში უნდა გაჩაღდეს ფაბრიკა-ქარხნები, მაგრამ არ უნდა წარმოიშვას პროლეტარიატი — შრომის გამყიდველი ელემენტი. ყური ვათხოვოთ ავტორს. იგი წერს:

„ხალხის კეთილ-მდგომარეობას ჰყავს ერთი დიდი მტერი, რომელიც ჰღუპავს და აღშფოთებს იმას. ევროპის ხალხმა გამოსცადა და ეხლაც სცდის ამ მტრისაგან მიყენებულ ვაივაგლახს. მე ვლაპარაკობ პროლეტარიატობაზედ (სიღარიბეზედ). რისგან წარმოსდგება ეს და რაში მდგომარეობს? ეს ჭირი წარმოსდგება ერთმანეთის დაუდევრობისაგან; ერთნაირი თავის მოყვარეობისაგან, რომელსაც ეძახიან ეგოიზმობას. ამისთანა თავის მოყვარენი ფიქრობენ მხოლოდ თავიანთ თავზე, მოძმეებზედ კი ნაკლებ... (აქ ცენზორის მიერ ამოღებულია. ს. ხ.). ერთი მეტად მდიდრდება, მეორეს კი მეტად ნაკლები აქვს; ერთმა არ იცის რა უყოს თავის სიმდიდრეს და მაინც იმასვე მიელტვის, მაგრამ ბრუდე გზით, მეორეს კი არ აქვს საუნჯე ლუკმა... (აქ ცენზორის მიერ ამოღებულია 5 ჰწკარი). ამ სახით ერთს ნამეტარიცა აქვს, მეორეს კი ისიც არა აქვს, რაც შეადგენს კაცის უმთავრესს საჭიროებას.. (აქ ცენზორის მიერ ამოღებულია). ჩვენთვის დიდი ბედნიერება იქნება, რომ სიღარიბის აცილებას ეხლავე შეუდგეთ, მაგრამ ვის შეუძლია ეს საქმე იკისროს და ითავოს? ახალ თაობას, უმეტესად ნაბატონარებს. ვიტყვი ორიოდე სიტყვას, მეტი კი საფიქრე-

ბელი არ არის: გლეხები არ უნდა დაიგდონ [illegible] (აქ ცენზორის მიერ ამოღებულია). ვისაც ეს კარგად ესმის, ის ამის წინააღმდეგს არას იტყვის"[1]) (ხაზი ჩვენია. ს. ხ.)

უნდა აღვნიშნოთ, რომ მოსე ქიქოძის განმარტება სიღარიბის წარმოშობისა ჩამორჩება თარხან-მოურავის ეკონომიურ მოსაზრებებს. მაშინ, როდესაც თარხან-მოურავი სიღარიბის მიზეზს ეკონომიურ ურთიერთობაში — შრომის და კაპიტალის (ქონების) განცალკევებაში - ხედავს, ქიქოძისათვის ამისი მიზეზი „ერთნაირ თავის მოყვარეობაში" მდგომარეობს: ერთი ხსნის წმინდა ეკონომიური ფაქტებით, მეორე კი - ფსიხოლოგიური მომენტებით. ეს სხვანაირი მიდგომა საკითხისადმი აიხსნება იმ „თეორიული წყაროებით", რომლითაც სარგებლობდენ ჩვენი პუბლიცისტები: თარხან-მოურავი „შრომის ღირებულების თეორიაზე" იდგა და უტოპიური სოციალისტების საზომით არკვევდა საკითხს, ხოლო ქიქოძეს დასაყრდნობ მეცნიერულ ძალად ჰყავდა ლიბერალურ-პოლიტიკური ეკონომიის წარმომადგენელი ჯონ სტუარტ მილის სახით.

მაგრამ საინტერესოა არა მარტო ეს, არამედ ის გამოუვალი რკალიც, რომელშიაც მოექცა ჩვენი პუბლიცისტი: ერთის მხრით, იგი წარმოებისა და მრეწველობის განვითარებას მოითხოვს, მეორეს მხრით კი—პროლეტარიატის, მუშათა კლასის წარმოშობის წინააღმდეგია საქართველოს სინამდვილეში. ერთი სიტყვით, მოსე ქიქოძეს სურს კაპიტალისტური წყობილება უპროლეტარიატოდ. თარხან-მოურავი პრინციპიალურად ებძვის კაპიტალისტურ ეკონომიკას, თუმცა პრაქტიკულად მისი ასოციაციები ვერ ასცდებოდენ კაპიტალისტური დაწესებულებების ბედს. მოსე ქიქოძე იზიარებს ჯონ სტუარტ მილის ლიბერალურ დებულებებს პოლიტიკურ ეკონომიაში და ამიტომ იგი კაპიტალიზმის შეკეთების, შელამაზების მომხრეა: თუ ევროპის სინამდვილისათვის ჯონ სტუარტ მილი მოითხოვდა კაპიტალისტებისა და მუშების შეთანხმებას განსაკუთრებულ ასოციაციებში, ქიქოძე ჩვენში, სადაც ჯერ კიდევ მცირერიცხოვანი არის მუშათა კლასის კადრი, ჯონ სტუარტ მილის ეკონომიურ მოსაზრებებს თავისებურ სახეს აძლევს და უპროლეტარო კაპიტალიზმს მოითხოვს.

საგულისხმიერო ტრაღიკული მდგომარეობა იქმნება ქართველი ინტელიგენციისათვის, და ეს ისტორიულად დამახასიათებელია მთე-

[1]) მ. ქიქოძე: „საქართველოს მომავალი", „მნათობი", № 1, გვ. 51—2, 1870 წ.

ლი ჩვენი მაშინდელი სოციალისტურად განწყობილი მოწინავე პირებისა: მათ თითქოს ესმით ის დიდი ეკონომიური წარმატება და წინმსვლელობა, რომელიც მოაქვს ქვეყნისათვის ახალ ეკონომიკას, ინდუსტრიას, მის წინ არსებულ ნატურალურ მეურნეობასთან შედარებით; მათ ესმით, რომ ევროპის ეკონომიური დაწინაურება და კულტურული აყვავება იყო შედეგი მრეწველობის განვითარებისა, მაგრამ, მეორეს მხრით, მათ აშინებს ის „დიდი მტერი (პროლეტარიატობა), რომელიც ლუპავს ხალხის კეთილდღეობას ევროპაში"; მათ ყველაზე მეტად ეშინიათ ქართველი გლეხის გაპროლეტარებისა, მისი სამრეწველო მუშად გარდაქმნისა. „ჩვენთვის დიდი ბედნიერება იქნება, რომ სიღარიბის (გაპროლეტარების) აცილებას ეხლავე შეუდგეთ", — წერს ქიქოძე, და ამ დებულებაში გამოთქმულია მთელი ჩვენი მაშინდელი მოწინავე ინტელიგენციის სურვილი და მისწრაფება. ამგვარ საწინააღმდეგო მდგომარეობაში იყო ჩაყენებული ჩვენი მეთაური ინტელიგენციის საგრძნობი ნაწილი ამ პერიოდში. ფორმალურად ამ წინააღმდეგობიდან გამოსავალი ინტელიგენციის ნაწილმა სოციალისტურ ფორმულებში ჰპოვა, ფაქტიურად, არსებითად კი ეს „სოციალისტური ფორმულები" უპროლეტარო კაპიტალიზმის განვითარებას მოითხოვდენ ჩვენში. ის, რაც აშკარად, გარკვევით და ნათლად არის გამოთქმული მოსე ქიქოძის საინტერესო წერილებში, სხვა პუბლიცისტების ნაწერებში ბუნდოვანი ფორმულებით არის დაფარული.

მაგრამ, თუ ჩვენს ავტორს ეშინია საქართველოში პროლეტარიატის წარმოშობის, სამაგიეროდ ევროპის სინამდვილისათვის, სადაც უკვე არსებობს მუშათა საკითხი, ქიქოძეს გარკვეული გეგმები და რეცეპტები აქვს მუშათა საკითხის მოსაწესრიგებლად; მოსე ქიქოძის მნიშვნელობა ქართული სოციალისტური აზროვნების ევოლიუციაში მით არის საყურადღებო, რომ მან 70-იან წლებში შემოიტანა ჩვენში ჯონ სტუარტ მილის ლიბერალური სოციალიზმის გეგმები[1]).

ჯონ სტუარტ მილის (1806 — 1873 წ.) ეკონომიური მოძღვრება

---

[1]) 1900 წლის შემდეგ ქიქოძე მიემხრო სოც. ფედერალისტთა პარტიას, ხოლო 1912 წ. მისი კანდიდატურა წამოყენებულ იქნა ამავე პარტიის მიერ სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არსებითად გამოხატავს როგორც კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის დარღვევის პროცესს, ისე პოლიტიკური და ეკონომიური ლიბერალიზმის იდეების კრიზისს. ის რწმენა, რომელიც შეიმუშავეს კლასიკური ეკონომიის მამამთავრებმა, რომ კაპიტალისტური წყობილება ყველას ბედნიერებას და წარმატებას მოუტანდა,—არ გამართლდა, პირიქით, კაპიტალიზმის განვითარებამ გამოიწვია საერთო კრიზისები და საზოგადოების დიდი უმეტესობის გაღატაკება. მეორეს მხრით—პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის გაფართოვებამ და სოციალისტური აზროვნების კრიტიკამ ყველასათვის ნათელჰყო კაპიტალისტური ეკონომიკის არსებითი ბუნება. მილი აღიზარდა ასეთი საერთო კრიზისის პირობებში: მის ეკონომიურ და სოციალისტურ აზროვნებაზე გავლენა იქონიეს როგორც კაპიტალისტურ ურთიერთობაში შექმნილმა ობიექტიურმა მოვლენებმა, ისე უტოპიური სოციალიზმის მიერ კაპიტალისტური წყობილების კრიტიკამ. აქედან წარმოსდგა მილის ახალი სოციალისტური პოლიტიკური აზროვნება, რომელსაც შ. ჟიდიც ლიბერალურ სოციალიზმს უწოდებს[1]) და რომელიც გამოხატავდა ბურჟუაზიულ ლიბერალიზმზე უარის თქმას და სოციალისტური იდეებისაკენ გადახრას. არსებითად კი მილი ლიბერალიზმიდან სოციალიზმისაკენ მიმავალი გზის შუაზე შეჩერდა[2]). მილი, არ უარყოფდა რა პრინციპიალურად სოციალიზმს, არსებით ყურადღებას აქცევდა სოციალურ რეფორმებს მუშათა კლასის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. თვით სოციალიზმის პრობლემა მილს წამოყენებული აქვს უტოპიურ ფორმებში, მაგრამ უტოპიური სოციალისტებისაგან მაინც იმით განსხვავდება, რომ იცავს კაპიტალიზმის რეფორმის საჭიროებას სოციალისტური მიმართულებით. მილი სოციალური პოლიტიკის შემდეგ მნიშვნელოვან პროგრამას აყენებდა:

ა) დაქირავებული შრომის მოსპობა კოოპერატიული საწარმოო ასოციაციების საშუალებით,

ბ) მიწის რენტის სოციალიზაცია მიწაზე გადასახადის დაწესებით და

გ) შეზღუდვა სიმდიდრის უსწორმასწორობისა მემკვიდრეობის უფლების შეზღუდვით.

---

[1]) Ш. Жид: „История экономической мысли", გვ. 215, 1918 წ.

[2]) А. Рубин: „История экономической мысли", გვ. 337, 1926 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაქირავებული შრომის რეჟიმი მილს პიროვნების დამლუპველად მიაჩნია, ვინაიდან ის (რეჟიმი) სპობს პიროვნებაში ინტერესს თავისი შრომის ნაყოფისადმი. ამიტომ, მილის აზრით, საჭიროა ამ დაქირავებული რეჟიმის შეცვლა „ისეთი ასოციაციის ფორმით, რომელიც ბოლოს და ბოლოს გადაიქცევა გაბატონებულ ფორმად, თუ კი კაცობრიობა პროგრესის გზით წავა,—არა ისეთი ფორმით, რომელიც ეხლა სუფევს წარმოების ხელმძღვანელ კაპიტალისტებსა და მმართველობაში ყოველგვარ უფლებას მოკლებულ დაქირავებულთა (მუშებს) შორის, არამედ თვით მუშების ურთიერთ-თანასწორობის ასოციაციით, წარმოებაში შეტანილი საერთო კაპიტალითა და მუშებისაგან არჩეული მართველობის ხელმძღვანელობით, მაგრამ სანამ ეს უმაღლესი ფორმა ასოციაციური წყობილებისა განხორციელდებოდეს, მილს შესაძლებლად მიაჩნია „დამოკიდებულება კაპიტალისტებსა და მუშებს შორის ჩამოყალიბდეს შემდეგი ორი ფორმიდან ერთ-ერთის სახით: „ზოგიერთს შემთხვევაში — მუშების დროებით ასოციაციაში მწარმოებელთან ერთად და სხვა შემთხვევაში — ასოციაციებში თვით მუშათა შორის“ [1]).

მილის მთავარი მეცნიერული შრომა: „პოლიტიკური ეკონომია“ 60-იან წლებში გადათარგმნა რუსულად ნ. ჩერნიშევსკიმ თავისი შენიშვნებით, რომლებშიაც ჩერნიშევსკი უფრო მკვეთრად ანვითარებს მილის სოციალისტურ ტენდენციებს.

ეი ამ აზრების გადმონერგვას შეუდგა ჩვენში მოსე ქიქოძე. იგი სარგებლობს ჩერნიშევსკის მიერ ნათარგმნი მილის „პოლიტიკური ეკონომიით“ და ცდილობს მუშათა და სოციალიზმის პრობლემის გადაჭრას მილის სოციალური პოლიტიკის საშუალებით.

ქიქოძე იმეორებს მილის დებულებას და ამბობს: „პოლიტიკური ეკონომია გვიმტკიცებს, რომ შრომა მაშინ არის ნაყოფიერი, როდესაც მშრომელის სარგებლობასთან არის შეერთებული, ესე იგი: როცა მუშა დარწმუნებული არის, რომ თავისი ნაშრომით თვითონვე ისარგებლებს“ [2]).

მაგრამ როგორი მდგომარეობაა დღეს შექმნილი ევროპაში და რა გზით ცდილობენ მასწავლებლები (სოციალისტები) იქ წამოჭრილი მუშათა საკითხის მოწესრიგებას? ქიქოძე წერს:

---

[1]) მ. �dis დასახელებული შრომა, გვ. 217, 218, 399.
[2]) მ. ქიქოძე: „საქართველოს მომავალი“, „მნათობი“ (იანვარი), გვ. 46 1770 წ.

„დასავლეთის ევროპიის მდიდარ ქალაქებში მცხოვრებების ერთი ნაწილი არის მდიდარი, აქვს კაპიტალები (თანხა), მეორე არის ღარიბი, იმათ არა გააჩნიათ რა თავიანთ ჯანისა და ღონის მეტი; პირველები ქირაობენ მეორეებს და აძლევენ დანიშნულ ქირას. თუმცა ეს უკანასკნელები იღებენ შრომის ფასს, მაგრამ მათ და პირველთ შორის დიდი უკმაყოფილება არის; თანხის პატრონები მუშებს ემდურიან, მუშები თანხის პატრონებს. თანხის პატრონები იძახიან, რომ მუშები გულმოდგინენი არ არიანო, და შრომის ფასს ნაკლებს აძლევენ (უმცირებენ). დიდი ხანი არის, რაც ამაზედ ყურადღება მიაქცია ეს მასწავლებლებმა[1]). აი, როგორ გარდაწყვიტეს ეს საქმე: თუ რომ ჰსურთ ფულის პატრონებს, რომ მუშებმა იმათი კაპიტალი (თანხა) სინდისიანად აწარმოონ, იმათ, კაპიტალისტებმა, შემოსავალშიაც წილი უნდა დაუდონო მუშებს და არ დააჯერონო მარტო ქირას. ეს აზრი მეტად საფუძვლიანი არის. რა საკვირველია, რომ, როდესაც მუშას მარტო აღთქმულ ქირას, ისიც ნაკლებს, ეაძლევთ, მაშინ გულმოდგინეთ არ მოჰკიდებს ხელს თავის საქმეს. იმისთვის სულ ერთია: დაპირებულზედ მეტს ხომ არაფერს მისცემენ. შემოსავალშიაც რომ ნაწილი დაუდონ, მაშინ კი უფრო სინდისიანად მოიქცევა: მუშა იფიქრებს, მოვიგებ; იმდენად უფრო მეტი მერგება"...[2])

ასე სწყვეტდა, მილის აზრების ზეგავლენით, მ. ქიქოძე მუშათა საკითხს. ეს იყო შედეგი ოპორტუნისტული ლიბერალურ-სოციალისტური ტენდენციების გავლენისა. მაგრამ მ. ქიქოძისა და მილის მუშათა საკითხის მოწესრიგების პროექტს ჩვენში გამოუჩნდა თავისი მოწინააღმდეგე მეორე სოციალისტური სისტემის მიმდევრის ნიკ. ნიკოლაძის სახით. ნიკოლაძემ „დროების" ფურცლებზე გააჩრია ქიქოძის წერილი; „სარგებლობაში წილის დადების" შესახებ იგი ამბობს:

„ეს არც საფუძვლიანი აზრია და არც სწავლულებს (სოციალისტებს. ს. ხ.) გადაუწყვეტიათ. საქმე აი როგორ იყო: როცა სწავლულები (სოციალისტები. ს. ხ.) ამტკიცებდნენ, რომ ხალხის სიმდიდრის შეძენაში თანხა უნდა ეკუთვნოდეს მშრომლებს და არა მშრომლები — თანხას, მაშინ, რასაკვირველია, იმათ (სოციალისტებს ს. ხ.)

[1]) ე. ი. სოციალისტებმა. ცენზურული პირობების გამო ჩვენი პუბლიცისტები ხშირად ხმარობდენ სოციალისტების ნაცვლად მასწავლებლებს, ხოლო სოციალიზმის ნაცვლად—პატიოსან მიმართულებას.

[2]) მ. ქიქოძე: „საქართველოს მომავალი", „მნათობი", გვ. 46-47.

პირველ საბუთად ის მოყავთ, რომ თავის საკუთარი სარგებლობისა-თვის კაცი უფრო გულმოდგენით იმუშავებს, მინემ სხვისთვისა; ეს რომ ზოგიერთებმა თანხის პატრონებმა (კაპიტალისტებმა. ს. ხ.) გაიგეს, იმათ მოინდომეს სწავლულების (სოციალისტების) დედა-აზრის დარღვევა მით, რომ მცირე რამ წილი დაედვათ მუშებისათვის. ასე მოიქცენ ზოგიერთი ფაბრიკანტები"[1]) (ხაზი ჩვენია. ს. ხ.).

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ნიკოლაძეს კარგად ესმოდა, საიდან მომდინარეობდა დებულება მუშებისათვის „სარგებლობაში წილის დადების" შესახებ. მან იცოდა, რომ ასეთი პრინციპი მხოლოდ ფაბრიკანტების ინტერესებს ემსახურება და იგი არსებითად დამახინჯებაა დიდი სოციალური პროგრამისა. ნიკოლაძე აკრიტიკებს ასეთს პროექტებს „ნამდვილი სწავლულების" შეხედულებათა საზომით. იგი წერს:

„რასაკვირველია, რომ იმ პოლიტიკო-ეკონომებს, რომელთაც მაინც და მაინც პატრონების მხარე უჭირავთ, ეს „სარგებლობაში წილის დადება" დიდ რამეთ მიაჩნიათ. ისინი კიდევაც სწერენ, რომ ამის მეტი არა აკლდათ რა მუშებს და რაკი პატრონები იმათ მოგებაში წილს დაუდებენ, მუშებიც სრულიად ბედნიერნი იქნებიან და შრომაც მშვენიერათ დაიჯილდოვდებაო. მაგრამ „მნათობის" პუბლიცისტს (ე. ი. მ. ქიქოძეს) უნდა სცოდნოდა, რომ ნამვილი სწავლულები (სოციალისტები. ს. ხ.) ამ „წილის დადებას" მასხარობას და კომედიას უძახიან და ამბობენ, რომ „წილი მუშებს მართლა მაშინ ექნებოდათ დადებული, ანგარიშიც და საქმის წარმოებაც რომ მათ ხელში იყოსო და მოგების ასის თავი კი არა, ცოტათი უფრო ხელმოსაკიდებული რამ ეძლევოდესო. ნამდვილი სწავლულები (სოციალისტები) იმასაცა ამტკიცებენ, რომ მინემ თვითონ მშრომელს არ ექნება ხელში შრომის იარაღი, და სხვათა შორის თანხაც, მანამდის მათი შრომის ნაყოფი სხვისი გამოსადეგი იქნებაო"[2]) (ხაზი ჩვენია. ს. ხ).

ამგვარი სახით შეეტაკა ერთიმეორეს ჩვენში ორი სხვადასხვა

[1]) იხ. ნ. ნიკოლაძის ხელმოუწერელი წერილი; „დროება". № 20, 1870 წ.

[2]) „დროება", № 20, 1870 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახის სოციალისტური სისტემა: ოპორტუნისტულ - ლიბერალური — მოსე ქიქოძისა, რომელიც ჯონ სტუარტ მილის დებულებებს ეყრდნობოდა, და რადიკალურ-სოციალისტური—ნ. ნიკოლაძისა, რომელიც ევროპისა და რუსეთის სოციალისტური წყაროებიდან მომდინარეობდა. ა. ჯორჯაძე თავის ინტელიგენციის მასალებში, გაკვრით ეხება ამ კამათს და წერს: „მართლაც უსაფუძვლოდ აუხირდა მაშინ ნიკოლაძე მოსე ქიქოძეს, მით უმეტესად, რომ, როგორც ქვემოთ დავინახავთ, თვითონაც ალიარებდა სოციალისტურ აზრებს“ [1]).

ჯორჯაძეს ვერ გაუგია ნიკოლაძესა და ქიქოძეს შორის წარმოებული კამათის ძირითადი აზრი: აქ კამათია არა თვით სოციალიზმის დასაცავად ან მის საწინააღმდეგოდ, არამედ იმის შესახებ, თუ რომელი სოციალისტური სისტემა უფრო სწორედ სჭრის მუშათა საკითხს, რომელი მათგანი უფრო მიზანშეწონილია და სასარგებლო. მუშათა საკითხის გამო წარმოებული კამათის ღერძი უმთავრესად ამ საკითხის გარშემო ტრიალებს.

მ. ქიქოძემ არ დასტოვა ნიკოლაძის წერილი [2]) უყურადღებოდ და „მნათობის“ ფურცლებზე მკაცრი კრიტიკით უპასუხა. ამ საპასუხო წერილში უფრო ნათლად და გარკვევით გამოსთქვა თავისი შეხედულებანი მუშათა საკითხზე და გაავითარა ის აზრი, თუ უბრალო ასოციაციებისაგან როგორ წარმოსდგება სხვა უფრო მაღალი ფორმის მუშათა ასოციაციები. მ. ქიქოძე შემდეგნაირად უპასუხებს ნიკოლაძეს:

„ეხლა მომისმინეთ, უფალო, თუ რა ჰქონდათ მსწავლულებს (სოციალისტებს. ს. ხ.) სახეში, როდესაც მშრომელის მდგომარეობის გაშველავათებაზედ ლაპარაკობდენ ანუ სჯიდნენ. იმათ სურდათ, რომ თანხა მუშების კუთვნილება ყოფილიყო და არა მუშები — თანხისა, როგორც თქვენცა ბრძანებთ. როგორ ჰფიქრობთ, გენიოსო. როგორი სახით შეიძლებოდა, რომ ეს მომხდარიყო? რა სახით შეიძლებოდა, რომ ეხსნათ მუშები დამოკიდებულებისაგან. რა გზით შეიძლებოდა, რომ თანხა შეეძინათ მუშებს, და დამოკიდებულებისაგან გამოსულიყვნენ?.... (აქ ცენზორის მიერ ამოღებულია. ს. ხ.). მსწავლულებმა (სოციალისტებმა. ს. ხ.) ამ საქმეში

---

[1]) არ. ჯორჯაძე, ტ. 5, გვ. 155.

[2]) ნიკოლაძის წერილი ხელმოუწერელი დაიბეჭდა „დროებაში“ (1870 წ.)

მხოლოდ ერთი გონივრული საშუალება გამონახეს, რომ მუშები დამოკიდებულებისაგან გამოეხსნათ და თვით ისინი გაეხადნათ თანხის პატრონებათ. ამათ ყური მიაქციეს ასოციაციას, ამხანაგობას. ამხანაგობა, თუ მოიხსენებ, გენიოსო, შეიძლება ორნაირი: 1) თვით მუშებს შორის და 2) მუშებსა და თანხის პატრონების შორის. უკანასკნელი გვარი ამხანაგობისა, ჩემო მეცნიერო ბატონო, შეიძლება მაშინ, როდესაც თანხის პატრონები მუშებს არა მარტო ქირას აძლევენ, არამედ წილს უდებენ ნაწარმოების მოგებაში. ყურადღება მიაქციეთ და მოისმინეთ შემდეგი, რომლისგანაც წყინობთ, რომ წილის დადება მონაგებში (არა ისეთი, როგორიც თქვენ გვაჩვენეთ. ეს... ფაბრიკანტებისაგან ჩადენილი) საფუძვლიანიც არის და ნამდვილი მსწავლულებიც (სოციალისტებიც) ამ საშუალებას უცქეროდენ, როგორც უკეთეს და უფრო მოხერხებულ საშუალებას, რომ მუშებისათვის მიენიჭებიათ დამოუკიდებლობა [1]. (ხაზი ჩვენია. ს. ხ.).

როგორც მკითხველიც დაინახავდა, მ. ქიქოძე არსებითათ იზიარებს მილის მოსაზრებებს, იგი იცნობს მილს ჩერნიშევსკის თარგმანიდან და მისივე შენიშვნებით. მაგრამ ქიქოძე მარტო საღლეისო ასოციაციების ფორმებზე არ ჩერდება: მას სწამს, რომ კაცობრიობის პროგრესი შეუძლებელი იქნება და მომავალში მუმა საკუთარი განთავისუფლდება ყოველგვარი ჩაგვრისაგან. აქაც ჩვენი ავტორი მილის არგუმენტებით ებრძვის თავის მოწინააღმდეგეს. ქიქოძეს მოჰყავს მილის შემდეგი სიტყვები:

„რასაკვირველია, როდესაც კაცობრიობა უფრო წინ წავა, მაშინ უამველია, ამ გვარად საქმის დაჭერა აღარ იქნება; მაშინ იქნება სხვა ფორმა მუშების ასოციაციებისათვის. იმათვე ხელში იქნება მაშინ თანხაც და საქმის გამგეობაც" (მილის სიტყვებია). აქედან გამოდის, რომ წილის დადება არის ძლიერ საფუძვლიანი აზრი და მსწავლულებიც (სოციალისტებიც) უყურებდენ ამას, როგორც კარგს და მოხერხებულ საშუალებას. თქვენ კი ამბობთ, რომ არც საფუძვლიანი აზრიათ, და არც მსწავლულებს გადაუწყვეტიათო (ხაზი „ავტორისაა).

[1] მ. ჭიქოძე: „სუსტი ჯგუფის ამაყობა", „მნათობი", № 1, გვ. 6—7, 1871 წ.

„თუ გსურთ, უფ. კრიტიკოსო, უფრო დაწვრილებით გაიგოთ ეს საქმე, იხილეთ მილის თხუზულება, მეორე ტომი, გვ. 291 და ჩაიკითხეთ ბოლომდე“.

ცოტა ქვევით ავტორი დაასკვნის: „...მუშების განთავისუფლებისათვის თანხის პატრონების დამოკიდებულებისაგან და ნამუშავარში წილის დადება კარგი საშუალება არის და ამ საშუალებას ეხლაც ხმარობენ და კიდევაც იხმარებენ, სანამდის ამ სახით მუშები თავის თავს არ უშველიან იქამდის, რომ შეეძლოთ თავის საქმის დაჭერა, თავის თანხის ქონა“[1]).

ჩვენ საკმაოდ ვრცლად გავაცანით მკითხველს მ. ქიქოძის იმ წერილების შინაარსი, რომელშიაც ავტორი ეხება მუშათა საკითხს და მასთან დაკავშირებულ ასოციაციებს. ჩვენ დავინახეთ, რომ ჩვენი პუბლიცისტი უმთავრესად ჯონ სტუარტ მილის გავლენის ქვეშ იდგა და მისი ლიბერალურ-სოციალისტური ტენდენციების გადმონერგვა სურდა ჩვენში.

---

[1]) მოსე ქიქოძე: „სუსტი ჯგუფის ამაყობა“. „მნათობი“, № 1, გვ. 9, 1871 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი მეშვიდე.

ნიკო ნიკოლაძე — სოციალისტი.

ამ თავში ჩვენ ვეხებით სამოციანი წლების ჩვენ საზოგადო მოღვაწეთა ერთ თვალსაჩინო წევრს, ახლად ფეხადგმული კულტურის მეთაურს, ნ ი კ ო ნ ი კ ო ლ ა ძ ე ს. თანამედროვე ახალი თაობა ნიკოლაძეს ყურმოკვრით იცნობს, უკეთ: სულ ვერ იცნობს. მის წინ არსებული თაობა ნიკოლაძეს იცნობდა ფოთის მოღვაწეობით და ორიოდე უმნიშვნელო პოლიტიკური ხასიათის წერილით. მაგრამ ამით არ ამოიწურება ნიკოლაძის სახელი და მისი მნიშვნელობა ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში: ნიკოლაძეს ჰქონდა თავისი ბრწყინვალე დღეები და ერთ დროს იგი ჩვენ კულტურულ თაობას წინ მიუძღოდა, ახალი იდეებითა და მისწრაფებებით შეიარაღებული [1]). დღეს თუ მას „ფრთებდაჭრილ არწივს" უწოდებენ, იყო

[1]) იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორ აფასებდა 70-იანი წლების ინტელიგენცია ნ. ნიკოლაძეს, ჩვენ მოვიყვანთ ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ი ს ერთ გამოუქვეყნებელ კერძო წერილს. ქვემოთ მოყვანილი წერილი სრულ გაუგებრობაზე იყო აღმოცენებული: 1872 თუ 1773 წ. ნიკოლაძეს მოუთავსებია „დ რ ო ე ბ ა შ ი" წერილი, რომელშიაც იგი აღნიშნავდა საზღვარგარეთ წასვლას. ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე ს, რომელიც იმ ჟამად პეტერბურგში იყო, ამ წერილის შინაარსი სხვანაირად გაუგია და 6 დეკემბრის (1872 — 3 წლებში) თარიღით იგი სწერს ნ. ნიკოლაძეს:

„ძმაო ნიკო! წავიკითხე შენი გამოსალმება,-წავიკითხე, მაგრამ წაკითხული აქამდისაც არ მჯერა. ნუ თუ მართლა შენ დაჰსწერე ის, რასაც შენი არ უსახელო სახელი აწერია ქვეშ? ნუთუ მართლა შეუშინდი ჭიალუებს და იმათს ბზუილზე გაფრთხი? მე იმდენად შენ პატივსა გცემ, რომ იმის დაჯერება არ მინდა, რასაც შენ ეგრე გაცხარებით გვაჯერებ. არ დავიჯერებ, რომ შენისთანა საიმედო კაცი მაგისთანა სულმოკლეობამ დაიბრიყვოს. მე მგონია, რომ ეგ ფელეტონი წუთიერის მღელვარების შედეგია და არა დამჯდარის გონიერების დასკვნა. წუთიერის მღელვარებით გატაცება შენისთანა მდუღარე კაცის თვისებაა. მარტო ამით თუ გავამართლებ შენს ფელეტონს, თორემ სხვა გასამართლებელი არა აქვს რა.

ვის ესალმები და რას ესალმები? სად მიხვალ, სად? იქით, ამბობს შენი ფელეტონი, საცა უკეთესი ცხოვრებაა. არა, ერთი მითხარი, მაგას ლუარსაბ თათ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დრო, როდესაც ნიკოლაძე აორწივისებური სიმღერით შლიდა ფრთებს ჩვენი აზროვნების ჰორიზონტზე. ნიკო ნიკოლაძის სახელი დაკავშირებულია იმ თაობასთან, რომელიც ჩვენში ბატონყმობის მოსპობის შემდეგ გამოვიდა სამოღვაწეოდ და რომლის წინაშე სრულიად ახალი ძირითადი ამოცანები წამოიჭრა გადასაწყვეტად. არცერთ მაშინდელ ჩვენ მოღვაწეთაგანს არ უგრძვნია ეპოქის სული ისე, როგორც ნიკოლაძემ იგრძნო. არავის არ შემოუტანია ჩვენში იმდენი პროგრესიული და ევროპული აზრი (ამ სიტყვის კულტურული მნიშვნელობით), რამდენიც შემოიტანა ნ. ნიკოლაძემ.

საუცხოო პუბლიცისტი, ევროპულად განათლებული ინტელიგენტი, უაღრესად მცოდნე ევროპისა და რუსეთის საზოგადოებრივი მოძრაობისა და ახალი აზროვნებისა, თვით აქტიური მონაწილე რუსეთის სამოციანი წლების პირველი სტუდენტური მოძრაობისა, დიდი ტემპერამენტის მქონე, პრაქტიკოსი და მასთანვე იდეალისტი — ნ ი კ ო ნ ი კ ო ლ ა ძ ე რაღაც არაჩვეულებრივად მიმზიდველი პროფილით

ქარიძე კი ვერ იხამდა. ვითომ რა არის მანდ საკვირველი? არაფერი გარდა ერთისა: მანდ საკვირველი ის არის, რომ შენისთანა კაცი ბრძოლას ეკცევა და თბილ ოთახში აპირობს გადაგორ-გადმოგორებასა. მერე იცი რა კბილი ჩაეარდება იმ რაზმს, რომელშიაც შენ ფალავანად გეგულებოდი ყველას, ვინც კი შენი თანაზიარი იყო. ჯერ რიგიანი ბრძოლაც არ გამართულა და შენ კი ეხლავე გინდა თავს უშველო. ეგ ვერაფერი ძალგულოვანებაა. განა წინადვე არ იცოდი, რომ მაგ გზაზე, რომელსაც შენ დაადგე, ათასი ვაივაგლახი, ბეზღი, ცილი, ლანძღვა და თრევა დაგხვდებოდა ჯილდოთ შენის შრომისა და მოღვაწეობისა? ეგ ამბავი არ ახალია, ძველია. ვითომ რად გიკვირს რომ მოსალოდნელი მოვიდა და რად არ გიხარიან, რომ იმოდენა ძალი გქონია, რომ მკვდრებიც კი ააყაყანე. მეტი რა გინდა? ძალიან ჰყარსო, სჩივი შენ. მძორი ყოველთვისა ყარს და მაშინ უფრო, როცა სადგის წასჩხვლეტ. დაიჯერო, რომ ეს ყოველი შენ წინადვე არ გცოდნოდეს? და თუ იცოდი, ესეთი მოულოდნელი რა დაგხვდა მაგ უმადურს ეკლიანს გზაზედ, რომ როგორც მზდალი ისე გაგაფიცხო? ეკცევი რას და ვისა? შენს ქვეყანას, შენს შრომას, შენს მეგობრებს და თანამოზიარეთა. ნუ თუ კაცობა იყოს ეგე? რას შვრები, რას? შენ მაგითი ისეთს სირცხვილს იდებ თავზედ, რომ ველარაფრით ჩამოირეცხავ შემდეგში. პირმოთნეობაში თუ ჩამომართმევ, და მე შენ პატივსაგცემდი როგორც ნიჰილისტს, რიგიანს, გამბედავს და დაუშრომელს მოღვაწესა, როგორც კაცსა, რომელზედაც კაცურ-კაცის თვალი იმედით შეჩერდებოდა და რომელთანაც დამეგობრება და ერთად ულელში შებმა სახარბიელია.

თუმცა ჩვენ „შემთხვევის გამო სხვისა და სხვისა" ერთმანეთი ისე არ გაგვიცნია, რომ სული სულში გაგვეყაროს, მაგრამ იმდენად კი გიცნობ, რომ არ დავიჯერო იგი ცილი, რასაც შენს თავს ეგრე მოურიდებლად და წინდაუხედავად შენვე სწამებ. ვითომ შენ ეგ იყო, რასაც შენი ფელეტონი, შენდა საუბე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სდგას ჩვენი 60-იანი წლების საზოგადოებრივი აზროვნების ჰორიზონტზე.

ამ თავში ჩვენ ვიხილავთ ნიკოლაძის აზროვნების მხოლოდ ერთს მხარეს — მის სოციალისტურ მიდრეკილებას: ამ მხრითაც ნიკოლაძის მნიშვნელობა ჩვენში აუცილებლად ხაზგასმით უნდა აღინიშნოს.

ეს ხარკვევი საესებით დაწერილი გვქონდა, როდესაც შემთხვევა მოგვეცა გავცნობოდით ნ. ნიკოლაძის წერილებს ჰერცენის 1865 წ. „კოლოკოლ"-ში. დრო ნებას არ გვაძლევდა ჩვენი ნარკვევის ტექნიკა დაგვეროვა და ამიტომ იძულებული ვართ ნიკოლაძის ამ საინტერესო წერილს ჩვენი მკითხველი აქ გავაცნოთ. ნ. ნიკოლაძის წერილიდან („Освобождение крестьян в Грузии" [1]) გვაინტერესებს სწორედ ის ადგილი, სადაც ავტორი სოციალური და ეროვნული საკითხის შეუღლებას ცდილობს. საინტერესო არის საკითხი, თუ ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი ახალი თაობის ქართველი

დროდ, ამბობს! არა და ათასჯერ არა! შენ ჩემს თვალში მაინც ისეთი კაცი ხარ, რომლის გულშიც კაცი, თუ მონახავს, მადანს იპოვის — და ამის გამო აი რას გეტყვი:

თუ მართლა გიყვარს ის, რისთვისაც ვგრე თამამად და უშიშრად იღწვოდი, თუ ის ყოველფერი, რითაც შენ მოსაწონი ხარ, ქარის მოტანილი არ არის, ნუ აღასრულებ მას, რასაც გვიქადი. დარჩი მაგ უბედურს ქვეყანაში; მაგრე სამარცხვინოთ ბოლოს ნუ მოულებ მას, რაც ეგრე რიგიანად შენ თითონვე დაიწყე. დარჩი და იშრომე, — და მხოლოდ ის გქონდეს ხსოვნაში, რომ მარტო უბედურთ უნდათ შველა და არა ვის სხვასა; კელავ მოჰკიდე ხელი შენს პატიოსანს საქმეს და შენ, ჩვენს მოძმეს, ცოტაოდენად წაბარბაცებულს ეაპატიებთ წუთიერ სისუსტეს და სულმოკლეობას და თვით შენს შეურაცმყოფელს ფელეტონს დავიწყებას მივცემთ. თუ ამას არ იქმ, მაშინ გეტყვით: ეჰ, ქარის მოტანილი ყოფილხარ და დეე ქარმავე წაგიღოს; გეტყვით ამას, მაგრამ გულში კი ერთი ძარღვი ჩაგვწყდება.

თუ შენ ისევ ის სკანდელი ხარ, როგორიც იყავი, მაშინ მიხედები რა სურვილი და რა გრძნობა მაწერინებს ამ წერილსა. დასასრულ ამასაც გეტყვი, რომ ქართველი გამოსალმების დროსაც ერთს მშვენიერს სიტყვას ხმარობს: „გამარჯვებითო". მაგრამ ამ სალამს გამოთხოვებისას თავის დღეში არ აღირსებს მას, ვინც ბრძოლიდამ გარბის: იმას „მშვიდობითო" ეტყვიან. მსურს, რომ შენ ისე მოიქცე, რომ შეგვეძლოს შენთვის თქმა: „გამარჯვებით" და არა „მშვიდობით".

ეს წერილი ნათლად ამტკიცებს, თუ როგორ აფასებდენ ნ. ნიკოლაძეს 60-70-იან წლებში ქართველი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენელნი. მაგრამ ილია ჭავჭავაძის წერილი გარკვევით ახასიათებს თვით ილია ჭავჭავაძეს: იგი 1872 — 3 წლებშიაც რადიკალურად იყო განწყობილი და გვერდში ედგა ახალი პირობებისათვის მებრძოლ მოწინავე ახალგაზრდობას.

[1]) „Колокол", № 198 და 199, 1865 წ.

ინტელიგენციისა როგორი ფორმებით უკავშირებდა ერთიმეორეს ეროვნულსა და სოციალურ პრობლემებს. დღეს ეს პრობლემა ერთ-ერთ საინტერესო პრობლემად გადაქცეულა ქართული საზოგადოებისათვის. ვნახოთ, რას ფიქრობდა ამის შესახებ ნ. ნიკოლაძე 60 წლის წინათ.

თავისი წერილის მეორე ნაწილში ნიკოლაძე აღნიშნავს, რომ უკანასკნელ ხანებში „ქართველი ხალხი ყოველ დღე სულ უფრო და უფრო იმსჭვალება თავისი ნაციონალური დამოუკიდებლობის იდეებით" და თავის მხრით ამ საკითხის შესახებ წერს:

„ჩვენ გამოესთქვამთ მხოლოდ იმ აზრს, რომ ამ იდეის (ი. ი. ნაციონალური დამოუკიდებლობის) განვითარებას, ჩვენის აზრით, შეუძლია მნიშვნელოვანი და შეიძლება მიტად დიდი უბედურება მოუტანოს ქართველი ხალხის მატერიალურ და გონებრივ განვითარების საქმეს. იმაზედაც რომ არ ვილაპარაკოთ, რომ ნაციონალური მისწრაფებების ზედმეტ გადაჭარბებას შეუძლია მიიყვანოს საქართველო იმ სასაკლაოზე, სადაც სულ ახლა ხანში ტყავი გააძვრეს პოლონეთს და სადაც გამოსწუწნეს მთელი სისხლი ჩერქეზებს, ჩვენ გვგონია, რომ არავითარ ეჭვს არ უნდა იწვევდეს ის, რომ გამარჯვების შემთხვევაშიაც, მაგალითად, სამეგრელოს ისტორიის განმეორების შემთხვევაში და საფრანგეთისა თუ ინგლისის (ჩვენთვის სულ ერთია) ზედამხედველობის მოპოვების დროსაც, საქართველო აუცილებლათ წააგებს დიდი ხნის განმავლობაში ყველა თავის შანსებს სათანადოთ გადასაწყვეტად მისთვის საინტერესო საკითხის წესიერ და გონივრულ საზოგადოებრივ წყობილების შესახებ. იმ შემთხვევაშიაც კი, თუ ევროპის სახელმწიფოები აიყვანდენ საქართველოს თავიანთ საკუთარ და მასთანვე შინაურ პროვინციის ხარისხამდე, მაშინაც კი საქართველო წაგებული (осталась бы с носом) დარჩებოდა და მოიგებდა მხოლოდ პოლიტიკური წყობილების მხრით. მაგრამ ასეთი შემთხვევის წარმოდგენა არსებითად შეუძლებელია. ათასი მაგალითები გვარწმუნებენ იმაში, რომ ევროპის სახელმწიფოები იმ წამშივე შეუდგებიან საქართველოს განათლებას ალჟირის მსგავსად და მის ექსპლოატაციას ინდოჩინეთის მსგავსად. ეს იქნებოდა ნაციონალურ მისწრაფებათა ბედნიერად დამთავრების პირობებში. თუ საით მიიყვევართ უბედურ შემთხვევას და თუ რამდენი შანსებია მის სასარგებლოდ და საწინააღმდეგოდ—ეს ყველას კარგად ესმის... ჩვენი აზრი რუსეთის მართველობის უპირატესობის შესახებ ევროპიულ-

ზე „კოლოკოლის“ ქართველ მკითხველს ეჩვენება არა იმდენად ერეტიკულად, რამდენათაც უაზროდ. რომ გამოვიყვანოთ იგი (მკითხველი) გაუგებრობიდან, ვიტყვით რამდენიმე სიტყვას ჩვენი დასკვნების საფუძვლიანობის დასაცავად.

„ჩვენ რელიგიურათ დარწმუნებულნი ვართ, რომ ერთად-ერთი ფორმა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილებისა, რომელსაც შეუძლია ნამდვილი სარგებლობა მოუტანოს საქართველოს, არის თემობრივი (общинное) განაწილება მიწის და ყველა სხვა საკუთრებისა და თემობრივი ორგანიზაცია როგორც სახალხო შრომისა, ისე სახელმწიფოებრივი მმართველობისა. ეს დაწესებულებანი სწორედ იმიტომ მოუტანენ სარგებლობას საქართველოს, რომ ისინი, ყველაზე უფრო, ვიდრე სხვა რომელიმე, უწყობენ ხელს, შეძლების და გვარად, ხალხის კეთილდღეობის სრულს განვითარებას, რაც თავის მხრით ხელს უწყობს ხალხის გონებრივ და ზნეობრივ განვითარებას. ყველა ამაში ჩვენ ექვი იოტის ოდენათაც არ გვეპარება. მაშასადამე, ღრმად დარწმუნებულნი ასეთი სახელმწიფოებრივი წყობილების უდიდეს სარგებლიანობაში, ჩვენ უნდა ვცდილობდეთ, რაც შეიძლება უახლეს დროში შემოვიღოთ იგი (თემობრივი წყობილება) საქართველოში; ამიტომ უნდა ვიფიქროთ იმაზე, რომელ პირობებში უფრო ადრე მივაღწევთ ჩვენს იდეალს, ევროპის მფარველობის თუ რუსეთის ბატონობის პირობებში?

„ჩვენის აზრით, იდეალი უკეთესი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობილებისა ყველაზე უფრო ადრე შეიძლება მიღწეულ იქნეს რუსეთში, იმიტომ რომ ძირითადი პრინციპი ამ წყობილებისა, თემობრივობა (общинность) შენახულია რუსეთის ხალხში შესაძლებელი სისრულით. ჩვენ სრულიადაც არ ვიღებთ რუსეთის თემს ჩვენს იდეალად, მაგრამ ის ათასჯერ უფრო ახლოს სდგას საზოგადოებრივი წყობილების ჩვენს გაგებასთან, ვიდრე რომელიმე ინდივიდუალიზმის პრინციპი, რომელიც დასავლეთ ევროპაში ბატონობს. მაგრამ აქაც უნდა შევნიშნოთ: ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ დასავლეთი

ევროპა თავის ცხოვრებაში დახავსდა და მას არ შეუძლია უკეთესად მოეწყოს სლავიანური ან რომელიმე სხვა ელემენტის დაუხმარებლად; ამ შემთხვევაში გვაპატიონ „ქოლოკოლ-"ის დიდათ პატივცემულმა გამომცემლებმა, რომ ჩვენ საესებით არ ვიზიარებთ მათ უსასოებას თანამედროვე ევროპის არევ-დარევის შესახებ. წინააღმდეგ მათი აზრისა, ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ევროპა მაინც გაიტანს თავისას და მაინც მიაღწევს იმ იდეალამდე, რომელიც, თეორიულად მაინც, სავსებით ვერ შეუმუშავებიათ მის (ევროპის) მოაზროვნეებს. მაგრამ ევროპის მუშაობა მეტის-მეტად ძნელია და, რაც უმთავრესია, მას მოუხდება ჯერ კიდევ დიდხანს ბრძოლა. მაშინ, როდესაც რუსეთი, ჩვენის აზრით და „ქოლოკოლ-"ის გამომცემელთა აზრითაც, თუ საესებით არ არი განთავისუფლებული მუშაობის სიძნელისაგან, ეს მუშაობა მისთვის მაინც შეუდარებლივ უფრო ადვილია და მიიყვანს სასურველ დონემდე უფრო ადრე, ვიდრე თანამედროვე ევროპიული მოძრაობა. ამ მოსაზრებით, ჩვენ ვფიქრობთ, რომ, დაუკავშირებოდა რა თავის ბედს, თუ გინდა თანამედროვე რუსეთის ბედს, საქართველო ადრე მიაღწევდა თავის მდგომარეობის უკეთეს შესაძლებელ წყობილებამდე, ვიდრე რომელიმე ევროპიული ნაციის კავშირში და მფარველობაში მყოფი...

„სხვა საქმეა, რუსეთის სახალხო წყობილების ძირითადი პრინციპი — თემი — რომ არსებულიყო საქართველოში, მაშინ პოლიტიკური ორგანიზაციის გაუმჯობესება, თუ გინდ ევროპის მსგავსად, არა თუ არ შეაფერხებდა ქართული სახალხო წყობილების განვითარებას, პირიქით, ხელს შეუწყობდა სხვაზე უფრო ადრე. მაგრამ თემობრივი პრინციპების არ არსებობის პირობებში ევროპიულ „თავისუფლება"-ს მხოლოდ შეუძლია გაანვითაროს შეუსაბამოდ ხალხის განსაზღვრულ ნაწილში ბურჟუაზიული მიდრეკილებანი, და მასთანავე შექმნას პროლეტარიატი, რაც შეუძლებელია მოხდეს რუსეთის მფარველობის ქვეშ, თუ კი საქართველოში მოისურვებენ ცოტათი მაინც იფიქრონ თავიანთ თავზე და ისარგებლონ რუსეთის ხალხის მაგალითებით.

„აი რატომ ვფიქრობთ ჩვენ, რომ არ იქნებოდა ცუდი საქართველოს ნაციონალური მისწრაფებანი გადაგვედო გვერდზე და თვით რუსეთის განახლების მოლოდინში გაგვეცნო ქართველი ხალხისთვის ძირითადი პრინციპები როგორც რუსეთის თემობრივი მიწის მფლობელობისა, ისე მთელი საერთო-სოციალური წყობილებისა" [1]).

[1]) Рио Нели: „Освобождение крестьян в Грузии", ჟურნ. „Колокол", № 199, 1865 წ.

ამ ერცლად მოყვანილ ციტატაში, რომელიც თავისთავადაც საინტერესოა ქართველი ინტელიგენციის სოციალ-პოლიტიკური იდეალების შესასწავლად 60-იან წლებში, რამოდენიმე მომენტი უნდა აღინიშნოს:

ა) 60-იანი წლების პირველ ნახევარში ნიკოლაძე გარკვევით იდგა რუსეთის ნაროდნიკული იდეოლოგიის პოზიციაზე; შემდეგ იგი ნაწილობრივ განთავისუფლდა ამ იდეოლოგიისაგან და ევროპის სოციალისტებისაკენ მიმართა თავისი გეზი.

ბ) იგი არ იზიარებდა ჰერცენის და მისი „კოლოკოლის" შეხედულებას ევროპის განვითარებაზე და უფრო ჩერნიშევსკის ხაზისაკენ იხრებოდა;

გ) 60-იან წლებში ჩვენი ინტელიგენციის წრეებში გამოცოცხლებულა იდეა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისა [1];

დ) ნიკოლაძე ცდილობდა ქართული ნაციონალური პრობლემის მოწესრიგების საქმე დაეკავშირებინა ახალი სოციალური წყობილების განხორციელების შესაძლებლობისათვის; იგი ფიქრობდა, რომ რუსეთში, თემობრივი წყობილების გამო, ადრე დამყარდება სასურველი წესწყობილება, და ამით საქართველოც ადრე მიაღწევს სრულს სოციალურს განთავისუფლებასო;

ე) ნიკოლაძე უარყოფდა მხოლოდ პოლიტიკურ თავისუფლებას საქართველოსათვის და არსებით ყურადღებას აქცევდა საქართველოს სოციალური განთავისუფლების საქმეს;

ვ) იგი მოითხოვდა ქართველი ინტელიგენციისაგან ნაციონალური ბრძოლის გვერდზე გადადებას და სოციალური ბრძოლის შინაარსის პირველ რიგში წამოყენებას.

ეს მომენტი არ არის მარტო ნიკოლაძის სოფლმხედველობის დამახასიათებელი. ასეთი ძირითადი დებულებებით ხელმძღვანელობდენ 70-იან წლებში რუსეთში მომუშავე ქართველი ნაროდნიკებიც. მაგრამ ნიკოლაძემ მათი სამოღვაწეო პროგრამა ერთი ათეული წლით ადრე მოხაზა.

მაგრამ ეროვნული პრობლემისა და რუსული თემის დაკავშირების საკითხი მეტად საინტერესო არის. სხვა ფორმით აქ სდგას იგივე საკითხი, რაც ასე მძლავრად აღელვებს ქართველ ინტელიგენციას და ქართველ ხალხს. ეს დიდი პრობლემა ეროვნული თავისუფ-

---

[1] ამის შესახებ იხ. ჩვენი: „ქართველი ინტელიგენციის პროფილი".

ლების დაულლებისა სოციალური საკითხის მოწესრიგებასთან, როგორც სჩანს, ჩვენმა ახალი თაობის ინტელიგენციამ ჯერ კიდევ თავისი მოღვაწეობის გარიჟრაჟზე წამოაყენა. ისტორიულად ამ საკითხმა მრავალგვარი ცვლილება განიცადა და დღეს, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, სხვაგვარ ისტორიულ პირობებში, თავისებური განსახიერება ჰპოვა. სოციოლოგიურად ნიკოლაძის დასაყრდენი ბაზა ყალბ ნიადაგზე იყო აგებული: ნიკოლაძე მაშინ უაღრესად დარწმუნებული იყო, რომ თემური წყობილება არის ერთადერთი საფუძველი სოციალისტური წყობილების დასამკვიდრებლად. ხოლო კაპიტალიზმი წარმოადგენს სრულიად მიუღებელსა და არასასურველ წყობილებას რუსეთის სინამდვილისათვის. აქედან გამომდინარეობდა ნიკოლაძის პროგრამული ხაზიც: რუსეთმა გვერდი უნდა აუხვიოს კაპიტალისტურ წყობილებას და გლეხის და თემის საშუალებით განახორციელოს სასურველი წესწყობილებაო.

მაგრამ ასეთი იდეოლოგია იყო უტოპიური და ძირშივე შემცდარი: კაპიტალიზმი იმ პერიოდშივე არღვევდა რუსეთის პატრიარქალურ წყობილებას და მისი განვითარება რუსეთსა და საქართველოში უაღრესად პროგრესიულ მოვლენას წარმოადგენდა, ხოლო თემური წყობილება თავისი ძირითადი საფუძვლებით სრულიად აღარ შეესაბამებოდა თანამედროვე კულტურის შინაარსს და იგი სასიკვდილოდ იყო განწირული. ამიტომ ნიკოლაძის პრინციპიალურად სწორი ხაზი არსებითად, მაშინდელ პირობებში, ყალბ საფუძველს ეყრდნობოდა და ამიტომ მისი პროგრამა დამარცხდა. დღევანდელ პირობებში იგივე საკითხი სულ სხვაგვარ საფუძვლებს ეყრდნობა და სხვაგვარ ისტორიულ ეპოქაში ისმის. თანამედროვე ობიექტურ პირობებში კაპიტალიზმი აღარ არის პროგრესიული ფაქტორი: იგი უკვე ლპობის პერიოდში არის შესული, ხოლო რუსეთში ძირმომპალი პატრიარქალური თემი კი არ წარმოადგენს სოციალიზმის დასაყრდნობ ძალას, არამედ სახელმწიფოებრივად განმტკიცებული რევოლუციონური პროლეტარიატი, რომელსაც ხელთ უპყრია მთელი რუსეთის ცხოვრების ეკონომიური სადავეები. ამიტომ არის სრული გარანტია იმისა, რომ ასეთი პროგრამა სწორია და იგი მტკიცე სოციოლოგიურ საფუძვლებს ეყრდნობა.

ნიკოლაძის დამსახურება ქართული საზოგადოებრივი აზროვნების წინაშე იმაშია, რომ მან ამ სამოცდაათი წლის წინათ პირველმა

წამოაყენა საკითხი ეროვნულისა და სოციალური მომენტების შეუ-ლლების აუცილებლობის შესახებ, მაგრამ მისი განხორციელების საქ-მე ყალბს საფუძვლებზე ააშენა და ამიტომ ეს პროექტი დამარცხდა მაშინდელ პირობებში.

მაგრამ დავუბრუნდეთ შემდეგ წლებში ნიკოლაძის სოციალ-პო-ლიტიკური აზროვნების და სოციალისტური პრინციპების შესწავლას.

ზევით ნაწილობრივ უკვე გავიცანით ნიკოლაძის საზოგადოებ-რივი ხასიათის მოსაზრებანი ჩვენი ცხოვრების ვითარებისა და 1861 წ. გამოსული თაობის შესახებ.

ნიკოლაძემ პირველმა აღნიშნა ამ თაობის გამოსელის დიდი ისტორიული მნიშვნელობა, მაგრამ მან პირველმავე აღნიშნა ამ თაო-ბის სამოღვაწეო პროგრამის უარყოფითი მხარეებიც. თქვენ, — ეუბ-ნებოდა ნიკოლაძე 1861 წ. გამოსულ ინტელიგენციას, — წრფელი გუ-ლით ებრძოდით ბატონყმობას, წრფელი გულით გსურდათ ყმების განთავისუფლება ჩვენში. მაგრამ მომავალი ცხოვრების შესახებ თქვენ არ გქონდათ სწორი თეორიული შეხედულება შემუშავებული და არც მომზადებულნი იყავით პრაქტიკულად ახალი ცხოვრების საშენებლადო. მაგრამ რაში უნდა გამოხატულიყო, თვით ნიკოლაძის აზრით, ჩვენი ცხოვრების ახალი პროგრამის შინაარსი? უკეთ: როგორი გზით უნდა ემოღვაწნა ინტელიგენციას, როგორი საშუალებანი და პროგრამა უნდა წამოეყენებია მას ჩვენი ცხოვრების ასაყვავებლად და დასაწი-ნაურებლად? რას ითხოვდა შექმნილი ობიექტური მდგომარეობა ინტელიგენციისაგან, რაში გამოიხატებოდა ჩვენი ცხოვრების ახა-ლი ამოცანები?

აქ სიტყვა უნდა დაეუთმოთ ისევ ნიკოლაძეს. მისი ერთელი წერილი „ახალი ახალგაზრდობა" აუცილებლად პროგრამული წერილია იმ ინტელიგენციისა, რომელსაც სურდა საქართველოს ეკონომიური და საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებისათვის ახალი ფორმები და ახალი შინაარსი მიეცა. ამ წერილში იგი წერდა:

„ახალმა მეცნიერებამ ჩვენში მარტო ცალი ფეხი შემოადგა. ის შემოვიდა ჩვენში მარტო თავისი ტეხ-ნიკური მხრით, შემოვიდა რკინის გზით, ტელეგრაფით, ცეცხლის გემით და სხვ. იმან გაიმარჯვა მით, რომ ყველას-თვის უეჭვო და ცხადი შეიქნა, რომ ვერაფერი თოხარიკი, ვერაფერი ხარი, კამბეჩი ვერ იმოქმედებდა იმდენს, როგორც ერთი უბრალო ორთქლ-მავალა. ეს აზრი ჩაიჭრა ხალხის ტვინში. უწინდელ დროში

ეროვნული

რომ ეს საქმე მომხდარიყო, ორთქლმავალს სასწაულებას მიაწერდენ და იტყოდენ, აი ბატონო, ილია წინასწარმეტყველი რომ ზეცას ცეცხლის ეტლით ავიდაო, ეს ყოფილა თურმეო. მაგრამ დღეს ყველა ხედავს, რომ ორთქლმავალი კაცის ხელით გაკეთებულია, კაცის გონიერი გამოგონილია, და ყველამ იცის, რომ მამა აბრამს ის არ ჰქონია და მამა იაკობი აქლემებით დაიარებოდა. ეს დიდი საქმეა, ეს გარემოება ბევრ ცრუ მორწმუნებას სპობს და მოსპობს ხალხის ტვინში და ღრმად შესცვლის მის აზრს და მოქმედებას. მაგრამ არის ისეთი მხარე თანამედროვე მეცნიერებისა, რომელსაც ჯერ ჩვენში ფეხი არ შემოუდგამს. თანამედროვე მეცნიერების მთელი ნახევარი[1]), ის ნახევარი, რომელიც საზოგადოების ცხოვრებას შეისწავლის და მისი გაუმჯობესობის გზებს იკვლევს, ჯერ არ მოჩვენებია ჩვენ საზოგადოებას. ის მხარე მეტის-მეტად შესანიშნავია და გავლენიანი. ეს სწავლა პრაქტიკულად გამოსადეგია ჩვენი საზოგადოებისათვის, მით, მაგალითად, რომ გვიჩვენებს, რამდენი უსარგებლო ვაგლახის აცილება, რამდენი მძიმე გაჭირვების გვერდით ახვევა, რამდენი ხეირიანი ძველის გამოყენება შეიძლება, გონივრულათ რომ იყოს გაწყობილი საზოგადოების ცხოვრება. ეს სწავლა ამტკიცებს, რომ საზოგადოებრივი წესიც კაცის ხელით შექმნილა, რომ ის ათასჯერ შეცვლილა და ნელ-ნელა გაუმჯობესებულა, რომ კაცობრიობას ბედათ როდი დაჰყოლია ამ ქვეყანაზე ტანჯვა და უსარგებლო გაჭირვება, რომ სიღარიბე კაცის უმეცნეობის შედეგია, რომ კაცობრიობა ერთ დროს ისეთნაირად გაიწყობს თავის ცხოვრებას, რომ არავინ სხვას ტვირთათ არ აწვეს, სხვისი შრომით არ რჩებოდეს, სხვას სიცოცხლეს არ უჭირვებდეს და ძალისა დაგვარათ ტვირთს უადვილებდეს. ერთმანეთში განხეთქილების და წინააღმდეგობის მაგიერ ეს სწავლა აარსებს საზოგადოებრივ გარმონიას, გონიერ ერთმანეთობას, შეერთებულ შრომას და ძმურ ცხოვრებას. ბევრი ამ სწავლის აზრებთაგან ცხოვრებაში შევიდა, განხორციელდა, გამოდგა და გაძლიერდა. სხვების რიგიც მალე მოვა

[1]) ავტორს მხედველობაში აქვს სოციალიზმი.

და ნამეტნათ შორს არც ის დროა, როცა მთელი ეს მეცნიერება საზოგადოებრივი ცხოვრების ხელმძღვანელ სწავლათ შეიქნება.

„აი, ამ სწავლას (ე. ი. სოციალიზმს. ს. ხ.) უნდა მოთხოვოს ჩვენმა ახალმა თაობამ ის საშუალება და იარაღი, რომლითაც საბოლოოდ უნდა დაიმხოს ჩვენი ცხოვრების ძველებური კილო და ჩვენი ძველი თაობის უკანასკნელი ნავსაყუდი. როგორც რკინის გზა ანტონ კათალიკოზის ფილოსოფიას ბოლოს უღებს და უმოწყალოთ სრესს, ისე საზოგადოებრივი ბედნიერების ნაყოფის შემოტანით ბოლო უნდა მოუღოს ჩვენმა თაობამ მამაპაპურ უხეირო ჩვეულებებს და განწყობილებას. ჩვენმა ახალმა თაობამ ეს მეცნიერება რომ ისწავლოს და მისი დასკვნები და მაგალითები გაახორციელოს და ეხლანდელი ჩვენი ცხოვრების ყვავილები გვერდში ამოუყენოს, ბრმებიც კი დაინახავენ, რომ ძველმა ცხოვრებამ ბარგი უნდა აიკრას და სამარისკენ გაემგზავროს, როგორც ბარგი ააკრეევინეს ნეტარ ხსენებულ ანტონ კათალიკოზს. მაშინ, უეჭველია, ახალი მეცნიერება იმ სარგებლობას მოიტანს, რომელსაც უნდა ელოდეს მისგან თანამედროვე კაცობრიობა, და ჩვენთვის ეს მით უფრო აუცილებელია, რომ ჩვენ ისტორიულ ცხოვრებას, ჩვენ მდგომარეობას და ეხლანდელ გარემოებას ჩვენი ხალხისათვის არც იარაღი და არც იმედი დაუტოვებია, ერთის მეტი — მეცნიერების ნაყოფის გონიერათ მოხმარებით ფეხზე წამოდგომა და უმჯობესი მომავლის დამზადება და მოპოვება. რაც არ დაგვიტოვა ჩვენ წარსულმა ცხოვრებამ, რაც მოგვტაცა ძველი თაობის ბრმა ძალამ, ის უნდა ვეძიოთ ჩვენ მეცნიერებაში და მისი ძალით და დახმარებით უნდა გავამზადოთ მომავალი ბედი ჩვენი ქვეყნისა“ [1]). (ხაზი ჩვენია. ს. ხ.)

ამ ამონაწერში ნათლად ჩანს ნიკოლაძის საზოგადოებრივი აზროვნების ფიზიონომია; ნათლად ჩანს მისი საბოლოოწეო პროგრამის შინაარსი და მიმართულება [2]). ავტორი გარკვეით აღნიშნავს, რომ

[1]) ნ. სკანდელი (ნ. ნიკოლაძე): „ახალი ახალგაზრდობა“, ჟურნ. „კრებული“, № 1, გვ. 303—07, 1873 წ.

[2]) ჯერ კიდევ 60-იანი წლების პირველ ნახევარში, მისიეე განცხადებით, იგი დათბობილ იქნა თავისი სოციალისტური ტენდენციური წერილებისათვის ერთ-ერთი ფრანგული გაზეთის რედაქციიდან, რომელშიაც ახალგაზრდა ნიკოლაძე მონაწილეობას იღებდა. („Былое“, № 10, გვ. 163, 1907 წ.).

ბატონყმობის მოსპობის შემდეგ საქართველოში აშკარად შემოიჭრა ახალი მეცნიერება და ახალი ტეხნიკა, მაგრამ ეს მეცნიერება და ტეხნიკა ცალმხრივია იმდენად, რამდენადაც ის არ ემსახურება „საზოგადოებრივ ჰარმონიას, გონიერ ერთმანეთობას, შეერთებულ შრომას და ძმურ ცხოვრებას“. ჩვენმა ახალმა თაობამ თავის სამოღვაწეო პროგრამაში ის უნდა განიხილოს, რასაც იძლევა თანამედროვე სოციალისტური მეცნიერება, რომლის გამოყენებასაც შეუძლია დიდი პრაქტიკული ნაყოფი მოუტანოს ჩვენს ხალხს. ჩვენ უნდა გამოვიყენოთ ამ მეცნიერების (სოციალიზმის) ნაყოფი და გონივრულად მოვაწყოთ საზოგადოებრივი ცხოვრებაო, – ასე მსჯელობდა ნიკოლაძე.

ვინც დაკვირვებით წაიკითხავს ნიკოლაძის წერილს, იგი ნათლად დაინახავს უტოპიური სოციალიზმის გავლენას მის აზროვნებაზე. ნიკოლაძე საესებით დარწმუნებულია იმაში, რომ სწორი მეცნიერების შეთვისებით ჩვენ შევძლებთ პრაქტიკულად „უსარგებლო ვაივაგლახის აცილებას, მძიმე გაჭირვების გვერდის ახვევას“, ე. ი. კაპიტალისტური ცხოვრების განვითარების ნაცვლად საზოგადოებრივი ჰარმონიის განმტკიცებას ჩვენში. გონება და მეცნიერება ნიკოლაძის თვალში ყოვლის შემძლებელ ძალად გამხდარა. თუ ჩვენი ახალგაზრდობა შეიარაღდება ამ მეცნიერებით (სოციალიზმით) და გონივრულად გამოიყენებს მის დასკვნას, ჩვენი ცხოვრებაც სასურველ კალაპოტში ჩადგება და დ ა ე მ კ ვ ი დ რ ე ბ ა ახალი ფორმები ცხოვრებისაო. აქ ნათლად ჩანს უტოპიური მეცნიერების გავლენა ნიკოლაძეზე.

აქ, რასაკვირველია, არ შეეუდგებით ნიკოლაძესთან კამათს იმის შესახებ, შესაძლებელია თუ არა გონების მიხედვით საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნა, თუ ამისათვის შესაფერისად მომზადებული არ არის ეკონომიური ცხოვრება და სოციალური პირობები. ჩვენი ისტორიული ცხოვრების განვითარებამ დაამტკიცა, რომ როგორი პროგრამებიც გინდა ეთხზათ ჩვენს მოწინავე ინტელიგენტებს, უტოპიური სოციალიზმის ზეგავლენით, საქართველოს მომავალი ცხოვრების შესახებ, საქართველოს ცხოვრება მაინც თავისი ბუნებრივი გზით უნდა განვითარებულიყო, ე. ი. ფეოდალური წყობილებიდან საქართველოს გზა აუცილებლად კაპიტალისტური ურთიერთობისაკენ უნდა წასულიყო. და ეს მართლაც ასე მოხდა. ისტორიული ცხოვრების ფარგლებს ვერავითარი „გონივრული პროგრამით“ ვერ გადაახტებით. ეკონომიურ ცხოვრებას აქვს თავისი კანონი, ლოლიკა, რომელიც, ბოლოს და ბოლოს, იმორჩილებს ყოველ-

გვარ „გონივრულ პროგრამას" და თავისი ინტერესების მიხედვით ამუშავებს მას. რამდენიმე ხნის განმავლობაში ნიკო ნიკოლაძე უფა-დაგებდა ჩვენს ახალთაობას სოციალიზმის გზით სიარულს, მაგრამ თვით ცხოვრების ინტერესებმა ჩაითრიეს ნიკოლაძე თავის მორევში და მისი სამოღვაწეო გეგმები კაპიტალისტური ეკონომიკის ინტერე-სებს დაუმორჩილეს. მაგრამ ისტორიული ფაქტია, რომ ნიკოლაძეს ჩვენში ერთ დროს დიდი პროექტები ასულდგმულებდა, დიდი მიზ-ნები აცოცხლებდა.

ჩვენის აზრით, ნიკოლაძე იმ პერიოდში (70-იან წლები) რო-გორც ევროპის უტოპიური სოციალიზმის, ისე ნაროდნიკული აზრო-ვნების დიდ გავლენას განიცდიდა. ერთ წერილში იგი სწერს რუსე-თის მიმართულებაზე:

„მართალია, ეს დახმარება და ყველა ეს კეთილი დაწყებულება ჯერჯერობით მაინც ნამდვილს და შესანიშნავს სიკეთეს და ტვირ-თის შემსუბუქებას ვერ მისცემს რუსეთელ ხალხს. მისი მდგომარე-ობა ამისთანა კერძოობითი კეთილ მოქმედებით და დახმარებით ვერ გაკეთდება და მისი ბედი ისე ადვილად და წვრილმანით ვერ შეიც-ვლება... მაგრამ ამ წვრილმან, კერძოობით დახმარეობას, რომელიც ცოტაოდნათ ამსუბუქებს ხალხის გასაჭირს და ტვირთს და ერთ ნამცეცა სინათლეს და იმედს ჰბადავს მის გულში და გონებაში, ის ნამდვილი და ძვირფასი სარგებლობა მოაქვს რომ ხალხი ცნო-ბილობს კეთილად განძრახულს პირებს, გრძნობს, რომ იმათ მისი დახმარება სურთ, რომ იმათს მათზე დანდობა, მათი ხმარება და გამოყენება შეუძლია. იმათ იმ პატიოსანს მიმართულებას [1]) რომელსაც ეს პირები ემსახურებიან, და რომელშიაც მდგომა-რეობს რუსეთის მომავლის იმედი, შეეძინება, ხალხის სიჰპა-ტია თუ არა, პატივისცემა მაინც, და მოვა ის დროც, როცა ესვე ხალხში მიმართულებას უფრო მტკიცედ დაენდობა და მას მოითხოვს უკეთესი ბედის და განწყობილების დაარსებას... აი მარტო მაშინ, როცა ეხლანდელი კერძოობითი კეთილ მოქმედების მაგიერ, საზოგა-დო დანიშნულებები მიიღებიან ხალხის მდგომარეობის გაუმჯობესე-ბისათვის, ეს მიმართულება (სოციალისტური. ს. ხ.) ნამდვილ თავის ღირსებას და ძალას გამოიჩენს...

„ეს მით უფრო შესაძლებელი და თითქმის აუცილებელი საქმეა,

[1]) ე. ი. სოციალისტურ, ნაროდნიკულ მიმართულებას.

Ц.К. Компартии Г... Библиотека

რომ ამ მიმართულებას (სოციალიზმს. ს. ხ.) და რუსეთელს ხალხს შუა ბევრი შემაერთებელი კავშირია ისეთი, როგორიც სხვა ქვეყნებში უფრო იშვიათად და ძნელად მოიპოვება. ამ მიმართულების უმთავრესი პრინციპი — შეერთებული, ამხანაგური შრომის და ცხოვრების გამართვა — ათასი წლობით არსებობს რუსეთელ ხალხში, რომელსაც მიწა-წყლის საზოგადოებრივი მფლობელობა (общинное землевладение) და ამხანაგობრივი (артель) საქმის წაყვანა ძველებშიაც გამდგარი აქვს. მართალია, რომ ეს ორივე განწყობილება, ეხლანდელ მდგომარეობაში, ნამეტნათ შემოძველებულია და ბევრში არ ეთანხმება თანამედროვე მეცნიერებისაგან გამოკვლეულ მოთხოვნილებებს, მაგრამ მსგავსის, ნაცნობის გაუმჯობესება და გადაკეთება უფრო ადვილია, ვინემ ხალხში სრულიად უცნობი, გაუგებარი და ძნელად ასახსნელი პრინციპების შემოღება და გავრცელება, და რაც უფრო მეტი დახმარება და გონიერი ხელმძღვანელობა მიეცემა რუსეთში იმ ამხანაგობებს, რომელნიც რუსეთის ხალხს თავისთავად დაუარსებია, რაც უფრო მეტი პრაქტიკული მხრით დაუახლოვდებიან ამ ხალხს ახალ მიმართულების პირები[1]), მით უფრო და უფრო გააადვილდება რუსეთის გონებითი გახსნის საქმე, მით უფრო დაახლოვდება ის დრო, როცა ამ გახსნას განიერი გზა მიეცემა და მის წინ ეხლანდელი დაბრკოლება და წინააღმდეგობა მოისპობა"... [2]) (ხაზი ჩვენია. ს. ხ.).

ნ. ნიკოლაძე თავდაპირველად 60-იანი წლების რუსეთის ბუმბერაზის ნ. ჩერნიშევსკის გავლენას განიცდიდა. ის მაღალი და რევოლუციონური აზრები, რომელსაც ჩერნიშევსკი ქადაგებდა „სოვრემენიკის" ფურცლებიდან, სტუდენტობაშივე ხიბლავდა და იტაცებდა ნიკოლაძეს[3]). მაგრამ თვით ჩერნიშევსკის აზროვნება გაჟღენთილი

---

[1]) სოციალისტები, ნაროდნიკები.

[2]) ნ. სკანდელი (ნიკოლაძე): „რუსეთის ცხოვრება". ჟურ. „კრებული", № 5, გვ. 381 — 84, 1873 წ.

[3]) ბოროხდინის მოგონებების შენიშვნებში ნიკოლაძე წერდა 1907 წ.: „ჩემი მიმართულება ჩამოყალიბდა ჩემი ევროპაში წასვლამდე. ის გამოირკვა 1862 — 63 წლებში მომხდარი მოვლენებით და უმთავრესად პოლონეთის აჯანყებით, და მთავარ თავის დებულებებში ჭერცენის მოძღვრების სრულიად საწინააღმდეგო იყო. ამის შესახებ „კოლხიდაში" იყო ფორმალური განცხადებანი სწორედ ჩემს სტატიებში". (იხ. „Былое", № 10, 1907 წ.) ზევით უკვე გავიცანით ეს.

იყო საღი მატერიალისტური და რეალისტური შეხედულებით. ჩერნიშევსკი არასოდეს არ მისულა რუსეთის „ობშჩინისა" და რუსეთის გლეხის ისეთ იდეალიზაციამდე, როგორც ეს ემჩნეოდათ ჰერცენსა და ბაკუნინს[1]).

ჩერნიშევსკი სავსებით დარწმუნებული იყო, რომ რუსეთის თემიდან მეურნეობის უმაღლესი ფორმა განვითარდებოდა, მაგრამ ეს მოხდებოდა მაშინ, როცა ასეთი უმაღლესი ფორმა წინასწარ განხორციელდებოდა ევროპაში, ე. ი. ევროპაში განხორციელებული სოციალისტური წყობილება დახმარებას გაუწევდა რუსეთის თემს უმაღლეს სამეურნეო ფორმაზე გადასასვლელად[2]). ნიკოლაძე ჩერნიშევსკის სკოლის შოწაფე იყო, და მას არ შეეძლო არ დაენახა რუსეთის თემის ჩამორჩენილობა და შეუსაბამობა თანამედროვე მეცნიერების მიხწევებთან. ნიკოლაძეს სწამდა ევროპის დაწინაურება, მისი ტეხნიკა, ოკინის გზები, კულტურა და სხვ. იგი არ გაიძახოდა ჰერცენივით, ევროპა დალპაო. ნიკოლაძე არა მარტო რუსეთის თემში, არამედ ევროპის ტეხნიკასა და კულტურაშიც ხედავდა პროგრესის ფაქტორებს, მაგრამ ამ ფაქტორების შესაფერისად მოხმარება და საზოგადო გონიერულს საფუძვლებზე მოწყობა შეუძლია მხოლოდ და მხოლოდ თანამედროვე მეცნიერებას. ამიტომ იყო, რომ იგი მოიხოვდა რუსეთის თემისა და არტელის გადაკეთებას „თანამედროვე მეცნიერების" მიხედვით.

მაგრამ რუსეთის ნაროდნიკული იდეოლოგიის გავლენის ქვეშ დიდხანს არ რჩება ნიკოლაძე. ევროპის სოციალისტურმა აზროვნებამ მასზე დიდი გავლენა მოახდინა და დაახლოებით 1868-9 წლებიდან იგი ცდილობს ნაროდნიკული აზროვნება შეუთანხმოს ევროპის სოციალისტურ სისტემებს. ხემოთ ყოფილი წერილი (1873 წ.) ამას ნათლად ამტკიცებს; ამ წერილს უკვე აჩნევია ევროპის სოციალისტური აზროვნების დიდი გავლენა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ნიკოლაძე 70-იან წლებში დიდ ყურადღებას აქცევდა პოლიტიკურ ბრძოლას და პოლიტიკური თავისუფლების მოპოვებას. ამითაც იგი საკმაოდ განსხვავდებოდა 70-იანი წლების რეეოლუციონერი ნაროდნიკებისაგან. 1873 წ. ნიკოლაძეს პარიზში გამოუცია არალეგალურად ქართული სოციალური გაზეთი „დროშა". (ის. ქვემოთ დამატება[3]). ამ გაზეთში

[1]) К. Пажитнов: „Развитие социалистических идей в России", ტ. I.

[2]) იქვე. [3]) ამ ნაშრომის მეორე წიგნში.

მოთავსებული წერილებიდანაც ნათლად სჩანს ნიკოლაძის პროგრამული ხაზი 70-იან წლებში. იგი არ იწყნარებს ნაროდნიკების პოლიტიკას და ლავროვის ჟურნალ „Вперед"-ის შესახებ სწერს: „ეს ჟურნალი რუსულმა წრემ უნდა გამოსცეს, რომელსაც სოციალური მიმართულება აქვს და პოლიტიკური კითხვების უწინ სოციალური საგნების გამოკვლევა უნდა. ჩვენ კარგად არ გვესმის იმ კაცების აზრი, რომელნიც ამ ორ კითხვებს აცალკალკავებენ, თითქო ერთ უმეოროთ შეიძლებოდეს" (იხ. „დროშა", № 1). აქ ნათლად სჩანს, თუ საით იხრება ნიკოლაძის სამოღვაწეო პროგრამა: მას აღარ აკმაყოფილებს ნაროდნიკების აპოლიტიციზმი და პოლიტიკურ მომენტს დიდ ყურადღებას აქცევს.

ნიკოლაძე 70-იან წლებში საუკეთესო მცოდნე იყო საერთაშორისო მდგომარეობისა, ევროპის მუშათა და სოციალისტური მოძრაობისა: მის წერილებს ნათლად ამჩნევია ის დიდი ცოდნა ევროპის ცხოვრებისა, რომლითაც აღჭურვილი იყო ამ წერილების ავტორი. ნიკოლაძე კარგად ამჩნევდა იმ კლასთა ბრძოლას, რომელიც კაპიტალისტურ ევროპაში სწარმოებდა; ის კარგად ხედავდა, რა დიდი გავლენა მოიპოვეს სოციალისტებმა ევროპის საზოგადოებრივ ცხოვრებაში და როგორ მწვავედ იდგა საზოგადოების წინაშე სოციალური საკითხები.

ზევით ჩვენ უკვე დავინახეთ ნიკოლაძის საერთო სიმპატიები პარიზის კომუნისადმი და ის მწვავე სულისკვეთება, რომელიც განიცადა ჩვენმა პუბლიცისტმა პარიზში ყოფნის დროს 1872 წელს. მეტი არ იქნება გავიცნოთ მისი შეხედულებანი და მოსაზრებანი სოციალური მოძრაობის შესახებ პარიზის კომუნის დამარცხების შემდეგ. აქ ნათლად დავინახავთ ნიკოლაძის „რევოლუციონურ რადიკალიზმს". 1872-73 წლებში საფრანგეთში ყოფნის დროს ჩვენი ავტორი ეწვია ცნობილ სოციალისტს ლუი ბლანს, რომელთანაც მეტად საინტერესო კამათი ჰქონდა სოციალური საკითხების შესახებ.

ნ. ნიკოლაძე პირადად იცნობდა როგორც რუსეთის, ისე ევროპის ზოგიერთ ცნობილ სოციალისტებს. ნ. ჩერნიშევსკის იგი სტუდენტობის დროს გაეცნო ლენინგრადში [1]) და მისდამი პატივისცემა და სიმპატიები ბოლომდე შერჩა ჩვენს პუბლიცისტს. ლუი ბლან-

[1]) იხ. ამის შესახებ ნ. ნიკოლაძის მოგონებანი 60-იან წლებზე. ჟურ. „ახალი კავკასიონი".

თან მას მიწერ-მოწერაც ჰქონდა. ამჟამად ჩვენ ხელთ არის ერთი წერილი ლუი ბლანისა ნიკოლაძისადმი. ეს წერილი ჯერ არსად არ ყოფილა გამოქვეყნებული. აი ისიც:

ბ. ნ. ნიკოლაძეს

პარიზი, 96, რივოლის ქუჩა
20 მაისი, 1875

ბატონო,

უდიდესი ყურადღებით წავიკითხე წიგნი, რომელიც თქვენ კეთილ ინებეთ და მომიტანეთ ამ დილას [1]). არ ვიცი, იქნება საფრანგეთის პრესამ ერთობ მკაცრად ჩასთვალოს თქვენი მსჯელობა მის შესახებ; ერთი კი უეჭვოა, რომ თქვენი წიგნი ისეთი წიგნების რიცხვს ეკუთვნის, რომელიც უნდა წაიკითხოს და კარგს იზამს, რომ მოიფიქროს ყოველმა ფრანგმა ჟურნალისტმა.

მიიღეთ, ბატონო, ჩემი მადლობა და ნება მომეცით დავურთო მას ჩემი მოლოცვაც.

Louis Blanc. [2])

ახლა მოვისმინოთ ლუი ბლანისა და ნ. ნიკოლაძის კამათიც.

„წარმოიდგინეთ, რომ ჩემს თვალში ეხლანდელი (1873) თქვენი (საფრანგეთის) ისტორია სწორედ ისე იხატება, როგორც 1848 წლის ამბები. — ეუბნება ნიკოლაძე ლუი ბლანს. — მას აქეთ, რაც ბორდოში ნაციონალური კრება შეგროვდა, თითოეული თქვენი ისტორიის ნაბიჯი მე 1848-1851 ამბებს მახსენებს. ნაციონალურმა კრებამ, ეხლაც, როგორც მაშინ, პარიზელი ხალხი საგანგებოთ გააქეზა, საბრძოლველად გამოითხოვა და დაამარცხა, დააუძლურა. უმჯობესი თქვენი პარტიის წევრები, ისინი, რომელნიც მის ნამდვილ ძალას, მკლავს შეადგენდენ, დახვრიტეს ან დააატუსაღეს. მოძრავი, აქტიური მუშა ხალხის უმჯობესი ნაწილი ამოქ�eტილია და დაკარგეს. იარაღი მობოჭეს და შეინახეს. ამით პარიზელი ხალხი, რომელიც მონარქიულებს რესპუბლიკის მომხრეთა და ბურჯათ მიაჩნიათ, საბრძოლველად გამოსელას ველარ გაბედავს, ის დღეს პოლიტიკურათ აღარ არსებობს. გამარჯვების შემდეგ ატყდა ბრძოლა კრებასა და აღმასრულებელ უფლების (ტიერს) შუა, როგორც უწინ კრების და ნაპოლეონს შუა; როგორც უწინ,

[1]) წერილში აღნიშნული წიგნის სათაურია: N. Nikoladzé. „La presse de la décadance", Paris. 1875.

[2]) წერილის დედანი ნ. ნიკოლაძის არქივში ინახება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღესაც უპირატესობა კლერიკალურ მიმართულებას ეძლევა, ეკლესიას უფროსობა მონარხიელებს ჩააბარეს, პრეფექტებათ ყოველგან მონარხიელები დანიშნეს, ყველა გავლენიანი ადგილები მონარხიელებს დაურიგეს. ფოსტა, ტელეგრაფი, შინაგანი საქმეების სამინისტრო, ერთი სიტყვით, ყველაფერი, რაც ქვეყანაში ძალას და იარაღს შეადგენს—მონარხიელებს აქვთ თავიანთ ხელში. ხალხი დამშეული და დასჯილია, დეპუტატები და სამსახურის ან პატივის მაძიებელი პირები დაბნეულათ — ლაქიებსავით ელიან ბატონის მობრძანებას, რომ პენსიები და შემოსავლიანი ადგილები დაირიგონ. სწავლას, ახალგაზრდობის აღზრდას, საზოგადო ყრილობებს, წერა-ბეჭდვას ლაგამი აქვს ადებული. თქვენ, დეპუტატებს, სიტყვის ამოღების უფლებას არ გაძლევენ. როგორ გგონიათ, რა შედეგი უნდა ქონდეს ამაებს? თუ კი ერთი და იმავე გარემოებიდან ყოველთვის ერთი და იგივე შედეგი გამოდის, ცხადი არ არის, განა, რომ თქვენი მდგომარეობა მეტისმეტად საშიში და საძნელოა?" [1]).

ასე აგვიწერს ავტორი იმ საერთო პოლიტიკურ მდგომარეობას, რომელიც შეიქმნა, მისი აზრით, კომუნის დამარცხების შემდეგ საფრანგეთში. სად არის გამოსავალი ამ მდგომარეობიდან, რა გზას უნდა დაადგეს სოციალისტური პარტია? ლუი ბლანი იმ მოსაზრებას იცავს, რომ დღევანდელ პირობებში საჭიროა სოციალისტური პარტიის შეთანხმება რესპუბლიკანურ (გამბეტას) პარტიასთან. ნიკოლაძეს არ მოსწონს ასეთი პოლიტიკური ხაზი და დაასკვნის:

„როგორც 1848 წელში, ეხლაც რესპუბლიკანელმა (გამბეტას) პარტიამ, გაიმარჯვა თუ არა, თავისი ძალა დაიეიწყა და სხვისას ტრფობა დაუწყო. გამბეტამ, იმის მაგიერ, რომ ხალხის ენერგია აღეგინა და მკრთალი მოწინააღმდეგენი (მონარქისტები) კარგა ლაზათიანათ აელაგმა, იმათი გულის დაშოშმანება მოინდომა. დღეს ლუი ბლანი (სოციალისტი) გამბეტას გვერდში უნდა უდგეს? თქვენი მდგომარეობის ტრაგიზმიც ამაში მდგომარეობს. იმაზე უარესი რაღა იქნება, რომ თქვენი პარტიის (სოციალისტების) წინამძღოლი, ის, ვისი გავლენა თქვენ თითონ უნდა აამაღლოთ, ხალხს ეუბნება „საზოგადოებრივი" (სოციალიზმის) კითხვა არ არსებობსო. მოგწონთ თქვენ ეს? კარგი შედეგი უნდა ჰქონდეს ამათ ხალხის გრძნობაზე? როგორ გგონიათ?" [2])

---

[1]) ნ. სკანდელი (ნ. ნიკოლაძე): „სხვათა შორის" (ნაგრძნობი და გაგონილი. თავი XII: საუბარი ლუი ბლანთან, ჟურ. „კ რ ე ბ უ ლ ი", № 4, გვ. 216-218, 1873 წ.

[2]) იქვე, გვ. 219 — 220.

ნიკოლაძე დარწმუნებული იყო, რომ თუ სოციალისტები კავშირს დაიჭერდენ რესპუბლიკანელებთან, პარიზის მშრომელი ხალხი ვერ გაიგებდა ამას, ვერ მიხვდებოდა ძირითად განსხვავებას ამ ორ პარტიას შორის. მეორე მხრით, ნიკოლაძე არ კმაყოფილდებოდა უბრალო რესპუბლიკანური პროგრამით და „საზოგადოებრივი კითხვის" წამოყენებას მოითხოვდა. ლუი ბლანის პოლიტიკა კი აქეთკენ არ იყო მიმართული. იგი არ აიარაღებდა ხალხს, არ მიუძღვებოდა წინ გადამჭრელი ბრძოლისაკენ. მშვიდობიანი გზით ფონს გასვლა შეუძლებელია, საჭიროა რადიკალური ზომები. ნიკოლაძე განაგრძობს:

„.... როცა თქვენი მოწინააღმდეგენი შეგამჩნევენ, რომ კანონიერი გზით და იარაღით იმარჯვებთ, ისინი ამ გზას და იარაღს ხელიდან გამოგაცლიან..... ერთი სიტყვით ყოველ კანონიერ იარაღს თქვენ ხელად გამოგაცლიან, რომ უკანონო მოქმედებაზე (ე. ი. რევოლუციონურ გამოსვლებზე) გამოგიწვიონ და ამოგჟლიტონ, და ამ გამოწვევის (რევოლუციის) დროს თქვენ ნიადაგ უიარაღონი, დაუმზადებელი და დასუსტებული გამოდიხართ" [1]).

სრულიად სამართლიანად შენიშნავს ნიკოლაძის ამ დიალოგის შესახებ არ. ჯორჯაძე, როდესაც სწერს: „ნ. ნიკოლაძე ლუი ბლანთან საუბარში სოციალისტურ რესპუბლიკის მომხრეთ გამოიყურება და მასთან მისი რესპუბლიკანობა მკაცრი რევოლიუციონური ელფერისაა. რასაც მალავდა (?) ჩვენში, სადაც გამოსადეგი პირობები არ იყო ამ გვარ აზროვნების განვითარებისათვის, ფართოდ გაიფურჩქნა პარიზის თავისუფალ ატმოსფერაში" [2]).

თავისი სოციალისტური მიდრეკილება ნ. ნიკოლაძემ გამოააშკარავა აგრეთვე იმ კამათში, რომელიც სწარმოებდა ბანკის საკითხის გარშემო 1875—76 წლებში მასა და ი. ჭავჭავაძეს შორის. არ. ჯორჯაძე თავის „ინტელიგენციის მასალებში" დიდ მნიშვნელობას აძლევს ამ კამათს ჩვენი საზოგადოებრივი აზროვნების დიფერენციაციის ისტორიაში. იგი სწერს: „ჭავჭავაძისა და ნიკოლაძის შეტაკება ბანკის ნიადაგზე არის დასაწყისი მესამოციანების გაყოფისა. ეს არის, ერთი მხრით, ახალი აზრის დიფერენციაციის დასაწყისი, მეორე მხრით კი—დასაწყისი მესამოციანების დაკნინებისა და დარღვევისა" [3]).

---

[1]) იქვე, გვ. 225.
[2]) ა. ჯორჯაძე: ტ. V, გვ. 180, 1914 წ.
[3]) იქვე, გვ. 180.

არ. ჯორჯაძის ეს შეხედულებანი არ არის სწორი. ჩვენ არ გვეს-მის, რატომ ბანკის გარშემო ატეხილი კამათით (1876 წ.) იწყება დიფერენციაცია სამოციანებისა, და არა უფრო ადრე? ფაქტია, რომ სოციალისტური მიდრეკილება უფრო ადრე შემოიჭრა ჩვენს ლიტერატურაში, ფაქტია ისიც, რომ ნიკო ნიკოლაძე სწორედ ამ საზომით აკრიტიკებდა ჯერ კიდევ 1873 წელს 1861 წელს გამოსული თაობის პროგრამას; ისიც ფაქტია, რომ სამოციანი „ნაროდნიკულად" განწყობილი ან. ფურცელაძე თავიდანვე არ ეთანხმებოდა და ეკამათებოდა ახალი თაობის ინტელიგენციას. ჩვენის აზრით, მეორე დიფერენციაცია ქართველი ინტელიგენციისა მაშინ დაიწყო, როდესაც კვლავ დაისვა ახალი საკითხი: როგორი გზით უნდა განვითარებულიყო საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრება. პირველი მნიშვნელოვანი შეტაკება ინტელიგენციის ოჯახში მოხდა 1861 წელს. ამ შეტაკების მთავარ საკითხს წარმოადგენდა ბატონყმობა და ძველი საზოგადოებრივი წყობილება. ფაქტიურად ეს შეტაკება თავად-აზნაურობის წინააღმდეგ დაიწყო ჭონქაძემ და დაასრულა ილია ჭავჭავაძემ. ამ შეტაკებაში რეაქციონური ინტელიგენცია დაუპირისპირდა პროგრესიულ-რადიკალურ ინტელიგენციას. მეორე შემთხვევაში დიფერენციაცია ხდება თვით ახალი თაობის ინტელიგენტთა შორის, როდესაც საკითხი შეეხო საქართველოს მომავალს, მის სოციალ-პოლიტიკურ წყობილებას; ლიბერალურ-დემოკრატიულ მიმდინარეობასთან ერთად აქ ისახება სოციალისტურად განწყობილი ინტელიგენციის კადრიც (იხ. ზევით). ეს არის არა სამოციანების დიფერენციაციის დასაწყისი, არამედ კიდევ ახალი მიმდინარეობის აღმოცენება ჩვენს ლიტერატურაში და ინტელიგენციის ბანაკში. ეს ახალი მიმდინარეობა ლიბერალურ-სოციალისტური და ნაროდნიკული მიდრეკილებისა იყო. ამიტომ, ჩვენ შემცდარად მიგვაჩნია აზრი არ. ჯორჯაძისა, რომელიც „მესამოციანების" დიფერენციაციის დასაწყისს სრულიად ხელოვნურად ბანკის გარშემო დაწყებულ კამათში ხ ე დ ა ვ ს და სრულიად ანგარიშს არ უწევს იმ მნიშვნელოვან დიფერენციაციას, რომელიც ამ დრომდე მოხდა ჩვენი ინტელიგენციის ოჯახში.

მაგრამ ბანკის გარშემო გამართულ კამათს ის მნიშვნელობა ჰქონდა, რომ აქ ნიკოლაძემ ერთხელ კიდევ გამოააშკარავა თავისი სოციალისტური პრინციპები, ხოლო ილია ჭავჭავაძემ—თავისი ბურჟუაზიული მიდრეკილება. ამიტომ მართალია იგივე არ. ჯორჯაძე, როდესაც წერს ილიაზე: „ჭავჭავაძე... აღნიშნულ დიალოგებში (ბან-

კის გარშემო კამათში) გულქვა, სენტიმენტალობას მოკლებული, მშრალი ლოგიკით და კანონიერებით აღჭურვილი, ჰამბურგელი ფინანსისტი უფროა, ვიდრე ჩვენებური საზოგადო მოღვაწე (?). აქ კიდევ საგულისხმო ის არის, რომ ჭავჭავაძე პრინციპიალურ მოსაზრებას ემყარებოდა თავის პოზიციის გასამაგრებლად. ეს პრინციპი აღებ-მიცემობის და ვაჭრობის თავისუფლების პრინციპია. ეს დედა-აზრია ბურჟუაზიულ ეკონომისტებისა"[1]).

ნიკოლაძე ერთ-ერთ თავის საპასუხო წერილში არკვევს, რომ მეცხრამეტე საუკუნეში ეკონომიურ საკითხებში ორ მიმართულებას შორის სწარმოებდა კამათი: ერთის მხრით იდგენ ბურჟუაზიული მიმდინარეობის წარმომადგენელნი, რომელნიც აღიარებდენ აღებ-მიცემობის და ვაჭრობის თავისუფლებას, ხოლო მეორეს მხრით მას უპირისპირდებოდა „საზოგადოებრივი" (სოციალისტური) მიმართულება.

ავტორი სწერს: „ეკონომიურ და საზოგადოებრივ მეცნიერებაში ორი უმთავრესი მიმართულება იყო ამ ჩვენს საუკუნეში. ამ ორს მიმართულებებს შუა მთელი ორმოცი წლის განმავლებაში დაუცხრომელი ბრძოლა იყო ატეხილი. პირველი მიმართულება, რომელსაც ჰქვიან „ბურჟუაზიული" და რომლის წარმომადგენელი იყო ჟან-ბაპტის-სე, ამტკიცებდა, რომ ქვეყანაზე ყველაფერი კარგად მიდის, ოღონდ ნურც საზოგადოება, ნურც მთავრობა ნუ გაერევა ეკონომიურ საქმეებშიო. ამის საწინააღმდეგოდ ის მიმართულება, რომელსაც ჰქვიან „საზოგადოებრივი" (სოციალისტური), ამბობს, საზოგადოება შესდგება ცალ-ცალკე პირებისაგან და თავის საკუთარი სარგებლობისათვის მთელი საზოგადოება უნდა ცდილობდეს, რომ არც ერთი მისი წევრი არ დაიჩაგროს, არ წახდეს, სწორეთ ისე, როგორც კაცი თითეულ თავის თითს ან სხეულის ნაწილს უფრთხილდება"[2]).

ნ. ნიკოლაძე უარყოფს ი. ჭავჭავაძის ბურჟუაზიულ მიმართულებას და სწერს: „მე ყოველთვის, ყოველგან ყველაფერში ვებრძოდი ამ მიმართულებას იმიტომ, რომ ვეკუთვნი „საზოგადოებრივ" (სოციალისტურ. ს. ხ.) მიმართულებას, რომელმაც მეცნიერებაში კაი ხანია სრულებით დაამარცხა ბურჟუაზიული მიმართულება"[3]).

ამრიგად, ბანკის გარშემო გამართულ კამათში ნიკოლაძე „სა-

---

[1]) არ. ჯორჯაძე, ტ. V, გვ. 174.

[2]) ნ. ნიკოლაძე: „მრუდე გამოსარჩლება", „დროება", № 47, 1876 წ.

[3]) იქვე.

ზოგადოებრივ" (სოციალისტურ) ნიადაგზე დგას და ამ საზოგადოებრივ-ნებს ილია ჭავჭავაძის ბურჟუაზიულ „პროექტს". ბანკი ნიკოლაძეს სურს არა აღებ-მიცემობის გასაჩაღებლად, არამედ მის მოსასპობლად. ავტორი განმარტავს თავის საზოგადოებრივ მოსაზრებებს:

„ცხოვრება —ბრძოლაა, რომელშიაც დაიარაღებული კაცი იმარჯვებს დაუიარაღებელზე. საზოგადოება უნდა სცდილობდეს, რომ თუ ამ ბრძოლის მოშლა ან გარმონიის გამართვა ჯერ-ჯერობით არ შეიძლება, ბრძოლა ისე მაინც მიდიოდეს, რომ ყოველი მებრძოლი ერთნაირად იყო დაიარაღებული. რა ჭკნას ეხლა სოფლის მყიდველმა, როცა იმას თევზის ყიდვა სჭირია, თუ არ დაეთანხმა იმ ვაჭარს, რომელიც დამპალ თევზს ძვირად ჰყიდის? ეს თავისუფლება კი არაა — ცარცვაა. ამისათვის საზოგადოებამ უნდა გაიმართოს თავისი საკუთარი დუქნები, რომ ვაჭრობა მარტო საქონლის მოტანაში და ხარჯის აღებაში მდგომარეობდეს... საზოგადოდ მეცნიერებამ გამოიგონა საზოგადოებრივი ბანკები სწორედ იმისათვის, რომ დაარღვიოს აღებ-მიცემობის თავისუფლება იმ ვაჭბატონებისა, რომელნიც ხალხს სცარცვავდნენ და არა იმისათვის, რომ ვაჭბატონებს ხელი გაუწყოს თავისუფალ გლეჯაში და ცარცვაში"[1]) (ხაზი ჩვენია. ს. ხ.).

ზევით ნიკოლაძე სწერს:

„ეფიქრობთ, თუ ჭავჭავაძეს და ბ. ლოლობერიძეს ამ საგანზე შეედგინათ ცალკე წერილი მამულების გამოყიდვაზე სახლის-კაცების, მეზობლების ან გლეხების შეერთებით, დაეწესებინათ მთელი სოფლის ან უბნის მცხოვრებლების დამოკიდებულება ბანკთან, უფრო ხანგრძლივი და გაწერილმანებული ნდობა დაეარსებიათ ნათესავებისათვის და მშობელთათვის, და ენახავდით მაშინ უცხო ქვეყნელებს დარჩებოდათ ჩვენი მამულები, თუ ჩვენებურებს, ურიას—თუ ქრისტიანს. ამას ხომ მაინც ვერ იტყვის ჭავჭავაძე, რომ გლეხები სიხარულით არ ყიდულობდენ მიწებს ყოველთვის, როცა ფასის განაწილება და რამოდენიმე წლის ვადით გადახდა შეეძლოთ?"[2]) ქვევით: „გაუადვილოთ სახლის კაცებს და გლეხებს ფულების გადახდა, გავანაწილოთ გადასახადი ცალ-ცალკე თითეულ კაცზე, გაუადვი-

[1]) ნიკოლაძე: „მრუდე გამოსარჩლება." „დროება", № 47, 1876 წ.
[2]) იქვე.

ლოთ სოფლებს ან უბნებს ამხანაგობების შედგენა და ამხანაგობით მამულის ყიდვა, და ვნახოთ მაშინ, ვინ უფრო მეტს ფასს მისცემს, გარეშე პირი, თუ მეზობლები"[1]).

ნიკოლაძე ბანკს, — ამ უძლიერეს საკავშირო დაწესებულებას, — მიზნად უსახავდა ვაჭრობის თავისუფლების მოსპობას და სოფლად ამხანაგობების დაარსებას, ე. ი. ერთგვარ „სოციალისტურ" გეგმებს, სწორედ ისეთს, როგორსაც იცავდენ ევროპაში სახელმწიფოებრივი სოციალიზმის ზოგიერთი მიმდევრები. ბანკის ფუნქცია, ნიკოლაძის კონცეპციით, არა ვაჭრობა-მრეწველობის გაფართოებაშია, არამედ თავისუფალი ვაჭრობის მოსპობაში, ამხანაგობების შედგენაში. აქედან ნათელია, რა დანიშნულებას და შინაარსს აძლევდა ნიკოლაძე საბანკო საქმეს ჩვენში. მაგრამ იმ ხანებში ხომ თავად-აზნაურობა აარსებდა ჩვენში ბანკს თავისი ინტერესებისათვიის. განა შესაძლებელი იყო სოციალისტური პრინციპის შეგუება თავად-აზნაურულ ბანკთან, მაშასადამე, მთელს თავად-აზნაურობასთან? რა იყო საერთო რეაქციონურ წოდებასა და „სოციალისტურ საბანკო პრინციპებს შორის?"

როგორ ახერხებდა ნიკოლაძე ამ ორი საწინააღმდეგო კატეგორიის შეერთებასა და შეთანხმებას? ან იქნებ მას სხვა სოციალური კლასი ჰყავდა მხედველობაში, როდესაც საბანკო საქმეს თავის „სოციალისტურ პრინციპებს" უდებდა სარჩულად?

ცხადია, ნიკოლაძეს მიზნად არ ჰქონდა დასახული თავად-აზნაურობის, როგორც წოდების, ფეხზე წამოყენება და მისი ეკონომიურად გაძლიერება. მას, როგორც უტოპისტს, არ ესმოდა წოდებათა შორის ბრძოლის მნიშვნელობა; მისი მიზანი იყო ამხანაგობის შექმნა და ამ გზით აცილება კაპიტალისტური ეკონომიკის განვითარებისა და მისი მავნე შედეგების. სწორედ ამ მიზნით ცდილობდა ნ. ნიკოლაძე შეერიგებია წოდებები ჩვენში და მშვიდობიანი ურთიერთობა, თანასწორობა ჩამოეგდო მათ შორის. ასეთი პროგრამის შესრულებაში უდიდესი როლი უნდა ეთამაშა იმ საბანკო პოლიტიკას, რომელსაც იმ პერიოდში იცავდა ნიკოლაძე. ასეთი არის პრინციპიალური საფუძვლები ნიკოლაძის პროგრამისა: იგი მშვიდობიან ამხანაგობათა შექმნის გზით ერის გაერთიანებაზე ფიქრობს. მაგრამ ერთია პრინციპი, მეორეა მისი ცხოვრებაში გატარება, რეალურ სინამდ-

[1]) იგივე, „დროება", № 47, 1876 წ.

ვილეში განხორციელება. მას აშინებს ჩვენი საზოგადოებისა და ხალხის პროლეტარად გადაქცევა; ეს რომ არ მოხდეს, საჭიროა შესაფერისი საბანკო პოლიტიკის წარმოება, გარკვეული საადგილ-მამულო პროექტის წამოყენება.

აქ არის დასმული ტრაგიკული საკითხი ნიკოლაძისათვის, რომელიც ააშკარავებს მის სოციალისტურ პრინციპსა და პრაქტიკულ საქმიანობას შორის არსებულ გადუვალ წინააღმდეგობას. პრაქტიკულად ნიკოლაძის საბანკო პროექტი არ სცილდებოდა იმ სოციალური კლასის ინტერესებს, რომელსაც ჭავჭავაძის პოლიტიკაც ემსახურებოდა. ეს არის თავად-აზნაურობა, ეკონომიურად გაღატაკებისა და დეკადანსის გზაზე შემდგარი რეაქციონური წოდება. ილია ჭავჭავაძე ამ წოდების ინტერესებს უფარდებს ბურჟუაზიის აღებ-მიცემობის და ვაჭრობის თავისუფლების პრინციპს, ნიკოლაძე კი „სოციალისტური" საბანკო პოლიტიკით ცდილობს მათ დახმარებას. ყური ვათხოვოთ ნიკოლაძის არგუმენტაციებს. იგი სწერს:

„მაგრამ რადგანაც (თავად-აზნაურთა წოდების) გამიჯვნის დაბოლოებამდე ჩვენს თავად-აზნაურობას ტყავი გასძვრებოდა უბედურობის გამო, საჭირო იყო ჩვენში ისეთი ბანკის გამართვა, რომელშიაც საადგილ-მამულო პრინციპი შეზავებული ყოფილიყო ერთიერთობის ნდობის ბანკის პრინციპთან"[1]. ან კიდევ: „თუ თავად-აზნაურობას ეკონომიურად არ დავეხმარეთ, მამულები დარჩებათ მოსულებს, უცხო ქვეყნების მყიდველ-გამყიდველებს, რომელნიც ან ჩამოგვესიძებიან და ხალხს გაყვლეფენ, ან და მოსულნი ჩვენი ადგილ-მამულით ივაჭრებენ, ჩვენს საზოგადოებას და ხალხს პროლეტარად გადააქცევენ"[2].

ნიკოლაძის არგუმენტაციები ნათელი და გარკვეულია. თავადაზნაურობის ეკონომიურად დაცემასთან („ტყავის გაძრობა") ერთად აქ წამოყენებულია ეროვნული მომენტიც. ამრიგად, ნიკოლაძის „სოციალისტური პროექტი" პრაქტიკულად ემსახურებოდა თავად-აზნაურობის ინტერესებს. უკეთ: სოციალისტური პრინციპი და პრაქტიკული ინტერესი აქ დაშორებულია ერთიმეორეს. ეს ფაქტი ნათ-

---

[1]) „დროება", № 35, 1876 წ.

[2]) იქვე.

ლად ააშკარავებს ნიკოლაძის სოციალისტური მიდრეკილების კრიზისების დასაწყისს. აღსანიშნავია შემდეგი ფაქტი: როგორც დაინახეთ, ევროპის პირობებში საზოგადოებრივ (სოციალიზმის) საკითხს ნიკოლაძე უკავშირებს მუშათა კლასის ინტერესებს. იქ იგი ნათლად ამჩნევს კლასთა ბრძოლასა და სოციალური ბრძოლის კლასობრივ შინაარსს [1]). საქართველოს სინამდვილეში 1876 წ. ნიკოლაძე კლასთა ბრძოლას თითქოს ვერ ხედავს და არ ერიდება „სოციალისტური პრინციპი" გამოიყენოს თავად-აზნაურობის ინტერესების დასაცავად. ასეთი გაორება ნიჭიერი და დიდად განვითარებული პუბლიცისტისა დამახასიათებელ მოვლენად უნდა ჩაითვალოს ჩვენი საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში.

ეს ფაქტი გარკვევით და უდავოდ ამტკიცებს იმას, რომ 60—70-იანი წლების ჩვენმა ინტელიგენციამ სოციალიზმი გარეგანი ფორმით შეითვისა, ხოლო მისი (სოციალიზმის) არსებითი სოციალური შინაარსი ფაქტიურად ვერ გასცილდა მაშინდელი ჩვენი ეკონომიური და საზოგადოებრივი ურთიერთობის პირობებს. ფორმა სხვა არის, მისი არსებითი შინაარსი სხვა [2]).

---

[1]) არალეგალური „დ რ ო შ ი ს" ფურცლებზე იგი სწერდა: „ლონდონში და საზოგადოთ ინგლისში ეხლა ძლიერ შესანიშნავი მოძრაობაა იმ მიზნით, რომ შემდეგი საზოგადო ამორჩევების დროს ინგლისში პარლამენტისთვის მუშების მხრით რამოდენიმე დეპუტატი დაინიშნოს. ამ საქმისთვის თვით მუშებს რამდენიმე კომიტეტი შეუდგენიათ, და ლონდონში პირველ კანდიდატათ გამოჩენილი აგიტატორი ო ჯ ე ნ ი გამოდის. ამას სოციალისტური მიმართულება აქვს, და მისი გაგვლენა ძლიერ შესანიშნავია ინგლისის მუშებზე". (იხ. „დ რ ო შ ა", № 3. 1873 წ. ინახება რევოლუციის მუზეუმში).

[2]) ჩვენთვის უდავოა ის დებულება, რომ ნიკოლაძის პრინციპებს იმ პერიოდში სარჩულად არ ედვა თავად-აზნაურების წოდების, როგორც ასეთის, ინტერესების დაცვა. მისი მიზანი უფრო საერთო და ჰუმანიური იყო. მაგრამ როდესაც ნიკოლაძემ ამ თავისი სოციალური პროგრამის ცხოვრებაში გატარება მოინდომა, ე. ი. საბანკო საქმის გამოყენება სცადა თავისი პროგრამის განსახორციელებლად, აქ აშკარა გახდა გარდუვალი წინააღმდეგობა მიზნებსა და სინამდვილეს, ოცნებასა და ცხოვრებას შორის. ნიკოლაძეს არ ჰყავდა შესაფერისი სოციალური კლასი, რომ მას დაყრდნობოდა და მისი საშუალებით ემოქმედნა. ერთადერთი წრე, ერთადერთი საზოგადოებრივი მოქმედი ძალა თავად-აზნაურობა იყო და ამ წოდებას ჰქონდა დაპყრობილი ჩვენი ცხოვრების ყოველი მნიშვნელოვანი დარგი და მის გარეშე შეუძლებელი იყო მუშაობა და პრაქტიკული მოღვაწეობა. ნიკოლაძეც იძულებული შეიქნა, სარბიელის უქონლობის გამო, ამ საზოგადოებრივი ძალისათვის მიემართა და იქ შეეტანა თავისი ახალი აზრი. მაგრამ რადგან ამ წრესა და ნიკოლაძის იდეალებს შო-

მრავალმხრივ საინტერესოა ნიკოლაძის სოციალ-პოლიტიკური აზროვნების ევოლუციის შესწავლა 1876 — 78 წლების შემდეგ. სამწუხაროდ, ამ წერილის ფარგლები და შინაარსი ამის ნებას არ გვაძლევენ, მაგრამ ორიოდე ცნობით მაინც საჭიროა ამ დიდი პიროვნების სოციალურ მისწრაფებათა ევოლუციის შინაარსის და ფორმების მოხაზვა.

ჩვენ საკმაოდ გავიცანით ნიკოლაძის სოციალისტური მრწამსის შინაარსი. ლეი ბლანთან საუბრის დროს (1872 წ.) იგი გარკვეეთ დგას სოციალური რესპუბლიკის ნიადაგზე და მოითხოვს „მეშა ხალხის", რევოლუციონერების დარაზმავს გადამჭრელი ბრძოლისათვის. 1879 — 82 წლების ნიკოლაძეს ეს რევოლუციონური უტოპიზმი ვეღარ ხიბლავს. მისი აზროვნება პრაქტიკული პოლიტიკის გზით მუშაობდა, მაგრამ მაინც განსაკუთრებულად საინტერესო ფორმებს იღებს. მას კვლავ აქვს კავშირი და ნაცნობობა რუსეთის ნაროდნიკებთან. ერთ დროა მას „ნარ ოდნაია ვოლიას" რედაქტორადაც ეპატიჟებოდენ, მაგრამ ნიკოლაძე არ დათანხმდა, რადგან იგი წინააღმდეგი იყო ტერორისტული ტაქტიკის და რევოლუციონური მოქმედების. მისი პოლიტიკური ხასი იმ დროს რუსეთის მთავრობასთან მშვიდობიანი მორიგებისაკენ იყო მიმართული. ამ ნიხრით ნი-

---

ოა გარდაუვალი უფსკრული აღმოჩნდა. ნიკოლაძეც დამარცხდა პრაქტიკულად: ოცნება სძლია სინამდვილემ. ასეთი ტრაგიკული ბედი იყო ნაყოფი ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების განუვითარებლობისა, ჩვენი საწარმოო ძალების და სოციალური კლასების დაუდგენლობისა. განა ასეთივე ბედი არ ეწია მეორე ჩვენს პუბლიცისტ-სოციალისტ ან. ფურცელაძეს; განა ისიც თავად-აზნაურულ ბანკებში არ ტრიალებდა და არ უთანხავდა პროექტებს ამავ ბანკებს, მიუხედავად თავისი პრინციპიალური წინააღმდეგობისა ამ წოდებისა და ამ ბანკებისადმი? ცხადია, რომ ინტელიგენციამ, რადიკალურად განწყობილმა, ვერ ნახა შესაფერისი ნიადაგი და, სამწუხაროდ, თავისი ენერგია იქით მიმართა, სადაც მეტი მოძრაობა იყო. აქ მარხია ლიბერალურ-უტოპიური სოციალიზმის დამარცხების უმთავრესი მიზეზი.

ნიკოლაძეს იმ პერიოდში სურდა დაეცვა გლეხის ინტერესებიც და თავად-აზნაურებისაც, მისი მიზანი იყო ორივე ეს წოდება დაეკმაყოფილებინა მიწით, შეთანხმებული და მშვიდობიანი საბანკო პოლიტიკით; მაგრამ როგორ შეიძლებოდა ამ პოლიტიკის სისწორით ცხოვრებაში გატარება? ძირითადი შინაარსი იმ უთანხმოებისა, რომელიც წოდებათა შორის არსებობდა საქართველოში, მიწის საკითხში გამოიხატებოდა; მიწა დაგროვილი იყო თავად-აზნაურების ხელში, ხოლო გლეხობა უმიწოდ იყო დარჩენილი. განა აქედან ცხადი არ არის, რომ სწორი აგრარული პროგრამის შემუშავება შეიძლებოდა მხოლოდ იმ შინაარსით, რომელიც მოითხოვდა მიწების ხელახლად გადანაწილებას წოდებათა შო-

კოლაძე დაუახლოვდა რუსეთის ნაროდნიკების იმ მემარჯვენე მიმდინარეობას (მიხაილოვსკი, კრივენკო, ვ. ვორონცოვი), რომელიც რუსეთის ხსნას ხედავდა რეაქციონურ მთავრობასა, რეაქციონურ ერთობასა და სოფლის თემში და რომელიც 90-იან წლებში ლეგალური ნაროდნიკობის სახით გაბატონდა რუსეთში (იხ. ქვევით მე-2 განყოფილება). აღსანიშნავია სწორედ ეს მომენტი ნიკოლაძის სოციალ-პოლიტიკურ აზროვნებაში, სწორედ ის, რომ ნიკოლაძე რუსეთის რეაქციონური მთავრობის, თემისა და არტელების შეთანხმებული თანამშრომლობის საშუალებით ცდილობდა რუსეთის ხალხის ხსნას და ეკონომიურად წარმატებას. ცნობილია ნიკოლაძის როლი იმ ისტორიულ მოლაპარაკებაში, რომელიც წარმოებდა რუსეთის რეაქციონურ მთავრობასა და რევოლუციონურ პარტიას „ნაროდნაია ვოლიას" შორის. ამ მოლაპარაკებაში ნიკოლაძეს მონაწილეობა რაიმე პირადი ინტერესებისათვის არ მიუღია, მას ალაპარაკებდა პრინციპიალური საფუძვლები და გარკვეული პოლიტიკური ხაზი. თავისი სამოქმედო პროგრამა მან წინასწარ შეუთანხმა ნ. მიხაილოვსკისა და კრივენკოს მოსაზრებებს[1]). როგორია ნიკოლაძის პრინციპიალური მოსაზრებანი? ქართველი ინტელიგენციის სოციალ-პოლიტიკური აზროვნების დასახასიათებლად საინტერესოა ვრცლად გავიცნოთ ეს მოსაზრებანი.

1882 წელს ჩვენში ცნობილ ბოროზდინს, რომელიც თანამშრომლობდა რუსეთის რეაქციონურ ორგანიზაციაში („Священная дружина"), მოლაპარაკება ჰქონდა ნიკოლაძესთან „ნაროდნაია ვოლიას" პარტიასთან შუამდგომლობის შესახებ. ნიკოლაძემ არ

რის, თანახმად ეკონომიური საჭიროებისა? ნიკოლაძე ასეთს რადიკალურს გარდაწყვეტამდე ვერ მიიდა, სამაგიეროდ მან ყურადღება მეორე მომენტს მიაქცია: იგი ნათლად ამჩნევდა ჩვენში კაპიტალისტური აღებ-მიცემობის განვითარებას და თავად-აზნაურობის მიწების უცხო ტომების ხელში გადასვლას (იხ. ზევით მისი ციტატა). ნიკოლაძემაც თავისი საბანკო პოლიტიკა ამ უცხო ტომების ეკონომიური ბატონობის წინააღმდეგ მიმართა; მას სურდა შიგნით შეეთანხმებია წოდებები ურთიერთდამხმარე ბანკის საშუალებით, ურთიერთ ნდობაზე აგებული პოლიტიკის გზით. ბანკს უნდა გადაერჩინა მიწების უცხო ხელში გადასვლა და გაენაწილებია იგი (მიწა) ქართველთა შორის. აქაც ნაციონალურმა მომენტმა დაამარცხა ნიკოლაძის სოციალისტური პრინციპი.

[1]) როგორც ქვევით დავინახავთ, კრივენკოც და მიხაილოვსკიც მოითხოვდენ თვითმპყრობელობასთან შეთანხმებას გარკვეული ნაროდნიკული სოციალიზმის ნიადაგზე.

იცოდა, საიდან იყო გამოგზავნილი ბოროზდინი, მაგრამ ამჟამად ჩვენთვის საინტერესოა არა ისტორია ამ ფაქტისა, არამედ თეორეტიკოლაძის სოციალ-პოლიტიკური აზრები. ბოროზდინი თავის მემუარებში გადმოგვცემს: „გაზეთის შესახებ მოლაპარაკების დროს მე ვნახე X.-ში (ნ. ნიკოლაძეში) პიროვნება, რომელსაც თვითმპყრობელობა მიაჩნდა ერთად-ერთ ძალად, რომელსაც შეუძლია გამოიყვანოს ჩვენი სამშობლო თანამედროვე გასაჭირიდან, მაგრამ მასთანავე იგი (ნიკოლაძე) მოითხოვდა მისგან (თვითმპყრობელობისგან) ყველაზე უფრო ენერგიულ დახმარებას რუსული სოციალიზმისათვის, სახელდობრ, წახალისებას ხალხის ეკონომიურ ცხოვრებაში არსებული ორი ბუნებრივი ფაქტორის - არტელის და თემის"[1]. თავის „მემუარში", რომელიც ნიკოლაძეს ბოროზდინისათვის გადაუცია 1882 წელს, იგი სწერს:

„თვითმპყრობელობას შეუძლია სათავეში ჩაუდგეს მოძრაობას, აიღოს ყველაფერი, რაც-კი გონიერი და განსახორციელებელია სოციალურ მოძღვრებებში და მათი განხორციელება მიანდოს ხალხისათვის გულწრფელად და უანგაროდ თავდადებულ ახალგაზრდა ენტუზიასტებს, რომელნიც, მოკლებულნი არიან რა ხალხის სასარგებლოდ პრაქტიკული მოქმედების შესაძლებლობას, იღუპებიან ხელისუფლებასთან ძმათა ბრძოლაში (იგულისხმება „ნაროდნაია ვოლიას" ტეროროისტული მოღვაწეობა). განხორციელება იმ (სოციალური) მოძღვრების მრავალი ნაწილისა, რომლებიც უახლოვდებიან ხალხის სოფლმხედველობის ისტორიულად შეძუშავებულ სულსა და ხასიათს, — ხალხისა, რომელმაც დღემდე შეინარჩუნა არტელი და თემი, — ეჭვი არ არის, გააუმჯობესებს მის მატერიალურ მდგომარეობას და დაიხსნის მას კულაკებისა და ექსპლოატატორებისაგან.

„ყველა ამის შესასრულებლად საჭიროა: ა) სრული ამნისტია, ბ) შეუხლუდავი ასპარეზი ახალგაზრდობის მოქმედებისთვის — წერილობითი და სიტყვიერი პროპაგანდის გზით, გ) საზოგადოებრივი თვითმოქმედების სფეროს გაფართოვება და, უმთავრესად, დ) მთავრობის მტკიცე გადაწყვეტილება — სათავეში ჩაუდგეს აზრთა თანამედროვე მოძრაობას და გამოიყენოს ამ მოძრაობის ყოველი გონიერი მხარე თვითმპყრობელური ხელისუფლების სასარგებლოდ და საიდებლად"[2].

[1]) Записка К. А. Бороздина с примечаниями Николадзе, „Былое", № 10, გვ. 138, 1907 წ.

[2]) იქვე, გვ. 142—3.

ასეთს ჩიხში მოექცა ჩვენი პუბლიცისტი აღნიშნულ პერიოდში; მაგრამ ეს მოვლენა მარტო ნიკოლაძის სოციალ-პოლიტიკურ აზროვნებას არ ახასიათებს; ასეთსავე ჩიხში მოემწყვდა 80—90-იან წლებში მეტად საგრძნობი ნაწილი რუსეთის ნაროდნიკებისა: 70-იანი წლების რევოლუციონური მოძრაობის მონაწილენი — ჩერნიშევსკისა და ლავროვის მოწაფენი, ჟელიაბოვისა და სახელოვანი „Земля и Воля"-ს თანამებრძოლნი, — ერთი ათეული წლის შემდეგ რუსეთის თვითმპყრობელობასთან თანამშრომლობას მოითხოვდენ რუსეთის სოციალისტური იდეების განსახორციელებლად. 70-იანი წლების მიწურულების რუსულ ტერორისტულ იაკობინიზმს 90-იან წლებში მოჰყვა ლეგალური ნაროდნიკობა, რომელმაც თავისი სამოღვაწეო პროგრამიდან სავსებით ამოშალა რევოლუციონური ტაქტიკა და შეგნება. ასეთს გადაგვარების გზას დაადგა რუსული სოციალიზმის — ნაროდნიკობის — ერთი მიმდინარეობა. ნიკოლაძეც ქუდმოხდილი შეჰყვა რუს ნაროდნიკებს ამ ჩიხში. ჩვენმა 60-იანი წლების სოციალიზმმაც ღრმა მნიშვნელობის კრიზისი განიცადა: „სოციალური რესპუბლიკის", მაშასადამე, პარიზის რევოლუციონური კომუნარების თაყვანისმცემლის ნიკოლაძის ძველი აზროვნება 80-იან წლებში ლეგალურმა სახელმწიფოებრივმა სოციალიზმმა შესცვალა. მაგრამ ეს სახელმწიფოებრივი სოციალიზმის თეორია, დაყრდნობილი არტელსა და თემურ წყობილებაზე, თავის სამოღვაწეო ასპარეზს იმუშავებდა არა ბურჟუაზიულ ევროპაში, არამედ თვითმპყრობელობის არტახებით შებორკილ რუსეთში [1])

ნიკოლაძის სოციალისტური და პოლიტიკური აზროვნების ევოლუციის გასაცნობად [2]) საინტერესოა კიდევ ერთი მისი წერილი,

[1]) აქ უნდა შევნიშნოთ შემდეგი: თვით ნ. ნიკოლაძე თავის „მოგონებაში", რომელიც გამოქვეყნდა 1906 წ., სწერს, რომ იგი 1882 წ. ძოქმედებდა მიხაილოვსკისა და ს. კრივენკოს კარნახით. მათივე ზეგავლენით იქნა შემუშავებული მთავრობასთან მოსალაპარაკებელი პროგრამაც; თვითონ-კი (ნიკოლაძე) პირადად ამ „პროგრამის" შინაარსს არ იხიარებდა (იხ. Н. Николадзе: Освобождение Н. Г Чернышевского", ჟურ. „Былое", 1906 წ. სექტემბრის წიგნი). ჩვენ ვფიქრობთ, ნიკოლაძის პოლიტიკა იმ პერიოდში სწორედ იმ ხასით მიმდინარეობდა, რომელიც ჩვენ აღვნიშნეთ და ამაში გამოიხატა სწორედ ნ. მიხაილოვსკის დიდი გავლენა მასზე. ნ. მიხაილოვსკის აზროვნებას იმ პერიოდში მკითხველი გაეცნობა ამ ნაშრომის მეორე წიგნის მესამე თავიდან.

[2]) ნიკოლაძის სოციალისტური აზროვნების დასახასიათებლად საინტერესო მასალას იძლევა მისი წერილი: „Луи Блан и Гамбетта", რომელიც მოთავსებული იყო ჟურ. „Отечественные записки"-ს 1883 წლის № 1-ში. სამწუხაროდ, ამ წერილს ამჟამად აქ ვერ შევეხებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოთავსებული 1894 წ. ჟურ. „მოამბეში". აქ უნდა აღინიშნოს, რომ 16 წლის განმავლობაში იგი თავის ძალ-ღონეს რუსულ პრესას ანდომებდა; ჟორდანიას თქმით, ნ. ნიკოლაძე 1879 წლიდან ქართულ ჟურნალ-გაზეთებს ჩამოშორდა და მხოლოდ 1894 წელს მოიბრუნა პირი „მოამბის" საშუალებით [1]).

ნიკოლაძის წერილი საინტერესოა მით, რომ იგი დასკვნას უკეთებს თავის პრაქტიკულ ბურჟუაზიულ საქმიანობას და ხაზგასმით აღნიშნავს მრეწველობის მნიშვნელობას ერის ცხოვრებაში. ნიკოლაძე სწერს:

„მრეწველობის უქონლობა ცხადია უდიდესი ნიშანია ქვეყნის ჩამოქვეითების და უკან ჩამორჩენის. ამ ქვეყნის ბედში არავითარი ცვლილება არ მოხდება თვალსაჩენი, არც ქონებრივი, არც საზოგადო, არც პოლიტიკური მხრივ, სანამ ის მრეწველობის საშუალებით ეკონომიური მონობისაგან არ დაიხსნის თავს უცხოეთის ხელიდან. აიღეთ რომელიც გსურდეთ, იმ ერის ისტორია, ყოველგან ცხადათ დაინახავთ, რომ მისი აღორძინება, მისი ქონებრივი სიფხიზლე, მისი განვითარება, აღებ-მიცემობა, მრეწველობის ზედ დართული შედეგი და ნაყოფი ყოფილა. თვით ისეთი ქვეყანა რომ გავიხსენოთ, რომელიც ნიადაგ პოლიტიკურად დამოუკიდებელი, თავისუფალი ყოფილა, მაგ., ჩერნოგორია, იმისი მდგომარეობაც აგვიხსნის, რომ ეს თავისუფლება ნამდვილი მონობაა: პოლიტიკურად მთავრის მონაა და ეკონომიურად უცხოეთის მრეწველობისა. სადაც მრეწველობა არ არსებობს, და საცა, მაშასადამე, აღებ-მიცემობა, ვაჭრობა თანდათან უფრო და უფრო აუძლურებს ხალხს და ქვეყანას, იქ უმეტესი ნაწილი ერისა ნიადაგ დაბალი მუშაა დაწინაურებული უცხოეთისა... სენ-სიმონი და მისი მოწაფე ოგიუსტ-კონტი მთელი კაცობრიობის განვითარების ისტორიას სამ ნაწილად, სამ საფეხურად ჰყოფენ. მათი სწავლით ყველა ერმა აუცილებლად შემდეგი სამი სტადია უნდა გაიაროს, ერთი მეორის შემდეგ: მხედრული, მრეწველი და საზოგადოებრივი. ვინც ამათ ნაწერებს გადაიკითხავს და მას ჩვენ მდგომარეობას შეადარებს, ის დარწმუნდება, რომ ჩვენი ქვეყანა დღეს თავიდან ბოლომდინ, კიდის კიდემდე ჯერაც პირველ სტადიას,

[1]) ნ. ჟორდანია: „ქართული პრესა", გვ. 72, 1900 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხედრულ წესწყობილებას, ვერ ასცილებია, ვერ გა-
მოსთხოვებია. როცა ევროპა საფუძვლიანად იწუნებს
და აუმჯობესებს თავის მრეწველ-წყობილებას იმ აზ-
რით, რომ მესამე უმაღლეს სტადიაზე შედგას ფეხი
და საზოგადოებრივი წესი გააწყოს (ხაზი ჩვენია. ს. ხ.),
ჩვენ კიდევ ის გვაქვს სანატრელი და საძიებელი, რომ იქნება რო-
დისმე მხედრული წყობის შემუსვრა და მრეწველობის დაარსება
გველირსოსო" [1].

ამ წერილიდან სჩანს, რომ ნიკოლაძეს სავსებით თავი გაუთავი-
სუფლებია ძველი ნაროდნიკული, რუსული უტოპიზმისაგან და სა-
სწორი ევროპის უტოპისტებისაკენ, სენ-სიმონიზისაკენ გადაუხრია: სენ-
სიმონის თეორიით ცდილობს იგი დაასაბუთოს მრეწველობის გან-
ვითარების აუცილებლობა ჩვენში, ხოლო მრეწველობის განვითარე-
ბას თავისთავად მოჰყვება მესამე უდიდესი საფეხური — „საზოგა-
დოებრივი წესის განწყობა". ჩვენ კარგად ვიცნობთ, თუ
როგორ ესმოდა თვით სენ-სიმონს „საზოგადოებრივი წესის განწყო-
ბა": იგი მომხრე იყო წარმოების სახელმწიფოს ხელში გადასვლისა
და მოწესრიგებისა, მაგრამ სრულიად არ ცდილობდა თანამედ-
როვე კლასების მოსპობას; წინააღმდეგ, მისი პროგრამა მიმართუ-
ლი იყო მრეწველობისა და მუშების შეერთებული თანამშრომლობისა-
კენ „მოწესრიგებულს წარმოებაში", ე. ი. სენ-სიმონი არ სპობდა იმ
სოციალურ საფუძვლებს, რომელზედაც არის აგებული თანამედროვე
კაპიტალისტური მრეწველობა. ამ კონცეპციას იზიარებს 1894 წ. ნი-
კოლაძე: აქედან ჩანს, რომ 1894 წ. ნიკოლაძე არ გამოსთხოვებია
„სოციალიზმს", თუმცა მისი „სოციალიზმი" განსაკუთრებულ სა-
ხეს და ფორმას იღებს. იგი გადაჭრით და გაბედულად მოითხოვს
ჩვენში კაპიტალისტური წყობილების განვითარებას. ნაროდნიკული
აზრებით გატაცების პერიოდში, 1865 წელს, იგი ასეთ დებულებას
არ აყენებდა: ძას კიდეეაც ეშინოდა კაპიტალიზმის განვითარებისა ჩვენ-
ში. მაგრამ „ისტორიამ" ძირიანად შესცვალა მისი აზრები და იგი
უფრო პრაქტიკულ ნიადაგზე დააყენა; მისი მომავლის გეგმაც ერთ-
გვარი მოწესრიგებული კაპიტალიზმია, სენ-სიმონისებური სამრეწველო
ასოციაცია.

ასეთია ნიკ. ნიკოლაძის სოციალისტური აზროვნების უმთავ-
რესი ეტაპები.

70-იან წლებში სოციალიზმი ჩვენში შეიძლებოდა საგრძნობ

[1] ეერ. „მოამბე", № 8, გვ. 128 — 29, 1894 წ. ნიკოლაძის წერილი.

ძალად გადაქცეულიყო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამისათვის ნიადაგი იქნებოდა მზად: ეკონომიური პირობები და სოციალური კლასი. 60 — 70-იან წლებში საქართველო ფაქტიურად გარდამავალი პერიოდის პირობებში იმყოფებოდა. ასეთს პირობებში, რასაკვირველია, არ შეიძლებოდა არსებულიყო მკვეთრად ჩამოყალიბებული კლასობრივი ბრძოლა პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის. ამიტომ ცხადზე უცხადესია, რომ სოციალიზმის პრინციპებს ჩვენში არა ჰქონდა სოციალურად დასაყრდნობი ბაზა, ნათლად გამოკვეთილი კლასობრივი საფუძველი. ამიტომ ევროპიდან და რუსეთიდან შემოტანილი სოციალისტური პრინციპი ძალაუნებურად ემორჩილებოდა ადგილობრივ სოციალურ პირობებს და ამ პირობების ზეგავლენით მეტად საგრძნობ ცვლილებებს განიცდიდა: ჩვენი ცხოვრების გარემოება და სოციალური საჭიროებანი თავისი ინტერესების მიხედვით ამუშავებდენ უცხო ნიადაგიდან შემოტანილ სოციალისტურ აზროვნებას.

ნიკოლაძის სოციალისტურმა აზროვნებამაც ეს ცვლილებები განიცადა. ერთ დროს რევოლუციონურად და სოციალისტურად განწყობილი ქართველი პუბლიცისტი ბოლოს დაემორჩილა „ცხოვრების დენას". საქართველოს მკაცრმა სინამდვილემ თავისი მოითხოვა; ძველი არწივი ფრთებშეკვეცილი დაეშვა მშობლიურ ნიადაგზე: სოციალიზმი ლიბერალურმა აზროვნებამ დაჰფარა, რევოლუციონიზმი — ბუნუაზიულ — ოპორტუნისტულმა სულიერმა განწყობილებამ; ძველი ფორმის თეორიები და პრინციპები პრაქტიკული პროგრამის შინაარსით აივსო: ნიკოლაძის სოციალისტური პრინციპები ჩვენი ცხოვრების პრაქტიკულმა პირობებმა დაამარცხა.

ჩვენი საზოგადოება ნიკო ნიკოლაძეს უფრო იცნობს, როგორც ლიბერალურ პროგრესისტ მოღვაწეს, ვიდრე სოციალისტსა და რევოლუციონერს. მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, თითქოს ნიკოლაძემ თავისი ვალი არ მოიხადა ჩვენი ისტორიის წინაშე და, ევროპისა და რუსეთის სოციალისტური პრინციპებით დატვირთულმა, არ შემოაღო ჩვენი ცხოვრების შემოსასვლელი ჭიშკარი. რა ეუყოთ, რომ ამ სოციალისტური ტვირთის ზიდვა მან სათანადოდ ვერ შესძლო! ამაში დამნაშავეა არა ნიკოლაძე, არამედ ჩვენი ისტორია და ჩვენი ცხოვრების განუვითარებლობა: ნიკოლაძე საკმაოდ აღვსილი იყო რევოლუციონური შეგნებითა და სოციალისტური პრინციპებით, მაგრამ ჩვენი ცხოვრების ულმობელმა პირობებმა განტვირთეს იგი ამ დიდი ბარგისაგან; მკაცრი ცხოვრება უფრო ძლიერი გამოდგა, ვიდრე ნიკოლაძის პრინციპები და თეორია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავი მეორე

ანტონ ფურცელაძის სოციალისტური წერილები.

სამოციანი წლების ჩვენ საზოგადო მოღვაწეთა შორის ერთი თვალსაჩინო ადგილი აუცილებლად ანტონ ფურცელაძესაც ეკუთვნის[1]). თუმცა თავისი ნიჭით იგი ვერ შეედრება ნიკოლაძეს, მაგრამ თავისი ლიტერატურული მოღვაწეობის მრავალფეროვანებით შედარებით მაღლა სდგას ნიკოლაძეზე. ან. ფურცელაძე მრავალმხრივი მოღვაწეა: იგი დრამატურგიც არის და იმავე დროს პრაქტიკული მოღვაწეც, პოეტიც და პუბლიცისტიც, ბელეტრისტიც და პარტიული მომუშავეც, კრიტიკოსიც და ისტორიკოსიც, ბანკირიც და რედაქტორიც. ერთ პიროვნებაში ამდენი სხვადასხვა მხარის თავის მოყრა ჩვენი საერთო ცხოვრების დამახასიათებელია: ჩვენს მწერლებს არა ჰქონდათ არჩეული ერთი გარკვეული პროფესია, ისინი თავიანთ ნიჭსა და ცოდნას ერთი გარკვეული მიმართულებით არ ამუშავებდენ, მათ იტაცებდა მრავალფეროვნება და ყოველმხრივობა. კულტურული

---

[1]) ან. ფურცელაძის შესახებ ქართულ ლიტერატურაში სხვადასხვა აზრია გავრცელებული; ისტორიული სისწორით მისი სოციალ-პოლიტიკური სოფლმხედველობა ჯერ არ ყოფილა დაფასებული. არ. ჯორჯაძემ თავის ინტელიგენციის მასალებში ვერ გამოიჩინა მიუდგომლობა და არსებითად დაემორჩილა იმ მოწინააღმდეგეთა დებულებებს, რომლებთანაც კამათი უხდებოდა ან. ფურცელაძეს. ცნობილია, რომ 1863 წელს, როდესაც გამოვიდა პირველად ილია ჭავჭავაძის ჟურნალი „საქართველოს მოამბე", ანტონ ფურცელაძემ მის წინააღმდეგ გაილაშქრა (იხ. ქერელი ბექას წერილები 1863 წ. „ცისკრის" მარტისა და იულისის ნომრებში). ეს ფაქტი საბუთს აძლევს ჯორჯაძეს მკაცრად მოეპყროს ან. ფურცელაძეს და გაჰკიცხოს მისი „ტაქტიკა", მაგრამ ამ „გაკიცხვის" დროს ჯორჯაძეს გამოეპარა ან. ფურცელაძის სოციალ-პოლიტიკური სოფლმხედველობა და მისი ძირითადი საფუძვლები. რასაკვირველია, 1861-63 წლებში მომხდარი შეტაკების დროს ან. ფურცელაძის ადგილი იყო ახალი თაობის რიგში, „საქართველოს მოამბის" ბანაკში, და არა დრომოჭმულ „ცისკრის" ორგანოში. მიგ-

ძალების უქონლობის გამო ჩვენი მწერალი იძულებული ხდება ყოველ ფრონტზე აწარმოოს ბრძოლა, ყოველი მიმართულებით დახარჯოს თავისი ცოდნა და შემოქმედება. ანტონ ფურცელაძეც ვერ ასცდა ამ საერთო პირობებს და მანაც თავისი ცოდნა და შემოქმედება მრავალი მიმართულებით სცადა.

ამ ნარკვევში გვაინტერესებს, რასაკვირველია, ანტონ ფურცელაძის სოციალ-პოლიტიკური იდეალები და უმთავრესად კი სოციალისტური შინაარსის ის გეგმები, რომლითაც ის საქართველოს ეკონომიური წყობილების მოწესრიგებას ცდილობდა [1]).

ამ ნარკვევის შესავალში ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ანტონ ფურცელაძე არის ერთგვარი გარდამავალი ხიდი ჩვენში ლიბერალური სოციალიზმიდან წვრილბურჟუაზიულ—ნაროდნიკული სოციალიზმისაკენ. ეს არის ერთი დამახასიათებელი თვისება ანტონ ფურცელაძის პოლიტიკური აზროვნებისა, უკეთ: მასში თავმოყრილია ელემენტები

ხედავად ამისა, ანტონ ფურცელაძეს არ ულალატნია თავისი პრინციპებისათვის და „ცისკრის" საშუალებით შემოჰქონდა ჩვენში რადიკალური და დემოკრატიული აზრები. აღსანიშნავია, რომ ან. ფურცელაძემ 1863 წ. ქერელი ბექას ფსევდონიმით პირველად ჩვენს ლიტერატურაში გაარჩია დ. ჭონქაძის „სურამის ციხე" და აღნიშნა მისი დიდი მნიშვნელობა. ან. ფურცელაძე სწერდა: „სურამის ციხემ" დასცა ზარი, დაუბადა ტანში ქრუანტელი სიძველისა და სიცრუის მქადაგებლებსა, აუმღერია სისხლი, დაასია ესენი დაწინაურებულ აზრების პატრონებზე. პატარა ხანს შეშინებული კონსერვატორები გამოვიდნენ ისევ ასპარეზზე და დასცეს თავის საყვირი; ამალას თავის თანამოძმე და მომხრე ხალხის მიაგებეს დაფნის გვირგვინი... ქვემოელ ეკვთიმე წერეთელს (მამაა გიორგი წერეთლისა. ს. ხ.), ბერიძეს, რჩეულოვს და სხვა ამგვარ უნიჭოს და კონსერვატორს მწერლებს" (იხ. ქერელი ბექას წერილი „ცისკარში". № 1, გვ. 115—16, 1863 წ.). ან. ფურცელაძე დაახლოებით 1867 წლამდე სწერდა „ცისკარის" ფურცლებზე და იცავდა თავის რადიკალურ სოფლმხედველობას. ბოლოს მან „დროებაში" სცადა თანამშრომლობის დაწყება, მაგრამ, უთანხმოების გამო, თავი დაანება მას და 1869 წლიდან ჟურნ. „მნათობის" უახლოესი თანამშრომელი გახდა. 1873 წლიდან იგი „გუთნის დედის" რედაქტორი და უახლოესი თანამშრომელი იყო. თავისი პროგრესიულ-რადიკალური აზროვნებით ან. ფურცელაძემ უკვე 60-იანი წლების დასაწყისიდან გაილაშქრა ძველი თაობის დახავსებული აზროვნების წინააღმდეგ.

[1]) ჩვენ ამ ნაშრომში არ ვეხებით ან. ფურცელაძის მხატვრულ ნაწერებს. მისი დემოკრატიზმი და სიყვარული ხალხისადმი ნათლად არის გამოხატული მთელს რიგ მის ნაწერებში. მოთხრობა „ეკი მართალთა" იმ მხრით არის საინტერესო, რომ ავტორმა მოინდომა ქართველი „სოციალისტების" ტიპი დაეხატა და პარიზის კომუნისაკენ გაესტუმრებინა. როგორც გადმოგვცემენ, ამ მოთხრობაში ან. ფურცელაძემ ორი ქართველი: ცნობილი ნაროდნიკი მ. ყიფიანი და მარიამ კერესელიძე აიღო ტიპებად.

როგორც უტოპიური სოციალიზმისა, ისე ნაროდნიკული აზროვნებისა. ერთის მხრით, იგი თითქოს ითავისუფლებს თავს ევროპის სოციალიზმის გავლენისაგან და გადადის ნაროდნიკულ ნიადაგზე, მეორეს მხრით კი იგი ჩვენში არც ინდუსტრიის განვითარების საჭიროებას უარყოფს და ამით ღალატობს ნაროდნიკულ პრინციპებს. იგი გარკვევით აყენებს მიწის განსაზოგადოების პროგრამას, მიწის სოციალიზაციის პროგრამას, მაგრამ იმავე დროს არ ერიდება თეორიული და პრაქტიკული არგუმენტაციებით დაიცვას მრეწველობის საჭიროება და კაპიტალისტური ინდუსტრიის განვითარების პროექტიც-კი წამოაყენოს. თუ სწორია ჩვენი დებულება, რომ საქართველოში ევროპული და უტოპიური სოციალისტური სისტემების ქვეშ თავს აფარებდა ახლადწარმოშობილი ბურჟუაზიული ინტელიგენცია, რომელიც ფაქტიურად საქართველოსთვის უპროლეტარო კაპიტალიზმის განვითარების პროგრამას აყენებდა, ამ მხრით ანტ. ფურცელაძე სამოციანი და სამოცდაათიანი წლების ქართული ლიბერალური სოციალიზმის ტიპიური წარმომადგენელია. მაგრამ ფურცელაძე საინტერესოა იმ მხრითაც, რომ იგი უკრიტიკოდ იღებს რუსული ნაროდნიკების მიწის განსაზოგადოების პროექტს და ამასთანავე ნაროდნიკული პარტიის ჩამოყალიბებაში აქტიურ მონაწილეობას იღებს.

ანტ. ფურცელაძის პოლიტიკური მოღვაწეობის სწორედ დამახასიათებელია ის ფაქტი, რომ სამოციანი წლების ჩვენ მოღვაწეთა რიგებიდან მან პირველმა, და შეიძლება ერთადერთმა, მიიღო მონაწილეობა საქართველოში გარკვეული მრწამსის მატარებელი რევოლუციონური პარტიის ჩამოყალიბების საქმეში... 70-იანი წლების საზოგადო მოღვაწე და ბელეტრისტი-ნაროდნიკი სოფრომ მგალობლიშვილი თავის მოგონებებში გადმოგვცემს:

„1873 წლიდან ქ. გორში დაარსდა სოციალ-რევოლუციონური (ხალხოსნური) საიდუმლო წრე, რომელმაც მიზნად დაისახა გაეცნო ხალხისათვის მთავრობის მავნე წეს-წყობილება, ჩაეხედებინა გლეხობა თავის ცხოვრებაში, დაერწმუნებია იგი, რომ უმამულოდ მისი განთავისუფლება ძველ ბატონ ყმობაზე უარესი იყო, რომ ამ გარემოებამ გლეხი უფრო ყურ-მოჭრილი ყმა გახადა ნაბატონარისა. ამ განზრახვით მაშინ ჩვენ არალეგალური წიგნაკები ვთარგმნეთ, ვავრცელებდით და უკითხავდით ხალხსა. ანტონ ფურცელაძე, რომელიც მაშინ ტფილისში იყო და მუშა ხელოსანთა შორის მუშაობდა ეგნატე იოსელიანთან და ზაქარია ჭიჭინაძესთან ერთად, გახდა გორის წრის სუ-

ლი და გული. ერთად ვმუშაობდით და ვცდილობდით მოგვეწყო სტამბა სოფ. ტყვიავში, არა ლეგალური წიგნაკების საბეჭდად, ტყვიაველი მღვდელის ვასილ სამადაშვილის ბინაზე. ამან იცოდა ასოთ ამწყობობა და ბეჭდა „მნათობის“ რედაქციიდან. საბეჭდავი ხელის მანქანა და ასოები „მნათობის“ რედაქციიდან, რომელიც იმ ხანებში დაიხურა, მოგვაწოდეს. საქმე ასატრიალებლად იყო მომდგარი, მაგრამ გვიჯავშუშეს, და ეს დაწყობილება ჩაგვეშალა. მღვდელი სამადაშვილი და ჩვენ ციხეში ჩაგვსვეს“ [1]).

ვინაიდან ჩვენ ამ ნაწილში არ ვეხებით ფართოდ რევოლუციონური პარტიების პრაქტიკულ მოღვაწეობას, არამედ უმთავრესად გვაინტერესებს სოციალისტური აზროვნების ევოლუცია ჩვენში, ამიტომ ფართოდ არ განვიხილავთ ანტ. ფურცელაძის მუშაობას აღნიშნულ პარტიაში. საკმარისია იმ ცნობის მოყვანაც, რომ იგი პრაქტიკულად მონაწილეობას იღებდა გარკვეული რევოლუციონური პარტიის რიგებში, როგორც ერთ-ერთი მისი ხელმძღვანელი. მაგრამ ანტონ ფურცელაძე არა მარტო პრაქტიკულად, არამედ ლიტერატურის საშუალებითაც ავრცელებდა ჩვენში სოციალისტურ აზრებს [2]).

ამ მხრით საინტერესოა ორი მისი წერილი: „ჩ ვ ე ნ ი ს ა ლ ტ ო ლ ვ ე ლ ო“ (1871 წ.), რომელშიაც მოთხრობილია ევროპის უტოპიური სოციალისტების (ოვენის, სენ-სიმონის, ფურიეს, ბაბიოფის, ლუი ბლანის, პრუდონის) მ ო ძ ღ ვ რ ე ბ ა თ ა შინაარსი, და „მ ა მ უ ლ ი ს ს ა ე რ თ ო მ ფ ლ ო ბ ე ლ ო ბ ა“, რომელიც მოთავსებული იყო 1874 წლის „გუთნის დედა“-ში (№ 9, 10 და 11).

პირველ წერილში ავტორი არ იძლევა მარტო სოციალისტური სისტემების ისტორიას, იქ იგი თავის საკუთარ პრინციპიალურ შეხედულებებსაც გვამცნევს საზოგადოებრივი ცხოვრების შესახებ. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ რუსეთში პირველად დასავლეთ ევროპის სოციალისტურ მოძღვრებათა ისტორიას შეეხო ვ ლ. მ ი ლ ი უ ტ ი ნ ი 1847 წ. „ოტეჩესტვენი ზაპისკის“ ფურცლებზე, სადაც მოთავსებული იყო მისი საყურადღებო წერილი: „პროლეტარები და პაუპერიზმი“ [3]).

---

[1]) სოფრომ მგალობლიშვილი: „მოგონებანი“, „ქართული სიტყვა“, № 16, 1924 წ. აგრეთვე მისივე „სოციალ-რევოლიუციონური მოძრაობა საქართველოში 1870 წ. — 80 წ.“, ჟურ. „რევოლიუციის მატიანე“, № 4 — 5, 1924 წ.

[2]) ზევით ჩვენ უკვე გავეცანით ან. ფურცელაძის შეხედულებას ლასალის თეორიაზე (იხ. გვ. 103 — 108).

[3]) Пажитнов: „Развитие социалистических идей в России“, ტ. 1, გვ. 51.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოში ამ როლის შესრულება წილად ხვდა ანტონ ფურცელაძეს 1871 წ., როდესაც ის შეეცადა ქართველი მკითხველი საზოგადოებისათვის გაეცნო ევროპის უტოპიური სოციალისტების სისტემები

ფურცელაძე იმ დროის სოციალ-ეკონომიური მდგომარეობის შესახებ აღნიშნულ წერილში წერდა:

„კაცის ცხოვრება იმავე დასაწყისიდან დადგა იმ ბრუდე გზაზედ, რომ ძალმომრეობა, მოტყუება და სხვის ოფლით ცხოვრება შეიქმნა პირველი უნჯი კაცისა. ამან დაჰბადა ის წესი, რომ ასე უწყალოდ დატრიალდა ზოგიერთების ხელში აუტანელი ქონება და ზოგიერთი კი დარჩნენ სრულიად უბინოთ და უსაზრდო; და ეს მდგომარეობა და უთანასწორობა ისე მრავლდება თვით უგანათლებულესს ქვეყნებში, რომ თუ მეცნიერება არ შეუდგა ამის თავდარიგს, კაცობრიობას რიგიანი ბოლო არ მოელის... მეტის-მეტმა ეკონომიურმა და საზოგადოებრივმა უწესოებამ დაჰბადა ის საშინელი უბინაო და მშიერი ხალხი, რომელსაც ვხედავთ ჩვენ დასავლეთს ევროპაში“ [1]).

უნდა აღინიშნოს,რომ ანტონ ფურცელაძე ამ წერილში თანამედროვე სოციალ-ეკონომიური წყობილების ახსნაში ვერ შეედრება გრ. თარხან-მოურავის და „დ რ ო ე ბ ი ს“ თანამშრომლის შეხედულებებს. ფურცელაძეს ამ მიმოხილვაში არა აქვს გარკვეული ეკონომიური კონცეპცია. უნდა ითქვას ისიც, რომ მისი თერმინოლოგია და პროლეტარიატის სოციალ-ეკონომიური მდგომარეობის ახსნა არ არის გარკვეული. მიუხედავად ამისა, ანტონ ფურცელაძე სხვებზე არა ნაკლებად წერდა და ქადაგებდა სოციალისტური პრინციპების შესახებ.

სად უნდა ვეძიოთ გამოსავალი ასეთი უკეთესმართი სოციალ-ეკონომიური წყობილებიდან? რას ფიქრობენ ამის შესახებ დაწინაურებული ევროპის მოაზრენი? ანტონ ფურცელაძე ვრცლად იხილავს სოციალისტური აზროვნების ვითარებას ევროპაში: იგი წერს:

„განათლებულს ქვეყნებში დიდი ხანია შესდგომიან საქმისა, შრომისა და საცხოვრებლის საზოგადოებაში თანასწორ განაწილების გამოკვლევას. ყველა (?) ეკონომისტები ჰხედავენ საცხოვრებლის და საქმის ურიგოდ განაწილებას, მაგრამ სხვა და სხვა საგნებში ეკონომისტთა შორის მოხდა უთანხმოება. დაწინაურებული მოაზრეები (ავტორს მხედველობაში ჰყავს სოციალისტები) ამტკიცებენ, რომ ეხლან-

---

[1]) ანტ. ფურცელაძე: „ჩ ვ ე ნ ი ს ა ლ ტ ო ლ ვ ე ლ ო“, ჟურნ. „მ ნ ა თ ო ბ ი“ (მაისი), 1871 წ. გვ. 98.

ეროვნული

დელი ხალხის ეკონომიური მდგომარეობა სრულებით შესაწყნარებელი არ არის და უნდა საძირკვლიანად მოითხაროს და ახალ ეკონომიური მდგომარეობა დაწესდესო. უფრო დავარდნილი (?) მოაზრეები (ე. ი. ბურჟუაზიული) ამტკიცებენ, რომ ეხლანდელი ეკონომიური მდგომარეობა სამართლიანია და ცვლილება უნდა მხოლოდ ზოგიერთ მეტისმეტად თვალში საცემს უწესოებათაო...

„ამ გვარის (უწესო) მდგომარეობის მოსასპობლად დაიწყეს წერა და ქადაგება მრავალთ მოაზროვნეებმა (სოციალისტებმა), რომელთ სიტყვა და ქადაგება შემძლებელის ხალხისა და ევროპის მმართებლობასათვის არის ჯერაც აქამდის ამაო. მაგრამ ამათმა (სოციალისტების) სწავლამ აგრძნობია მუშას და სხვა გაჭირვებულ ხალხს თავისი უსამართლო მდგომარეობა და თან და თან თავს ადებინებს იმათ“ [1])

შემდეგ ავტორი ქართველ მკითხველებს აცნობს ოვენის, ფურიეს, ბაბიოფის, სენ-სიმონის, პრუდონისა და ლუი ბლანის სოციალისტური სისტემების შინაარსს.

აქ საინტერესოა მოვიყვანოთ ავტორის ზოგიერთი შეხედულება უტოპიური სოციალიზმის მამამთავრებზე. რობერტ ოვენს ფურცელაძე ეხება ვრცლად და, სხვათა შორის, წერს:

„ოვენმა ნიუ-ლენერგში მოსპო თავისი ქცევით სიღარიბე, სიზარმაცე, უშვერება, სიბრიყვე, სალახანაობა, ქურდობა, ავაზაკობა, ჩხუბი და გინება და სხვა ბოროტებანი, რომელნიც მკვიდრად იყვნენ აქაურს მცხოვრებლებში დანერგილნი. ამ ბოროტების ნაცვლად დაჰბადა იმან აქ, ამ წამხდარს და დაცემულს ხალხში, მხნეობა და ბეჯითობა საქმეში, ზომიერი და პატიოსნური ყოფა-ქცევა, ძმური სიყვარული, კეთილი ცხოვრება, ზრდილობა და სხვა მრავალი სიკეთენი, ერთის სიტყვით იმ გვარი ცხოვრება, რომელიც გამოისახვის შემდეგის რუსთაველის სიტყვებში: „თხა და მგელი ერთად სძოვდეს“.

გადმოგვცემს რა ოვენის მოძღვრების შინაარსს, ავტორი განაგრძობს:

„სხვათა შორის ოვენი ჰქადაგებდა, რომ რადგან თვით კაცზედ არ არის დამოკიდებული იმისი სიცუდე და სიკარგე, იმის ღირსება და ულირსეულობა, ამის გამო არ უნდა იყვეს უმცროს-უფროსობა

[1]) ან. ფურცელაძე: „ჩვენი სალტოლველო“, ჟურნ. „მნათობი“, 1871 წ. (მაისი), გვ. 98 — 99.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არც ხარისხით, არც ჭკუით, არც ქონებით და სხვ. მხოლოდ ქმრსა და თანასწორულს ცხოვრებაში შეუძლიანთ კაცთ ტკბილად და ბედნიერად ცხოვრება... რობერტ ოვენმა ამ თვისის სწავლით შეიძინა მრავალი მტერი, რომელნიც სცდილობდენ, რომ ყოველი ჩირქი მოეცხოთ იმისა და მისი სწავლისათვის და თქმა ალარ უნდა, რომ უშვერსა და ანგარების მოყვარე ხალხში იმან სრულებით დაჰკარგა ყოველი ღირსება. მაგრამ იმისი სწავლა' არ დარჩა უნაყოფოთ და რაც ხანი გადის — იმდენი უფრო ჰპოვებს მიმდევრებს" [1]).

ფურიეს მოძღვრების დახასიათებას ავტორი წინ უმძღვარებს თავის შეხედულებას; იგი წერს:

„ეხლანდელი მდგომარეობა, როგორც მე ზემოთაც ვსთქვი, არის იმ გვარი მდგომარეობა, რომ თითქმის მომეტებული ნაწილი ხალხისა ან სულ უსაქმურად არის, ან ამისთანა საქმეზედა სდგას, რომელიც არავის სასარგებლო არ არის, ან სცხოვრებენ სხვის კისერზედ და სხვის ოფლით. მაშასადამე, სიღარიბეც აუცილებელი უნდა იყვეს, რადგან არ არის საკმაო მუშა ხელი, რომ საკმაო საზრდო გამოიტანონ ჩვენი ბუნებიდან. ამის გარდა ბევრს კაცს სრულებითაც არა აქვს იმ საქმის ხალისი და ნიჭი, რომელზედაც სდგას, და აქვს სხვა საქმის ნიჭი და ხალისი. ამასთან თითქმის ყველას ნიადაგ ერთს საქმეზედ დგომით მობეზრებული აქვთ საქმე და მეტადრე თუ ეს საქმე მალე მოსაწყენიც არის. ან კიდევ ზოგი კაცი სულ იმ გვარს საქმეს ადგია, სადაც ან უნდა მარტო სხეულით უნდა იმუშაოს, ან მარტო გონებით.

„ამის გულისათვის ფურიე ამბობს, რომ ახალ წესდებულებაში ყოველი კაცი უნდა ადგეს იმ საქმეს, რომელიც საჭიროა, როგორც ღლევანდელი, ისე ხვალინდელი კაცის ცხოვრებისათვის. ყველა უნდა აკეთებდეს იმ საქმეს, რომლისაც ნიჭი და ხალისი აქვს. ამასთან უნდა ყოველ კაცს ხშირად ეცვლებოდეს საქმე, რომ ერთს საქმეზედ დგომით ან გონებით არ დაჩლუნგდეს, ან სხეულით არ მოუძლურდეს, რომ კაცი ხან გონების სამუშაოს ადგეს, ხან სხეულისას" [2]).

სენ-სიმონის შესახებ ავტორი წერს:

„ამ სიღარიბესა და შევიწროებაში იმან (სენ-სიმონმა) დაიწყო გამოკვლევა, თუ რაში მდგომარეობდა უბედურება სიღარიბისა და

[1]) ან. ფურცელაძე: „ჩვენი სალტოლველო", ჟურნ. „მნათობი", 1871 წ. (მაისი), გვ. 100 — 102.

[2]) იქვე, 103.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რითი უნდა გამოლსნილიყვნენ აქედან ლარიბები. ამან ის ნახა, რომ უბედურებიდან გამოსასველად ერთი ლონეა, რომ უსაქმური არავინ იყვეს, ერთი მეორეს კისერზედ არ აწვეს, ყველა სასარგებლო საქმეზე იყვეს და იდგეს ყველგან ძმური თანასწორობა ქონებასა და წოდებაში. ის ამტკიცებდა, რომ ეხლანდელი ქრისტიანები ალარ ადგანან ნაშდვილს ქრისტეს, რომელიც ჰქადაგებდა ძმობასა და თანასწორობას, როგორც ქონებაში, აგრეთვე წოდებაში. ამ სენ-სიმონმა თავისი სწავლით ბევრში გახსნა და გაუადვილა ეხლანდელ მუშებს ასსოციაციების დაწყობილების გზა და ალსრულებაში მოიყვანა" [1]).

ქვევით ავტორი ეხება პრუდონსა და ლუი ბლანს და დაასკვნის: „ამავე აზრების შემუშავებამ დაჰბადა წესი სამუშაო ასსოციაციებისა (ამხანაგობებისა), რომელიც ასე ვრცელდება მთელს ევროპაში" [2]).

რასაკვირველია, ჩვენ ეს ციტატები იმისათვის არ მოგვიყვანია, რომ მკითხველს გავაცნოთ უტოპიური სოციალისტების მოძღვრება: ამ ციტატებით მკითხველი ვერ გაიცნობს უტოპიურ სოციალიზმს. ჩვენი მიზანი სულ სხვა არის: ჩვენ გვინდა ვუჩვენოთ მკითხველს, თუ როგორ იდგამდა ჩვენში ფეხს სოციალისტური აზროვნები და რა სახით უხსნიდენ ჩვენი მოწინავე პირები ევროპის სოციალისტურ მოძღვრებას ჩვენს საზოგადოებას. ის, რის შესახებაც ესაუბრებოდა მკითხველ საზოგადოებას ანტ. ფურცელაძე 1871 წ. თავის წერილებში, ახალი ხილი იყო ქართველი საზოგადოებრივი აზროვნებისათვის: ჩვენმა მკითხველმა საზოგადოებამ მხოლოდ გაკვრით მოისმინა ნ. ინაშვილის წერილებიდან სოციალიზმის და მისი მეთაურების მოძღვრებათა შინაარსი. აქ კი ფურცელაძე ვრცელ წერილში ახასიათებს სოციალისტურ სისტემებს და უხსნის მკითხველს მათ დადებით მხარეებს. ავტორს ერთი მთავარი მიზანი აქვს დასახული — დაარწმუნოს ჩვენი საზოგადოება ახალი მოძღვრების სიდიადესა და სიმშვენიერეში, ევროპის ახალი მოძღვრების სარგებლიანობაში. ფურცელაძე დაასკვნის: „აი რა გზაზედა სდგას ევროპის საუკეთესო (ავტორი გულისხმობს სოციალისტებს) მეცნიერნი და რასა სცდილობს რიგიანი სწავლა. რიგიანი სწავლა არ სჯერდება მარტო იმას, რაც

---

[1]) ან. ფურცელაძე: „ჩვენი სალტოლველო", ჟურნ. „მნათობი", 1871 წ. (მაისი), გვ. 105.

[2]) იქვე, გვ. 105.

დღეს არის, რიგიანი სწავლა სცდილობს ყოველივე ძველი ეროვნული გისი დაჰფუტკნოს (?) და ახალი კარგი დაჰბადოს"[1]).

როგორი არის თვით ავტორის შეხედულება? მომხრეა თუ არა იგი „ცხოვრების საძირკვლიანად შეცვლისა?" იმავე წერილში ანტონ ფურცელაძე წერს:

„მძლავრისა, ოსტატისა, უსინდისო, გაუმაძღარისა და დაუნდობელის ხალხით ქვეყანა სავსეა. არა თუ თითო საზოგადოების წევრთა შორის მოქმედებს ეს ყველანი მოვლინება, თვით სახელმწიფოების შორისაც ეს მოვლინება ისე ჩვეულებრივია, რომ ძვირად თუ ვისმე ეხამუშება ესა. ძნელი საფიქრებელია, რომ ხალხი უმანკო, მტრედებათ იქნეს იმ მდგომარეობაში, რომელშიაც ვხედავთ ახლა ჩვენს ქვეყანას. არც ეს არის დასაჯერებელი, რომ მარტო თვითოეულს კაცხედ იყვეს დამოკიდებული კაცობრიობის ბედნიერება. კაცობრიობა მხოლოდ მაშინ იქნება ბედნიერი, როდესაც იმისთანა წესი და ადათი დატრიალდება კაცის ცხოვრებაში, რომ ერთს აღარ ექნება ღონე მეორეს გაცარცვისა, ან მოტყუებისა, როდესაც ყველა კაცი იქნება მტკიცედ ჩაყენებული თავის სიმართლეში და არ იქნება საჭიროება სხვისი სიმართლის დარღვევისა; როდესაც დარწმუნებული იქნება, რომ თვით შრომას და ღვაწლს ვერავინ წარსტაცებს და წაართმევს და ვერავინ მოატყუებს, მაშინ არავისათვის საჭირო არ იქნება სხვისი ცარცვა, მოტყუება და სხვის კისერზედ წოლა. ამ გვარ წესს კიდეც შეუძლია დაჰბადოს იმ გვარნი კაცნი, რომელნიც შეიქნებიან ღირსად დამცველნი კაცის სიმართლისა და არ დაბრკოლდებიან არავითარის გარემოების წინ კაცთა წარმატებისათვის. ამ გვარი წესი აცნობებს თან და თან ყველა კაცს ამ გვარი ცხოვრების სარგებლობას და მაშინ ყველა ასწონავს და იცნობს, რომ აბის სიმართლე მაშინ იქნება დაცული, როდესაც ეს თითონაც დაიცავს სხვის სიმართლეს"[2]) (ხაზი ჩვენია. ს. ხ.).

აქ ანტონ ფურცელაძე თავის სოციალისტურ შეხედულებას ვამოსთქვამს. მართალია, ეს სოციალისტური მოსახრებანი არ არის

[1]) ან. ფურცელაძე: „ჩვენი სალტოლველნო", ჟურნ. „მნათობი", 1871 წ. (მაისი), გვ. 106.

[2]) იქვე. გვ. 97.

გარკვეულ სახეებში ჩამოყალიბებული, მართლია, ჩვენი ავტორის თერმინოლოგია მოიკოჭლებს, მაგრამ მაინც უდაოდ უნდა ჩაითვალოს ის, რომ ანტონ ფურცელაძე სოციალისტურ ნიადაგზე სდგას და არ მოსწონს არსებული კაპიტალისტური წესწყობილება. ანტონ ფურცელაძე თავისი სოციალისტური კონცეპციების შემუშავების დროს აუცილებლად განიცდის უტოპიური სოციალისტების დიდ გავლენას. არ. ჯორჯაძეს ვერ გაუგია სისწორით ფურცელაძის შეხედულებანი და ფიქრობს, ფურცელაძე უტოპიური სოციალისტების მოძღვრებას არ იღებს მთლიანადო. ეს არ არის მართალი. ის სიტყვები ფურცელაძისა, რომელსაც ეყრდნობა ჯორჯაძე [1]), არსებითად არ შეეხება მხოლოდ უტოპიურ სოციალიზმს. ფურცელაძეს მხედველობაში ჰქონდა ევროპა, მთლიანად აღებული თავისი წყობილებით და სხვადასხვა სახის მოძღვრებით. ფურცელაძე წერდა: „დიდი სიფრთხილე გვმართებს ჩვენ, რომ არ შეეიქნეთ ბრმა მონა ევროპის ბაძვაში. იქ როგორც ბევრი კარგია, ისე ბევრი ცუდია " [2]). პირველ შემთხვევაში ავტორს მხედველობაში აქვს სოციალისტური მოძღვრება, ხოლო მეორე შემთხვევაში ევროპის ეკონომიური წყობილობის საფუძველზე აღმოცენებული უსამართლობანი. ფურცელაძე პირდაპირ მოგვიწოდებს შევითვისოთ ევროპის სოციალისტური მოძღვრება და გავყვეთ მის გზას. იგი უკმაყოფილოა, რომ „ჩვენ ჯერ-ჯერობით ევროპის ცუდი მხარის მეტი არა მიგვიღია რა და სიკეთე მისი მხოლოდ ქირად გვესმის და ან არა გვჯერა, სასაცილოდა და სათაკილოდ მიგვაჩნია" [3]). ამიტომ ავტორი გარკვეით მიგვითითებს: მიბაძეთ ევროპის დაწინაურებულ პირებს და გადმოინერგეთ იქიდან ჩვენში მათი სოციალური სისტემებიო:

„ზემოთ მოყვანილ მაგალითებიდან მკითხველი ნახავს, რომ ჩ ვ ე ნ (ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს) ს წ ა ვ ლ ა ს დ ა ც ხ ო ვ რ ე ბ ა ს უ ნ დ ა ს ა ფ უ ძ ვ ლ ი ა ნ ა დ შ ე დ გ ო მ ა დ ა ს ა ძ ი რ კ ვ ლ ი ა ნ ა დ შ ე ც ვ ლ ა. ა მ ი ს ა თ ვ ი ს გ ვ მ ა რ თ ებ ს დ ი დ ი მ ხ ნ ე ო ბ ა დ ა ს ი მ ა რ ჯ ვ ე. ა ნ გ ე ლ ო ზ ობ ა, მ ტ რ ე დ ო ბ ა ჩ ვ ე ნ თ ვ ი ს გ ა მ ო უ ს ა დ ე გ ა რ ი ა. ბ ა ვ შ ვ ო ბ ი დ ა ნ უ ნ დ ა გ ა მ ო ვ ი დ ე თ, თ უ გ ვ ი ნ დ ა, რ ო მ ჩ ვ ე ნ ს ც ხ ო ვ რ ე ბ ა ს ბ ო ლ ო ა რ მ ე ე ლ ო ს" [4]).

---

[1]) ჯორჯაძე. ტ. V, გვ. 155.

[2]) ა. ფურცელაძის წერილი, გვ. 106

[3]) იქვე, გვერდი 107.

[4]) იქვე.

ჩვენი ცხოვრების „საძირკვლიანად შეცვლის“ საქმეში, ფურცელაძის მოსაზრებით, დიდ დახმარებას გაგვიწევს ევროპის სოციალისტების სწავლა და მოძღვრება. მათი სოციალისტური სისტემების მიბაძვით ჩვენ შევძლებთ ჩვენი ცხოვრების საფუძვლიანად შეცვლას და გაუმჯობესებას.

აქაც ანტონ ფურცელაძე უტოპიური სოციალიზმის გავლენის ქვეშ არის. რაციონალისტურად ცხოვრების მოწყობისა და გაუმჯობესების ცდა უტოპიური სოციალისტების თეორიის დამახასიათებელია. ფურცელაძეც სავსებით იზიარებს რაციონალისტურ თეორიას. იგი წერს: „სწავლამ უნდა გაუხსნას და გაუღვიძოს კაცს გონება, სწავლამ და გამოცდილებამ უნდა დაანახოს კაცს გაჭირვება და გაჭირვებისაგან გამოხსნის ღონის ძიება“ [1]). თუ ნამდვილ სწავლას შესაფერისად შევითვისებთ და მის დასკვნებს საფუძვლიანად გავატარებთ ცხოვრებაში, ამით ჩვენ კაცობრიობას ვიხსნით სილატაკისაგან და გავანთავისუფლებთ პიროვნებას ყოველგვარ მონობისაგან.

ასე აზროვნობს ჩვენი ავტორი. მან არ იცის, რომ საზოგადოებრივ ცხოვრებას განვითარების კანონები აქვს, რომელთა გარდაქმნა და ძლევა „რაციონალიზმის“ საშუალებით შეუძლებელია. ისტორიული საზოგადოებრივი ცხოვრება ვითარდება თავისი შინაგანი კანონების ძალით და როგორი პროექტებიც არ უნდა იმუშავოს საზოგადოებრივი ცხოვრების გარდასაქმნელად მოაზროვნემ, იგი (ცხოვრება) მაინც თავისი გზით იწყებს დენას. ფურცელაძის აზროვნებით კი შესაძლებელია, მაგ., ბატონყმური ურთიერთობიდან პირდაპირ სოციალისტურ წყობილებაში გადასვლა, თუ ხელთ გვექნება შესაფერი სოციალური პროექტი და თუ მოვისურვებთ მისი საშუალებით ცხოვრების გარდაქმნას. ჩვენმა ავტორმა კარგად იცის, რომ კაცობრიობის მოწინავე პირები (ქრისტე, მოციქულები, მიუნცერი და სხვ.) დიდი ხნიდან ცდილობდენ ცხოვრების სამართლიან საფუძვლებზე მოწყობას, მაგრამ მათ ვერ მიაღწიეს თავიანთ მიზანს; ამის უმთავრესი მიზეზი იყო ის, რომ მათ არ იცოდენ თანამედროვე მეცნიერება და თვითონ პროექტებს რელიგიის საფუძვლებზე ამენებდენ. საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნა კი შესაძლებელია მტკიცედ განსაზღვრული მეცნიერული დასკვნების მიხედვით. „ამ გვარსავე (ფიზიკის, ქიმიის, ფიზიოლოგიის და სხვ.) სამეცნიერო

[1]) ან. ფურცელაძის წერილი, გვ. 90.

საფუძველსა ჰსაჭიროებდა სწავლა ხალხთა სიმართლის აღდგენისა, ძმობისა, ერთობისა და თანასწორობისა, და არა ბუნების გარეშე ძალაზე (ე. ი. რელიგიაზე. ს. ხ.) დამყარდნულ ქადაგებაზე. ამ გვარ აზრზედ დაადგნენ მხოლოდ ბოლოს, მეტადრე როცა დაუწყეს შემუშავება პოლიტიკურ ეკონომიას, როცა მიეცა ძალა და დაუწყეს მეცნიერული გამოკვლევა სოციოლოგიას, ანუ საზოგადოებათა მეცნიერებას. აი, ამ მეცნიერებათ გვიჩვენეს, რომ უმთავრესი კაცის დამღუპველი უთანასწოროებისა და მდიდარ-ღარიბობის დამბადი გახდა ის წესი, როდესაც კაცმა უწყო დასაკუთრება ბუნების მომნიჭელობათა და მეტადრე ისა, როდესაც ეს საკუთრება გარდაიქცა საშეილიშვილო სამკვიდროებათ. დღეს, რასაკვირველია, შესდგომიან ამის დარღვევას და იმ გვარათ დაწყობას, რომ აღარ იყვეს უსეები, იმდენად მაინც, რამდენათაც ამას ჰსაჭიროებს ხალხის თანასწორობა ცხოვრებასა და წოდებაებში" [1]) (ხაზი ჩვენია. ს. ხ.)

თავის მეორე წერილში („მამულის საერთო მფლობელობა", გაზ. „გუთნის დედა", 1874 წ.) ან. ფურცელაძემ გარკვეული პროექტი წამოაყენა „საქართველოს ცხოვრების საძირკვლიანად შეცვლის შესახებ". ამ პროექტის მთავარი შინაარსი მიწის განსაზოგადოებაა. აქაც ფურცელაძე ვრცლად აკრიტიკებს კაპიტალისტურ წყობილებას და არკვევს მის უვარგის მხარეებს.

კაპიტალისტური წყობილების კრიტიკა ერთ-ერთი დამახასიათებელი მომენტია ჩვენი 60-იანი და 70-იანი წლების „ლიბერალ-სოციალისტების" აზროვნებისა; საერთოდ უნდა ითქვას, რომ კაპიტალისტური წყობილების კრიტიკაც გამოსავალი წერტილია თანამედროვე სოციალისტური სისტემებისათვის: თანამედროვე სოციალიზმი, უტოპიური თუ მეცნიერული, კაპიტალიზმის კრიტიკაზე აშენებს თავის სოციალისტურ სისტემას. ჩვენი „უტოპისტებიც" ამ კრიტიკიდან ვამოდიან. ამიტომ მეტი არ იქნება ერთხელ კიდევ გავიცნოთ ფურცელაძის შეხედულება (კრიტიკა) თანამედროვე კაპიტალისტურ წყობილებაზე [2]).

---

[1]) ან. ფურცელაძე: „მამულის საერთო მფლობელობა", გვ. 20. დაწერილია 1874 წ. (იხ. „გუთნის დედა", № 9, 10 და 11. 1874 წ.).

[2]) საინტერესოა ან. ფურცელაძის მეორე ციტატა, რომელშიაც იგი შრომის ღირებულების საზომით აკრიტიკებს კაპიტალისტურ ურთიერთობას. აქ ვკითხულობთ: „შემძლებელების ექსპლოატაცია არის უსამართლო ჯერ იმით, რომ გაჭირ-

ჩვენს ავტორს კარგად აქვს შეთვისებული სამეურნეო ფორმათა განვითარების ისტორია. მან იცის, რომ პირველყოფილი წყობილება შესცვალა მონობამ; ამ უკანასკნელს მოჰყვა ბატონყმობა, ფეოდალური საზოგადოებრივი წყობილება. ბატონყმურ წყობილებას კი სცვლის კაპიტალისტური ურთიერთობა.

„ევროპის ხალხმა, რომელნიც არიან კაცობრიობის ყოველი გონებით მოძრაობის თავსა, იგრძნეს ამისი (ბატონ-ყმობის) სიმძიმეც, ალელვდენ, გაინძრენ და მოშალეს ბატონ-ყმობა. მაგრამ რაკი უფლება არ დაიჭირა თვითონ ამ ხალხმა, ანუ ვერ მოახერხა ამ წყობილების მოხმარება, მისცა ხელთა უფლება ისევ ძველს თავის გამგეებს, რომელთაც აღიარეს სრული პირადი თავისუფლება კაცთა, მისცეს ძალა შეძლებას, აღიარეს ბატონათ ქონება, ანუ, უკეთ ვსთქვათ, კაპიტალსა. ქონების დასაცველად დასდეს მკვიდრი კანონები, აქ იწყო სრული თავისი ძალის გამოჩენა ქონებამ. რასაკვირველია, რაკი ხალხმა არ დაიჭირა ძალა ხელთ, არ დასდო ისეთი წესი, რომ ერთმანეთზედ ამაღლება და ერთმანეთის გამორჩენა შეუძლებელი ყოფილიყო შემდეგ და უფლების მქონე კაცთ ისარგებლეს ამით და დასდეს ისეთი წესი (კაპიტალიზმი), რომელმაც გადააქარბა მონობაც და ბატონობაც. ეს წესი არის ბატონობა ქონებისა, ანუ, უკეთა ვსთქვათ,

---

ვებულებს სწოვენ თავისი სარგებლით უკანასკნელს ტვინსა და ხელთ იჭერენ იმათს ჯანს, იმათს შრომას, როდესაც თვითონ არავითარი შრომა არ მიუძღვით თავიანთი ფულების სარგებლების აღებაში, მაშინ, როდესაც ფული, კაპიტალი, საქონელი ჰფასობს მხოლოდ იმითი, რომ ისინი არიან შრომის ნაყოფნი, რასაც არ ადვეს შრომა, არცა აქვს ფასი. მაშასადამე, ვისაც ეშრომნია, ნაყოფიც იმისი უნდა იყვეს. მაგრამ აკ რას ვხედავთ? ღარიბნი შრომობენ, მაშასადამე, ჰბადებენ შრომის ნაყოფს, და ამ ნაყოფით ჰსარგებლობენ მდიდრები, რომელნიც თავის ფულში, რომელიც ეგრეთვე შეუძენიათ ამავე ღარიბთა შრომით, ართმევენ სარგებელში, ესე იგი ეშრომლათ, იმათს ნაშრომსა და ნაღვაწს, რომ კვალად ამავე იმათის ნაღვაწით და ნაშრომით, ისარგებლონ იმათივე შრომით, ესე იგი იყოლიონ ნიადაგ მონათ და რჩებოდნენ ნიადაგ თვით ეშრომლათ სხვების შრომით". („გუთნის დედა", № 6, 1875 წ. მეთაური წერილი: „სასარგებლონი არიან ხალხისათვის სასოფლო-სამეურნეო ბანკები თუ არა?").

ეს შრომის ღირებულების თეორია და მისი საზომით კრიტიკა კაპიტალისტური წყობილებისა ახალი მოტივი იყო იმ პერიოდში ანტონ ფურცელაძის პუბლიცისტიკისათვის, როგორც ხედავთ დავინახეთ, ამ თეორიას გადაჰრით იცავდა ჩვენში გრ. თარხან-მოურავი, რომელიც ევროპის უტოპიური სოციალისტების ნიადაგზე იდგა.

კაპიტალისა. ქონება და კაპიტალი დატრიალდა ზოგიერთების ხელ-
ში“... „რაც ხანი გადის იმდენი სარჩო, მამულები და ქონება გადის
ხალხის ხელიდან და ტრიალდება თითო ოროლა კაცის ხელში. რაკი
სიმდიდრე შედის სრულს თავის ძალაში, მაშინ ჩნდე-
ბა ბრძოლა ქონების პატრონთა შორისაც და ძლევა,
რაღა თქმა უნდა, რჩება კიდევ დიდი ქონების პატ-
რონს, დანარჩენი შემძლე კაცის სარჩოც თან და
თან გადადის უფრო და უფრო იმათზე შემძლეთა
ხელში და ღარიბი ხალხის რიცხვს თან და თან
ემატება, და თითო ოროლა მდიდარნი უფრო და უფ-
რო მდიდრდებიან.

„მომეტებული ნაწილი ხალხისა დარჩა უსახ-

როთ, ულონისძიებოდ, არა აქვს საკუთარი სამუშაო.
ამის გამო უნდა მიმართონ იმათ სამუშაოთ შეძლე-
ბის მქონე კაცთა. შეძლების მქონე კაცთ უჭირავთ მუშა ხალხი,
მაგრამ იმდენი კი არა, რამდენიც მთხოვნელი მუშა ხელია. ამასთან
ამ შეძლების კაცთა გაიჩინეს მაშინაც, რომელიც თითონ აკეთებს ასი
და ათასი კაცის საქმეს; მაშასადამე, ეს აიყვანს მხოლოდ იმდენსა, რამდე-
ნიც ამას (კაპიტალისტს) უჭირს; სხვები (მუშები) რჩებიან უმუშაოთ,
ულუკმა პუროთ.... ფულისა და სხვა შეძლების პატრონი-
სათვის პირველი საზრუნველი ის არის, რომ მუშა
კაცი აქციოს სრულს თავის ქონებათა და მონათ,
სწუწნის იმის ჯანსა და ღონეს, მინამ შეუძლიან იმას
ამის საქმეს კეთება; რაკი აღარ შეიძლებს და სხვები
მრავალნი თხოულობენ ამის (მუშის) ადგილს, მაშინ
იმათ (მუშებს) აიყვანს და დაუწყებს ახლა ამათ ჯანს
და ღონეს წოვასა. ამ გვარს მდიდართაგან ხალხის წუწვნას
ეწევა თან და თან ახალ-ახალი მაშინების მოგონება და შემოღება,
რომელნიც უფრო და უფრო ამცირებენ მუშა ხალხის საჭიროებას
ქარხნებში და მამულებში. მაშასადამე, ქონების პატრონს
დღევანდელი წესი არ აიძულებს, რომ დაზოგოს ხალ-
ხი, მისცეს იმოდენა მაინც სამუშაო ფასი, რომ იმას
ნახევარ მაძღრითაც შეეძლოს თავისი შენახვა: იმას
(კაპიტალისტს) აქვს კანონად მხოლოდ გაძლიერება
თავისი სარჩოსი და ქონებისა, და რამდენიც უფრო
და რამდენადაც უფრო ხანგრძლივ და იაფად ამუ-

შავებს მუშებს, იმდენი უფრო გაიზრდება ამის ქონება და შეძენა"[1]). (ხახი ჩვენია).

მკითხველი დამეთანხმება, რომ მოყვანილ კრიტიკაში ანტ. ფურცელაძე კაპიტალისტური ეკონომიკისა და სოციალური ურთიერთობის გარკვეულ სურათს იძლევა. მას კარგად ესმის, რომ კაპიტალისტური ურთიერთობის პროცესში, ერთის მხრით, ხდება კაპიტალის (ქონების — ავტორის ტერმინოლოგიით) კონცენტრაცია მცირეთა ხელში, ხოლო მეორეს მხრით, — ასიათასეული მცხოვრების პროლეტარიზაცია; მას ესმის, რომ პროლეტარს თავისი ფიზიკური ენერგიის მეტი არაფერი გააჩნია, რომ კაპიტალისტი არ აძლევს მუშას თავისი შრომის სრულ ღირებულებას, რომ კაპიტალისტის მიერ ქონების გაზრდა ხდება მუშა-ხალხის ექსპლოატაციის საშუალებით. ეს ფაქტები მოწმობს, რომ ფურცელაძე საკმაოდ იცნობდა დასავლეთ ევროპის ეკონომიურ და სოციალისტურ ლიტერატურასაც და შეიძლება მარქსის ეკონომიურ მოძღვრებასაც, რომლის „კაპიტალი" რუსულად 1872 წელს გამოვიდა[2]).

---

[1]) ანტ. ფურცელაძის წიგნაკი: „მამულის საერთო მფლობელობა", გვ. 7—11, ან „გუთნის დედა", 1874 წ. №№ 9, 10 და 11.

[2]) რასაკვირველია, იმის კატეგორიულად მტკიცება, რომ ან. ფურცელაძე იცნობდა მარქსის კაპიტალს აღნიშნულ პერიოდში, ძნელია. მაგრამ რამდენიმე საბუთი მაინც საბაბს გვაძლევს ამაში დავეჭვიანდეთ: რამდენადაც შეგვეძლო დავკვირვებოდით, 1872 წლამდე ან. ფურცელაძე არ ეხება შრომის ღირებულების თეორიას და კაპიტალისტური წყობილების კრიტიკის დროსაც მოიკოკლებს. 1873 წლიდან მისი წერილები „გუთნის დედა"-ში მიგვითითებენ ავტორის თეორიულ გადახრას შრომის ღირებულებისაკენ. 1875 წ. იგი სწერს:

„ჩვენ ძველი ეკონომიური სკოლის მიმდევარნი გვეუბნებიან, რომ ფასის (ღირებულების. ს. ხ.) საძირკველი არიან მოთხოვნილება და გასაღება (спрос и предложение)... ჩვენ ვამბობთ, რომ მოთხოვნილება და გასაღება აბრუნებენ ფასს და არ არიან თვითონ ფასის საძირკველი. ჩვენ ვამბობთ, რომ ამ ფასის ბრუნვაში (აწევ-დაწევაში) აქვს ძალა ყველა მოთხოვნილებას კი არა, მხოლოდ შემძლებელს მოთხოვნილებას. ფასის საძირკველი, თვით ფასი არის საკმეხვედ მოხმარებული შრომა, კაცის ხელი და გონება. არ იშრომა კაცმა, არ არის ნაყოფიც, თუნდა რომ მილიონი მთხოვნელიც იყვეს. ყოველს ერთი დროს დამცადინეობის შრომას აქვს ერთი ფასი, რასაც არ ადევს კაცის შრომა, ის არ არის ფასიანი" (იხ. „გუთნის დედა", № 9, 1875 წ. წერილი: „ბანკების მნიშვნელობა").

ფულის შესახებ ავტორი სწერს: „ფული არის შრომა მუშა ხელისა, ფულათ გადაქცეული, ანუ გადაქცეული იმგვარ ნივთათ, რომელიც არცა ცვდება

მაგრამ ეს ფაქტი ნათლად მოწმობს იმასაც, რომ ჩვენი ავტორი ალარ ურიგდება თეორიულად ევროპაში შექმნილ კაპიტალისტურ ურთიერთობას და იგი დამღუპველად მიაჩნია ხალხისათვის, აქედან გამომდინარეობს მისი მიწის განსაზოგადოების პროექტიც.

როგორი მდგომარეობაა შექმნილი ჩვენში, ფურცელაძის აზრით?

„მართალია, წერს ავტორი, — ამ უკანასკნელამდის (ე. ი. კაპიტალისტურ წყობილებამდე) ჩვენში ჯერ საქმე არ მისულა, რადგან ჯერ არც ხალხი გამრავლებულა ჩვენში ისე და არც ქონება დატრიალებულა ასე უწყალოთ თითო-ორეულის ხელში; მაგრამ ჩვენც ამ კვალს ვადგივართ და თითქმის სხვებზედ უფრო ადრე, რადგან ჩვენში უფრო ადრე დამკვიდრდა მამულების და ქონების დასაკუთრება, და ამ მამულებისა და სხვა ქონების საშვილის-შვილო დამკვიდრება, რომელიც ზემოთაც ეჩვენეთ მკითხველებს, იყო პირველი მიზეზი ამ გვარი უსწორობისა და მომეტებული ნაწილი ხალხის უბედურებისა“ [1]).

მაგრამ ეს რომ არ მოხდეს, რომ არ განვითარდეს ჩვენში კაპიტალისტური ურთიერთობა, რომელიც გაყვლეფს სოფლის გლეხობას, გაბდის მას უმიწაწყლო ბოგანოდ, ხოლო, მეორეს მხრით, გაამდიდრებს მამულის და ქონების პატრონების მკირეოდენ რიცხვს, ამი-

---

არცა ფუჭდება. ფული, როგორც ვიცით, გადაქცეულა შრომის ეექვილათ. რაკი ახლა ეს ვირთა ფურცლები იღებენ ფულის სახეს, ამის გამო ესენიც, ცხადი საქმეა, ჰხდებიან შრომის ეექვილები“. „ჩვენ ვიცით, რომ ფასი არის შრომა, ამის გამო ფული იმდენათ არის ნაშრომის ფასი, რამდენათაც ეს ფული შეიცავს შრომას“ (№ 10). ადვილი შესაძლებელია, რომ ეს შრომის ღირსებულების თეორიები ფურცელაძემ მარქსის „კაპიტალი“-დან ამოიღო და თავისებურად შეითვისა.

[1]) ანტ. ფურცელაძე: „მამულის საერთო მფლობელობა“, გვ. 12. თავის მეორე წერილში ან. ფურცელაძე წერდა იმავე საკითხის შესახებ:

„წინა წერილში მოხსენებულთ ჩვენი გაბრიოკების მიზეზთა უნდა დაურთოთ კიდევ ისა, რომ რამდენიც გვიახლოვდება ევროპიული ცივილიზაცია, იმდენი უფრო ჰმოქმედებს ის ჩვენზედ როგორც დამჩაგრავი მოელინება. თქმა ალარ უნდა, ამ ცივილიზაციისა, ოომ კარგი მხარე ჰმოქმედებდეს ჩვენზედ და შემოდიოდეს ჩვენში იმისი სიკეთე, ჩვენ ის კი ვერ დაგვჩაგრავდა, დიდს წარმატებას მოგვცემდა, რათგან ჩვენი გონების გარეშეობა არ არის უცხო თავის ფიზიოლოლიური წყობილებით ამ მოვლინებათათვის. მაგრამ გვჩაგრავს ჩვენ ისა, რომ ამ ცივილიზაციის ჩვენამდის მოდის და ჩვენ გვეხება მხოლოდ ცუდი მხარენი, რათგან ცუდი უფრო ადვილი მისაღებია და ამასთან პირველ ქამად სასიამოვნოცა, ვიდრემ კარგი. სხვათა შორის ამ ევროპის ცივილიზაციის ცუდი მხარის მიბაძვამ ჩვენში გაალვიძა მრავალი მოთხოვნილებანი, მეტადრე მალალს და შუათანა წოდებაებში,

სათვის საჭიროა მიწების განსაზოგადოება, მათი სოციალიზაცია [1], ავტორი ვრცლად იხილავს იმ შედეგებს, რომელიც შეიძლება გლეხკაცობისათვის მოჰყვეს ჩვენში მამულის არაშესაფერის განაწილებასა და კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარებას. ჩვენ აქ არ მოვიყვანთ ფურცელაძის არგუმენტაციებს, ვიტყვით მხოლოდ, რომ ფურცელაძე ამ წერილში წვრილი მესაკუთრე გლეხების ინტერესების საზომით უყურებს საკითხს და სწორედ აქ სჩანს მისი ნაროდნიკული გადახრა, მისი წვრილ-ბურჟუაზიული მიდრეკილება. ფურცელაძე ამ შემთხვევაში, როგორც ნაროდნიკი, ნათლად ხედავდა, ევროპაში კაპიტალისტურმა განვითარებამ როგორ გაანადგურა წვრილი მეურნე და ხელოსანი, როგორ ჩაითრია ისინი ერთიან კაპიტალისტურ ურთიერთობაში და გალატაკების გზაზე დააყენა. ფურცელაძეს ეშინია სოფლის გლეხობის გაპროლეტარებისა და ამიტომ ის რუსეთის ნაროდნიკებისაგან და ბარონ ჰაკტჰაუზენისაგან ნასესხები მიწის მოწესრიგების პროექტით ცდილობს ამ უბედურების თავიდან აცდენას.

„აქ მთელი ის ხალხი, სადაც არის დაცული საერთო მფლო-

საიდამაც ედება დაბალს საზოგადოებასაც; მაგრამ ეს მოთხოვნილებანი ვერა ჰკმაყოფილდებიან ჩვენის უშვერებისა და უმეცრებისა გამო. მოთხოვნილებანი თანდათან ჰმატულობენ, და სწავლა ჩვენი არის იმავე გარემოებაში, რაშიაც იყო მამა თარგამოსის დროს. ყველა, რაც ძალი და ლონეა იწევს, რომ დიდ მდიდრაჯულს ცხოვრებაში და კოტტაპრუწოობაში უკან არავის ჩამორჩეს, და საზრდოს შეძენის საბსარი კი არავინ იცის და ვერც არავისაგანა სწავლობს. ამას ყველას მოსდევს მარად ცვლები და ცარცვა ადგილ მამულისა (იხ. ჟურ. „გუთნის დედა", № 17, 1873 წ. წერილი: „სასოფლო წერილები").

[1]) ჩვენს ავტორს გარკვეული აქვს წარმოყენებული ხალხის თვითმართველობის გეგმები. მიუხედავად იმისა, რომ თავისი მიწის სათემო მფლობელობის პროექტის განხორციელების საქმეს ადმინისტრაციასა და მმართველობას ანდობდა (იხ. ქვეით), ფურცელაძემ მაინც წამოაყენა გარკვეული საბით ხალხისთვის მართველობის იდეა. იგი წერდა: „ყოველი ეს გარემოებანი თხოულობენ საძირკვლიანათ შეცვლას ჩვენი ცხოვრებისას, თუ გვინდა, რომ ჩვენი მეურნეობა წავიდეს იმ გზაზედ, რომელიც მიანიჭებს ნამდვილს ბედნიერებას ხალხს და ჩამოაგდებს ბულს ახალ ცხოვრებისას. ჩვენი ეკონომიური და გონებითი მდგომარეობა ისეა ერთმანეთზედ გადაბლართული, რომ ორივეს ცვლილება ერთათ უნდა დაიწყოს... იქ, სადაც ხალხი არის ნიადაგ სხვების ხრუნვის ქვეშ, და თვითონ ფერო მიგდებულია თავის საკუთარ საქმეებზედ, იქ ყოველთვის დაცემულა და გახრიოკებულა ხალხი; სადაც ხალხი თვითონ ყოფილა თავის საქმეების თაოსანი და საქმის მზრუნველი, იქ ხალხი ყოველთვის ყოფილა დაწინაურებული და წარმატებაში" („გუთნის დედა", № 17, 1873 წ.).

ბელობა, თავის დღეში არ დარჩება უსარჩოოდ და ექნება ყოველთვის ცხოვრების სახსარი. აქ იგივე მაშინები, რომელნიც დღეს მდიდრების ხელში ჭლუპავენ ღარიბ ხალხს, დაემორჩილებათ მუშაობაში ხალხს და ამით შეუსუმბუქებენ ამათ ცხოვრებას და შრომას. ამ გვარი წესით წავა წარმატებაში სასოფლო მეურნეობაც და ასწევს ერთი ათად და ერთი ასათ ხალხის კეთილ დღეობასა. თუ არ იქნება ჩვენში ამ გვარი წყობილება, რომელიც ეხლა ავწერეთ, ან იმ გვარი წყობილება მაინცა მამულების მფლობელობისა, რომელიც არის რუსეთის მრავალ სოფლებში და რომლებიც აგრეთვე ჩვენ ავწერეთ ზემოთ, სასოფლო მეურნეობის სახალხო საბოლოვო შეუძლებელია და უნდა დაეცეს, და წავა წარმატებაში მხოლოდ დიდი შეძლების პატრონთა მეურნეობა, რომელნიც მოუღებენ ბოლოს წვრილ მეურნეობას და წვრილ მამულებისპატრონს" [1]).

ვიმეორებთ: აქ ანტონ ფურცელაძე მეტყველებს, როგორც წვრილი მესაკუთრის იდეოლოგი, როგორც დამცველი წვრილი გლეხობისა და მისი სამეურნეო ინტერესებისა [2]). მაგრამ, თუ ამ გლეხური იდეოლოგიის სოციალურ საშოს ჩვენი წვრილი მესაკუთრე გლეხი

---

[1]) „გუთნის დედა" № 17, 1873 წ., გვ. 30 — 32.

[2]) როგორც ქვევით დავინახავთ უფრო ვრცლად, ჩვენ ქართველი ნაროდნიკების სოციალურ საფუძვლებს ვეძებთ ჩვენი წვრილი მესაკუთრის ეკონომიურ წყობასა და ინტერესებში. მონანიების გრძნობებით შეპყრობილი ქართველი ინტელიგენტი დიდად ჩაეფიქრა ქართველი გლეხის ეკონომიურმა მდგომარეობამ და განსაკუთრებით კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარების შიშმა; აქედან წარმოსდგა ის, რომ ჩვენი ნაროდნიკული ინტელიგენცია ცდილობდა შემაფერხებელი ბედელი აღემართა კაპიტალისტური წარმოების განვითარებისათვის და დაეცვა ჩვენი გლეხის, როგორც წვრილი მესაკუთრის, ინტერესები. ჩვენი ავტორის ერთ წერილში პირდაპირ ვკითხულობთ:

„აქამდის ჩვენი სასიხარულო ის იყო, რომ თითქმის არა გვყვანდა პროლეტარი. მაგრამ ახლა თუ გავიხედეთ კარგათ მომავალში და ჩავაცქერდით იმ გარემოებათა, რომელშიაც ჩვენ თანდათანა ეცვივდებით, ჩვენში პროლეტარი კი არა, და პაუპერიზმიც აუცილებელია. მე არას ვიტყვი ამაზედ, რომ მცირე, მამულის პატრონთა ნაყმევნი დარჩნენ უმამულოთა; არას ვიტყვი ეგრეთვე იმაზედ, რომ სხვათა თუმცა მიეცა ნადელი, მაგრამ ეს ნადელი უნდა შეისყიდონ კაი რიგიანი ფასითა, რომელსაც მოუნდება ვალად აღება და რომლისაც გადაბდას ძვირათ თუ შესძლებს ვინმე, და ამათი ნადელი უნდა დარჩეს მოვალეებსა; მე მხოლოდ გირვნებთ, გარეშე ამისა, სხვა მიზეზებზედ, რომელთაც უეჭველია მოსდევს პროლეტარი და პაუპერიზმი. ...მომეტებულს ნაწილს ჩვენი მამულის მეპატრონეთ გლეხთა თუ თავად-აზნაურთა ჰმართებთ იმდენა ვალი, რომ ამათი მამულები არ აუვათა ამ

წარმოადგენდა, თეორიულად მიწის განსახოგადოების დებულებები ჩვენმა ავტორმა რუსეთის ნაროდნიკებისაგან ისესხა. დღეს უკვე ფაქტია, რომ რუსეთის „ობშჩინა" რუსეთის სოციალისტური აზროვნებისათვის პრუსიის კონსერვატორმა ბარონ ჰაკტჰაუზენმა აღმოაჩინა 1843 წ. უკეთ რომ ვთქვათ, მან პირველმა დაუკავშირა რუსეთის თემის ეკონომიური სტრუქტურა დასავლეთ ევროპის უტოპიური სოციალიზმის იდეებს[1]). შემდეგ ნაროდნიკულმა სოციალიზმმა თავისი გამოსავალი წერტილი ჰაკტჰაუზენის მიერ აღმოჩენილ თემში დაინახა. ჩვენი ავტორიც უხვად სარგებლობს თავის წიგნში (გვ. 21-26) ჰაკტჰაუზენის ცნობებით და დასკვნებით რუსეთის თემის შესახებ და, როგორც ზევით დავინახეთ, ჩვენშიც საჭიროდ მიაჩნია მიწის ასეთივე განსაზოგადოების შემოღება. საბოლოო დასკვნით ჩვენი ავტორი რუსეთის ნაროდნიკული ინტელიგენციის (ჩერნიშევსკი, ჰერცენი და სხვ.) გავლენის ქვეშ დგება და მისი არგუმენტაციაც მიწის საკითხში აღნიშნული მწერლების თეორიულ მოსაზრებებს ეყრდნობა[2]).

ვალსა. მომეტებული ნაწილი ამ მამულების შემოსავლისა მიდის ვალების სარგებელში და რამდენიც ხანი გადის, იმდენი მოკლების მაგივრად, ემატებათ ამ ვალებსა. ეჭველია, თუ ეს გარემოებანი და სახოგადო დაწყობილებანი არ შეიცვალნენ, დღეს იქნება თუ ხვალ წავა ჩვენი ხელიდამ, და ჩვენ ვნახავთ ჩვენს თავს ამ ჩვენს მამულში, რომელისაც ყოველი ნაბიჯი არის მორწყული მამაპაპის სისხლით, იმაზედ ფარეს მდგომარეობაში, რომელშიაც არის დღეს ირლანდელი და სხვა ხოგიერთა დასავლეთი ევროპისა და ინგლიზეთის პროლეტარი—პაუპერები. იქაურს ემამულო ხალხს კიდევ აქვს გზა რამე ღონის ძიებით, შიგა და შიგ მაინც არ მოიკლას თავი შიმშილითა: მიჰმართავს ქარხნებს და სხვა სამუშაო ადგილთა. მაგრამ ჩვენ რა გვრჩება, თუ მამული ხელიდან გაუშვეთ?" (იხ. „გუთნის დედა", № 14[4] 1873 წ. ა. ფ-ს წერილი: „სასოფლო წერილები").

ეს წერილი მეტად საინტერესო გასაღებს გვაძლევს იმ იდეოლოგიის სოციალური ფესვების გამოსაცნობად, რომელსაც ეყრდნობოდა აღნიშნულ პერიოდში ან. ფურცელაძე და მთელი პლეიადა ქართველი ნაროდნიკებისა.

[1]) Пажитнов: „Развитие социалистических идей в России", ტ I, გვ. 72.

[2]) ჩვენში, ზოგიერთი ძველი ლიტერატორის გადმოცემით, ანტონ ფურცელაძეს პრუდონის მიმდევართა რიცხვში ათავსებდენ. ყოველ შემთხვევაში ერთი აშკარაა, რომ ჩვენი ავტორი არ იზიარებდა პრუდონის წვრილ-ბურჟუაზიულ უტოპიას ბანკების დიდი როლის შესახებ სილარიბის მოსპობის საქმეში. ფურცელაძე წერდა:

„ბანკებს არავითარი სასწაული არა აქვთ. ბანკები ყოველთვის იყვნენ, ყოველან და იქნებიან ამგვარი წყობილებანი, რომელნიც სხვის ფულებს, რომელთაც მასესხი ანუ უკეთა ვთქვათ, ამ ბანკების თავი უპირონ, იზიდამენ თავისთან და სხვა გაჭირებულის ფულებით მდიდრდებიან თვითონ და ამდიდრებენ

ამიტომ არის, რომ ანტონ ფურცელაძე თუ ერთი ფეხით ევროპის უტოპიური სოციალიზმის ნიადაგზე სდგას, მეორე ფეხი რუსული ნაროდნიკული სოციალიზმის საფუძვლებზე აქვს დაყრდნობილი.

ამიტომ არის, რომ იგი არ არის ტიპიური რუსული ნაროდნიკული აზროვნების მიმდევარი. ეს განსაკუთრებით მტკიცდება იმ დებულებით, რომელიც წამოაყენა მან ვაჭრობა-მრეწველობის შესახებ. შემცდარი იქნება, თუ ვიფიქრებთ, რომ ან. ფურცელაძეს არ ესმოდა ვაჭრობა-მრეწველობის მნიშვნელობა ერის ცხოვრებაში. წინააღმდეგ, 1769-71 წლებში დაწერილ წერილში იგი ხაზგასმით იცავს იმ დებულებას, რომ მრეწველობა, აღებ-მიცემობა უდიდეს როლს თამაშობს ერის ცხოვრების წარმატების საქმეში. „ჩვენს სალტოლველოში" (1871) იგი წერს:

„ავიღოთ კიდევ აბრეშუმი და ბამბა, რომელნიც ჩვენში სიუხვით მოდიან. რაკი ჩვენ არ ვიცით არც ჩითებისა, არც ფარჩების ქსოვა და იმათი შემზადება, მიდის სხვა ქვეყანაში ჩალის ფასად და მერმე გამზადებულს სახმარისად ვღებულობთ თითქმის ოქროს წონად. ცოდნა რომ გვქონდეს და გვქონდეს ჩვენში ყოველივე ჩვენი ნაყოფიერების გადასამზადებელი და გადასახალისებელი ქარხნები (ფაბრიკები), მაშინ ამ გვარ სიძვირეს ჩვენ არ ვნახავდით, და არც მიწა მოგვიმცირდებოდა (?), რადგან ჯერ ერთი ესა, რომ დაგვრჩებოდა სხვა ქვეყნებში გატანის ფასი, მერე იქიდან ისევ გამოტანის ფასი, გამტან-გამომტანების მოცდენის ფასი, ამ მოცდენის მოგების ფასი და სხვ... მესამეც ესა, რომ რაკი სიაფე იქნებოდა, ჩვენ უფრო გამძლარნი და უფრო შემოსილნი და შესუმბუქებული (?) ვივლიდით ქვეყნებში და სწავლისაც უფრო და უფრო მარჯვე დრო და შეძლება გვექნებოდა"[1].

თავიანთ პატრონებსაც. სხვა ძალა ბანკებს არავითარი არა აქვთ რა: როგორც ერთი კაცი ვერ გაბედიდრდება, რომ სხვებს სარჩო არ მოაკლდეთ და არ დალარიბდნენ, ისე ბანკი ვერ წავა წარმატებაში, თუ სხვებს არ მოაკლდათ ისა, რაც ბანკს და ბანკის პატრონებს ემატებათ. მინამ ამ უბრალო აზრის და ბანკის ძალას მიხვდებოდნენ, თვით ეპირატესი პირნი ევროპაში იყვნენ იმ შეცდომილებაში, როგორც შეეცე და ეგონათ, რომ ბანკით გამდიდრება არის რაღაც საკვეული, რომელიც ჰბადებს ქონებას და ამდიდრებსო; თვით პრუდონსაც კი სჯეროდა ეს ძალა ბანკში, მაგრამ ბოლოს მიხვდნენ, რაც ძალა ჰქონდა ბანკებს". („ეუთნის დედა", № 1, 1875 წ.).

[1] ანტ. ფურცელაძე (ზ. მოვნიძე) „ჩვენი სალტოლველო", ჟურნ. „მნათობი" (მაისი), გვ. 93 — 94, 1871 წ.

მეორე ადგილას, 70-იან წლებში დაწერილ წიგნაკში, იგივე კუ-ტორი სწერდა: „ყველა ამ ნათქვამებიდან ცხადია, დავარდნილი ხალ-ხი, თუ უნდა რომ არ აღიგავოს პირისაგან ყოვლისა ქვეყნისა ამ საშინელს ჩუმსა, მაგრამ უფრო შეუწყნარებელს, ვიდრე სხვა ოიგი ბრძოლაა, ეკონომიურ ბრძოლაში, უნდა იმან მედგრათ მოჰკიდოს ხელი მექარხნობას, მრეწველობას, კომერციას და თან მიაყოლოს მიწათ-წაღმართობა. უფრო კიდევ მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს ვაჭრობა-მექარხ-ნეობა-მრეწველობას და ერიდოს მარტო მიწის-წაღ-მართობაზედ დანდობას, რომელსაც, როგორც ზევით უჩვენეთ, მოჰზდევს ერისათვის საშინელი ბოლო"[1]) (ხაზი ჩვენია. ს. ხ.)

მკითხველმა უნდა იცოდეს, რომ ასეთი ენით რუსეთის ნაროდ-ნიკები არ ლაპარაკობდენ ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებისა და მნიშვნელობის შესახებ. მათი კონცეპცია მრეწველობისა და ვაჭრობის საკითხში დიდად გასხვავდებოდა ან. ფურცელაძის შეხედულებისაგან. ამიტომ ჩვენთვის ნათელი არის, რომ ან. ფურცელაძე არ არის ტი-პიური ნაროდნიკი: იგი აერთებს რუსულ ნაროდნიკულ თეორიასა და ევროპის უტოპიურ სოციალისტურ სისტემებს. აღსანიშნავია სწო-რედ ის გარემოება, რომ თუ ფურცელაძის გლეხური გატაცება და მიწის სოციალიზაციის პროგრამა აიხსნება რუსეთის ნაროდნიკებისა და რუსული სოციალიზმის გაელენით, საერთოდ მრეწველობის რო-ლის აღნიშვნაში მას დიდი სამსახური გაუწიეს, ევროპის სოციალის-ტებმა. ამიტომ ვამბობთ, რომ ანტონ ფურცელაძე არის ერთგვარი გარ-დამავალი ხიდი ჩვენი ლიბერალური სოციალიზმიდან ნაროდნიკული სოციალიზმისაკენ. აქ არის მისი ისტორიული დამსახურება და როლი.

როგორც მკითხველს ეხსომება, ანტ. ფურცელაძე მრეწველობის როლის შესახებ აქ ამბობდა იმას, რასაც ამბობდენ მისი თანამედრო-ვენი, განსაკუთრებით გრ. თარხან-მოურავი[2]) და მოსე ქი-ქოძე[3]). ჩვენ საკმაო ფაქტებით დავამტკიცეთ ზევით, რომ ჩვენი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენელნი 60 — 70-იან წლებში

---

[1]) ანტ. ფურცელაძეის: წიგნაკი: „კაცობრიობა და ხალხოსნობა", გვ. 68.

[2]) თარხან-მოურავი: „ჩვენი სიღარიბის მიზეზი", გაზ. „დროება", № 8. 1870 წ.

[3]) მოსე ქიქოძე: წერილები „მნათობში", 1870 — 71 წ.

Б.К. Компартии Грузии Библиотека

სრულიად არ იყვნენ ჩვენში ვაჭრობა-მრეწველობის განვითარების წინააღმდეგნი: მათ ეშინოდათ ვაჭრობა-მრეწველობის იმ საშინელი ფორმებისა და შედეგების, რომელიც ამ ვაჭრობა-მრეწველობამ მიიღო დასავლეთ ევროპაში, ამიტომ ჩვენი პუბლიცისტები ფაქტიურად უპროლეტარო კაპიტალიზმის განვითარებას მოითხოვდენ ჩვენში; ეკონომიურად და სოციალურად ასეთი პროგრამის წამოყენება აშკარა უტოპია იყო. იმ ეპოქაში ვაჭრობა-მრეწველობის განვითარება შესაძლებელი იყო მხოლოდ კაპიტალისტური ფორმებით და შინაარსით. მასთანავე ამ კაპიტალისტურ ეკონომიკაზე უნდა აღმოცენებულიყვნენ გარკვეული სოციალური კლასები — ბურჟუაზია და პროლეტარიატი, და ისეთივე საზოგადოებრივი ურთიერთობა უნდა დამკვიდრებულიყო მათ შორის, როგორიც არსებობდა ევროპის კონტინენტზე. მიიღებდენ თუ არა ჩვენში ვაჭრობა-მრეწველობა და სამეურნეო ცხოვრების სხვა დარგები ასოციაციის ფორმებს, ჩვენი ეკონომიკის არსებითი შინაარსი მაინც კაპიტალისტური სტრუქტურის მიხედვით განვითარდებოდა: ეკონომიურ ურთიერთობაში საქმეს სჭრის არა ფორმა მეურნეობისა, არამედ მისი არსებითი შინაარსი. კიდეეაც რომ განხორციელებულიყო „დროების" თანამშრომლების, გრ. თარხან-მოურავის, მ. ქიქოძის, ანტ. ფურცელაძის და სხვათა სამრეწველო ასოციაციების პროექტები, ფაქტიურად ეს ასოციაციები ნამდვილი კაპიტალისტური ურთიერთობის შინაარსს მიიღებდენ და სწორედ ამ გზით შეუწყობდენ ხელს ჩვენი ეკონომიკის განვითარებას. ვაჭრობა-მრეწველობა, კომერცია, თუგინდ ასოციაციებისა და არტელების ფორმებში, რომელიც წამოაყენა მოწინავე ინტელიგენციამ 60 — 70-იან წლებში, არსებითად იყო ბურჟუაზიულ-რადიკალური ინტელიგენციის მოთხოვნა. ეს პროგრამა უაღრესად პროგრესიული და რევოლუციონური იყო ჩვენი მაშინდელი პირობებისათვის[1]).

---

[1]) 80-იან წლებში ილ. ჭავჭავაძემ ჩვენში გაამეფა მიწისა და გუთნის პოლიტიკა. 1882 წ. ერთ თავის მიმოხილვაში იგი წერდა:

„ისტორია მარტო იმ ერს ეკითხება, რომელსაც მიწაზედ ფეხი უდგას და ხელი გუთანს უკლია. თავდაპირველი შემომქმედი ეროვნებისა და ერის სიმდიდრისა მარტო გუთანი და მიწა ყოფილა და იქნება კიდეც" („ივერია", № 7, 8, გვ. 281, 1882 წ.). მკითხველი დაგვეთანხმება, რომ მიწისა და გუთნის ეკონომიური პოლიტიკის წამოყენება 80-იან წლებში არსებითად რადიკალური გადახვევა იყო იმ მნიშვნელოვანი სავაჭრო-სამრეწველო პლატფორმიდან, რომელიც წამოაყენა 60—70-იანელმა ჩვენმა ინტელი-

ანტონ ფურცელაძეც ვერ ასცდა ამ საერთო მდგომარეობას: იგი მოითხოვდა უპროლეტარო კაპიტალიზმის განვითარებას ჩვენში, ვაჭრობა-მრეწველობის გაჩაღებას კაპიტალისტური სოციალ-კლასობრივი ურთიერთობის განვითარების გარეშე. ეს, რასაკვირველია, უტოპია იყო, მაგრამ სწორედ ეს უტოპიური აზროვნება არის დამახასიათებელი ჩვენი 60 — 70-იანი წლების მოწინავე ინტელიგენციისა. აღსანიშნავია ანტონ ფურცელაძის ეკონომიურ-სოციალური აზროვნების გაორება: ერთის ხელით იგი კაპიტალიზმს აკრიტიკებდა, მეორე ხელით ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებას მოითხოვდა; კაპიტალისტური ეკონომიკა ერთის მხრით დამლუპველად მიაჩნდა ჩვენი ერისათვის, მეორეს მხრით — აუცილებელ საჭიროებად, თუმცა სხვა ფორმებით; ერთის მხრით იგი სოფლის წვრილ-მესაკუთრის ინტერესებს იცავდა, ებრძოდა კაპიტალისტებს და აყენებდა მიწის სოციალიზაციის პროექტს, მეორე მხრით — ვაჭრობა-მრეწველობის ინტერესების დამცველად გამოდიოდა და უპროლეტარო კაპიტალიზმის პროგრამას იცავდა.

ამ თავის თეორიას ან. ფურცელაძე არც 90-იან წლებში გამოთხოვებია. 1895 წ. გაზ. „ივერიაში" მან გამოაქვეყნა ერთი თავისი წერილი („კაცობრიობა და ხალხოსნობა"), რომელიც დაწერილი იყო 70-იანი წლების დასაწყისში. ამ წერილის მთავარ დებულებას — ასოციაციური და შეერთებული შრომის აუცილებლობას — იგი უკლებლივ იცავს, ხოლო ახლა უფრო მკვეთრად ანვითარებს ვაჭრობა-მრეწველობის განვითარების საჭიროებას ერის ცხოვრებაში. ეკონომიურ ფაქტორს ამ წერილში დიდი ადგილი აქვს დათმობილი. იგივე წერილი შეუსწორებლად იქნა გამოცემული 1906 წ. ცხადია, ავტორი არ ფიქრობდა რაიმე რადიკალური ცვლილების შეტანას იმ თეორიულ დებულებებში, რომელიც მან შეიმუშავა 60 — 70-იან წლებში. თვით ავტორი ამბობს, რომ ის „აზრის ყოვლად შეუცვლელად" აქვეყნებს თავის წიგნაკს, მაგრამ ჩვენთვის ცხადია, რომ ფურცელაძე რეალური ცხოვრების დენამ გადახარა თავისკენ

ციამ, და მათ შორის ილია ჭავჭავაძემაც. 80-იან წლებში ი. ჭავჭავაძემ საგრძნობლად დაახევინა უკან ჩვენს ეკონომიურ აზროვნებასა და პოლიტიკას. მართლაც, ილია ჭავჭავაძე ამ პერიოდისათვის უკვე დაშორდა 60-იანი წლების რადიკალ-პროგრესიულ აზროვნებას და თავად-აზნაურული ლიბერალიზმის პროგრამის წამოყენებით დაკმაყოფილდა (იხ. ჩვენი: „ინტელიგენციის პროფილი მე-XIX-ე საუკუნეში").

და იგი ხაზგასმით აღნიშნავს ახალი კაპიტალისტური ფაქტორის მნიშვნელობას. ერთის მხრით იგი სწერს: „დღეანდელს წესებში ხალხის უმთავრეს ძლიერებას, როგორც მაშინაც უპასუხეს კენეს და ფიზიოკრატთა, სოფლის მოწალმართობა არ შეადგენს. უმთავრესი ძლიერება დღეანდელთა ერთა არის ვაჭრობა, მრეწველობა, მექარხნეობა. ამ ბოლოსა და ბოლოს ხომ ცხადი საშვალებით ამტკიცებენ, რომ მარტო მეურნეობაზედ, მიწათა მოწალმართობაზედ დადგომა ჰლუპავს ხალხს, თუ ხელიდან გაუშვეს ვაჭრობა, მრეწველობა, მექარხნეობა“ (გვ. 61) აქ აშკარა ბურჟუაზიული პროგრამა არის წამოყენებული, რადგან ვაჭრობა-მრეწველობის განვითარება კლასიურ საზოგადოებაში აშკარად ბურჟუაზიულ შინაარსს ილებს. მაგრამ ეს ხელს არ უშლის ან. ფურცელაძეს თავისი ასოციაციების თეორიაც დაიცვას. მეორე ადგილას იგი სწერს: „ამგვარად, როგორც ესენი, ეგრეთვე სხვა ათასი გარემოებანი ცხადათ უჩვენებენ და უწყობენ კაცობრიობას ხელს შრომის შეერთებისა, ასოციაციების დამყარებისათვის. პირნი შეადგენენ ჯგუფს. ჯგუფნი საზოგადოებას, საზოგადოებანი ერს, ერნი კაცობრიობას. ყველა გაინაწილებს შრომას, ყველა მიიღებს თავისი შრომის ფასს, გარდა იმისა, რაც ყველამ უნდა გაიღოს საზოგადო საქმეთა წყობილებისა და პატრონობისათვის“ (გვ. 71). ცხადია, ჩვენი ავტორი 1895—1906 წლებში პირწმინდად იმეორებს იმ დებულებებს, რომელიც წამოაყენა 60—70-იან წლებში და მასთანვე იმავე წინააღმდეგობას განიცდის, რასაც განიცდიდა აღნიშნულ ეპოქაში: ვაჭრობა—მრეწველობის განვითარება და შეერთებული შრომის ასოციაცია აქაც ებრძვის ერთიმეორეს.

ჩვენი მწერლის ასეთი გაორება სწორედ ჩვენი მაშინდელი (60—70-იან) სოციალ-ეკონომიური პირობების გარდამავალი ხასიათით აიხსნება: ჩვენში უკვე დაირღვა ნატურალური მეურნეობა და ნიადაგი ეყრებოდა კაპიტალისტურ ეკონომიკას. ასეთი გარდამავალი პერიოდის პირობებში ინტელიგენციამ, აღზრდილმა ევროპისა და რუსეთის რადიკალ-სოციალისტურ აზროვნებაზე, ძალაუნებურად ასახა თავის აზროვნებაში ჩვენი ცხოვრების ეს ახალი სოციალ-ეკონომიური გარემოება სრულიად სხვა ფორმით, ვიდრე ეს რეალურ სინამდვილეში ხდებოდა: იგი ვერ აღუდგა წინ კაპიტალიზმის განვითარებას ჩვენში, მაგრამ სურდა მისთვის მშვიდობიანი და ასოციაციური ფორმა მიეცა.

ასეთი განწყობილება ახასიათებს 60-იანი წლების მეორე ნახევრის და 70-იანი წლების პირველი ნახევრის ჩვენი მოწინავე პუბლიცისტების აზროვნებას. აი, ამ ნიადაგზე აღმოცენდა ჩვენში ლიბერალური უტოპიური სოციალიზმი.

მაგრამ ფურცელაძის უტოპიზმი ერთობ შორს მიდის: იგი მართველობასაც აძლევს წინადადებას განახორციელოს ჩვენს სოფლებში მიწის საზოგადო წესი, ე. ი. შემოიღოს ჩვენში რუსეთის სათემო მართველობა. 1873 წ. „გუთნის დედის" ფურცელებზე იგი წერდა:

„ამის გამო სასარგებლოთ სასოფლო მეურნეობის წარმატებისა, იმდენათ მაინც, რამდენათ ეხლანდელს მდგომარეობაში შესაძლებელია, აუცილებელი საჭიროება მოითხოვს, რომ ადმინისტრაცია, ესე იგი მმართველობა, გაეროიოს ამ საქმეში და მოახდინოს რამდენიმე ცვლილება და დაწესება. ეს ცვლილება და წესები არიან... 6) თუ შეიძლება ერთბაშათ, თუ არა და ცოტ-ცოტათი მაინც ეცადნენ, რომ მამულები სოფლებში შეიქნეს საზოგადო სასოფლო საკუთრებათ, როგორც არის ეს რუსეთში. მხოლოდ დაყოფის დროს შემუშავებული მამულები დაიყონ შემმუშავებელთა შორის. ვენახები ორმოცდა ათ წლამდის ეპიროთ გამშენებლებთა და შემდეგ დაიყოს შეფარდებით ვენახის პატრონებს შორის. კარგი ვენახები კარგის შემმუშავებლების და ცუდი—ცუდი შემმუშავებლების შორის. ამგვარი ხნიერება და შერჩევით დაყოფა არ დაუკარგავს მუშას ვენახისა და მამულის გაკეთების ხალისსა. ამგვარათ საზოგადოთ მამულების დადება, სხვა სიკეთეთა შორის, უშველის იმ საშინელს სიღარიბეს, რომელსაც ეხლა ითმენს სოფლის ხალხი" („გუთნის დედა", № 17, 1873 წ. ა. ფ-ს წერილი: „სასოფლო წერილები").

უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ასეთი გეგმებით, „ნაროდნაია ვოლიას" სახელოვანი პარტიის დაშარცხების შემდეგ, ხშირად მიმართავდენ რუსეთის მემარჯვენე ნაროდნიკები რუსეთის მმართველებს: იკისრეთ და განახორციელეთ ჩვენი პროგრამაო. ნიკოლაძეც და 80-იანი წლების ჩვენი ნაროდნიკების ნაწილიც ვერ აცდენ ასეთ უტოპიზმს. რუსეთის ხელისუფლების წინაშე მრავალჯერ მოიხარა ქედი ა. ჰერცენმაც. ამ სამწუხარო უტოპიზმს ნათლად განიცდის ან. ფურცელაძეც. ეს აიხსნება იმით ,რომ მისი სოციალური სისტემა არ არის დამთავრებული, მკვიდრად გამოკვეთილი. იგი სხვადასხვა სისტემების ნარევია. მაგრამ, რაც აღსანიშნავია, მას არა აქვს მკვეთრი

რევოლუციონური ტაქტიკა, იგი უმთავრესად მშვიდობიანი განვითარების მომხრეა და ასე ადვილად ვერ ურიგდება სოციალური ბრძოლის მკაცრ მეთოდებს. ეს ფაქტიც ნათლად ამტკიცებს ჩვენს დებულებას, რომ ან. ფურცელაძე ლიბერალური სოციალიზმიდან ნაროდნიკული სოციალიზმისაკენ გარდამავალ საფეხურს წარმოადგენს.

როგორც დავინახეთ, ანტონ ფურცელაძემ საგრძნობი მუშაობა აწარმოვა არალეგალურ ქართულ რევოლუციონურ ნაროდნიკულ პარტიის დასებში და მის მოღვაწეობაში. 1876—7 წლებში იგი პასუხისგებაშიც იქნა მიცემული ამისათვის. ჩვენ კარგად ვიცით, რომ აღნიშნულ პერიოდში რუსეთის სოციალისტურ-ნაროდნიკულმა აზროვნებამ სავსებით გაითავისუფლა თავი ჰერცენის ლიბერალურ-ოპორტუნისტული პოლიტიკისაგან და აშკარად შეითვისა რევოლუციონური თეორია, თავის ძირითად საფუძვლებში საწინააღმდეგო არსებული სახელმწიფოებრივი წყობილებისა და ეს თეორია არავითარ დათმობზე და ხელისუფლებასთან მორიგებაზე არ მიდიოდა: ასეთი იყო 70-იანი წლების ნაროდნიკული თეორიები. ამავე ხაზს ადგენ ქართველი ნაროდნიკებიც. ან. ფურცელაძემ სცადა ასეთი თეორიის შეთვისება და არალეგალურ რევოლუციონურ მუშაობაში მონაწილეობის მიღება, მაგრამ იმავე დროს (1873—75 წლებში) არ მოერიდა ლეგალურ პრესაში გამოეთქვა სრულიად მიუღებელი და პრინციპიალურად გაუმართლებელი შეხედულება მიწის განაზოგადოების განხორციელების საქმეში მართველობისა და ადმინისტრაციის გამოყენების შესახებ, ე. ი. რეაქციონური ხელისუფლების პოლიტიკურ-ადმინისტრატიული აპარატის დახმარების პოლიტიკა გაიზიარა. აქაც საგულისხმიეროა მერყეობა ან. ფურცელაძის რევოლუციონურ ტაქტიკასა და ოპორტუნისტულ-ლიბერალურ პოლიტიკას შორის, აქაც იგი გაორებულია. განა ასეთი ყოფა არ ეწია 1789—83 წლებში ნ. მიხაილოვსკისაც, რომელიც, ერთი მხრით, სახელოვან „ნაროდნაია ვოლიას" ტეროორისტულ პარტიასთან თანამშრომლობდა, ხოლო, მეორეს მხრით, პროექტებს უგზავნიდა რეაქციონურ მთავრობას, ჩვენი ნიკო ნიკოლაძის ხელით, მშვიდობიანი სოციალური თანამშრომლობის შესახებ?

ჩვენი საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში ანტონ ფურცელაძეს თვალსაჩინო ადგილი უჭირავს: იგი მრავალმხრივ მოვზადებული და მრავალსახიანი მწერალი იყო. მან უკვე 60-იან წლებში შე-

ითვისა სოციალისტური აზროვნება და ამ იდეების ქადაგებას შეუდგა ჩვენში, როგორც სიტყვით, ისე წერითაც. მისი სოციალისტური აზრები გაფანტული არის სხვადასხვა წერილებსა და ჟურნალ-გაზეთებში. მისი სოციალისტური აზროვნების დამახასიათებელი ის არის, რომ იგი ცდილობს სხვადასხვა სოციალისტური თეორიები შეაერთოს, შეადუღოს: ნაწილს იგი სესხულობს 60-70-იანი წლების ნაროდნიკული იდეოლოგიიდან, ნაწილს კი ევროპის სოციალისტური სალაროდან.

როგორც სხვა იმდროინდელი ჩვენი სოციალისტი მწერლები, ან. ფურცელაძეც ვერ ასცდა წინააღმდეგობას; რეალურმა ცხოვრებამ თავისი გავლენა მოახდინა მის სოციალისტურ აზროვნებაზე და თავის შესაფერისად აამეტყველა. ზოგიერთი ფიქრობს, რომ ან. ფურცელაძე დამთავრებული ნაროდნიკი რევოლუციონერია. როგორც ზევით დავინახეთ, ეს არ არის სწორი: მთავრობასთან და ადმინისტრაციასაც თანამშრომლობის მოთხოვნა არ შეიძლება რევოლუციონურ ტაქტიკად იქნეს გამოცხადებული. ამ მხრით ან. ფურცელაძე ოპორტუნისტია. მაგრამ ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების პირობებმა და განუვითარებლობამ იგი მეორე მხრითაც გახადა ოპორტუნისტი. მან ვერ ნახა თავისი იდეებისა და თეორიებისათვის შესაფერისი სოციალური ფენა საქართველოში და ამიტომ იძულებული შეიქნა ისეთ წრეში ემოღვაწნა, რომელიც სრულიად არ ეგუებოდა მის მისწრაფებებს: მაღალი იდეებითა და მისწრაფებებით აღფრთოვანებულ მწერალს სრულიად არ დახვედა ნიადაგი მოძზადებული და, მცირედი ხნის გამოკლებით, თავად-აზნაურთა წრეებში მოუხდა ტრიალი და მოღვაწეობა. ერთ თავის მოგონებაში ან. ფურცელაძე ხაზგასმით აღნიშნავს, თუ 60-იანი წლებიდანვე როგორ გაცხარებულ მუშაობას ეწეოდა იგი დიმიტრი ყიფიანთან ერთად თავად-აზნაურული საბანკო საქმეების მოსაწყობად თავად-აზნაურთა წრეებში[1]); იგი არ დაერიდა თავად-აზნაურული ბანკის დაარსების საქმეს, მიუხედავად იმისა, რომ პრინციპიალურად ბანკის წინააღმდეგიც[2]) იყო და თავადაზნაურობასაც ებრძოდა. ასე დაიმონა ან. ფურცელაძე რეალურმა ცხოვრებამ და გახადა იგი შემგუებელი პოლიტიკის, ოპორტუნის-

---

[1]) Ан. Пурцеладзе: „Наши общественные дела и участье в них Вахтанга Тулаева", „Закав. речь", № 256, 257. 1911 წ. № 131, 132, 136, 138. 1912 წ.

[2]) იხ. „ჯეინის დედა", 1873 წ. ავტორეთვე მისი წიგნაკი: „ბანკები, ფული და მათი მნიშვნელობა", 1906 წ. გამოცემული.

ტული მიდრეკილების მწერლად; მისი პრინციპიალური ხაზი და პრაქტიკული საქმიანობა დასცილდა ერთიმეორეს: ცხოვრებამ დაამარცხა მისი პრინციპები, ბანკებისა და თავად-აზნაურობის უარმყოფელი—პრაქტიკულად ორივე ამ მოვლენის სასარგებლოდ მუშაობდა და მოღვაწეობდა. ვინც ისტორიული საზომით განიხილავს საკითხს, მისთვის ამაში არ უნდა იყოს რამე მოულოდნელი: ცხოვრების რეალური ინტერესი უფრო მძლავრი არის, ვიდრე იდეოლოგიისა და ოცნების სამეფო. მაგრამ მარტო ანტონ ფურცელაძე შეიქნა ოპორტუნისტი, მარტო ის გაორდა? გაითვალისწინეთ ჩვენი 60-იანი წლების რადიკალურ-დემოკრატიულად და სოციალისტურად მოაზროვნე მწერლების საერთო მოღვაწეობა და თქვენ დაინახავთ, რომ ყველა ისინი ბოლოს და ბოლოს ამა თუ იმ სახით დაემორჩილენ ცხოვრების დენას, მის პრაქტიკულ საჭიროებას. მაგრამ მათ შორის მაინც განსხვავებული სახით სდგას ანტონ ფურცელაძე: იგი თეორიაში ბოლომდე დარჩა უტოპისტ-სოციალისტი და პრაქტიკაში კი ოპორტუნისტი, არსებულ პირობებთან შემთანხმებელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი მეცხრე

ბურჟუაზიულ-უტოპიური სოციალიზმის მნიშვნელობა ჩვენი საზოგადოებრივი აზროვნების ევოლუციაში.

ქართული ლიბერალური სოციალიზმის ეპოქა, ჩვენის მოსაზრებით, განისაზღვრება 60-იანი წლების მეორე ნახევრით და 70-იანი წლების პირველი ნახევრით — დაახლოვებით 1865 — 1876 წლებით. ამ პერიოდში წარმოშობილი, იგი გაიზარდა (განსაკუთრებით 1869—73 წლებში) და გადაგვარების გზასაც დაადგა. ფორმალურად ქართული ლიბერალური სოციალიზმი შესცვალა წვრილ-ბურჟუაზიულმა ნაროდნიკულმა მიმდინარეობამ, ხოლო სოციალურად მის გადაშენებას ხელი შეუწყო ამ უტოპიების შეუსაბამობამ ქართულ სინამდვილესთან. როგორც ზევით ვწერდით, სოციალიზმის ამ ფორმებს თავი შეაფარა ბურჟუაზიულად განწყობილმა ინტელიგენციამ. ამ ინტელიგენციამ შეითვისა რუსეთისა და, უმთავრესად, ევროპის უტოპიური და სხვა სოციალისტური სისტემები და მოისურვა მათი გადმონერგვა საქართველოს სინამდვილეში; მაგრამ ფაქტიურად ამ ფორმებს ინტელიგენციის აშკარა ბურჟუაზიული პროგრამა აფარებდა თავს. ჩვენს ინტელიგენციას სურდა საქონლის მეურნეობა უკაპიტალიზმოდ, უკეთ: კაპიტალიზმი შრომის ექსპლოატაციის გარეშე, უპროლეტაროდ. მას უფრო აშინებდა „პროლეტარიატში ჩაცვენა", ვიდრე კაპიტალიზმის განვითარება. გადაიკითხეთ „დროების" ზემოდასახელებული წერილები, გრ. თარხან-მოურავის, მოსე ქიქოძის, ან. ფურცელაძის საპროგრამო სტატიები — და სავსებით დარწმუნდებით ამაში.

რადარა გარემოება უწყობდა ხელს ჩვენში ამ სახის სოციალისტური მიმდინარეობის წარმოშობას? აქ მხედველობაში მისალებია

ორი უმთავრესი გარემოება. ამ საკითხს ჩვენ უკვე შევეხეთ ამ ნარკვევის შესავალში. უფრო ვრცლად გავარკვიოთ იგი:

პირველი გარემოება არის ჩვენი შინაგანი სოციალ-პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობა. ლიბერალური სოციალიზმი აღმოცენდა განსაზღვრულ ისტორიულ პერიოდში, როდესაც ხდებოდა გარდასვლა ძველი მეურნეობიდან კაპიტალისტურ მეურნეობაზე. ეკონომიურად ამ პერიოდში ხდებოდა კაპიტალისტური წყობილების მშობიარების პროცესები და ამ ღრმა მნიშვნელობის სოციალურ ტკივილებს არ შეეძლო თავისი გავლენა არ მოეხდინა ინტელიგენციის აზროვნებაზე. ფორმალურად ბატონყმური ურთიერთობა მოისპო 1864 წ., ხოლო ფაქტიურად იგი დიდი ხნიდან განიცდიდა რღვევის პროცესს რუსეთისა და ადგილობრივი საკაპრო კაპიტალის ზეგავლენით. ბატონყმობის მოსპობის დღიდანვე ინტელიგენციის წინაშე აღიმართა რთული პრობლემა საქართველოს მომავლის შესახებ: რა გზით და რა ფორმებში უნდა ჩამოყალიბდეს საქართველოს სოციალ-ეკონომიური წყობილება ახალი რეფორმის შემდგომ, რომელი გზაა სასურველი საქართველოს განვითარებისა და აღორძინებისათვის? ეს საკითხები ჩვენი მაშინდელი სოციალ-ეკონომიური ცხოვრების უდიდეს პრობლემას წარმოადგენდენ. ინტელიგენციამ ამ გარემოებას ძალაუნებურად გაუწია ანგარიში, შეეცადა ამ პრობლემის თეორიულ დასაბუთებას.

არ უნდა დავივიწყოთ ის ღრმა მნიშვნელობის სოციალური ფაქტიც, რომ ჩვენი თავად-აზნაურული წოდების ეკონომიური და სოციალური დაცემა უკვე საგრძნობლად დაიწყო XIX-ე საუკუნის პირველ ნახევარში, ხოლო ორი ათეული წლის (1850-70) მანძილზე იგი ყველასათვის აშკარა გახდა. მაგრამ თავად-აზნაურობის ეს კრიზისი თავისთავად გამოწვეული იყო ჩვენში გამეფებული ძველი ეკონომიური წყობილების შერყევით, მისი საფუძვლების დარღვევით: მე-XIX-ე საუკუნის პირველ ნახევარში ჩვენში საკაპრო კაპიტალის განვითარებამ დარღვევის პროცესი შეიტანა ძველს ნატურალურ სამეურნეო წყობილებაში, რასაც შედეგად თავად-აზნაურობის სოციალური დაცემის დაწყება მოჰყვა; 1865 წ. „კოლოკოლის" ფურცლებზე ნიკოლაძემ ხაზგასმით აღნიშნა ჩვენი ბრწყინვალე წოდების დეკადანსის დასაწყისი. მაგრამ ამ პროცესს საუცხოოდ გვისურათებს ერთი კორესპონდენცია, რომელიც გაზ. „დროებაში" არის მოთავსებული. აქ ჩვენ ვკითხულობთ:

„როგორც მკითხველს ეხსომება, სიღნაღელი სომხები წარმოგვიდგენენ მფლობელს წოდებას; მამული, დედული, სახნავი, სათესი, ფული და ვეჯი, ერთის სიტყვით რასაც კი ცოტაოდენი ფასი მაინც აქვს, სულ იმათ ხელშია. იყვნენ ოდესმე თავადები: შეეძლოთ ცოტა ოდენი რამე, მაგრამ ეხლა, — ღმერთმა შეინახოსთ. ჩემი მტერი ნუ ჩავარდეს იმ ალაგას, რა ალაგშიაც ისინი ეხლა არიან ჩაცვივნულები. იმათ მამულ-დედულიც, ქონება და ცოლის საყურეებიც სულ ვაჭრებს აქვთ დაგირავებულები. უვალო თავადიც იმისთანა ძვირი სანახავია, როგორც შუა ზაფხულში თოვლი. საცინელს და მასთანვე დასაღონებელ დასანახავს წარმოგვიდგენს ჩვენებური თავადი, როცა სომეხს ფულსა ჰსთხოვს სასესხებლათ. შეჰხედეთ, როგორ ელრიჯება, უცინის, ელაქუცება, რკალივით იკაკვება გაბერილ ვაჭრის წინ, ოღონდ თუმანი თვეში მანეთად მასესხოსო! გარდა იმისა, რომ მამულს გირაოთ უწერს. სარგებელს წინ-და-წინვე თავნზე ჰკეცავს. თუკი ასეთს ალაგს ჩაცვივნულან „თავადები", და „ყმარწვილები", ამაყნი მამა-პაპითა და ჩამომავლობით, რომლებშიაც ეს რამდენიმე საუკუნეა, რაც უსპეტაკესი და შეუმღვრეველი სისხლი მომდინარეობს, — მაშ იქაური გლეხები რაღა სანახავი იქნებიან? ისინი კიდევ ხომ სულ წყალ წალებულები იქნებიან! დიახაც და მაგრე გახლამსთ" [1]).

არ უნდა იყოს სადავო ის, რომ თავად-ზნაურობის ღრმა სოციალ-ეკონომიური ხასიათის კრიზისი [2]), ერთის მხრივ, და ახალი

[1]) იხ. „დ რ ო ე ბ ა", № 15, 1872 წ. ა. კოკოტას წერილი.

[2]) ჩვენს მოწინავე ინტელიგენციას, აღზრდილს რუსეთისა და ევროპის სოციალისტურ-დემოკრატიულსა და პროგესიულს აზროვნებაზე, ცხადია, ვერ მოხიბლავდა ვერც ლუარსაბ თათქარიძის მდგომარეობა და ვერც საერთოდ თავად-აზნაურული ყოფა-ცხოვრება. ჩვენში, სამწუხაროდ, ილია ჭავჭავაძის აზროვნების შესახებ 60-იან წლებში მეტად ყალბი შეხედულებაა გავრცელებული; ამ შეხედულების მიხედვით, ილია ჭავჭავაძე არასოდეს არ ყოფილა არამცთუ თავად-აზნაურობის წინააღმდეგი, არამედ ბატონყმობის მოსპობის მომხრეც: მას მხოლოდ სურდა ბატონყმობისათვის უფრო ლმობიერი და ჰუმანური ხასიათი მიეცაო. ეს შეხედულება არ შეესაბამება ისტორიულ სინამდვილეს და აშკარა გადამახინჯებაა იმ სოციალ-პოლიტიკური პროგრამის, რომელსაც ილია ჭავჭავაძე იზიარებდა 60-იან წლებში. ამ რადიკალურ-დემოკრატიული პროგრამის მთავარი კონტურები ჩვენ უკვე მოვხაზეთ ამ წიგნის ერთ-ერთ თავში (იხ. გვ. 69 — 76). ამჟამად ჩვენ ხელთ არის ერთი მეტად საინტერესო დოკუმენტი: ილია ჭავჭავაძის „ნაწერებში" აღმოჩენილი პატარა დაუმთავრებელი წერილი „ჩ ვ ე ნ ი ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ი ს ფ ი ზ ი ო ლ ო გ ი ა", რომელიც დაწერილი უნდა იყოს 60-იანი წლების პირველ ხანებში, არა უგვიანეს „საქართველოს მოამბის" გამოცემისა (1863 წ.). ამ შენიშ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაპიტალისტური ეკონომიკის მნიშვნელოვანი პროცესები ჯდიდეს გავლენას ახდენდენ ჩვენი ინტელიგენციის აზროვნებაზე და მათს იდეოლოგიურს გადახრებზე. ჩვენი ცხოვრების ამ ობიექტური ეკონომიური და სოციალური პროცესების გარეშე ჩვენ ვერ ავხსნით ჩვენი ინტელიგენციის რადიკალურ-დემოკრატიულსა და სოციალისტურ მიდრეკილებებს.

მ ე ო რ ე გ ა რ ე მ ო ე ბ ა: ამ ძიების პროცესში ინტელიგენცია ძალაუნებურად მიადგა სოციალიზმისა და კაპიტალიზმის საკითხებს; ამ შემთხვევაში ინტელიგენციაზე გავლენას ახდენდენ საერთაშორისო მნიშვნელობის ფაქტორები. ჩვენს ინტელიგენციას იმ პერიოდში მოუხდა ანტონ კათალიკოზის კატეგორიების გავლენისაგან განთავისუფლება და ჩვენი პატრიარქალური სივიწროვისაგან თავის დახსნა, როდესაც ევროპის კაპიტალიზმმა საესებით გამოამჟღავნა თავისი უარყოფითი მხარეები, როდესაც კლასთა ბრძოლის გამწვავებამ და პროლეტარიატის რეოლუციონურმა ბრძოლამ ევროპაში უმაღლეს ხარისხს მიახწია; ეს ერთის მხრივ, ხოლო მეორე მხრივ — სოციალისტური აზროვნება და სოციალისტური თვალსაზრისით კაპიტალისტური ურთიერთობის კრიტიკა გადამჭრელ როლს თამაშობდა ევროპის და რუსეთის სოციალ-პოლიტიკური აზროვნების ვითარებაში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბურჟუაზიული კლასიკური პოლი-

---

ვნაში ჩვენ მიტომ მოგვყავს სრული ციტატა ამ წერილიდან, რომ იგი, ერთის მხრით, გარკვევითა და ნათლად ახასიათებს ილ. ჭავჭავაძის რადიკალურ-დემოკრატიულ მისწრაფებას, ხოლო მეორეს მხრით ნათელ სურათს იძლევა იმის შესახებ, თუ საერთოდ როგორ უცქერდა ჩვენი მოწინავე ინტელიგენცია თავად-აზნაურობას. ამ წერილში ილია ჭავჭავაძე ამბობს:

„ძნიმე საცხოვრებელია ეს ჩვენი ქვეყანა გონიერი კაცისათვის, იმ კაცისათვის, რომელიც თავის თავის გარეითად სხვაზედაცა ფიქრობს, სხვაზედაცა ჰსწუხს ის ჩვენში ფრთას ვერ გაშლის, სულს ვერ მოიბრუნებს. შევა დიდ-კაცის სახლში, თუ თითონ დიდი-კაცია—პატივი აქვს, ე. ი. კანონიერად გაუღიმებენ, კანონიერად ხელს ჩამოართმევენ, თუ პატარა კაცია, მაშინ წელს გაუშინჯავენ, კარგად იგრიხება თუ არა, თუ გაჭირდა თავს ისე დაუკრავს, რომ შუბლი მიწას დაჰკრას თუ არა; თავი მზეუკვრიტისა აქვს თუ არა, როგორც მზეუკვრიტე მზისაკენ მიბრუნდება, ისე თავიც იმისკენ უნდა მიბრუნდეს, ვინც ორი თუ სამი სტრიქონით თავად-აზნაურობის სიაში წინ არის მოხსენებული. ვინც ესე არ არის მოწყობილი და აგებული, ის იმათ ხელს არ მიჰსცემს. ის დიდ-კაცობა როგორც სხვაგან ისე ჩვენში სწორედ კუბოა, რომელიც გარედან ხავერდით არის მოსილი და ბუზმენტებით გაბრწყინებული, მაგრამ ახსენით ის ბუზმენტები და ახადეთ თავი, შიგ ძვლების და სულის და ხორცის გახრწნილების მეტს ვერას დაინახავთ. ისინი მართალია

ტიკური ეკონომია ამ პერიოდში უკვე საგრძნობ დეკადანსს განიცდიდა და ბურჟუაზიულად მოაზროვნე ეკონომისტები სოციალიზმისაკენ იხრებოდენ (ჯონ სტუარტ მილი, კადეტერ-სოციალისტები).

არ უნდა დავივიწყოთ ერთი ისტორიულად ღრმა მნიშვნელობის ფაქტიც: ჩვენი 60-იანი წლების ახალი თაობის ინტელიგენცია თავისი შთამომავლობით იყო თავად-აზნაურული, ფეოდალური არისტოკრატიის მემკვიდრე. მას გაელილი არ ჰქონდა ბურჟუაზიული სკოლა; იგი არ იყო აღზრდილი ბურჟუაზიული ურთიერთობის პირობებში. ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი ინტელიგენციის სოციალ-პოლიტიკური აზროვნების შემუშავების საქმეში. ახალი თაობის ინტელიგენცია, თავისი გენეალოგიით თავად-აზნაურული არისტოკრატიის ამომავალი, ასე ადვილად და პირდაპირ ვერ შეითვისებდა დამთავრებულ ბურჟუაზიულ იდეოლოგიას. ვისაც სურს მოსძებნოს ჩვენი მაშინდელი ინტელიგენციის აზროვნების სოციოლოგიური საფუძვლები, მან აუცილებლად არსებითი ყურადღება უნდა მიაქციოს ჩვენ მიერ აღნიშნულ ამ ისტორიული მნიშვნელობის ფაქტსაც.

ეი ასეთს მნიშვნელოვან ატმოსფეროში მოჰყვა ჩვენი რადიკალური ინტელიგენცია: გასაკვირი არ არის, თუ ამ ინტელიგენციამ საქართველოში დაწყებული ღრმა შინაარსის სოციალ-ეკონომიური ფაქტორების ხეგავლენით და ევროპისა და რუსეთის სოციალისტური მოძრაობის მიბაძვით ფორმალურად შეითვისა და მასთანვე თავისებური შინაარსით ააცსო სოციალისტური ფორმულები. ჩვენი ინტელიგენცია კოლექტიური და ასოციაციების გზით ფიქრობდა საქართველოს მომავლის განვითარებას, არსებითად კი ამ კოლექტიურ-ასოციაციის ფორმებში გამოხვეული იყო ბურჟუაზიული შინაარსის პროგრამა. ჩვენი ინტელიგენცია არ უარყოფდა საერთოდ აღებ-მი-

---

ცხოვრებენ და შურსა მოჰგვრიან ხოლმე ღარიბსა, რომელიც ოფლით შობს ლუკმასა, მზესთვის ვერ შეუხედნია იმიტომ, რომ თუ თავის საქმეს თვალი მოარიდა შიშშილით სული ამოუვა. მაგრამ ნუ გშურს, ღარიბო! შენი ძონძები, შენი ცრემლში ამომბალი ლუკმა, გამხმარი პური ირჩიე იმათ ბრწყინვალებასა. შენს ოფლით ჩამწვარ თვალებზედ და მზე მოკიდებულ სახეზედ ის მაინცა ჩანს, რომ შენ მოცლა არა გქონია, რომ შენს კაცობაზედ გეფიქრნა, გონება გაგეხსნა, გული გაგეთბო, იმათ ეგეც არა აქვთ, იმათ მინის თვალებში ეტყობათ, რომ მოცალეობა...“ (აქ სწყდება წერილი. იხ. ილია ჭავჭავაძის თხზულებანი, ტ IV, გვ. 390 — 91, 1927 წ.) ასეთი შეხედულება თავად-აზნაურულ წოდებაზე ნათლად ააშკარავებს, თუ საით უნდა მიემართა მოწინავე ინტელიგენციას თავისი გულისყური, როგორი პროგრამები უნდა ეთხზა მას საქართველოს წარმატებისათვის.

ცემობისა და მრეწველობა-წარმოების განვითარების საჭიროებას, მაგრამ მას სურდა ეს ეკონომიური სამოღვაწეო პროგრამა კოლექტიური ფორმებით გაევითარებია; უკეთ: მას სურდა საქონლის მეურნეობა შრომის ექსპლოატაციის გარეშე, ინდუსტრია — უპროლეტარიატოდ, კაპიტალიზმი — უკაპიტალიზმოდ. ეს იყო აბსტრაქტული, განყენებული წარმოდგენა კაპიტალისტური ურთიერთობისა. რეალურად კაპიტალისტური მეურნეობის განხორციელება შრომის ექსპლოატაციის გარეშე, მაშასადამე, შრომასა და კაპიტალსა, პროლეტარიატასა და ბურჟუაზიას შორის დამკვიდრებული ეკონომიური ურთიერთობის გარეშე, არ შომხდარა და არც შეიძლებოდა მომხდარიყო. კაპიტალიზმი უკვე გულისხმობს გარკვეულ ეკონომიურ შინაარსსა და გარკვეულ სოციალურ ურთიერთობას. ჩვენმა ინტელიგენციამ სოციალისტური აზროვნების ზეგავლენით მოისურვა ძველი სოციალური საფუძვლები გამოეცალა კაპიტალიზმისათვის და დაგვიხატა კაპიტალიზმის არსებობა კლასთა ურთიერთობის გარეშე. რასაკვირველია, ეს უტოპია იყო, მაგრამ ქართული სოციალისტური აზროვნების ევოლუციისთვის ამ „უტოპიურ წარმოდგენებსაც" თავისი მნიშვნელობა ჰქონდა.

ბურჟუაზიული სოციალიზმი ჩვენში წმინდა ლიტერატურულ მოვლენას წარმოადგენდა. მას აღიარებდენ ცალკე პირები ყოველგვარი ჯგუფების და პარტიების დამოუკიდებლად. ამ მხრივაც წვრილ-ბურჟუაზიული სოციალიზმი (ნაროდნიკული) დიდად განსხვავდება ჩვენი ბურჟუაზიული უტოპიზმისაგან. ნაროდნიკებმა ლიტერატურულ შრომასთან ერთად 70-იან წლებში მეტად მნიშვნელოვანი პრაქტიკულ-რევოლუციონური მუშაობაც გააჩაღეს, მაგრამ ამაზე ქვევით.

ბურჟუაზიულმა სოციალიზმმა რა შემოიტანა ჩვენში ახალი?

ჩვენ აღვნიშნავთ უტოპიური სოციალისტების ლიტერატურული მოღვაწეობის მთავარ მომენტებს:

1. ჩვენში გამეფებულ სქოლასტიურ აზროვნებას ბურჟუაზიულმა სოციალიზმმა დაუპირისპირა რაციონალისტური და პოზიტიური აზროვნება. ანტონ კათალიკოზის კატეგორიები მან გაანადგურა თანამედროვე პოლიტიკური ეკონომიის, ბუნებისმეტყველების და სოციოლოგიის მეცნიერული დასკვნებით: ქართული საზოგადოებრივი აზროვნება გაათავისუფლა ღვთისმეტყველების, თეოლოგიის და ძირმომპალი რელიგიური გავლენისაგან და მისი განვითარება მოინდომა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანამედროვე მეცნიერების საფუძვლებზე. ამ მხრივ მან 1861 წ. გამოსული ჩვენი ახალი თაობის პროგრამა განაგრძო, უფრო გააღრმავა იგი და მაგარი რგოლებით გადააჯაჭვა ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ვითარება რუსეთისა და ევროპის მეცნიერების მაშინდელ ვითარებას.

2. ამ უტოპიურ-ბურჟუაზიულმა სოციალიზმმა ქართველ საზოგადოებას გააცნო ევროპაში შექმნილი ახალი სოციალ-ეკონომიური და პოლიტიკური წყობილება, ახალი სოციალური კლასები და მათ შორის არსებული კლასობრივი ბრძოლა, ევროპაში დაწყებული სოციალური და პოლიტიკური მოძრაობა, მუშათა კლასის ბრძოლა და ამ ბრძოლის შინაარსი და ფორმები.

3. ამ მიმდინარეობამ არა მარტო პირველად განმარტა ჩვენს პრესაში კაპიტალისტური ეკონომიკა და მის ნიადაგზე აღმოცენებული სოციალური ურთიერთობანი, არამედ პირველმა მოგვცა კაპიტალიზმის კრიტიკა (რასაკვირველია, არა სრული) და დაახასიათა კაპიტალიზმის უარყოფითი მხარეები.

4. კაპიტალიზმის კრიტიკის დროს ინტელიგენცია სარგებლობდა ევროპის და რუსეთის (განსაკუთრებით ჩერნიშევსკის) უტოპიური და სხვა სოციალისტური სისტემების დასკვნებით. ინტელიგენციამ გააცნო ქართველ საზოგადოებას ევროპისა და რუსეთის სოციალისტური მიმდინარეობანი, მათი შინაარსი და ისტორია. მან პირველმა წამოაყენა ჩვენში მუშათა საკითხი და თავისებურად დაუკავშირა იგი სოციალიზმის პრობლემას. მანვე პირველმა აღნიშნა (არა მარქსისტულად) კლასთა ბრძოლის არსებობა ისტორიაში.

5. ამ ინტელიგენციის ნაწერებში პირველად ეხვდებით უტოპიური სოციალისტებისაგან ნასესხებ „შრომის ღირებულების თეორიის" ელემენტებს, კაპიტალის მიერ შრომის ექსპლოატაციის აღნიშვნას და ფორმულას, რომელიც ამბობს: „მუშას აქვს სრული უფლება მიიღოს თავისი შრომის ნაყოფი".

6. ამ ინტელიგენციამ წამოაყენა პიროვნების ყოველმხრივი განვითარების და ქალთა სრული განთავისუფლების პრობლემები და დააკავშირა მათი განხორციელების საქმე სოციალიზმთან.

7. მან პირველად წამოაყენა ჩვენში, ნაროდნიკულ მიმდინარეობასთან ერთად, მეურნეობის კოლექტიური ფორმების აუცილებლობა ჩვენი ეკონომიური წარმატებისათვის: არტელების, კოპერა-

ციების და ასოციაციების პრინციპიალური დასაბუთება პირველად მათ ნაწარმოებში გვხვდება.

8. არ უნდა დავივიწყოთ მათი ცდები, ეროვნული საკითხი დაეკავშირებიათ ეკონომიური წარმატების საკითხთან და საერთოდ სოციალურ აზროვნებასთან. ეროვნული პრობლემის ეკონომიური საზომით გაშუქება სერიოზულად მოიწადინეს გრ. თარხან-მოურავმა და მ. ქიქოძემ, ხოლო ეროვნული საკითხი სოციალიზმის განხორციელების საქმეს გარკვევით და ორიგინალურად დაუკავშირა პირველად (1865 წ.) ნ. ნიკოლაძემ. ამ უკანასკნელის დამსახურება ქართველი სოციალისტური აზროვნების წინაშე იმაშიც გამოიხატება, რომ მან პირველმა აღიარა სოციალური მომენტის უპირატესობა ეროვნულ მომენტთან შედარებით. შემდგომ ეს თეორია განაგრძეს ქართველმა ნაროდნიკებმა და ისინიც საქართველოს ეროვნული მისწრაფებების განაღდებას რუსეთის 70-იანი წლების რევოლუციონური მოძრაობის პროგრამის განხორციელებაში ხედავდენ.

მკითხველი დაგვეთანხმება, რომ 60—70-იანი წლებისათვის შეტად დიდი დამსახურება იყო ჩვენი საზოგადოებრივი აზროვნების წინმსვლელობის წინაშე იმ საკითხების წამოყენება და თავისებურად გადაჭრა, რომელნიც ჩვენ სქემატიურად ზემოთ აღვნიშნეთ.

სარჩევი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავტორისაგან

შესავალი:

	გვერდი
I. სოციალისტური აზროვნების უმთავრესი მომენტები რუსეთსა და საქართველოში	3— 32
II. ჩვენი ეკონომიკა მე-XIX-ე საუკუნის მეორე ნახევარში	33— 60

განყოფილება პირველი:

თავი პირველი.

ბურჟუაზიულ-უტოპიური სოციალიზმის ხასიათი ევროპასა და ჩვენში	63— 64

თავი მეორე.

60-იანი წლების ჩვენი ახალი თაობის ინტელიგენცია . .	65— 80

თავი მესამე.

გაზეთი „დროების" სოციალისტური ტენდენციები:	
1. მუშათა საკითხი და ჩვენი ინტელიგენცია . . .	81
2. ქამათი ლასალის თეორიების გარშემო	96
3. პირველი ინტერნაციონალი და ჩვენი ინტელიგენცია	108
4. პარიზის კომუნა და ჩვენი ინტელიგენცია . . .	115

თავი მეოთხე.

ნიკო ინაშვილი და ქალთა განთავისუფლების საკითხი .	127—141

თავი მეხუთე.

გრ. თარხან-მოურავი და ასოციაციის თეორიები	143—168

თავი მეექვსე.

მოსე ჭიქოძე და მისი წერილები საქართველოს მომავალზე	169—180

თავი მეშვიდე.

ნიკო ნიკოლაძე — სოციალისტი	181—212

თავი მერვე.

ანტონ ფურცელაძის სოციალისტური წერილები	213—240

თავი მეცხრე.

ბურჟუაზიულ-უტოპიური სოციალიზმის მნიშვნელობა ჩვენი საზოგადოებრივი აზროვნების ევოლუციაში . . .	241—248

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე ტომის შინაარსი:

1. წვრილ-ბურჟუაზიული სოციალიზმი ჩვენში.

თავი პირველი.

გლეხთა ეკონომიური მდგომარეობა ბატონყმობის შემდეგ და ნაროდნიკული მოღვაწეობის დასაწყისი 60-იან წლებში.

თავი მეორე.

70-იანი წლები და ნაროდნიკების რევოლუციონური მოღვაწეობა.

თავი მესამე.

80-იანი წლების ნაროდნიკობა:
1. გ. მაიაშვილი და მისი ნაროდნიკობის ხასიათი.
2. ეურ. „იმედის" ჯგუფი და უმთავრესი ნაროდნიკული მიმდინარეობანი 80-იან წლებში.
3. აგრარული საკითხი და ჩვენი ნაროდნიკები.
4. მუშათა საკითხი და ქართველი ნაროდნიკები.
5. ეროვნული საკითხი და ნაროდნიკები.
6. წერილები მარქსისა და მარქსიზმის გარშემო 80-იან წლებში.

თავი მეოთხე.

90-იანი წლები და ნაროდნიკული მოძრაობის კრიზისი.

თავი მეხუთე.

ნაროდნიკობის სოციალური საფუძვლები და მისი მნიშვნელობა.

2. მარქსიზმი საქართველოში.

თავი პირველი

ნიადაგის მზადება მარქსიზმისათვის ჩვენში.

თავი მეორე.

რევოლუციონური მარქსიზმის თეორია და პრაქტიკა.

თავი მესამე.

ბურჟუაზიული ინტელიგენციის მარქსისტულ მიმდინარეობასთან შეთანხმების ცდები.

თავი მეოთხე.

წვრილ-ბურჟუაზიული მიმდინარეობა 90-იანი წლების მარქსიზმში.

თავი მეხუთე.

90-იანი წლებიდან 1905 წლისაკენ.

ᲗᲣᲚᲘ 2 ᲨᲐᲜ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

-სკოლის., ავ. წერეთლის ქ. № 3. მთავლ. 956. ტირაჟი 3.000